

114
1954/3

ვ. ჯ




მნათობი

114/3

1 13

0268260



1954



მნათობი

6638

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ბატაკთველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათეობეტი

1



★

ი ა ნ ა რ ი

ჩუბაქტობა
ალიო შირცხულავა

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი,
ნიკო კაცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ზილარია.



3. ი. ლენინის ბარლახვალუბის XXX წლისთავის შესახებ

აგხ. პ. ნ. კოსხელოვის მოხსენება საჯიფო-სამგლოვიარო
სხდომაზე მოსკოვში



ამხანაგებო!

ოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი — რევოლუციის გენიოსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელი, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი.

ოცდაათი წელია კომუნისტური პარტია მიუძღვის საბჭოთა ხალხს სწორი გზით, რომელიც დასახა ლენინმა. ლენინიზმის უკვდავი იდეები უნათებენ საბჭოთა კავშირის მშრომელებს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის გზას, ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე, აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს კაპიტალისტური უღლის წინააღმდეგ, ახალი, თავისუფალი ცხოვრების მშენებლობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის საბრძოლველად.

ლენინის მიერ გამოწრთობილმა კომუნისტურმა პარტიამ ლენინის გარდაცვალების შემდეგ თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით დაიცვა ლენინიზმი სოციალიზმის მტრების ყველა იერიშისაგან და უზრუნველყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოების აშენება ჩვენს ქვეყანაში. რაც უნდა ცდილობდნენ იმპერიალიზმის რეაქციული ძალები უკან დააბრუნონ ან შეაჩერონ ისტორიის მსვლელობა, ისტორია წინ მიდის ისტორიული განვითარების ობიექტური კანონებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის მარად ცოცხალი და ძლევამოსილი მოძღვრების შესაბამისად, რომელიც ამ კანონებს ასახავს. წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები, სულ უფრო თვალნათლივ და დამაჯერებლად დასტურდება ლენინის რევოლუციური მეცნიერული განჭვრეტის სიდიადე. დასტურდება თანამედროვე საზოგადოების განვითარების კანონები, რომლებიც მან აღმოაჩინა.

I

მარქსმა აღმოაჩინა ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობის ეკონომიური კანონი, გამოიყვლია კაპიტალისტური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობა მის წარმოშობაში, განვითარებასა და დაქვეითებაში, მეცნიერულად

დაამტკიცა, რომ გარდუვალია კაპიტალიზმის კრახი და კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა სოციალისტურ საზოგადოებად.

ახალი ისტორიული ეპოქის პირობებში, როცა კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უმაღლეს სტადიაში, იმპერიალიზმის სტადიაში, როცა დამყარდა მონოპოლიების ბატონობა, ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის, ეკონომიური და პოლიტიკური არსის გენიალური მეცნიერული ანალიზი. ლენინმა აღმოაჩინა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი და აქედან გამომდინარე შესაძლებლობა სოციალიზმის გამარჯვებისა თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში.

იმპერიალიზმის ეკონომიური არსი, ლენინის განსაზღვრით, ის არის რომ კონკურენციის თავისუფლებას ცვლის მონოპოლია, რომელიც თავს იჩენს ტრესტებსა და სინდიკატებშიც, გიგანტური ბანკების ყოვლისშემძლეობაშიც. ნედლეულის წყაროების ზელში ჩაგდებასა და შესყიდვაშიც. „მთელი საქმეა ეკონომიური მონოპოლია“, ამტკიცებდა ლენინი. ეკონომიურ მონოპოლიას ახასიათებს მისწრაფება მაქსიმალური, მონოპოლიურად მაღალი მოგებისადმი. ამ კლასიკური მითითებებით ლენინმა არსებითად ცხადყო იმპერიალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის საწყისი დებულებანი.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პოლიტიკურ ზედნაშენში ლენინს დამახასიათებლად მიაჩნდა მობრუნება დემოკრატიიდან პოლიტიკური რეაქციისაკენ. იგი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ მონოპოლიას შეესაბამება რეაქციის გაძლიერება საგარეო პოლიტიკაშიც და საშინაო პოლიტიკაშიც, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება, იმპერიალიზმის მისწრაფება სხვა ერებისა და სახელმწიფოების პოლიტიკური, ეროვნული დამოუკიდებლობის დარღვევისადმი, ბრძოლა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის.

მონოპოლიების იმპერიალისტური უღლის გაძლიერება იწვევს მუშათა კლასისა და კოლონიათა და ნახევარკოლონიათა ჩაგრული ხალხების წინააღმდეგობის გაძლიერებას, იმ ხალხთა წინააღმდეგობის გაძლიერებას, რომელთა ეროვნულ დამოუკიდებლობასა და ეროვნულ სუვერენიტეტს თელავს იმპერიალიზმი.

იმპერიალისტური პოლიტიკისადმი, იმპერიალისტური უღლისადმი ხალხთა წინააღმდეგობის ეს ზრდა იმპერიალიზმის სუსტი ადგილია. უკანასკნელი წლების ფაქტები და მოვლენები დამაჯერებლად ცხადყოფენ, რომ მაქსიმალური მოგებისათვის კაპიტალისტური მონოპოლიების გამოდევნება, რაც გადაუჭრელ წინააღმდეგობებს ქმნის ვაჭრობაში მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარზე, და სხვა ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის დათრგუნვის პოლიტიკა, რომელიც ხალხთა ბუნებრივ წინააღმდეგობას იწვევს, — აღრმავენ მთელი კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისს.

უდიდესი ფაქტიური მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, იმის თეორიული განზოგადების საფუძველზე, რაც ხალხებს მოუტანა პირველმა მსოფლიო ომმა, ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმის ერთ-მეორე XIX საუკუნის ბოლომდე ვითარდებოდა აღმავალი ხაზით, იმპერიალიზმის ეპოქაში გადაიქცა პარაზიტულ, მომაკვდავ კაპიტალიზმად, რომელსაც ახალი და ახალი სისხლისმღვრელი ომებისა და ეკონომიური კატასტროფების უფსკრულისაყენ მიჰყავს კაცობრიობა.

ლენინს თავის შრომებში არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს არ შესწევთ უნარი გაიგონ იმპერიალისტური ომების უმნიშვნელოვანესი შედეგები. ომის შედეგები უმაგალითო სისწრაფით უხელენ თვალს ბურჟუაზიის მიერ დაბეჩაეებულ, დათრგუნვილ, მოტყუებულ, გაბრყეებულ მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მკაფიოდ დაადასტურა რევოლუციის ლენინური თეორია. რუსეთის პროლეტარიატმა, რევოლუციურ გლახობასთან კავშირში, წინათ ჩაგრულ ხალხებთან კავშირში, ლენინისა და ლენინური პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით, მოახდინა უდიდესი ისტორიული გმირობა — პირველმა გააჩლია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, დასაწყისი მისცა მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას, სოციალიზმის გამარჯვების ეპოქას.

საჭირო იყო ლენინის რევოლუციური გენიის მთელი სიდიადე, ლენინური პარტიის უდიდესი გმირობა და სიმტკიცე, რუსეთის ხალხთა მასების რევოლუციური ენერჯიის გიგანტური აზვირთება რუსეთში, იმპერიალიზმის ხელისუფლების დასამზობად და იმპერიალისტური ომიდან ჩვენი ქვეყნის გამოსაყვანად.

ლენინის მიერ შექმნილმა დიადმა პარტიამ გააკამტყერა მენშევიკები, რომლებიც გაიძახოდნენ, პროლეტარიატი რუსეთის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს და იგი სოციალიზმისათვის „არ მომწიფებულაო“; პარტია გაბედულად და მტკიცედ გაუძლეა მუშათა კლასს და მის რევოლუციურ მოკავშირეს — შრომელ გლახობას იმპერიალიზმის ხელისუფლების დასამზობად და მიიყვანა ისინი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე 1917 წლის ოქტომბერში.

ლენინი შთაგონებით წინასწარმეტყველებდა, რომ დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას ბოლოს და ბოლოს ასწავლის და ბრძოლისათვის ზრდის თვით კაპიტალიზმი, იმპერიალიზმის მზარდი წინააღმდეგობანი, რომ დედამიწის მოსახლეობის ეს უმრავლესობა უმაგალითო სისწრაფით ებმება ბრძოლაში თავისი განთავისუფლებისათვის. ლენინს ოდნავაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უთუოდ უზრუნველყოფილია.

ისტორიის მთელმა მსვლელობამ დაადასტურა და ადასტურებს ლენინის მეცნიერულ განჭვრეტას. შექმნა რა რევოლუციური გზით წინაპირობები საწარმოო ძალების სწრაფი ზრდისათვის, საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა სოციალისტური საზოგადოება ჩვენს ქვეყანაში, გაანადგურა გერმანიის ფაშიზმი და იაპონიის მილიტარიზმი. მეორე მსოფლიო

ომში გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის დამარცხების შედეგად იმპერიალიზმის სისტემას ჩამოსცილდნენ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები. ჩამოსცილდა დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, შეიქმნა შვედლანდის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის დამთავრების შემდეგ ლენინი აღნიშნავდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ბრძოლით მოიპოვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის მთელი ხანის შესაძლებლობა. ამავე დროს ლენინი გვაფრთხილებდა, რომ იმპერიალისტები ხელს არ აიღებენ თავიანთ ხრიკებზე და რომ ამიტომ ჩვენ დაუცხრომლად უნდა განვაძტკიცებდეთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვას.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა საბჭოთა მთავრობის მუდმივ სურვილს — დაემყარებინა ნორმალური დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

თავის ცნობილ პასუხში ამერიკული გაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე, როგორია ამერიკასთან ზავის საფუძვლები, ლენინი 1920 წელს აცხადებდა:

„დაე ამერიკელი კაპიტალისტები ჩვენ ნუ შეგვეხებოიან. ჩვენ მათ არ შევეხებით. ჩვენ მზადაც კი ვართ ოქროთი გადავუხადოთ ტრანსპორტისა და წარმოებისათვის სასარგებლო მანქანების, იარაღების და სხვათა ნაცვლად. და არა მარტო ოქროთი, არამედ ნედლეულითაც“. (თხზ., ტ. 30, გვ. 440).

ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ინგლისთან და საფრანგეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების საჭიროება. ინგლისური გაზეთის „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში 1922 წელს, ინგლისთან და საფრანგეთთან საბჭოთა რუსეთის თანამშრომლობის პერსპექტივების საკითხთან დაკავშირებით, ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ სავესებით შესაძლებელია სრულიად მეგობრული ურთიერთობის დამყარება ორივე სახელმწიფოსთან, და ჩვენი მიზანიც ეს არის... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის სწორად გაგებული ინტერესები ასევე იმოქმედებს ამ მიმართულებით“. (თხზ., ტ. 33, გვ. 452-453).

ლენინის ეს განცხადებანი ამხილებენ იმპერიალიზმის ბანაკში ჩვენი მტრების ცილინმწამებლურ ჭორობებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობას „არა სურს“ ნორმალური ურთიერთობის დამყარება კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა სახელმწიფოს სავაჭრო ურთიერთობას ბურჟუაზიულ ქვეყნებთან, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს ორი სისტემის ხანგრძლივ მშვიდობიან თანაარსებობას. ლენინი აღნიშნავდა, რომ ეკონომიური სიძნელებები გარდუვალად აიძულებენ კაპიტალისტურ ქვეყნებს დაადგნენ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის გზას.

„არსებობს უფრო ძლიერი ძალა, — ამბობდა ლენინი, — ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი, ნება და გადაწყვეტილება, ეს ძალაა საერთო ეკონომიური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ დაადგნენ ჩვენთან კავშირ-ურთიერთობის ამ გზას“. (თხზ., ტ. 33, გვ. 170).

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის მითითებებით იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ლენინის მითითებანი, რომ შესაძლებელია ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების — ხანგრძლივი თანაარსებობა და შვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება, პრინციპული საფუძველია საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრული ბრძოლისა მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. საბჭოთა მთავრობა აკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა, ყველა გადაუჭრელი საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ბრძოლას ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობისათვის, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის მხარს უჭერს და თანაუგრძნობს მთელი პროგრესული კაცობრიობა. მშვიდობისათვის მძლავრი ორგანიზებული მოძრაობა, რომელიც ახლა გაჩაღებულია ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით თვალნათლივ ადასტურებს ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, „რომ ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას იწონებს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა“ (თხზ., ტ. 30 გვ. 470).

ლენინიზმი დროშაა მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ყველა ქვეყნის ხალხთა მეგობრობისათვის, ყველა ხალხის ნათელი მომავლისათვის. ლენინიზმი, თავისი რევოლუციური იდეური ძლიერებით, გვაძლევს ჩვენ, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელებს, მტკიცე საფუძველს იმისათვის, რომ დროზე დავრახმოთ მასები, რათა შეუდრეკლად იბრძოლონ აგრესიისა და იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ, ყველა, დიდი და მცირე, ხალხის მტკიცე და სამართლიანი მშვიდობისათვის.

კომუნისტურ პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი განმტკიცება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველსაყოფად აქტიური ენერგიული საქმიანობა. მსოფლიოს ყველა იმ ადამიანისათვის მხურვალე მხარდაჭერა, რომლებიც იბრძვიან ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

II.

ლენინმა მოგვცა სოციალიზმის თავდაპირველად ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის თეორიული დასაბუთება. სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება არის ლენინის ბრძნული ანდერძის შესრულების შედეგი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გიგანტური მათრავანიზებელი და წარმმართველი საქმიანობის დიდებული შედეგი, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის შთაგონებული, გმირული, შემოქმედებითი შრომის ნაყოფი.

ლენინის უკვდავ ქმნილებებში მოცემულია ძირითადი პრინციპული, თეორიული მითითებანი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების შესახებ, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზების შესახებ, ესე იგი იმის შესახებ, რომ წარმოების საშუალებათა საერთო მფლობელობიდან და თვითულის მუშაობის მიხედვით პროდუქტების განაწილებიდან თანდათანობით გადავიდეთ კომუნისტური პრინციპის: „თვითულისაგან უნარის მიხედვით, თვითულის მოთხოვნილების მიხედვით“ განხორციელებაზე.

ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების საკითხს.

1918 წლის აპრილში ლენინმა შეადგინა „მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონასახი“, რომელშიც მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დავალებები ეძლევა მეცნიერებათა აკადემიას რუსეთის ბუნებრივი საწარმოო ძალების სისტემატური შესწავლისა და გამოკვლევის დარგში. ამ დოკუმენტში ლენინის სხვა მითითებათა შორის არის შემდეგი:

„განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მრეწველობისა და ტრანსპორტის ელექტროფიკაციაზე და ელექტრობის გამოყენებაზე მიწათმოქმედებაში. არაპირველხარისხოვანი სათბობის (ტორფი, მდარე ხარისხის ნახშირი) გამოყენება ელექტრობის ენერჯის მისაღებად უმცირესი დანახარჯით საწვავის მოპოვებასა და გადაზიდვაზე.

კომუნისტურ საზოგადოებაში სოციალისტური საზოგადოების თანდათანობით გადაზრდის გადამწყვეტ და უმნიშვნელოვანეს პირობად ლენინს მიაჩნდა სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების ყოველი ღონისძიებით განვითარება, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განუწყვეტელი სრულყოფა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნა. ჯერ კიდევ პარტიის პროგრამის პროექტში 1902 წელს ლენინი სოციალური რევოლუციის ძირითად მიზნად სახავდა სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრის „სრული კეთილდღეობისა და ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის“ ამოცანას.

წყლის ძალები და ქარის ძრავები საზოგადოდ და მიწათმოქმედებაში გამოსაყენებლად“. (თხზ., ტ. 27, გვ. 383).

სტატიამ „ჩვენი დროის მთავარი ამოცანა“ (1918 წელი) ლენინი წერდა: „ჩვენ გვაქვს მასალა ბუნებრივი სიმდიდრისა, ადამიანურ ძალთა მარაგისა, საუცხოო გაქანებისა, რომელიც ხალხის შემოქმედებას მისცა დიდმარეოლუციამ, — რომ შევქმნათ მართლაც ძლიერი და უხვი რუსეთი“. (თხზ., ტ. 27, გვ. 176).

30 წლის წინათ ჩვენი ქვეყანა ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ღვამდა ინდუსტრიალიზაციის დარგში, ტექნიკური ჩამორჩენილობის დაძლევის დარგში, რომელიც მემკვიდრეობად დაგვრჩა წარსულისაგან და რომელიც გაადიდა ინტერვენტების მიერ ნგრევამ.

ლენინს ჩვენი ქვეყნის ხსნად მიაჩნდა ის, რომ მოგვესწრო ჩვენი მძიმე ინდუსტრიის განვითარება, სანამ იმპერიალისტური სახელმწიფოებმა კვლავ დაესხმოდნენ თავს ჩვენს ქვეყანას.

გენერალიზაცია

ლენინის ეს უმნიშვნელოვანესი ანდერძი ჩვენმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა პირნათლად შეასრულეს. ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს ახლა აქვს ყოველმხრივ განვითარებული მძიმე ინდუსტრია, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების მძლავრი ბაზა. პარტიის XIV ყრილობის შემდეგ განვილილ 28 წელიწადში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება სსრ კავშირში 29-ჯერ გადიდდა. ამასთან ფოლადის წარმოება გადიდდა 21-ჯერ, ქვანახშირისა — 19-ჯერ, ელექტროენერჯიის წარმოება — 45-ჯერ. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გადიდდა მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის პროდუქცია.

ახლა ჩვენ ხელთ გვაქვს ენერჯიის კიდევ უფრო მძლავრი წყარო, ვიდრე ელექტრობაა. საბჭოთა მეცნიერები წარმატებით მუშაობენ იმაზე, რომ ატომის ენერჯიის გამოყენების კოლოსალური შესაძლებლობანი გამოიყენონ კომუნისმის მშენებლობისათვის, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის და არა ხალხთა დამონებისა და გაუღეტისათვის, არა მსოფლიო ცივილიზაციის მოსპობისათვის. საბჭოთა კავშირის უდავო ტექნიკურ და ეკონომიურ ძლიერებას, მის მიღწევებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში გონს მოჰყავს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ეგრეთწოდებული „ჯვარბანული ლაშქრობის“ ზოგიერთი თავგამოდებული მქადაგებელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა დიდებული შედეგები და დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის პროგრამა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში პარტიის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებამ, საჭირო პირობები მოამზადა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და მსუბუქი და კვების ინდუსტრიის წარმოების გაფართოებისათვის. ახლა, როცა შექმნილია და კვლავ ვითარდება მძიმე ინდუსტრიის მძლავრი ბაზა, როცა აღმოფხვრილია იმ ნგრევის შედეგები, რაც გერმანელ ფაშისტთა შემოსევამ მძიმე მრეწველობას მიაყენა, ახლა პირველად საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე შეიქმნა იმის ობიექტური შესაძლებლობა, რომ დაჩქარებით განვითარდეს მსუბუქი ინდუსტრია, სახალხო მოხმარების საგნების წარმოება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, პარტიისა და მთავრობის შემდგომ დადგენილებებში გამოხატულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზული, ყოველმხრივი საბრძოლო პროგრამა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გააჩაღეს ბრძოლა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში მთლიანად დაეკმაყოფილონ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი სასურსათო პროდუქტებსა და სახალხო მოხმარების საქონელზე.

ამ ამოცანების პრაქტიკული გადაჭრა ამჟამად კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. კომუნისტების მშენებლობაში ჩვენს წარმატებებს არა მარტო საშინაო, არამედ აგრეთვე დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

არც ისე დიდი ხნის წინათ ამერიკის ბურჟუაზიულ პრესაში გამოჩნდა შემოფოტების ნიშნები საბჭოთა კავშირის პროგრამის გამო, რომელიც ითვალისწინებს სამომხმარებლო საქონლის წარმოების გაფართოებას, გამოთქვამდნენ აზრებს, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები უნდა შეეჯიბრონ საბჭოთა კავშირს, როგორც აცხადებს ამერიკული გაზეთი „ჯორჯელ ოფ კომერსი“ — „ცხოვრების დონის ამ გამაღებულ ამალღებაში“. საკითხავია: რა არის იმაში ცუდი, თუ გამაღებული შეიარაღების ნაცვლად, რაც კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებს, დაიწყება მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება ცხოვრების დონის ამალღებისათვის? განა ხალხები წინააღმდეგი იქნებიან „ცხოვრების დონის ამ გამაღებული ამალღებისა“?

ამერიკის ეურნალი „რიპორტერი“, განიხილავს რა მსოფლიო განვითარების პერსპექტივებს უახლოესი ოცი წლისათვის და ადარებს რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძლიერ ტემპს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ მოღუნებასა და ლაზობას, საბჭოთა კავშირის მხრივ „საფრთხეს“ ხედავს არა იმაში, რომ საბჭოთა კავშირი თავს დაესხმის ვინმეს, არამედ, წერს ეურნალი, იმაში, რომ „რუსეთს შეუძლია გაზრდილი წარმოების ნაწილი გამოიყენოს სამომხმარებლო საქონლის გამოსაშვებად, რათა წონასწორობიდან გამოიყვანოს დასავლეთი ევროპა თუნდაც მარტო თავისი მაგალითის მიმზიდველობით“.

იმპერიალიზმის იდეოლოგებს შეგნებული აქვთ, რომ ყოველი ჩვენი წარმატება კომუნისტების მშენებლობაში, მშრომელთა ცხოვრების დონის ამალღებაში უდიდეს გავლენას მოახდენს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების ხალხთა გონებასა და გრძნობებზე.

ლენინს პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპად მიაჩნდა მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე, ურღვევი კავშირი. იგი მოითხოვდა ამ კავშირის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას, რათა მუშათა კლასს შეენარჩუნებინა ხელმძღვანელი როლი და სახელმწიფო ხელისუფლება. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის ლენინური იდეა პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომლად განამტკიცებდეს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის — ჩვენი საშობლოს ძლიერების საფუძველს. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტკიცე კავშირის შესახებ დიადი ლენინური პრინციპის მუდმივ განხორციელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების მშენებლობისათვის. იმ დიადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა, ხელს შეუწყობს მუშათა კლასისა და კომუნურნე გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია ამ უკანასკნელ პერიოდში, აძლიერებენ კოლმეურნე გლეხობის ეკონომიურ დაინტერესებას სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებით, როგორც არის მეცხოველეობა, მებოსტნეობა, კარტოფილის მოყვანა. ამასთან პარტია და მთავრობა ეყრდნობიან ლენინის პრინციპულ მითითებებს. მეურნეობის სოციალისტური გაძლიერების ერთ-ერთ ძირეულ პრინციპად ლენინმა დასახა მატერიალური დაინტერესების პრინციპი. ლენინი ვცაწავლიდა, რომ ათეულ მილიონობით ადამიანი შეიძლება ჩავებათ კომუნიზმის მშენებლობაში მხოლოდ იმ პირობით, როცა ხალხის მასების ერთუზიანს, რომელიც დიდმა რევოლუციამ წარმოშვა, შევეხამებთ პირადი დაინტერესების პრინციპს, პირად ინტერესსა და სამეურნეო ანგარიშს.

ლენინი განსაკუთრებული ძალით აღნიშნავდა, რომ საჭიროა პირადი ინტერესები შევეხამოთ მთელი საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს და პირადი ინტერესები დავუქვემდებაროთ საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. სწორედ ლენინის ამ მითითებით ხელმძღვანელობენ ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა კომუნისტური საზოგადოების შენების დროს.

ლენინმა შექმნა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეოლოგია, რომლის საფუძველზეც განვითარდა და განმტკიცდა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო.

კერძო კაპიტალისტური საკუთრება, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა თიშავს ხალხებს, ერებს და ქმნის მათ შორის ანტაგონიზმის, ჩაგვრის, უთანასწორობის ურთიერთობას. სოციალისტური საკუთრება და მის საფუძველზე აღმოცენებული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა აერთიანებს, მჭიდროდ რაზმავს ხალხებს, ერებს მშური მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საწყისებზე.

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის დიადი იდეოლოგია, რომელიც საბჭოთა კავშირში ხორციელდება, ქმნის კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული განვითარების ახალ პერსპექტივებს, მძლავრ, მომხიბვლელ შემოქმედებას ახდენს მთელი მსოფლიოს ხალხთა შეგნებაზე.

კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი დარაზმა ერთიან მშურ ოჯახად, დიდ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირად. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი მძლავრი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა მშური თანამეგობრობით დაძლიეს საუკუნეობრივი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, მიაღწიეს სახალხო მეურნეობის უმაგალითო აღმავლობას და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებას. ეს შედეგია ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც განუხრელად ახორციელებს ჩვენი პარტია.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განსამტკიცებლად დაუცხრომლად იღვწოდა ლენინის თანამებრძოლი და მისი საქმის განმგრძობი სტალინი; ხალხთა მეგობრობის განმტკიცება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანია.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ამ დღეებში აღნიშნავს შესანიშნავ ისტორიულ მოვლენას — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. რუსეთსა და უკრაინელი ხალხები მკიდრო თანამეგობრობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად, ამენებენ კომუნისმის დიდებულ შენობას. ხალხთა მეგობრობა იზრდება და მტკიცდება. ჩვენი პარტია განუხრელად ახორციელებს რა ლენინურ — სტალინურ ერთეულ პოლიტიკას, არავის არ მისცემს ნებას შეაჩუროს ან შეასუსტოს საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი ურღვევი მეგობრობა.

ლენინმა განჭვრიტა, რომ კომუნისმის უმაღლეს ფაზაში თანდათანობით გადასვლის პროცესში გაიზრდება ადამიანთა კომუნისტური შეგნება. კომუნისტური შეგნების დანერგვა, ისეთ ახალ ადამიანთა აღზრდა, რომელთათვისაც შრომა პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება გახდება, ლენინს მიაჩნდა კომუნისმში გადასვლის ერთ-ერთ ძირითად პირობად.

III

ლენინმა შექმნა ახალი ტიპის მარქსისტული პარტია, ლენინისმის პარტია, რომელმაც გამოიჩინა უნარი გაძლიერდა პროლეტარიატს ძალაუფლების დასაპყრობად, მიიყვანა ჩვენი ხალხი სოციალისმის გამარჯვებამდე და ახლა წარმატებით ხელმძღვანელობს კომუნისმის მშენებლობას, დგას საერთაშორისო რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში. ლენინმა შეიმუშავა რევოლუციური მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები, მზრუნველობით ზრდიდა პარტიის კადრებს, რომლებმაც მოახდინეს სამი რევოლუცია, ლენინმა შექმნა მთლიანი და მწყობრი მოძღვრება პარტიის შესახებ.

ლენინს პარტია მიაჩნდა მუშათა კლასის შეგნებულ, მებრძოლ ავანგარდად, მშრომელთა ბელადად და მასწავლებლად ძველი სამყაროს ძალების წინააღმდეგ, საზოგადოების რევოლუციური სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში, პარტია მიაჩნდა პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად. 1917 წელს, როცა პარტია მუშათა კლასს ამზადებდა სოციალისტური რევოლუციისათვის გადამწყვეტი ბრძოლების გასაჩაღებლად, ლენინი შთაგონებით წერდა კომუნისტური პარტიის მაღალი მოწოდებისა და ხელმძღვანელი როლის შესახებ: „ჩვენ ვენდობით ჩვენს პარტიას, ჩვენ მასში ეხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებას და სინდისს“. (თხზ., ტ. 25, გვ. 312).

რომ არ ყოფილიყო რკინისებური და ბრძოლაში გამოწრთობილი პარტია, რომელიც სარგებლობდა მუშათა კლასისა და არაპროლეტარული მშრომელი მასების ნდობით, პროლეტარიატის დიქტატურა რამდენიმე თვესაც ვერ გაძლებდა, — აღნიშნავდა ლენინი. ლენინი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასის საქმისათვის, სოციალისმისა და კომუნისმის საქმისათვის პარტიის წარმატებითი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პირობაა პარტიის ერთიანობა და დარაზმულობა, პარტიული კადრების რკინისებური დისციპლინა, რომელსაც საფუძვლად უდევს კომუნისტების მაღალი იდეურობა, შეგნებულობა, რევოლუციის საქმისადმი მათი ერთგულება. საზოგადოების განვითარების იმ ობიექტური მეცნიერული კანონების გაგება, რომლებიც მარქსმა და ლენინმა აღმოაჩინეს, განამტკიცებს რწმენას, რომ ჩვენი საქმე, კომუნისმის საქმე უძლეველია.

კომუნისტურმა პარტიამ მთელი თავისი ნახევარი საუკუნის ისტორიული მოღვაწეობით ხალხის სრული ნდობა დაიმსახურა. უპარტო მშრომელებს

კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ერთგულ და საიმედო ხელმძღვანელად, ხალხის ძირეული ინტერესების მედგარ დამცველად. კომუნისტური პარტია ამრავლებს და განამტკიცებს თავის კავშირს ხალხის ფარდობა-მასშტაბთან. ხალხთან მჭიდრო ერთიანობით ემზადება პარტია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნებისათვის. ეკვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები ერთსულოვნად დაუპერენ მხარს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ლენინის მოძღვრებაში პარტიის შესახებ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ კიდევ რევოლუციამდელ წლებში ლენინი უწოდებდა ხელმძღვანელთა კოლექტივს: პარტიის პრინციპების დამცველსა და განმმარტებელს.

„პარტიის პრინციპებს ყრილობიდან ყრილობამდე იცავს და განმარტავს ცენტრალური კომიტეტი“, — აღნიშნავდა ლენინი. ლენინი ყოველთვის მოითხოვდა პარტიის წესდებით გათვალისწინებული პარტიული ცხოვრების მტკიცე ნორმების დაცვას.

ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება და კოლექტიური სიბრძნე, რაც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერულ საფუძველსა და ხელმძღვანელი კადრების ფართო ინიციატივას, ხალხის მასების შემოქმედებითს ენერჯიასა და თვითშემადგენლობას, უზრუნველყოფს პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი სწორ ხელმძღვანელობას.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპს აშკარად ეწინააღმდეგება პიროვნების კულტი, რომელიც უცხოა მარქსიზმისათვის.

პიროვნების კულტი იწვევს პარტიის, მისი ხელმძღვანელი ცენტრის როლის შემცირებას, პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობის შემცირებას და მას საერთო არა აქვს რა ხელმძღვანელ პოლიტიკურ, სახელმწიფო მოღვაწეთა წარმმართველი მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობის მარქსისტულ-ლენინურ გაგებასთან.

კომუნისტური პარტია თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს ლენინისა და სტალინის მითითებებით იმის შესახებ, რომ არ უნდა მივჩქმალთ შეცდომები და ნაკლოვანებანი მუშაობაში, რომ საჭაროა გაბედულად ვაკრიტიკებდეთ ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებებს, რათა დროზე აღმოვფხვრათ ისინი და მივალწიოთ მთელი ჩვენი მუშაობის ახალ და ახალ აღმავლობას. მხოლოდ ძლიერ და მძლავრ პარტიას, რომელიც ხალხის ნდობასა და მხარდაჭერას ეყრდნობა, შეუძლია ასე გაბედულად და აშკარად ამხილოს ნაკლოვანებანი მათი რაც შეიძლება სწრაფად გამოსწორების მიზნით, როგორც ამას აკეთებს ჩვენი კომუნისტური პარტია.

დიადი კომუნისტური პარტია ძლიერია თავისი მონოლითური ერთიანობით, თავისი რიგების იდეური და ორგანიზაციული დარაზმულობით, ლენინიზმისადმი თავისი ერთგულებით, ხალხთან თავისი განუყრელი კავშირით. მთელმა პარტიამ ერთსულოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი. მთელი ჩვენი ქვეყნის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ლენინის დროშის ერთგულნი არიან, ცხადყვეს თავიანთი უდიდესი დარაზმულობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ხელმძღვანელთა, ლენინისა და სტალინის მოწაფეთა და თანამებრძოლთა ავტორი-

ტეტიანი და ბრძენი კოლექტივის გარშემო, რომლებსაც ლენინის გზით ახალი გამარჯვებისაკენ მიჰყავთ ჩვენი პარტია და ქვეყანა.

ეროვნული
გინჯლიროთქვა

ამხანაგებო! ორმოცდაათი წელია, რაც ჩვენი პარტია ადამიანთა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის მსოფლიო-ისტორიული ბრძოლის აენგარდში დგას.

ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენი გმირი პარტია „პატარა მარცვლადან“, როგორც სურათოვნად ამბობდა ლენინი, გაიზარდა საბჭოთა ხალხის დიდ ხელმძღვანელ ძალად, რომლის რიგებშია 7 მილიონამდე კომუნისტი. ლენინის მოძღვრების ერთგული კომუნისტური პარტია, ეყრდნობა რა მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვან მხარდაჭერას, მტკიცედ და სრული რწმენით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის გიგანტურ ამოცანებს, დაუცხრომელ ბრძოლას ეწევა მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ლენინიზმს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე ჯგებიან. კრების მონაწილენი მღერაიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“).

თ ე ზ ი ს ე ბ ი

ჩუკოტკის აკადემიის გამომცემის 300 წლისთავის შესახებ 0654-1954 წლებში

მოწონებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის მიერ



300 წლის წინათ, 1654 წლის იანვარში, პერეიასლავის რაიონ უკრაინელი ხალხის მძლავრი ნებით გამოაცხადა რუსეთთან უკრაინის შეერთება. ამ ისტორიული აქტით დაგვირგინდა თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, რუსეთის ერთიან სახელმწიფოში რუს ხალხთან გაერთიანებისათვის. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, როგორც თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა, დიდი დღესასწაულია არა მარტო უკრაინელი და რუსი ხალხისათვის, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის.

შეერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „ენითაც, საცხოვრებელი ადგილითაც, ხასიათითაც, ისტორიითაც ესოდენ მახლობელი“ (ლენინი) ორი დიდი ხალხის შემდგომი ისტორიული განვითარებისათვის.

სამუდამოდ დაუკავშირა რა თავისი ბედი მოძმე რუს ხალხს, უკრაინელმა ხალხმა იხსნა თავისი თავი უცხოელთა დამპყრობისაგან და უზრუნველყო თავისი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა.

„ამასთანავე რუსეთთან უკრაინის შეერთებამ ბევრად შეუწყო ხელი რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცებას და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას“. საერთო მტრების — ცარიზმის, მებატონეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, აგრეთვე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში იზრდებოდა და მტკიცდებოდა რუსეთისა და უკრაინის მშრომელთა მეგობრობა. იმპერიალიზმის ეპოქაში ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური რუსეთის მუშათა კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მისი მებრძოლი ავანგარდი — კომუნისტური პარტია. რუსეთის მუშათა კლასმა რუსეთის ხალხები მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე თვითმპყრობელობაზე, შემდეგ კი აგრეთვე შემამუღებებსა და კაპიტალისტებზე.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ მოუღო ბოლო ყოფილი მეფის რუსეთის ხალხთა სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას. შექმნა პირობები სოციალისტური ერების ჩამოყალიბებისათვის და საფუძველი ჩაუყარა მათს მჭიდრო თანამშრომლობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

უკრაინელი, რუსი და ჩეხნი ქვეყნის სხვა ხალხების მეგობრობა და მჭერი კავშირი მტკიცდებოდა და იზრდებოდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის მკაცრ წლებში, სოციალისტური მშენებლობის პროცესში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ისტორიულ ბრძოლებში. სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნე-

ლოვანესი საფუძველი და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების მთავარი პირობაა.

სსრ კავშირის თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა ურთიერთ მეგობრობის სულისჩამდგმელია კომუნისტური პარტია. სათავეში უდგას რა საბჭოთა კავშირის ხალხების ბრძოლას კომუნისმის გამარჯვებისათვის, კომუნისტური პარტია განამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს — საბჭოთა საზოგადოების ურყევე საფუძველს. პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის განვითარებისათვის, შეურიგებელ ბრძოლას ეწევა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ, ზრდის საბჭოთა ადამიანებს ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სსრ კავშირის ხალხთა მთელი ისტორიული გამოცდილება თვალნათლივ მოწმობს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათს მეგობრობას დიდ რუს ხალხთან, რომ უძლველია ძმური კავშირისა და მჭიდრო თანამშრომლობის ძალა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისა, რომლებმაც კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ააშენეს სოციალიზმი და ახლა მტკიცე რწმენით მიდიან წინ, კომუნისმის გამარჯვებისაკენ.

1. 1654 წელს რუსეთთან უკრაინის შეერთება ორი დიდი მოძმე სლავი ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების მთელი წინანდელი ისტორიის კანონზომიერი შედეგი იყო. იგი განაპირობა რუსეთთან უკრაინის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანმა განვითარებამ და შეესაბამებოდა ორივე ხალხის ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებას.

რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხები წარმოიშვნენ ძველი რუსი ეროვნების ერთიან ფესვიდან, რომელმაც შექმნა ძველი რუსეთის სახელმწიფო — კიევის რუსეთი.

რუსეთის სოციალურ-ეკონომიურმა განვითარებამ ფეოდალიზმის პერიოდში, თათარ-მონღოლთა შემოსევის მძიმე დროს გამოიწვია ძველი რუსი ეროვნების ცალკეული ნაწილების განკერძოება. ერთიანი ძველი რუსი ეროვნებიდან თანდათანობით შეიქმნა სამი მოძმე ეროვნება — რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ეროვნებანი, რომელთაც აქვთ ენის, კულტურისა და ყოფაცხოვრების თავისებურებანი. მიუხედავად ყველა ისტორიული უკუღმართობის და დიდი განსაცდელისა, რუსმა, უკრაინელმა და ბელორუსმა ხალხებმა შეინარჩუნეს და საუკუნეებში გამოატარეს წარმოშობის ერთიანობის, ენისა და კულტურის სიახლოვის შეგნება, თავიანთი საერთო ბედის შეგნება.

2. ძველი რუსთა ქვეყნების დასუსტების შედეგად, რაც მნიშვნელოვანწილად თათარ-მონღოლი ხანების დაპყრობათა შედეგი იყო, ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთს მოწყვეტილი უკრაინის მიწაწყალი ნაწილ-ნაწილ დაგლიჯეს და ხელში ჩაიგდეს. ლიტველმა, პოლონელმა და უნგრელმა ფეოდალებმა, სულთნის თურქეთმა და მისმა ვასალმა — ყირიმის სახანომ.

უკრაინის მეტი ნაწილი XVI საუკუნეში პანების პოლონეთმა დაიპყრო. ამას ხელი შეუწყო უკრაინელი მეზატონე ფეოდალების მოღალატურმა პოლიტიკამ, რომელნიც პოლონელ პანებთან შეკავშირებულნი ცდილობდნენ ჩაეხშოთ ხალხის მასების ანტიფეოდალური ბრძოლა, განემტკიცებინათ და გაეფართოებინათ თავიანთი კლასობრივი ფეოდალურ-ბატონყმური პრივილეგიები, გაეძლიერებინათ მშრომელთა ექსპლოატაცია.

მიიტაცეს რა უკრაინის მიწაწყალი, პოლონელმა ფეოდალებმა (მაგნატებმა და შლიახტამ) უმძიმესი, საშინელი ბატონყმობის უღელი დაადგეს. ბატონყმური და ეროვნული ჩაგვრის სიმძიმე დააწვა გლეხობას, კლასტს და რიბ მოსახლეობას და კაზაკთა ქვედაფენებს. პოლონელ შლიახტას უკრაინელი გლეხები ადამიანებად არ მიაჩნდა, უხეშად თელავდა მათს ადამიანურ ღირსებას. პოლონელი პანები ვატიკანის შემწეობით სასტიკი იძულების ღონისძიებებით ნერგავდნენ უკრაინაში კათოლიციზმს, ამკვიდრებდნენ საეკლესიო უნიას, ახორციელებდნენ ძალით უკრაინელთა გაპოლონელების პოლიტიკას, აბუჩად იგდებდნენ უკრაინულ ენასა და კულტურას, ცდილობდნენ რა სულიერად დაემონებინათ უკრაინელი ხალხი და დაერღვიათ მისი კავშირი რუს ხალხთან.

უკრაინის ხალხის მასების მიმე მდგრადარეობას აორკეცებდა ფეოდალური ანარქია, რაც გამეფებული იყო პოლონეთის სახელმწიფოში და გამოიხატებოდა მაგნატებისა და შლიახტის ალერახსნილი თვითნებობით, რომელნიც სისტემატურად მარცვავდნენ და აობრებდნენ უკრაინის მიწა-წყალს.

პოლონელი შლიახტების სახელმწიფოს უღელი და პოლონელი პანების შეუზღუდავი თვითნებობა უაღრესად აბრკოლებდა უკრაინის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. უკრაინის მოსახლეობას ტანჯავდა აგრეთვე თურქებისა და ყირიმის თათრების მუდმივი ყაჩაღური თავდასხმა.

რუსმა ხალხმა თათარ-მონღოლ და სხვა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლით დაძლია ფეოდალური დაქსაქსულობა, დაიცვა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და შექმნა მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო მოსკოვი. მოსკოვი გახდა რუსეთის სახელმწიფოს შექმნის საფუძველი და ინიციატორი, მისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი.

რუსეთის ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ უდიდესი როლი შეასრულა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ისტორიულ ბედში. თავისი წარმოშობის დასაწყისიდანვე იგი იყო მიზიდულობის ცენტრი და დასაყრდენი მოძმე ხალხებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

3. უკრაინელი ხალხი, რომელსაც ემუქრებოდა მოსპობის საფრთხე, მუდამ იბრძოდა უცხოელ დამპყრობელთა უღლის წინააღმდეგ, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, და ამავე დროს რუსეთთან შეერთებისათვის.

ფეოდალურ-ბატონყმური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, აგრეთვე თურქ-თათართა შემოსევის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის მასების ბრძოლის მსვლელობაში შეიქმნა სამხედრო ძალა კაზაკობის სახით, რომლის ცენტრი XVI საუკუნეში გახდა ზაპოროჟიეს სეჩი, რომელმაც პროგრესული როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ისტორიაში. მაშინ, როცა შეძლებული კაზაკობის ზედაფენის ნაწილი დრო და დრო უთანხმდებოდა პოლონელ შლიახტას, რიგითი კაზაკების მასები გლეხობასთან და ქალაქის ღარიბებთან ერთად შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ფეოდალურ-ბატონყმური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. გლეხთა და კაზაკთა აჯანყებები პოლონელი შლიახტის ბატონობისა და ადგილობრივი ექსპლოატატორების წინააღმდეგ განუწყვეტლივ ბობოქრობდა უკრაინასა და ბელორუსიაში. XVI საუკუნის დამლევს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე დიდი სახალხო აჯანყებანი უკრაინაში ხდებოდა კო-

638



სინსკის, ნალივაიკოს, ტარას ფეოდოროვიჩის (ტრიასილოს) და სხვათა ხელმძღვანელობით.

უკრაინელი და ბელორუსი მშრომელებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ უცხოეთის მონაბისა და ადგილობრივ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, შთამაგონებელი მაგალითი იყო რუსეთში გლეხთა აჯანყება ივანე ბოლოტნიკოვის ხელმძღვანელობით (1606-1607), რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე უკრაინის გლეხებმა.

პოლონელი და უკრაინელი ფეოდალებისაგან სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხის მასების ბრძოლა მკვიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. ამ ბრძოლას მძლავრი ბიძგი მისცა რუსი ხალხის სახელოვანმა გამარჯვებამ მინინისა და პოჯარსკის ხელმძღვანელობით პოლონელ-შვედ ინტერვენტთა წინააღმდეგ ომში XVII საუკუნის დამდეგს.

იბრძოდა რა ეროვნული განთავისუფლებისათვის, უკრაინელი ხალხი ესწრაფოდა რუს ხალხთან შეერთებას. მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა უკრაინის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა რუსეთთან. ეს ხელს უწყობდა ორი მოძმე ხალხის დაახლოებასა და კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მათი კულტურის განვითარებაზე.

4. შლიახტის პოლონეთის უღლისაგან განთავისუფლება და სულთნის თურქეთისაგან შთანთქმის საფრთხის თავიდან აცილება უკრაინელი ხალხისათვის იყო ისტორიული აუცილებლობა, მისი ეროვნული არსებობის ძირეული საკითხი.

უკრაინელი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ფურცელი იყო 1648-1654 წლების სახალხო-განმათავისუფლებელი ომი. ამ ომის მთავარი და გადამწყვეტი ძალა იყო გლეხობა, რომელიც იბრძოდა პოლონელი და უკრაინელი ფეოდალ-მეზატონეებისაგან სოციალური ჩაგვრისა და უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ. გლეხობასთან ერთად განმათავისუფლებელ ომში გამოდიოდნენ კაზაკობისა და ქალაქის მოსახლეობის ფართო მასები, აგრეთვე კაზაკობის ზედა ფენა.

მაშინ, როცა გლეხთა და კაზაკთა მასები გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, უკრაინის ფეოდალური ზედა ფენა (კაზაკთა ზედა ფენა და წვრილი მემამულეები), მონაწილეობდა რა განმათავისუფლებელ ომში, ცდილობდა შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა უკრაინაში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა.

1648 — 1654 წლების განმათავისუფლებელ ომში უკრაინელი ხალხი ერთსა და იმავე დროს იბრძოდა პანების პოლონეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის და რუსეთის ერთიან სახელმწიფოში მოძმე რუს ხალხთან გაერთიანებისათვის.

5. უკრაინელ ხალხს, რომელიც აღსდგა განმათავისუფლებელი ომისათვის, მეთაურობდა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი ბოგდან ხმილინიკი. ბოგდან ხმილინიკის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მას, გამოხატავდა რა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივ მისწრაფებასა და იმედს — მკიდრო კავშირი ჰქონოდა რუს ხალხთან — და სათავეში ედგა რა უკრაინის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესს, სწორად ესმოდა მისი ამოცანები და პერსპექტივები, ხედავდა, რომ შეუძლებელია უკრაინელი ხალხის

ხსნა ისე, თუ არ გაერთიანდებოდა დიდ რუს ხალხთან, მტკიცედ იბრძოდა რუსეთთან უკრაინის შეერთებისათვის.

სახალხო-განმათავისუფლებელი ომის პერიოდში ბოგდან ხმელნიცის ხელმძღვანელობით უკრაინაში შეიქმნა დიდი შეიარაღებული ძალები, რომლებმაც მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს აოლონელი შლიახტის ჯარებზე და მტრისაგან გაათავისუფლეს უკრაინის დიდი ნაწილი. აღმდგარმა უკრაინელმა ხალხმა, ბოგდან ხმელნიცისთან ერთად, თავისი წიაღიდან წარმოშვა ისეთი შესანიშნავი სამხედრო ხელმძღვანელები და სახალხო გმირები, როგორც იყენენ კრივონოსი, ნეჩაი, ბოგუნი და სხვები.

უკრაინელ ხალხთან ერთად პოლონელ და ლიტველ ფეოდალთა უღლის წინააღმდეგ, რუსეთთან შეერთებისათვის იბრძოდა მოძმე ბელორუსი ხალხი.

უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელ ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოლდავეთის გლეხები.

უკრაინელი ხალხის ბრძოლა პოლონელი პანების წინააღმდეგ ფართო გამოხმაურებას და თანაგრძნობას პოულობდა პოლონელ გლეხობაში, რომელიც იტანჯებოდა პოლონელი ფეოდალების უღელქვეშ. უკრაინელი ხალხის მხარდი განმათავისუფლებელი ბრძოლის გაცლენით პოლონეთის მთელ რიგ რაიონებში ხდებოდა გლეხთა გამოსვლები, რომლებიც ასუსტებდნენ პოლონეთის ფეოდალურ სახელმწიფოს.

უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომის დიდ გაქანებას და მის თვალსაჩინო გამარჯვებებს ხელს უწყობდა რუსეთის ხალხის ფართო მასებისა და რუსეთის სახელმწიფოს მუდმივი დახმარება და მხარდაჭერა. უკრაინის ჯარების რიგებში იბრძოდა ბევრი დონელი კაზაკი, რუსი გლეხი და ქალაქის მცხოვრები.

იბრძოდა რა შლიახტის პოლონეთის წინააღმდეგ და იგერებდა რა ყირიმელ თათართა ავაზაკურ თავდასხმებს, უკრაინა ებრძნობოდა რუსეთის მუდმივ ეკონომიურ, დიპლომატიურ და სამხედრო დახმარებას. რუსეთიდან უკრაინაში მიდიოდა პურის, იარაღის, საომარი მასალის, მარილის, ლითონის ნაფთობათა ალალები. რუსი დიპლომატები იცავდნენ უკრაინის ინტერესებს უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკებისა და სხვ. რუსეთის ტერიტორიაზე თავშესაფარს პოულობდნენ უკრაინელი გლეხები და ქალაქის მცხოვრებნი, რომლებიც ტოვებდნენ თავიანთ კერას შლიახტის პოლონეთის ჯარებისა და ყირიმელი ხანების თავდასხმების დროს.

სახელმწიფოს გამტკიცების ინტერესებისათვის მეფის მთავრობა მხარს უჭერდა უკრაინელი ხალხის მისწრაფებას შეერთებოდა რუსეთს. გაითვალისწინა რა უკრაინის წარმომადგენელთა მრავალი თხოვნა, აგრეთვე მიიღო რა მხედრეობაშიც ის საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა პოლონელ, ლიტველ და თურქ-თათარ დამპყრობთა მხრივ მოძმე უკრაინელი ხალხის არსებობას, საერო კრებამ მოსკოვში 1653 წლის 1 (11) ოქტომბერს დაადასტურა უკრაინის მიღება რუსეთის შემადგენლობაში და ომის გამოცხადება შლიახტის პოლონეთის წინააღმდეგ, უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებისათვის. საერო კრებას, როგორც დოკუმენტობი მოწმობს, ესწრებოდნენ ბოიარების, თავდაზნაწრობის, სასოლოღერო პირებისა და მეფის მოხილეების გარდა, რუსეთის ქალაქების, ვაჭრობის, გლეხებისა და მეთოფეთა წარმომადგენლები.

საერო კრების გადაწყვეტილება იყო მთელი რუსი ხალხის ნებისა და სურ-

ვილის გამოხატულება — დახმარება გაეწია მოძმე უკრაინელი ხალხისათვის მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობებელთა წინააღმდეგ.

6. რუსეთთან უკრაინის შეერთება საქვეყნოდ გამოცხადდა 1654 წლის 18 (18) იანვარს ქალაქ პერეიასლავის (ახლა კიევის ოლქის პერეასლავ-ხმელნიცი) რადაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პოლონელი შლიახტის უღლისაგან განთავისუფლებული უკრაინის მთელი მიწაწყლის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. რადას ესწრებოდნენ რუსეთის მთავრობის ელჩები. ბოგდან ხმელნიციმ რადის მონაწილეებს მიმართა სიტყვით, რომელშიც მოაგონა უკრაინელი ხალხის ბრძოლისა და განსაცდელის მძიმე გზა, უკრაინელი ხალხისა, რომელიც იტანჯებოდა შლიახტის პოლონეთის უღელქვეშ, სულთნის თურქეთისა და ყირიმის ხანების ავაზაკური თავდასხმებით. ხმელნიციმ მოუწოდა რადას მიეღო გადაწყვეტილება რუსეთთან შეერთების შესახებ. რადის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რუსეთთან უკრაინის შეერთებას, „რათა სამარადისოდ ერთად ვიყვნეთ“ („რუსეთთან უკრაინის შეერთება“, დოკუმენტები და მასალები, ტომი III, 1953 წ. გვერდი 461).

უკრაინელი ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა პერეიასლავის რადის გადაწყვეტილებას რუსეთთან შეერთების შესახებ. ამ ამბების თანამედროვე მემკრიანე სამოვიდეცი (რომან რაკუშკა-რომანოვსკი), ლაპარაკობდა რა შეერთების აქტზე, იუწყებოდა, რომ „მთელ უკრაინაში მთელმა ხალხმა ხალისით მიიღო იგი“.

პერეიასლავის რადის გადაწყვეტილებამ დააგვირგვინა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა რუსეთთან უკრაინის შეერთებისათვის, იგი გამოხატავდა უკრაინელი ხალხის საუყუნებო მისწრაფებებსა და იმედს და მოასწავებდა მობრუნების ეტაპს მის ცხოვრებაში.

რუსეთთან უკრაინის შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სათავეში მაშინ იდგნენ მეფე და მემამულეები, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელი და რუსი ხალხების შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

პერეიასლავის რადის გადაწყვეტილებათა ისტორიული მნიშვნელობა უკრაინელი ხალხის ბედისათვის უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ, შეუერთდა რა რუსეთს რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, უკრაინა გადარჩა შლიახტის პოლონეთის უღელს და სულთნის თურქეთისაგან შთანთქმას.

შეერთების აქტით უკრაინელმა ხალხმა დაამკვიდრა ისტორიულად ჩამოყალიბებული მტკიცე და განუყრელი კავშირი რუს ხალხთან, რომლის სახითაც მან შეიძინა დიდი მოკავშირე, ერთგული მეგობარი და დამცველი თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რუსეთის ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოსთან შეერთება ხელს უწყობდა უკრაინის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. XVII საუკუნის მეორე ნახევარში უკრაინის ეკონომიკა განუყოფელი ნაწილი გახდა შექმნილი სრულიად რუსეთის ბაზრისა. შეერთებამ ხელი შეუწყო აგრეთვე რუსეთის საწარმოო ძალების ზრდას და ორი მოძმე ხალხის კულტურულ ურთიერთგამდიდრებას.

რუსეთის შემადგენლობაში უკრაინის შესვლას აგრეთვე უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან ლახვარი ჩასცა სულთნის თურქეთისა და შლიახტის პოლონეთის აგრესიულ მისწრაფებებს.

II

7. რუსეთისა და უკრაინის ეკონომიური რესურსების გაერთიანებამ, გააუმჯობესა რუსი და უკრაინელი ხალხების ძალები ნათს ერთობლივ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

1709 წელს რუსეთის არმიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უკრაინის ნაწილები, პოლტავასთან გაანადგურა შვედი დამპყრობლები. უკრაინელმა ხალხმა ერთსულოვნად გაილაშქრა საზიზლარი მოლაღატის, იეზუიტთა ნაშეგირდალის ჰეტმან მანუჰას წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა შვედი და პოლონელი დამპყრობლების დახმარებით ჩამოეცილებინა უკრაინა რუსეთისაგან და აღედგინა უცხოელთა საქუღველი ბატონობა.

XVIII საუღუნის მეორე ნახეარში რუსეთმა დიდი გამარჯეებანი მოიპოვა სულთნის თურქეთში, რაშიც თვალსაჩინო როლი შეასრულა დიდმა რუსმა მხედართმთეარმა ა. ვ. სუეოროემა. ამ გამარჯეებათა შედეგად თურქეთის ბატონობისაგან განთავისუღლებულ იქნენ ყირიმი და უკრაინის სამხრეთი ნაწილები, რამაც დიდი დადებითი როლი შეასრულა მთელი უკრაინის საწარმოო ძალთა განვითარებაში, მიიღო რა მისთვის წინათ მიუწეოდომელი გასასეღელი ზღვაში. შავი ზღვის ნაპირზე გაჩნდა უკრაინის უდიდესი სავაჭრო და კულტურული ცენტრები, ისეთები, როგორიცაა ზერსონი, ნეოლაევი, ოდესა და სხე.

XVIII საუღუნის დამღევს რუსეთს შეუერთდა უკრაინის მარჯეენა ნაპირის მხარეები, რომლებიც მანამდე პანების პოლონეთის უღელქევე იყვნენ (იეღშინა, ვოლინი, პოდოლე).

1812 წლის სამამულო ომში ჩენი ქეეყნის ხალხებმა, მათ შორის უკრაინელმა ხალხმა, რუსი ხალხის მეთაურობით, გაანადგურა ნაპოლეონის არმიის მტრული შემოსევა.

8. რუსეთთან უკრაინის შეერთებამ განამტყცა უკრაინელი და რუსი ხალხების ერთიანობა. მათს ერთობლივ ბრძოლაში რუს და უკრაინელ მებატონეთაგან სოციალური ჩაგერის წინააღმდეგ, ანტიფეოდალურ აჯანყებებს რუსეთში XVII-XVIII საუღუნებში სტეფანე რაზინისა და ემელიანე პუგაჩოვის ზელმძღვანელობით, რომლებშიც. აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბევრ ეროვნებათა გღეხებმა, ფართოდ გამოეხმაურნენ უკრაინელი ხალხის ჩაგრული მასები. ფეოდალურ-ბატონყმური და ეროვნული ჩაგერის წინააღმდეგ ბრძოლაში უკრაინელმა გღეხებმა წარმოშეა ხალხის ისეთი წინამძღოლები, როგორიც იყვნენ ზალიზნიაკი, დოვბუში, კარმელუკი და სხეები.

მიღეხდავად იმისა, რომ სტიქიური, არაორგანიზებული და დაქსაქსული იყო, ანტიფეოდალური მოძრაობანი, რომლებიც მოედო რუსეთის სხვადასხვა ეროვნების გღეხთა მასებს, ძირს უთხრიდნენ ბატონყმურ წყობილებას და რაზმავდნენ ამ მასებს საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგერისა და უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ გამირული ბრძოლის მსველელობაში ვითარდებოდა და მტყიცდებოდა რუსეთისა და უკრაინის მშრომელთა საბრძოლო თანამეგობრობა.

9. რუსი, უკრაინელი და რუსეთის სხვა ხალხთა უბოროტესი მტერი იყო მეფის თვითმპყრობელობა. ეყრდნობოდა რა ადგილობრივ მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციულ ზედაფენას, ცარიზმი ახორციელებდა არარუს ხალხთა ნასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგერის პოლიტიკას. უკრაინაში ცარიზმმა მოსპო ადგილობრივი თვითმმართველობა, მქენიერედ ახშობდა ეროვნულ-გან-

მათვისუფლებელ მოძრაობას, ახშობდა უკრაინული სახელმწიფოებრიობის შექმნისადმი მისწრაფებას, ახორციელებდა ძალით რუსიფიკაციის (რუსიფიკაცია) ზორკვებას უკრაინული ენისა და კულტურის განვითარებას.

10. ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ რევოლუციურ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელიც რუსეთში გაჩაღდა XIX საუკუნეში, წამყვან როლს ასრულებდა დიდი რუსი ხალხი.

ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციონერ მებრძოლთა პირველი თაობა, რომელმაც განაგრძო რადიკალური რევოლუციური ტრადიციები, იყვნენ დეკაბრისტები. მათ 1825 წელს აჯანყება მოაწყვეს პეტერბურგსა და უკრაინაში (ჩერნიგოვის პოლკის აჯანყება). დეკაბრისტების შემდეგ ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა — ბელინსკიმ, გერცენმა, ჩერნიშევსკომ, დობროლიუბოვმა.

მეფის რეაქციული პოლიტიკის — სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ რუსი ხალხის საუკეთესო შვილები ცნობდნენ უკრაინის ეროვნული დამოუკიდებლობის უფლებას და უკრაინელი ხალხის მოწინავე მოღვაწეებთან ერთად იბრძოდნენ რუსეთის ხალხთა ერთმანეთისათვის მისევის სამარცხვინო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებდნენ რუსი და უკრაინელი მემამულეები და ბურჟუაზია და მათი დამკავშირებლები — დიდი მპრობელური სულით გაყვნილი შოვინისტები და უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები. რუსეთის რევოლუციონერი მოღვაწეები, ყოველთვის ცნობდნენ რა უკრაინელი ხალხის თავისუფალი ეროვნული განვითარების უფლებას, უკავშირდებდნენ ამას ცარიზმის დამხობას და როგორც რუსი ხალხის, ისე უკრაინელი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების განთავისუფლებას.

რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან მჭიდრო ერთიანობით ეწეოდა ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას უკრაინელი ხალხის დიდი შვილი, პოეტი და რევოლუციონერი დემოკრატი ტ. გ. შევჩენკო. მჩაგვრელებისადმი ძლიერი სიძულელით გამსჭვალული თავისი ნაწარმოებებით მან უდიდესი როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ეროვნული და სოციალური თვითშეგნების განვითარებაში. უკრაინელი ხალხის განთავისუფლების გზად მას უწინარეს ყოველისა მიაჩნდა ყველა სლავი ხალხის რევოლუციური ერთიანობა რუს ხალხთან. შევჩენკო უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგ შეურთავებელი მებრძოლი იყო.

რუს და უკრაინელ რევოლუციონერებთან ერთად ცარიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ აგრეთვე პოლონელი რევოლუციონერი დემოკრატები. პოლონელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები ყოველთვის თანაუგრძობდნენ უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

11. კაპიტალიზმის განვითარებამ რუსეთში განაპირობა ახალი კლასის — პროლეტარიატის წარმოშობა. რუსი პროლეტარიატის სახით ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებმა ისტორიაში პირველად პოვეს საიმედო ხელმძღვანელი იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის ეწეოდნენ.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად უკრაინაში სწრაფად იზრდებოდა მუშათა კლასი, რომელიც ყალიბდებოდა როგორც უკრაინელი, ისე რუსი მოსახლეობისაგან. უკრაინის მუშათა კლასი რუსეთის პროლეტარიატის შემადგენელი ნაწილი იყო. მუშათა მოძრაობა უკრაინაში ვითარდებოდა სრულიად რუსეთის მუშათა მოძრაობასთან განუყრელი ერთიანობით. უკვე 70-80-იან წლებში

უკრაინაში, ისევე როგორც რუსეთში, იქმნებოდა რევოლუციური მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც ამოცანად ისახავდნენ თვითმპყრობელობის დასრულებას და წინააღმდეგ ბრძოლას. უკრაინის მუშათა კლასი რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მებრძოლი რაზმი იყო.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. რუსეთი იყო იმპერიალისტების ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი; იგი იყო სამხედრო-ფეოდალური, კოლონიური და კაპიტალისტური ჩაგვრის კერა. ცარზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის მიერ მშრომელთა ჩაგვრას ემატებოდა რუსეთის იმპერიალისტური ძარცვა დასავლეთ ევროპის მონოპოლისტური კაპიტალის მიერ. ამავე დროს რუსეთში არსებობდა რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა ყველა ეს წინააღმდეგობა: ეს ძალა იყო რუსეთის პროლეტარიატი.

რუსეთში მზარდი მუშათა მოძრაობის ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვდნენ რევოლუციური პროლეტარული პარტიის შექმნას. „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა, რომელმაც გააერთიანა მარქსიზმის პირველი წარმომადგენლები რუსეთში ვ. ვ. პლენხანოვის მეთაურობით, XIX საუკუნის 80-იან წლებში თეორიული საფუძვლები ჩაუყარა რუსეთის რევოლუციურ მუშათა მოძრაობას. XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მუშათა კლასს სათავეში ჩაუდგა დიდი ლენინი. 1895 წელს პეტერბურგში ვ. ი. ლენინმა შექმნა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც რევოლუციური პროლეტარული პარტიის პირველი ჩანასახი იყო რუსეთში. ლენინის „ბრძოლის კავშირმა“ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაზე. უკრაინაშიც შეიქმნა ასეთი „კავშირები“ ეკატერინოსლავში, კიევისა და სხვა ქალაქებში. უკრაინაში, ისევე, როგორც რუსეთში, ლენინური მიმართულების სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ გაფიცვებს, ახორციელებდნენ მასობრივ აგიტაციაზე გადასვლას, აერთებდნენ სოციალისმს მუშათა მოძრაობასთან.

12. რსდმპ II ყრილობაზე 1903 წელს შეიქმნა ახალი ტიპის მარქსისტული პარტია ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ იდეურ და ორგანიზაციულ საწყისებზე. მუშათა მოძრაობაში სეპარატისტული და ნაციონალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში ვ. ი. ლენინმა დაიცვა ინტერნაციონალიზმის პრინციპი მარქსისტული პარტიის აგებაში. რსდმპ თავის რიგებში გააერთიანა რუსეთის ყველა ეროვნების რევოლუციონერი მუშები. თავიდანვე იგი გამოდიოდა როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის მებრძოლი. რსდმპ II ყრილობაზე მიღებულ იქნა ლენინის საპროგრამო მოთხოვნა ეროვნულ საკითხზე — ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება.

რუსი მუშები იყვნენ მოთავენი მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი რაზმადენდნენ პროლეტარიატს და ეროვნული განაპირა მხარეების ყველა მშრომელს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

უკრაინის მშრომელები გმირ რუს პროლეტარიატთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ თავიანთი კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ 1905-1907 წლების პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს. ამ პერიოდში უკრაინის მთელ რიგ ქალაქებსა და გუბერნიებში მოხდა დიდი აჯანყებები, ერთევე შავი ზღვის მეზღვაურთა აჯანყებები. ამ აჯანყებათა მსვლელობაში

მოსკოვის, პეტერბურგისა და რუსეთის სხვა ქალაქების მაგალითისამებრ უკრაინის სამრეწველო ცენტრების მუშებმა შექმნეს მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც საბჭოთა ხლისუფლების პირველ სახეს წარმოადგენდნენ. უკრაინის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას თვალსაჩინო ადგილი ეკავა 1905-1907 წლების რევოლუციის საერთო მსვლელობაში.

სტოლიპინის რეაქციის, ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში და პირველი მსოფლიო ომის წლებში უკრაინის, ისევე როგორც მთელი რუსეთის, მუშები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ რსდმპ (ბ) გარშემო თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთში რევოლუციური მოძრაობის გავლენით ფართოვდებოდა ავსტრია-უნგრეთის მონარქიის უღელქვეშ მყოფი დასავლეთ უკრაინის მხარეების მშრომელთა ბრძოლა თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის, მთელ უკრაინელ ხალხთან გაერთიანებისათვის.

დიდმა ლენინმა პირველად მარქსიზმის ისტორიაში შემთავა პარტიის თეორიული პროგრამა და პოლიტიკა ეროვნულ საკითხზე. მან ცხადყო, რომ ეროვნული საკითხი პროლეტარიატის დიქტატურისათვის მუშათა კლასის საერთო რევოლუციური ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. ლენინი იყო ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის შთამაგონებელი და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა ამ პოლიტიკის განხორციელებას. ლენინის საპროგრამო მითითებებმა ეროვნულ საკითხზე სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების განხორციელების საფუძველზე შემდგომი შემოქმედებითი განვითარება კპოვეს ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებსა და პარტიის გადაწყვეტილებებში. იცავდა რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს, პარტია მთელი ძალით აღნიშნავდა, რომ საჭიროა ყველა ერის პროლეტართა მოქმედების ერთიანობა და მათი დარაზმვა რუსეთის პროლეტარიატის გარშემო.

„ველიკოროს და უკრაინელ პროლეტართა ერთიანი მოქმედებისას, — წერდა ი. ი. ლენინი, — თავისუფალი უკრაინა შესაძლებელია, ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკი კი ზედმეტია“ (ი. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 19).

უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ინტერნაციონალიზმისა და რუსებთან უკრაინელი ხალხის ძმური კავშირის უბოროტესი მტრები იყვნენ, ცდილობდნენ მოეწამლათ მშრომელები ნაციონალიზმის შხამით, ჩაენერგათ მათთვის რუსი ხალხისადმი მტრობის გრძნობა, ჩამოეშორებინათ ისინი მჩაგვრელების წინააღმდეგ საერთო კლასობრივი ბრძოლისაგან და ამით იდეურად დაემორჩილებინათ უკრაინელი ბურჟუაზიისა და მემამულეების ანგარებითი კლასობრივი ინტერესებისადმი. მასების მოსატყუებლად ნაციონალისტები პროპაგანდას უწევდნენ იმ ანტიმეცნიერულ რეაქციულ „თეორიას“, რომ უკრაინელ ერს არა ჰყავს კლასები და ბურჟუაზია, და „ერთიანი ნაკადის“ „თეორიას“. ამასთან უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები გამოდიოდნენ რუსეთის ცარიზმისა და ბურჟუაზიის მოკავშირეებად და უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტებად.

სათავეში ედგა რა მთელი რუსეთის მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას, კომუნისტური პარტია გადაპრით იბრძოდა როგორც დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ, ისე ბურჟუაზიული უკრაინული ნაციონალიზმის წინააღმდეგაც.

კომუნისტური პარტია იბრძოდა იმისათვის, რომ რუსეთის ჩაგრულ ეროვნებათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეერთებოდა მუშათა

ბრძოლას ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

13. რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთიანობა განაპირობებდა რუსი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას. პროგრესული რუსული კულტურა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მთელი უკრაინული კულტურის (ლიტერატურის, თეატრის, ჟურნალის, მუსიკის) განვითარებაზე. თავის მხრივ მოწინავე უკრაინული კულტურა ამდიდრებდა რუსი ხალხის კულტურას და ღირსეული წვლილი შექმნიდა მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

უკრაინაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარება XIX საუკუნის დამლევებიდან მიმდინარეობდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავლენით.

ისტორიულ ასპარეზზე მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური რუსეთის პროლეტარიატისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გაშროვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი, უკრაინელი და რუსეთის ყველა სხვა ხალხის შემდგომი განვითარებისათვის.

III

14. რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, განახორციელა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დაამხო იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც გამოაცხადა მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკა, რუსეთის ყველა ხალხის თანასწორობა და სუვერენობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროებით დარაზმა ჩვენი სამშობლოს ხალხები ერთიან ძმურ ოჯახად.

რუსეთის ცენტრში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ძლიერი ბიძგი მისცა მთელ რუსეთში პროლეტარული რევოლუციის განვითარებას. უკრაინელი ხალხი, რომელმაც დიდ რუს ხალხთან ერთად ერთობლური რევოლუციური ბრძოლის ხანგრძლივი გზა განვლო, რუსი ძმების შემდეგ პირველი დაადგა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გზას, საფუძველი ჩაუყარა თავისი ისტორიის ახალ და დიად ეპოქას.

1917 წლის 25 დეკემბერს სრულიად უკრაინის საბჭოების პირველმა ყრილობამ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა უკრაინა. გამოთქვა რა ეროსულოვნად უკრაინის მუშათა და გლეხთა ნება, ყრილობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ საჭირო იყო საბჭოთა უკრაინის მკიდრო კავშირი საბჭოთა რუსეთთან.

უკრაინის მუშათა კლასმა ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლების დაშობისათვის თავისი თავდადებული ბრძოლით, ნაციონალისტური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ თავისი ბრძოლით ღირსეული წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეში.

განათავისუფლდა რა მემამულურ-ბურჟუაზიული ექსპლოატაციისა და უროვნული ჩაგვრისაგან, უკრაინელი ხალხი თავისი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა. რუსი ხალხის ძმური დახმარებით მან განახორციელა

თავისი საუკუნეობრივი ოცნება — შექმნა ნამდვილად თავისუფალი, სუვერენული ეროვნული სახელმწიფო, რომელმაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში.

უკრაინაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და უკრაინის საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა მიღწეულ იქნა. რევოლუციის ლენინური თეორიის და იმ მოძღვრების საფუძველზე, რომელიც ლენინმა შეიმუშავა ეროვნულ-კოლონიური საკითხის შესახებ, და ის საერთაშორისო იმპერიალიზმისა და მისი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტურის დიდი დამარცხება იყო.

15. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ხალხებმა გარეშე მტრებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლით დაიკვეს ოქტომბრის დიადი მონაპოვარი, თავიანთ თავისუფლება და თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობა.

უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები — მშრომელთა ეს უბოროტესი მტრები, ინიღბებოდნენ რა უკრაინის „სამოსტიინოსტის“ ყალბი ლოზუნგით, ცდილობდნენ მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება, აღედგინათ მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელი, მიესიათ უკრაინელი მშრომელები რუსი მუშებისა და გლეხებისათვის, პროვოკაციით გამოეწვიათ ძმათაშორებელი ომი მათ შორის.

კონტრრევოლუციური ნაციონალისტური „მთავრობები“ — ცენტრალური რადა, დირექტორია და სხვები, რომლებსაც სათავეში ედგნენ უცხოეთის იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები, როგორც იყვნენ გრუშევსკი, ვინიჩენკო და პეტლიურა, რომლებიც ცდილობდნენ ხელისუფლება დაებრუნებინათ მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, აგრეთვე განემტკიცებინათ კულაკობის ბატონობა, უკრაინას, მის ხალხს და მთელ მის ბუნებრივ სიმდიდრეს ყიდდნენ, ბითუმად და ცალობრივ აძლევდნენ დასაყლეთ ევროპის იმპერიალისტ მტაცებლებს. 1918 წლის თებერვალში კონტრრევოლუციურმა რადამ საბჭოთა ხელისუფლების ჩასახშობად აესტრეიელი და გერმანელი ოკუპანტები მიიწვია უკრაინაში.

უკრაინელი ხალხი კომუნისტური პარტიის მოწოდებით დაირაზმა აესტრეიელი და გერმანელი ინტერვენტებისა და მათი დამქაშების — უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსი ხალხის მეთაურობით ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა გაანადგურეს და საბჭოთა ქვეყნიდან განდევნეს ინგლისელი და ფრანგი ინტერვენტები. რომლებმაც 1918 წლის დამლევს მოახდინეს უკრაინის სამხრეთი რაიონებისა და ყირიმის ოკუპაცია, დენიკინელები, თეთრგვარდიელი პოლონელები, ვრანგელელები, პეტლიურელთა და მახნოელთა ნაციონალისტური ბანდები და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ანტანტის იმპერიალისტების სხვა დაქირავებული აგენტები.

რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად უკრაინელმა ხალხმა, დაძლია რა უდიდესი სიძნელეები, მიუზღოების ნარევა და შიმშილი, უცხოელთა სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში უდიდესი გმირობა და მამაცობა გამოიჩინა თავისი მშობლიური საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში. უკრაინელი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის უკრაინაში იბრძოდა საბჭოთა რუსეთის მრავალი ათასი მუშა და გლეხი.

თავის მხრივ უკრაინელი ხალხის მრავალი შვილი იბრძოდა სამოქალაქო ომის მრავალ ფრონტზე რუსეთში, ბელორუსიაში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში და სხვ.

უცხოელ ინტერვენტთა და შინაური კონტრრევოლუციის გასანადგურებლად უკრაინელი ხალხის ძალების მობილიზაციაში თვალსაჩინო როლს შეასრულა 1918 წლის ივლისში შექმნილ უკრაინის კომუნისტურ პარტიამ (КП(У) სსშკ) და კავშირის კომუნისტური პარტიის განუყრელ ნაწილს.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სახებდრო ინტერვენციის ქარცეცხლში მტკიცდებოდა და იწრთობოდა რუსი, უკრაინელი და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ძმური კავშირი და მეგობრობა. მხოლოდ ამ მეგობრობის მეშვეობით უკრაინელმა ხალხმა, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხმა, დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

16. სამოქალაქო ომის ძღვევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ქვეყანაში დაიწყო მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდი. სოციალიზმის მშენებლობისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ამოცანები მოითხოვდნენ საბჭოთა ხალხების უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ეკონომიურ, სახებდრო და პოლიტიკურ დარგში. დღის წესრიგში დადგა ერთიან სახელმწიფო კავშირად საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. საბჭოთა უკრაინის მშრომელები ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი პირველი ინიციატორები იყვნენ.

კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა და სწორი გზით წარმართა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის გამაერთიანებელი მოძრაობა.

1922 წლის დეკემბერში საბჭოების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად და თვითუფლმა მოკავშირე რესპუბლიკამ შეინარჩუნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენული უფლებები, რომელსაც აქვს ხელისუფლების თავისი უმაღლესი ორგანოები, თავისი ტერიტორია, თავისი კონსტიტუცია, თავისი კანონმდებლობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა იყო საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამარჯვება, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი. ეს იყო გამარჯვება ყველა ჯურის ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე, რომელიც ილაშქრებდა ხალხთა ძმური თანამშრომლობის წინააღმდეგ და რომელიც სერიოზული დაბრკოლება იყო საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანების გზაზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ უზრუნველყო ყველა საჭირო წირობა მთელი საბჭოთა ქვეყნის და თვითუფლი საბჭოთა რესპუბლიკის კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აყვავებისათვის, მოწინავე სოციალისტურ ერებად წინათ ჩამორჩენილი და ჩაგრული ხალხების გადაქცევისათვის.

სსრ კავშირის შემადგენლობაში საბჭოთა უკრაინის შესვლამ შესაძლებლობა მისცა მას წარმატებით აღედგინა სახალხო მეურნეობა, განეეითარებინა სოციალისტური კულტურა და სწრაფი ნაბიჯით წასულიყო წინ სოციალიზმის აშენებისაკენ.

IV

17. კომუნისტურმა პარტიამ, ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების პროგრამა. ახორციელებს რა ამ პროგრამას, საბჭოთა ხალხმა კაცობრიობის ისტო-

რიაში პირველმა ააშენა ახალი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი. სამუდამოდ მოსპო ექსპლოატატორული კლასები, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ჩვენმა სამშობლომ, ამოფხვრა რა საუკუნეობრივი სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობა, გიგანტური ნახტომი გააკეთა წინ, გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ დიდად განვითარებული ინდუსტრიით, სოციალისტური სოფლის მეურნეობით და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა კულტურით.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ძირეული ცვლილებები მოხდა სსრ კავშირის ეკონომიკაში, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, ავრთვე ეროვნულ ურთიერთობათა დარგში, ექსპლოატატორული კლასების — ეროვნებათა შორის მტრობის დამინამავეებისა და ორგანიზატორების მოსპობამ, ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასის ყოფნამ, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა, ხალხთა ურთიერთ დახმარებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ — ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში, საბოლოოდ დამკვიდრდა რასებისა და ერების თანასწორუფლებიანობის საბჭოთა იდეოლოგია, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეოლოგია.

სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ რუსი, უკრაინელი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობა გადაიქცა მძლავრ, უძლეველ ძალად, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად.

კომუნისტურმა პარტიამ გაანადგურა მოლაღატეები და კაპიტულანტები — ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და საბჭოთა ხალხის სხვა მტრები, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ საბჭოთა ქვეყანა ლენინური გზიდან, ძირი გამოეთხარათ სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობისათვის, აღედგინათ კაპიტალიზმი სსრ კავშირში.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ძველი ბურჟუაზიული ერების ბაზაზე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ჩამოყალიბდნენ და წარმატებით ვითარდებიან ახალი სოციალისტური ერები, რომლებიც არიან ნამდვილად საყოველთაო სახალხო და დარაზმული ერები, თავისუფალნი შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ღრღნიან ბურჟუაზიულ ერებს.

მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია ის ძალაა, რომელიც განამტკიცებს ამ ერების კავშირს და ხელმძღვანელობს მათ.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მიღწევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა — წამყვანმა ერმა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა თანასწორუფლებიან ერთა შორის.

საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ უკრაინელ ხალხს გაუხსნა მისი სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გზა.

კომუნისტურმა პარტიამ გაშალა დროშა, რომლის ქვეშაც დაიწყო უკრაინელი ხალხის ძალებს გაფურჩქვნა, საბჭოთა უკრაინის ძალების გაფურჩქვნა. კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მთავრობა მუდმივ და დაუცხრომელ ზრუნვას იჩენდნენ და იჩენენ საბჭოთა

უკრაინის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

18. ახორციელებს რა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოკლე ვადაში შექმნა მძლავრი მოწინავე სოციალისტური მრეწველოა, რომელიც სოციალისტურ საფუძველზე მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის გადამწყვეტი პირობა იყო.

რუსი ხალხის უდიდესი ძმური დახმარებით ყველა ეროვნულ რესპუბლიკაში შეიქმნა დიდად განვითარებული მრეწველობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მათი საუკუნეობრივი სამეურნეო ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. უკრაინაში ახლად შეიქმნა და მოწინავე თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებელი, სატრაქტორო, ქიმიური და მრეწველობის სხვა უმნიშვნელოვანესი დარგები. აშენდა ისეთი სამრეწველო გიგანტები, როგორც ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, კრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა, მეტალურგიული კომბინატები „აზოფფოლადი“, „ზაპოროჟფოლადი“, ზაპოროჟიეს კომბინების ქარხანა, გორლოვკის ქიმიური ქარხანა, აშენდა ვ. ი. ლენინის სახელობის დნებრის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უდიდესია ევროპაში; სავსებით რეკონსტრუირებულია დონეცის ქვანახშირისა და კრივიო როვის რკინის მადნის აუზები. ამ წლების მანძილზე სრულად შეიკვალა და აყვავდა ისეთი დიდი სამრეწველო ქალაქები, როგორც არის კიევი, ხარკოვი, სტალინო, კოროშილოვგრადი და სხვები.

უკრაინის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატება უზრუნველყო მუშათა კლასის შრომითა აღმავლობამ, რომელმაც გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, რუსეთის სფერ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებამ.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა მოაშადა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის განხორციელების პირობები, პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და მექანიზებული სოფლის მეურნეობა, რომელმაც დამატკიცა გადამწყვეტი უპირატესობა არა მარტო წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის, არამედ მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშეც.

საბჭოთა უკრაინა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად გახდა მოწინავე სოციალისტური მიწათმოქმედების რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი ბეღელი.

იმ გარემოებამ, რომ კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის გამარჯვება და სსრ კავშირის ყველა ხალხის სოციალისტური კულტურის სწრაფი აღმავლობა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შექმნეს ახალი საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები, ინტელიგენციისა. რომელიც ხალხის წრიდან არის გამოსული, დაკავშირებულია ხალხთან და მთელ თავის ძალებს ახმარს ხალხის სამსახურს, კომუნისმის მშენებლობის დიადი საქმის სამსახურს.

საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით უკრაინულ ეროვნულ კულტურას მიეცა თავისი განვითარების დღემდე უმაგალითო შესაძლებლობა, იგი გახდა ნამდვილად ხალხური, სოციალისტური კულტურა.

19. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძალისა და ძლიერების ზრდამ შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფება მისი ეროვნული გაერთიანებისადმი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა დამთავრებულიყო ყველა უკრაინული ტერიტორიის გაერთიანება. 1939 წელს მოხდა დასავლეთ უკრაინის გაერთიანება საბჭოთა უკრაინასთან, 1940 წელს უკრაინის სს რესპუბლიკასთან გაერთიანდა ბუკოვინა და იზმაილის ოლქი, ხოლო 1945 წელს იმიერკარპატის უკრაინა. უკრაინის მთელი მიწა-წყლის გაერთიანების შემდეგ საბჭოთა უკრაინა გახდა ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო. უკრაინის სსრ რესპუბლიკაში ამჟამად 40 მილიონზე მეტე მოსახლეა.

მთელი რიგი ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით საბჭოთა უკრაინამ შორს გაუსწრო ევროპის ისეთ მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორცაა საფრანგეთი, იტალია და სხვები. უკრაინის დედაქალაქი კიევი — რუსეთის უძველესი ქალაქი — ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უდიდესი ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრია.

უკრაინის გაერთიანებულ ოლქებში წარმატებით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა, დამთავრდა მთლიანი კოლექტივიზაცია, ფართოდ გაჩაღდა კულტურული მშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახე იცვალა უკრაინის უძველესმა ქალაქმა ლვოვმა. იქ აშენდა დიდი სამრეწველო საწარმოები, გახსნილია 12 უმაღლესი სასწავლებელი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი, ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალი და ბიკრი სამეცნიერო და კულტურული დაწესებულება. სოციალისტური გარდაქმნების მსვლელობაში დასავლეთ ოლქებში გამანადგურებელი ლახვარი ჩაიკცა უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების — უკრაინელი ხალხის უბოროტესი მტრების ნაშთებს, რომლებიც უცხოეთის ბურჟუაზიის მოსყიდული აგენტები გახდნენ.

უკრაინის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ უკრაინელი ხალხის გაერთიანების ისტორიული პროცესის დამთავრება კომუნისტური პარტიის ლენინისტალინური ეროვნული პოლიტიკის — სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის თვალსაზრისით გამარჯვება იყო.

20. სოციალისტური წყობილებისა და საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს სოციალისტურიანიზაციისა და ძალის სერიოზული შემოწმება იყო საბჭოთა კავშირის დიდი სამაჴულო ომი.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა პარტიის მოწოდებით თავისი სამშობლოს დასაცავად და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამაჴულო ომი მიიჩნია ყველა ეროვნების შრომელთა საერთო საქმედ.

უკრაინა ეკუთვნის საბჭოთა კავშირის იმ რაიონებს, რომლებიც სხვებზე მეტად დაზარალდნენ გერმანიის ფაშისტების შემოსევის წლებში. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა უკრაინის სახალხო მეურნეობას მიაყენეს 285 მილიარდ მანეთზე მეტი ზარალი. უსასტიკესი ტერორის საშუალებით გერმანელ-ფაშისტურ ფაშოკებს სურათად დაემორჩილებინათ უკრაინელი ხალხი, გადაეჭკიათ იგი „გერმანელ ფაშისტ ბატონთა რასის“ მონებად. გერმანელ ფაშისტთა აქტიურ დამხმარებლად გამოდიოდნენ უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები.

მხოლოდ დიდი რუსი ხალხის და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ძმურ დახმარების მეოხებით უკრაინა განთავისუფლებულ იქნა ფაშისტური მონობისაგან.

უკრაინელი ხალხი სამამულო ომის პერიოდში სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად თავდადებით იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათი დაქირავებული აგენტების წინააღმდეგ როგორც ფრონტზე, ისე მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც ვაჩაღლა მასობრივი პარტიზანული მოძრაობა, რომელმაც მრავალი გმირი წარმოშვა. არალეგალობის მძიმე და რთულ პირობებში მუშაობდნენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

სამამულო ომის მსვლელობაში მკაცრ განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწრთო საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობა.

მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების შედეგად შეიქმნენ სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოები, გაიზარდა და განმტკიცდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაჟი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. უკრაინის სსრ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია, სადაც იგი ბელორუსიის სსრესპუბლიკასთან და მთელი საბჭოთა კავშირის, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს, იბრძვის ყველა ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა უკრაინა განუწყვეტლივ განამტკიცებს ძმურ ურთიერთობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. პოლონეთში სახალხო დემოკრატიის წყობილების დამყარებისა და ბურჟუაზიისა და შლიახტის ბატონობის ლიკვიდაციის შემდეგ, რომლებიც პოლონელ მშრომლებს უსისიანებდნენ თავიანთ სლავ ძმებს — რუსებს, უკრაინელებსა და ბელორუსებს, წარმოიშვა და წარმოტებით ვითარდება პოლონელი ხალხის ნამდვილად მეგობრული ურთიერთობა უკრაინელ, ბელორუს, რუს და დიდი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან.

21. დიდი სამამულო ომის ძღვევამოსილად რამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებსაც აღადგინეს და რაზმავს კომუნისტური პარტია, უმაგალითო მოკლე ვადაში აღადგინეს დანგრეული სახალხო მეურნეობა და წინ წასწიეს საბჭოთა ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგი.

საბჭოთა უკრაინის მშრომლებმა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის სსრ მთავრობის ხელმძღვანელობით, რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით, მთლიანად აღადგინეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, ბევრად გადააჭარბეს ომამდელ დონეს და ახლა მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნისმის მშენებლობის საქმეში.

უკრაინის მსხვილმა მრეწველობამ 1952 წელს 17-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე რევოლუციამდელი უკრაინის მრეწველობამ, ელექტროენერჯის გამოუმუშავება ამ ხნის განმავლობაში 37-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა; ლითონდამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა თითქმის 69-ჯერ; ქვანახშირის ამოღება გაიზარდა ერთიოთხედ და უფრო მეტად; თუჯის გამოდნობა — 4,5-ჯერ, ფოლადისა — თითქმის 5-ჯერ. საბჭოთა უკრაინა ჩვენი ქვეყნის ქვანახშირისა და მარტალურგის უმნიშვნელოვანესი ბაზაა. დონბასის მისი მძლავრი ქვანახშირის მრეწველობით, მეტალურგიული, ქიმიური და

გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

მანქანათმშენებელი ინდუსტრიით, აგრეთვე უკრაინის სხვა სამრეწველო ცენტრებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობაში.

ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, უკრაინის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, მშრომელები, მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, იბრძვიან სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის.

უკრაინის კოლმეურნე გლეხობამ თავისი თავადებული შრომით მიაღწია საშემოდგომო ხორბლის, შაქრის ტარხლისა და სხვა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმაგალითო მოსავალს. უკრაინელი კოლმეურნე გლეხობის რიგებიდან გამოვიდა შრომის სოციალისტური მეთოდების ბევრი ნოვატორი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში.

პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვისათვის. ახლა უკრაინის მინდვრებში მუშაობს 182 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანილ), ანუ 69 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდე, 51 ათასი მარცვლეულის კომბაინი, ანუ 65 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდე და ათეულ ათასობით რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი აღმავლობის საფუძველზე უმჯობესდება მშრომელთა ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობა და მალდება კულტურული დონე. იფურჩქნება უკრაინის სოციალისტური კულტურა. უკრაინაში მუშაობს 30 ათასამდე სკოლა, რომლებშიც სწავლობს 6,5 მილიონი ბავშვი. 1952/53 წლებში რესპუბლიკაში იყო 144 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობდა 177 ათასზე მეტი სტუდენტი, რაც თითქმის მჯერ მეტია, ვიდრე 1914 წელს იყო და აღემატება დასავლეთ ევროპის ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის სტუდენტთა რიცხვს; 591 ტექნიკუმსა და სპეციალურ საშუალო სასწავლებელში სწავლობდა 234 ათასამდე მოსწავლე. უკრაინაში მუშაობს ათეულ ათასობით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, კლუბი, ბიბლიოთეკა, კულტურის სასახლე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკრაინაში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, არქიტექტურის აკადემია და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მრავალრიცხოვანი ქსელი, რომლებიც აერთიანებენ უკრაინის მრავალ მეცნიერს, რომელთაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

უკრაინელი ხალხის სოციალისტური კულტურის განვითარება მიმდინარეობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გრანდიტის საფუძველზე, სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხის კულტურასთან ურღვევ შემოქმედებითი კავშირითა და ორგანული ურთიერთშემოქმედებით. უკრაინული საბჭოთა კულტურის განვითარებაზე განსაკუთრებით კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს დიდი რუსი ხალხის სოციალისტური კულტურა.

საბჭოთა კავშირის და მისი შემადგენელი ნაწილის — უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი მთელი პროგრესული კაცობრიობის უდიდესი აღტაცებისა და აღიარების გრძნობას იწვევს.

კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელი, რომელნიც გმირავენ უსასტიკესი ექსპლოატაციის უღელქვეშ, დიდი სიმაყისა და იმედისგრძნობით აღდგნებენ თვალყურს კომუნისმის აშენებისათვის, მთელი მსოფლმშენებლობისათვის სსრ კავშირის ხალხების, მათ შორის უკრაინელი ხალხის ბრძოლის წარმატებებს.

სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი მთელი მსოფლიოს ხალხებს უჩვენებენ, რომ მხოლოდ სოციალიზმი უზრუნველყოფს ყველა ხალხისა და ერის თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას, განვითარებასა და აყვავებას, ხალხთა ნამდვილ მეგობრობას, მათს თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას.

საბჭოთა კავშირი იმ ქვეყნის შთამაგონებელი მაგალითია, რომელშიც კაცობრიობის ისტორიაში პირველად გადაიჭრა ეროვნული საკითხი.

ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ეგებება შესანიშნავი წარმატებებით კომუნისმის მშენებლობაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა აღმამიანები გმირულად იბრძვიან რათა განახორციელონ კომუნისმის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების პროგრამა, რომელიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ. პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საესებით დააკმაყოფილონ მშრომელთა მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საბრძოლო პროგრამა. კომუნისტურმა პარტიამ გააჩაღა ბრძოლა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში საესებით დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და მსუბუქი და კვების მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნეს ნედლეულით.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია ხალხისადმი, მუშებისა და გლეხების შემოქმედებითი ძალებისადმი ღრმა რწმენით, რომელნიც ქმნიან ცხოვრების მთელ სიკეთეს და რომელნიც ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო კომუნისმის აშენების მთავარი იარაღია. კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფოს, მისი ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და სოციალისტური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

ჩვენი წმიდა მოვალეობაა უზრუნველყოთ საბჭოთა ქვეყნის ხალხების ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცება. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის პირობებში ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი მტერი, არც შინაური, არც გარეშე.

ჩაიფუშა და კვლავაც მარცხით დამთავრდება დასავლეთის იმპერიალისტების ყველა ვერაგული ცდა — მტრობა ჩამოაგდონ სსრ კავშირის ხალხთა შორის, ძირი გამოუთხარონ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, იმპერიალისტური სახელმწიფოები კვლავაც შემოგვიგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, შეეცდებიან ანტისაბჭოთა მიზნებით გამოიყენონ განადგურებულ მტრულ დაჯგუფებათა ნაშთები, გაააქტიურონ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები, გამოაცოცხლონ ნაციონალისტური ცრურწმენები ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში და გამოიყენონ ისინი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ძირის გამოსათხრელად.

იმპერიალისტი მტაცებლებისა და მათი აგენტურის — ყოველი ჯურის ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა გამცემლების — ხრიკების წინააღმდეგ სიფხიზლის გაძლიერება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების და მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს წარმატებისა და აყვავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის გამარჯვება მთელი მსოფლიოს ხალხებს აღაფრთოვანებს კაპიტალის უღლისაგან თავიანთი განთავისუფლებისათვის და ყველა ხალხთა შორის მეგობრული, მშვიდობისმოყვარული ურთიერთობისათვის საბრძოლველად.

იცოცხლოს და განმტკიცდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა — ჩვენი დიადი სამშობლოს ძალისა და ძლიერების წყარო!

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

„მე უნდა ვნახო ლენინი!“



ის ფანჯარასთან ზის თავდაბრილი,
გრძნობს — მღელვარება იპყრობს ახალი,
ესმის შორიდან გვირის ძახილი,
წინ უდგას სახე ჯერ უნახავი.

რატაზე წიგნი ძევს გადაშლილი,
შიგ დიდი სიბრძნის ნერგები ჰხარობს.
ლენინს კითხულობს ყრმა ჯუღლაშვილი,
დაწაფებია სინათლის წყაროს.

ალი აუშვა ცეცხლის სიტყვებმა
და გაუბრწყინა თვალები ჭაბუკს.
ყურს უგდებს გუგუნს და თან მიჰყვება
სტრიქონებიდან ამომსკდარ ჭარბუკს.

აი, სად არის ბრძოლის სიმართლე,
შალალი აზრის პატიოსნება!
გზა გაანათა დიდმა სინათლემ,
გაშალა ფრთები ლაღმა ოცნებამ.

და სურვილს ძალა თუ ემატება,
ის ამ შეგრძნებით კმაყოფილია,
შათი შეხვედრის წამიც დადგება
და შემდეგ მუდამ ერთად ივლიან.

ოამის წყვდიადის გადამლაზველი
მოვა ქუხილი ელვათა ფრქვევით
და ჩვენს ქვეყანას ორი სახელი,
როგორც ორი ფრთა, აიყვანს ზევით.

ამთავრებს კითხვას და ნათელ სახეს
წიგნის ფურცელთან მიიტანს ახლო,
ახსენებს ჩემად საყვარელ სახელს,
ამბობს „მე უნდა ლენინი ვნახო!“

ლენინის გზით



ლენინზე ფიქრით, ლენინის წიგნით
ტოლ-მეგობრებში მიყვარდა გავლა.
შინ თუ სკოლაში, ყოველთვის იგი
მომიწოდებდა — სწავლა და სწავლა!

არ იცოდეთ ბრძოლაში შიში,
მთასაც დასძრავო სწორებთან ძმობით.
მეც ვიზრდებოდი ლენინის სხივში,
ლენინის ნაბიჯს ყოველგან ვგრძნობდი.

ნაწერი მისი მხნეობას მგვრიდა,
მოჩარება მრავალჯერ უბით,
ჩემს კომკავშირულ ბილეთზეც მკვიდრად
ბრწყინავდა მისი ნათელი შუბლი.

გული ჰქონდა და... გული კვლავ უცემს,
კვლავ ქვეყნად მისი დიდი ხმა-ისმის.
ჩემს პარტიბილეთშიც დროდადრო ფურცლებს
თვალს გადაავლებს გონება მისი.

შრომაში გართულს კვლავ მირჩევს რამეს,
გადამავიწყა გზა-კვალი მთვარის,
ილიჩის შეუქი მინათებს ლამეს,
მიცინის დილა ლენინის თვალით.

ლენინით ყველგან ვაგვაცად ვრჩები,
კაბუჯად ვდგები ყოველთვის დილით
და მიხარია, რომ შევილიც ჩემი
მუდამ ლენინის დიდი გზით ივლის.

ლ ე ნ ი ნ ი



ცხრაასოცდაოთხს
 გულის ძგერა
 შეჩერდა შენი,
 ცხრაასოცდაოთხს
 დაეფინა
 მწუხრი მთა-ბარად.
 შრომელი შრომელს
 ხელს ართმევდა
 გზაზე მოწყენით,
 კაცობრიობის,
 ქვეყნის გული
 დარღმა დაფარა.
 დიად ოქტომბრის
 ალიონით
 შექმოსილ დროშებს
 შავი არშია ამძიმებდა
 არხევდა,
 ხრიდა.
 გზებზე ამსხვრევდნენ
 ნაბიჯები
 ყინულის თოშებს.
 და სულს სუსხავდა
 ხმა გლოვისა
 ყოველი მხრიდან.
 ამ დროს მოგვესმა
 ჩვენ სტალინის
 ფიცი დიადი,
 მასწავლებელის,
 მთის არწივის
 ცხედრის წინ თქმული.
 მაღალი რწმენით
 მან გაფანტა
 სევდის წყვილიადი.
 და დაუმშვიდა
 ხალხს მწუხარეს
 მღელვარე გული.
 და აჰა თითქმის
 სამ ათეულ წლის
 გასწვრივ წმინდად,



მან შენი დროშა,
 დიდი დროშა
 მტკიცედ ატარა.
 ახალ თაობას
 შენი სულით
 აწრთობდა, წვრთნიდა,
 მზიურ სიცოცხლის
 ნათელს გვფენდა
 დიდს და პატარას.
 უფრო ავმაღლდით,
 მოვლვარე შექცა
 ფერები
 ჩვენს კარ-მიდამოს,
 ჩვენს ცხოვრებას
 ამკობს და შევენის.
 ჩვენ გავიმარჯვეთ...
 მზეს შევხარით
 ბედნიერები,
 მშრომელმა ხალხმა
 შეიყვარა
 მოწაფე შენი.
 ბრძოლით დაღლილმა,
 ვალმოხდილმა
 დახუჭა თვალი.
 დროშები ისევ
 შეარხია
 დროებით თაღხმა.
 გლოვის დღეები
 განმეორდა...
 შენი სტალინი,
 კობა სტალინი,
 ცხარე ცრემლით
 იტირა ხალხმა.
 ხალხები მარად
 სიყვარულით,
 ჩვენს წინამძღოლებს.
 მოგიგონებენ,
 ტრფობა თქვენი
 გულში ანთია,
 თქვენი მგზნებარე,
 დიად სულით
 აღზრდილ მებრძოლებს
 წინ უძღვის
 მტკიცედ
 უძლეველი
 ჩვენი პარტია.

სოფელ გორაკაში



მუხა

სოფელ გორაკაში ვიყავი შარშან,
აქ მკურნალობდა ბრძენი ლენინი,
და ჩემს ხსოვნაში ბევრი რამ დარჩა
ის გზაც, ის ბაღიც ვარდმოფენილი.
მაგრამ ერთ მუხას ვიგონებ ხშირად,
თვით მოსკოვის ხნის ბერმუხას ცოცხალს,
ის მოლოდინში იდგა გზის პირად,
შევხედო ლენინს — სიცოცხლის მოძღვარს.
მამა ხალხისა სახემზიანი,
კაცი — მშვიდობის გადამრჩენელი,
შრომით დაღლილი, მკლავნატყვიარი
აქ მუხასავით იდგა ლენინი.

მშვიდობის პარკი



დიდი ხანია მე მინდოდა
ამ პარკის ნახვა,
აქ ისვენებდა საყვარელი
მამა ლენინი,
ამ პარკში ერთი უბრალო ხის
სკამია ახლაც
მრავლისმეტყველი, ფიქრთაღმძვრელი,
ობლად შთენილი.
სანახავად რომ ეწვევოდა
ავადმყოფ ლენინს,
ლენინის გვერდით
დაჯდებოდა უკვდავი კობა,
ბრძენი ლენინი,
და უკვდავი სტალინი ჩვენი
აქა კვდავდნენ ხალხისათვის



სხივნათელ მყობადს.
 ხალხის ცხოვრების ბრწყინვალე წიგნს
 ბელადნი ჰქმნიდნენ,
 გარკი ახალ წიგნს
 უკთხავდა დიად მშობილებს...
 და ერთხელ დილით,
 ადგებოდა ლენინი ვიდრე,
 პარკში ხე მოჭრეს,
 გულს ტკივილიც არ აგრძნობინეს.
 ნ.ხა ლენინმა,
 რწყინა და ეს ბრძანა თურმე:
 მოუარეთო, რომ ხის ძირმა
 ყლორტი იყაროს...
 აჲ სტვენს ბულბული
 და ვარდები აფრქვევენ სურნელს,
 მებაღე დღესაც
 როდი აკლებს ამ ხეს სიყვარულს.
 შეხედეთ ერთი, —
 ხის ძირია, მეტი კი არა...
 შევეყურებ და მე
 მაგონდება ცეცხლი კორეის, —
 ხოცავდნენ მოხუცთ,
 წვავდნენ ქალებს ბავშვებიანად,
 იდგა სისხლის და ცრემლის მორევი.
 ჩვენში კი რაიგ ძვირფასია
 ხეც კი ყოველი,
 ქვეყნად სიცოცხლე ზეიმობდეს —
 ეს სურდა ლენინს,
 აშენებული
 კომუნისტურ პარტიის ხელით
 მშვიდობის დიდი პარკი არის
 სამშობლო ჩვენი.

თარგმანი ოსურიდან
 თეიმურაზ ჯანაშვილისა

ლენინის ძეგლი მანსფელში

პოეზიიდან „მანსფელდის ორატორიუმი“



მანსფელდის შახტებს თავს გადაეცლო
 წითელი დროშა, ძღვევის ალაში,
 კრივოროგელ მალაროელთა
 საჩუქარი და ქვეყნის სალაში.
 გერმანელ მუშებს, საბჭოთა მუშებს
 მუდამ საერთო ჰქონდათ მიზნები;
 დიდმა ლენინმა ხალხთა გულგება
 შეადუღა ფოლადის ნებით.
 ბროსოესკიმ დროშა მალა აღმართა,
 როგორც ლამპარი, ჩაგრულთ დიდება,
 და ხალხს შეჰფიცა, რომ თავზე მეტად
 ძვირფას საჩუქარს გაუფრთხილდება.
 ნაციისტებს სურდათ ფერფლად ექციათ,
 ვერ ისვენებდა ჯალათთა გული.
 მოვიდნენ, ჰკითხეს პარტიკომის მდივანს:
 „სად არის დროშა გადამალული?“
 არ გასცა დროშა. ის წაიყვანეს,
 ჩასვეს ფურღმულში, არც ეს აკმარეს.
 ტანჯეს, აწამეს — სიტყვა არ დასცდა...
 ბანაკი ჰგავდა შევზნელ სამარეს.
 გავიდა წლები. მხეცი შეება
 რუსეთის მართალ ადამიანებს.
 ხალხთა მშვიდობის წმიდა სამანი
 ცეცხლით, მახვილით გადაიარეს.
 მტრად და მოსისხლედ ნათლავდნენ რუსეთს,
 სამტროდ რუსეთში შემოსეულნი.
 აღდგა რუსეთი — ხალხთა იმედი,
 ბურჯი და კერა მამისეული.
 მრავალი სულით დაეცა მაშინ,
 განდა მორჩილი მიხაკისფერთა.

სტეფან ჰერმლინი დემოკრატიული გერმანიის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტი, კრიტიკოსი და მთარგმნელია.

ნაწარმოებისათვის „მანსფელდის ორატორიუმი“ მან მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალური პრემია.



გაჭირდა სუნთქვა, და გულის ძგერა
შენელდა...

მაგრამ ის მაინც ძგერდა.

...მით მოიპარეს ლენინის ძეგლი —
ქურდი სიწმინდეს ასე ეხება!
და ჩაიტანეს, რომ გადაედნოთ
ხელუშობარებად და ქვემეხებად.
მანსფელდელებმა ის გადამალეს,
და როცა ჩაქრა სიკვდილის ცეცხლი,
უკვე მანსფელდის მოედნის ცენტრში
კვლავ აღიმართა ლენინის ძეგლი.
გადარჩა გმირი პაულშახტელი,
და ჩვენი გული ლხენით ივსება,
როცა ვიგონებთ, როგორ დაიხსნეს
ძმობის დროშა და ერის ღირსება.
მანსფელდს გასცქერის ლენინის ძეგლი,
ხალხების ძმობის გამომსახველი,
ბრონოვსკიმ იგი შეკრდით დაიცვა —
ყველამ იცოდეს მისი სახელი!
კვლავ მოველინა მანსფელდის ქუჩებს
კრივიროგელ ძმთა მარჯვენა, —
ეს მიდიოდა რეალის ნაბიჯით
ლენინი ქვეყნის გადასარჩენად.

თარგმანი ვერმანულიდან აკაკი ზაქარაიანი

ერთი სიყვავილე

ეს პოემა დაწერილია გამოჩენილი უკრაინელი დემოკრატი პოეტის პავლე გრაბოვსკის შესახებ, რომელიც მოკვდა ვილნაში (1902 წ.).



აქ იყვნენ სამნი „უცხოთაგანი“;
ახლა ისინი აღარ არიან.
ერთი მათგანი მოკვდა მაშინვე,
ნაზი ქალივით იყო უძლეური,
ის ნერვიულად სუნთქავდა ჰაერს
და ჭამდა მხოლოდ თოვლსა და ყინულს,
ამიტომ მოკვდა ის უბედური.
მეორე სადღაც გადაიკარგა,
ან სამშობლოში, ან იქნებ სხვაგან,
ვერ გავარკვევთ, რა დაგვიბარა.
და მესამე-კი აქ, ჩვენთან დარჩა,
და ქოხში მარტოდ ცხოვრობდა

დიღბანს.

მეც, ჩემი შვილიც, სხვებიც ხანდახან
ვინახულვებით „უცხო“ მეზობელს,
შევდივართ. ის კი გვეტყვის:

„დაბრძანდით!“

(ამასთან ერთად. ის ჩვენებურად
სიტყვას იტყოდა თითო-ორჯერ),
და ჩვენც ვისხედით ბუხართან ახლოს.
თუ რამეს ვთხოვდით, არ იშურებდა,
თუ არ გააჩნდა ბოდიშს იხდიდა,
ჩვენ კი ბუხართან ვისხედით მაინც:
წიგნს ჩასცქეროდა, ჩვენ მას

ვუცქერდით.

დიღბანს, სანამ არ მოგვწყინდებოდა;
ქოხში, თავისთან არ გვაძინებდა:

„წადით! — გვეტყოდა, — უკვე დრო
არის!“

თან საჩვენებელ თითით გვამცნობდა:
ასე, მარტოკა დავიძინებო.

და თუ ადგომას არ ვისურვებდით,

ის ძალით კარში გავგებრძანებდა,
კი არა გვემდა, მხარში ხელს

გვეკრავდა.

ის არასოდეს არ გვემდა, მხოლოდ
გაჯავრებისას ძალზე ღელავდა,
ყვიროდა, ფეხებს აბრაზუნებდა,
თანაც უცნაურ თავის ენაზე
სხვადასხვა სიტყვებს ლაპარაკობდა,
ჩვენ კი იმისი არა გვესმოდა.

ასე, სხვა დროსაც, ჯავრობდა „უცხო“.

მაგრამ ის მაინც იყო კეთილი,

განა ტოიონს! ჰგავდა თვისებით?

ჩვენ კი ვამბობდით: იქნებ ბრიყვია,

იქნებ იმიტომ არის კეთილი?

მაგრამ ნამდვილად ბრიყვი რომ იყოს.

წიგნის შინაარსს როგორ გაიგებს?

მან ყველაფერი იცოდა თითქმის:

საიდან საით მიდის მდინარე.

ვის რა სენი სჭირს, რით ავადმყოფობს.

ან ვინ მოკვდება, ვინ გადარჩება!

მან ყველაფერი იცოდა თითქმის;

ბრიყვს კი ამისთვის ჰქუა არ ჰყოფნის.

ვეკითხებოდით: შენ ჰქვიანი ხარ?

სახლშიაც ყველა შენისთანაა?

ჩვენ მაინც ეპვი გვეპარებოდა,

ის ამას გრძნობდა და იცინოდა.

ბოლოს ისწავლა მან ჩვენებური

სიტყვა-პასუხი, კილოც ისწავლა:

წიგნი წინ უღევს, თავის ნაწერი,

კითხულობს, თანაც ჩვენს პანგზე

მღერის,

სულ სიტყვასიტყვით, ჩვენებურად.

მხოლოდ ვერ იქნა, ველარ ვასწავლეთ

ბადის სროლა და მახის დაგება,

1 ტოიონა — უფროსი.

თუმცა სურვილი ჰქონდა ძალიან.
 უინვას უფრთხოდა, მაგრამ ხანდახან,
 თუ ჩრდილოეთის იღვა ციალი,
 მაშინვე გარეთ გამოვიდოდა,
 მზერით ტკბებოდა: რადგან მის მხარეს-
 ასეთი რამე არა სჩვევია,
 ამ დროს მზე ბრწყინავს მის ქვეყანაში,
 იქ ჰყვავის რალაც, რაც აქ არ არის,
 და კიდევ რალაც, რაც ჩვენ არ ვიცით,
 ყველაფერს თავის სახელს არქმევდა,
 მაგრამ იმისი ჩვენ არ გვესმოდა.
 „მე თქვენს ენაზე მათი სახელი,
 ერთ დროს ვიცოდი, ახლა არ მახსოვს,
 რადგან დავბერდი“, გვეტყოდა

„უცხო“.

მართლაც, ოდესღაც იყო ჰაბუკი,
 ჩქეფდა უღვამებაშეწვანებული,
 აქ დასწულდა, დაბერდა, თანაც
 წვერი დაედო მკერდზე თოვლივით,
 როგორც ზღაპარში იტყვიან ხოლმე:
 ის დაემსგავსა თოვლის ბაბუას.
 ის მადიანად ჰამდა და სვამდა,
 არც ტკივილებზე ჩიოდა, მაგრამ
 ღონეს კარგავდა და სუსტდებოდა.
 პირველ ხანებში სულ ტაბტზე იწვა,
 ჭერს შესკვროდა და ოცნებობდა,
 ქოხშიც არავის არ ღებულობდა,
 და ბოლოს თვითონ მოვიდა ჩვენთან,
 რალაც უცნაურ თავის ენაზე,
 ბევრი იმღერა და ილაღადა
 ასეთებს ჩვენში ვერ გაიგონებ!
 დიდხანს ვუსმინეთ და ჩაგვეძინა.

გამოგვეღვიძა, — ის უკვე ტირის,
 ჩვენ ვკითხვით: „ვინმემ თუ გაწყენინა?“
 „არა!“ გვითხრა და ქოხში წავიდა,
 მას შემდეგ ჩვენთან აღარ მოსულა.
 ჩვენ კი „უცხოთან“ ხშირად
 ვყოფილვართ,
 როცა ის ქოხში იწვა ლოგინად.
 ახლა ნაკლებად გვიჯავრდებოდა,
 კარში არავის არ გვისტუმრებდა,
 ხშირად ტიროდა და იცინოდა.
 მას ერთი სიტყვა ჩვენს გასაგონად
 უნდოდა ვთქვა, ვერ იგონებდა,
 ფიქრობდა: თუ მას ჩვენ გავიგებდით,
 გულზე ნაღველიც მოეშვებოდა,

მაგრამ ჩვენ მისი არა გვესმოდა.
 რადგან რაზედაც ის ოცნებობდა,
 ასეთი რამე ჩვენთანაც არ არის,
 ამბობდა: ვინც ამ სიტყვას მაღირსებს,
 ჯანმრთელობასაც დაიბრუნებსო.
 ვეტყვოდით: რამე მცენარე თუა,
 ანდა საკმელი, ანდა სამოსი,
 ანდა ნადირი, ანდა ფრინველი?“
 „არა!“ გვეტყოდა ის თავის ქნევით.
 და მამაჩემმა მას ჰკითხა ერთხელ:
 ვთქვათ, რომ აქ შენი დედ-მამა იყოს,
 ან ძმა, ან დაი, ან საყვარელი,
 შენ, ალბათ, უკეთ იგრძნობდი თავსა,
 მაგრამ ისინი აქ არ არიან.
 შენ იქნებ ახლაც მათ სახელს ამბობ,
 აქ ასეთ სახელს არვინ ატარებს“.

„უცხო“ ჩაფიქრდა... და გვითხრა

ბოლოს:

„არა! მე მაშინ მეტს ვიღარდებდი,
 ისინი ჩემთან ახლოს რომ იყვნენ,
 მათ ხომ ჩემსავეთ ამ ტაიგებში
 აღრე დალუბვა არ ასცდებოდა?“
 კვლავ ჰკითხა მამამ: „შენს ქვეყანაში
 იგი ბევრია, რასაც დაეძებ?“
 „უცხო“ ჩაფიქრდა, ჭერს შეაჩერდა.
 და, როგორც ირემს დალონებულსა,
 ცრემლი მოადგა მღვრიე თვალებში:
 „არა! წარმოთქვა მკენესარე ხმითა,
 იგი ცოტაა ჩვენს ქვეყანაში,
 და მას როგორმე რომ მივალწიოთ,
 ჩვენ უფრო ვწვალობთ, ვიდრე

ვენტარებთ.

მაინც, გვეგონია, ის ბეუტავს ჩვენში,
 თუმც სულ მცირეა, წვეთის ოდენა,
 თითქოს ახლოა, თითქოს ხელთ არის.
 იმის იმედით ჩვენ ვცოცხლობთ მაინც.
 აქ კი, არ ვიცო, თქვენი ადათი,
 ჩვენი ცხოვრება მაინც სხვა არის“.
 მე დაეუმატე: „იქ ხომ ბევრია
 სარჩო, საკმელი და სანოვაგე?“
 „შენ ვერ გამოიგე!“ მითხრა პასუხად, —
 აქ სანოვაგე რა შუაშია?
 მე სხვა რამეზე გესაუბრებდი.
 ვთქვათ, მაგალითად, თავის ნებაზე
 ვინმემ კარვიდან გასვლა ისურვოს,
 და არ გაუშვან, იქვე დააბან, —

მას, თქვენებურად, რას ეძახიან?
ანდა ის „ვინმე“ სად იჯდომება?“
„კარავში“! ერთხმად ვიყვირეთ ყველამ.
„დაეუშვათ, სხვაგან, სადაც მას მარტოდ
ყოფნა არ უნდა... რა ჰქვია მაინც?“
აქ კი დაგვეტყუო ყველას დაბნევა:
ზოგმა თქვა „ტყეში“, ზოგმა

„მინდორში“,
მაგრამ ვერ ახსნეს... მე ჩემთვის
ვღუმიღი,

რა უნდა შეთქვა, რაც არ ვიცოდო!
„მამ, კარგი“! ისევე დაიწყო „უცხო“:
„ვთქვათ, გალიიდან გაუშვეს ჩიტი,
ფრთოსანს ეღირსა ჰაერში ფრენა,
მას თქვენებურად რა ეწოდება?

ჩიტი სად უნდა გაფრენილიყო?“
„ტყეში“, „მინდორში“! იყვირეს ისევ.
„უცხო“ გაჯაერდა, მე მომიბრუნდა:
„ვთქვათ, ტოიონმა ჩაგსვა ციხეში“...
„რად უნდა ჩამსვას? — ვიყვირე უცებ,
მე ხომ იმისი ვალი არ მაღევს?“

..არა, შენ არა! (მას გაეცინა),
სხვა ვინმე ჩაგვას და შიგ ჩაეკტოს,
მაშინ რა უფრო იქნება მძიმე:
ის, რომ არა აქვს საკმელ-სასმელი,
ან გვერდით არ ჰყავს მას ნათესავი,
თუ სინათლეზე რომ არ უშვებენ,
და სურვილების ფრთებს უკვეცავენ?“
„ვისაც რა უყვარს“! მიუგო მამამ.

გამხიარულდა რატომღაც „უცხო“.
(არ ვიცი, რატომ) კვლავ ჰკითხა მამას:
„ვთქვათ, მაგალითად, თუ ვინმეს

უყვარს
ქვეყნად იაროს, როგორც მას უნდა,
და აღისრულოს გულისნადები,
რასაც სურვილი მას უყარნახებს,
მაშინ როგორ ვთქვათ, რა ჰყვარებია?
მას თქვენებურად რა ეწოდება?“
და უპასუხა ერთხმად ყველამ:
ზოგმა — „საქმეო“, ზოგმა —

„წანწალი“,
ზოგმა კიდევ სხვა... შეწუხდა „უცხო“:
„რა ვქნა? როგორ ვთქვა? სიტყვა არ
ვიცი!“

რაკი ასეა, უსიტყვოდ გეტყვით,

მხოლოდ ნუ მიშლით, კარგად
მისმინეთ“.
ჩვენც დავეთანხმეთ, ფრთხილად
მოგვეზურდა

ამ ერთ სიტყვაზე მუდამ კამათი,
მაგრამ „უცხოში“ გვეხატებოდა,
თან ავად იყო, გვეცოდებოდა.
ასე დაიწყო: „მე მინდა მჭონდეს
ერთი უფლება: სად მსურს — ვიარო.
რაც მსურს — ვაკეთო, ეს კი არა
მაქვს“.

ჩვენ გაგვეცინა: რას ამბობს „უცხო“?
განა ის ყველგან არ დადიოდა?
ის ჩვენთან ერთად არ ნადირობდა?
თევზს არ იჭერდა, არ ნეტარებდა?
ერთხელ უფრო შორს წავიდა კიდევ.
და ჩვენს ტოიონს ეწვია, მგონი,
სად არ ყოფილა, რას არ შერებოდა,
წიგნს ჩასტყუროდა, წიგნს აკეთებდა.
კრიდა, კერავდა, წყალს ადღულებდა.
კამდა, რაც სურდა, თან ისვენებდა,
თუ რამე ჰჭონდა, — არეინ ართმევდა.
„უცხოს“ მივმართე: „ვინ არის მაინც,
შენ რომ ზელს გიშლის? ჩვენ ხომ არა
ვართ?“

„არა, თქვენ არა“! „მამ, ტოიონი?
ის როდის მოვა? შენ კი მანამდე
წადი — სადაც გსურს, აკეთე — რაც
გსურს,

ჩვენ მას არ ვეტყვით, რაღას გაიგებს!“
„ეპ, ტოიონი ბევრია კიდევ,
განა ერთია? წარმოთქვა „უცხოში“.
„არა, ისინი ჩვენთან არც მოვლენ,
ვერც გაიგებენ, ნუ გეშინია“.
„ეპ“ ხელს ჩაიჭნევს — რა უნდა

გითხრათ?
რომ აღარ გესმით... აბა, სად წავალ?
რა გვაკეთო ამ უღრან ტყეში?
მე ხომ უთქვენოდ... არ შემოიძლია.
მე ის არა მაქვს... ეპ, ის... რა ჰქვია?“
თქვა და გაჩუმდა. ის მთელი ღამე
იჯდა ლოგინზე... ხმას არ იღებდა.
წინათ გვინახავს გაჯაერებული,
მაგრამ ასეთი ჯერ არ გვინახავს.
ნეტავ, რა გახდა ის ერთი სიტყვა?

რა უნდა ეთქვა? რისთვის უნდოდა?
განა იმ წიგნში, ხელთ რომ ეჭირა,
სიტყვა არ იყო? ეთქვა თავისთვის,
ჩვენ კი არ ვიცით, რა ვქნათ, არ

ვიცით,
ჩვენ წიგნი არ გვაქვს, სიტყვაც ცოტა
გვაქვს...

ჰოდა, გაიმბობთ „უცხო“ შესახებ,
დიდი წამებით მოკვდა საწყალი.
მე დავდიოდი მასთან ხშირ-ხშირად,
ერთხელ მივედი და გამოვევითხე,
თუ რა აწვალებს, თუ რისგან კვდება,
ციება თუ სხვა სენი რამე?
(სხვის გამოცნობა იცოდა კარგად,
რით იყო ავად, რისგან კვდებოდა:)
„შენ ხომ ჰკვიანი კაცი ხარ, ძმაო,
სხვისას იგებ და შენიც გაიგე?“
„მე რისგან ვკვდები?“ მან მიბასუხა, —
იმას არა აქვს თქვენში სახელი,
ის თქვენს მხარეში, თქვენს ბუნებაში
საკმაოდ არის... მაგრამ თქვენ არ გაქვთ,
სიტყვაც არა გაქვთ... აი, რა მტანჯავს?

ის ერთი სიტყვა რომ უფიქრობდა,
მე იქნებ კიდეც მეცხტებრა-თქვენთან...
თქვა და ატირდა, მეც ამატირა,
გული დამწყვიტა იმ საცოდავმა,
კეთილი იყო, ჰკვიანი იყო.

ის „ერთი სიტყვა“ თავის ენაზე
მან მითხრა კიდეც, მაგრამ არ მახსოვს.
ან რად მჭირდება ის უცხო სიტყვა?
რას მივაკუთვნო, აქ რას დავარქვა?
ჩვენ ის არ გვინდა... მას კი უნდოდა,
რისთვის უნდოდა, ვერ გამიგია!
სიკვდილის წინ კი: „ამ სიტყვის გამო
განა მე მართო ვკვდებიო,“ — მითხრა,
თუ კიდეც ვინმე „უცხოთაგანი“
ამ სნეულებით გახდება ავად,
ჩვენ მას ვეტყოდით იმ „უცხო“

სიტყვას,
მაგრამ, რას იზამ, როცა არა გვაქვს?
მაინც რას ნიშნავს ის ერთი სიტყვა?
იქნებ წყევლაა, იქნებ ჯადოა,
მისგან ასე რომ ეტანჯებიან,
კიდეც კვდებიან?!.. რაა ნეტავი?

თარგმანი უკრაინულიდან ალიო მირცხულაჰასი

პაულისის ძირას



სოფლის სკოლის მოხუცებულ მასწავლებელს ერთხელ საკოლმეურნეო მინდვრების განთქმული ოსტატი ივან სემიონოვიჩ კ. ესტუმრა, ივან სემიონოვიჩი მისი სოფლელი და სოციალისტური შრომის გმირი იყო.

— პეტრო პეტროვიჩ, — უთხრა მან მასწავლებელს, — დილას აქეთ ჩემს ქუაზე არა ვარ. გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს, — მიუგო პეტრო პეტროვიჩმა, რომელიც ამ დროს გასანთლულ ქალაქის ზოლებს აწებებდა ჩარჩოზე. — ასეც უნდა იყოს, რაკი გმირებში ჩაეწერეთ. მაინც რაშია საქმე?

— დიდი არაფერია, ანკეტა მივიღე საზღვარგარეთიდან. აგერ ნახეთ, გეთაყვა, ოცდამეორე პარაგრაფი. „თქვენი ევენტუალური პერსპექტივები თქვენ მიერ არჩეული კულტურის მოსავლის მსოფლიო რეკორდის მიღწევაში!“ ფუ, კითხვა და ამისთანა!

მასწავლებელმა ცალი თვალით დახედა საზღვარგარეთულ წერილის კონვერტს და, ვითომ არაფერიაო, ისევ განაგრძო ცარიელ ჩარჩოში გასანთლული ქალაქების დაწებება.

— ხარკი დღითი დღე მეტი და მეტი შემომდის, ივან სემიონოვიჩ. ჩემი მუშები სკას თაფლით გამოვსებენ, დროა ჩარჩოები ჩაედგათ. იმდენი საქმეა, რა გავაკეთო პირველი, აღარ ვიცი...

ივან სემიონოვიჩი მდუმარედ უსმენდა, იცოდა, რომ მასწავლებელს დაფიქრება სჭირდებოდა და რომ არც ერთი კაცი, ვინც თავისი ფასი იცის და ვისთანაც საკითხავად არიან მოსული, არ აჩქარდება დაუფიქრებლად არაფერს ეტყვის.

— ღმერთო, გამახსენე, — განაგრძობდა მასწავლებელი, — პირველად ჩემი რჩევის საკითხავად, ივან სემიონოვიჩ, ეგონებ, მაშინ მოხვედით, როცა თქვენს აწ განსვენებულ მეუღლეს ირთავდით.

— სწორეა, — მიუგო ივან სემიონოვიჩმა, რომელიც ხელში წერილს ატრიალებდა. — იყო მაგგვარი რამ.

— და ამ პირველი შემთხვევის შემდეგ არ მახსოვს, რომ თუნდაც ერთხელ, ივან სემიონოვიჩ, ჩემი რჩევის მიხედვით მოქცეულიყავით, მუდამ დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ იქცეოდით!

მასწავლებელმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი მერგოლურს და გადინარხარა, თან მზა ჩარჩო სხვა ჩარჩოებს ფრთხილად მიუდგა გვერდზე. მან სათვალე ცხვირზე წამოიწია და ივან სემიონოვიჩს სათვალეს ზემოდან დახედა. სტუმარმა ქისისაკენ წაიღო ხელი, რათა თავისი საყვარელი თუთუნი გაეხვია.

— ეე, ეგ არ შეიძლება! — შეამჩნია მისი მოძრაობა მასწავლებელმა. — ზომ იცით, მე აქ ეგ საწამლავი აკრძალული მაქვს. გინდა ბაღში გავიდეთ?

ისინი ბაღში გავიდნენ. მერგოლური ცოტა არ იყოს უხალისოდ დაჰყვა მის ნებას, რაკი შეამჩნია მასწავლებლის ოთახში არეულ-დარეულ გამხმარ მცენარეებსა და თავთავებში რაღაც მისთვის უცნობი თესლების გრუნჯი, ხფლფი, სიმინდის ტარომ, უცნაური ფორმის მარცვლებით, თვალის დახამხამებაში ამოყო თავი ივან სემიონოვიჩის ჯიბეში და კიდეც დაიფიცებდა, რომ პეტრო პეტროვიჩმა ვერ შეამჩნიაო. ვაშლის ხის გვერდით პატარა ფაცხა იდგა, — ერთი უბრალო ჩალის სახურავი, ორ ბოძზე შემდგარი, რომელიც ღობეს იყო მიყრდნობილი და ეზოს ბაღისაგან ჰყოფდა; სახურავის ქვეშ ხის გრძელი სკამი და ხელით ნაკეთები დაზგა იდგა. მეგობრები ჩამოსხდნენ.

— ასეთი ხასიათისა ვარ, პეტრო პეტროვიჩ, — უთხრა სტუმარმა და გააბოლა. — კაცი რომ მეტყვის, იმის საწინააღმდეგოდ უნდა მოვიქცე. თქვენც კარგი ვინმე ბრძანდებით: ერთს მირჩევდით, რომ მეორე გამეცეთებინა. კაცმა პირში თითი არ უნდა ჩაგიდოთ, მაშინვე მოაკვნეტთ!

მზეზე იღო გადმოფერდებული ფიცარი, რომლის სიგრძეზე კლავინალდ იყო ამოჭრილი ღარი, ფიცარის ზემო თავზე თუნუქის ჭურჭელი იდგა, წყლით საესე, საიდანაც წვეთ-წვეთობით ეცემოდა წყალი ღარში; ღარს ირგვლივ გუნდ-გუნდად შემოსხდომოდნენ ფუტკრები და ხარბად სვამდნენ წყალს. ეს ფუტკრის წყარო ვახლდათ.

— ვცადე წყალში სალიცილკის შერევა, — თქვა მასწავლებელმა, — მაგრამ, გაგიგონიათ? არ მიიკარეს: მაინცდამაინც წყაროს ანკარა წყალი ასეთ ამათ.

მერგოლურმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და შეუმჩნევლად მოსინჯა მის მიერ მოპარული ტარო. წერილი მან დაზგაზე დააგდო.

— თქმა არ უნდა, მნიშვნელოვანი საქმეა, — მასწავლებელი წუთით შეჩერდა. — საზღვარგარეთის წერილი უბრალო წერილი ნუ გგონიათ. მაგრამ მე მაინც თქვენს ალაგას, ივან სემიონოვიჩ, სწორედ რომ ხელს არ ვახლებდი სხვის ტაროს.

სტუმარმა ჯიბიდან ამოიღო ტარო და, თითქოს მასწავლებლის სიტყვები არც გაუგონიაო, ახლა დაუფარავად დაუწყო სიყვარულით ცქერა.

— აბა, გამოიყანით, პეტრო პეტროვიჩ, რა ჯიშისაა?...

მასწავლებელმა ტარო ჩამოართვა, დაძველებული პიჯაკის ჯიბეში შეინახა, თითით დაემუქრა ივან სემიონოვიჩს, ოხერით აიღო დაზგიდან წერილი და დაკვირვებით შეუდგა კითხვას: ერთხელ რომ ჩაიკითხა, ახლა თავიდან დაიწყო. ფუტკრები წამდაუწუმ მოფრინავდნენ წყლის დასალევად. საოცრად საამო და წყნარი გაზაფხული იყო, ვარდისფერი ფურცლები დაყვავილებულ ვაშლის ხიდან თითქმის ცერად ცვიოდა. მეგობრები ისე უძრავად ისხდნენ, რომ გაზაფხულის ყვითელმა პეპელამ გაბედა და ქულზე დააჯდა ივან სემიონოვიჩს. ხანდახან მასწავლებელი ხელს გადაისვამდა ჯერ მზემოუცილებელ თეთრ მელტზე.

პეტრო პეტროვიჩის მოხუცმა ცოლმა საცრით მოიტანა მიწის კონსისტენცია. რაღაც საიდუმლო მიზნებისათვის განკუთვნილი.

— მერე, მერე, გულიკო, — თავაზიანად გაისტუმრა ცოლი მასწავლებელმა, — პოდა, იმას ვამბობდი: ისე საზრიანად უნდა გასცე კაცმა პასუხი, როგორც საერთაშორისო კონფერენციაზე...

— ხათაბალა თუ გინდა, ესაა, — დაღონებული სახით თქვა მერგოლურმა, — პირდაპირ დასასვენებელი ღლე გაუფუქეს მუშა კაცს!

მათ მიუახლოვდა ცამეტიოდე წლის ბიჭი, რომელიც ბიოლოგიის საიდუმლოებებში ჰყავდა განდობილი მასწავლებელს. მიწით გათითბნილ ხელებში რაღაც ბალახის დამჟვნარი ღერო ეჭირა და თვალები სისხარულით უბრწყინავდა.

— პეტრო პეტროვიჩ... — ალულებიდან სული შეუგუბდა ბიჭს.

— შენც მერე მოდი, — შეაჩერა ის მასწავლებელმა და უკან გაისტუმრა.

ბიჭი ისე წავიდა, ვერც კი შეამჩნია ივან სემიონოვიჩი. ფრთხილად შიშობდა მიწაზე, რომელშიც იმდენი საიდუმლოება იმალებოდა. მერგოლურმა ალერსით გააყოლა თვალი.

— მეცნიერად გამოვიყვანთ მაგას, — თქვა მან. — მარჯვენა ხელი იქნება მერე ჩვენი კოლმეურნეობისა. ვისია ეგ თაღლითი ბიჭი, ტარასენკო ხომ არაა?

— რაღაზე მეკითხებით, ივან სემიონოვიჩ? განა თქვენ არა ხართ, რომ ყოველდღე ლამობთ მაგის გამოტეხას ჩემი ცდების გამო? როდის დარგესო. ნიადაგის რა ტემპერატურააო, რა ჩადვესო ოროში, ჰა? ბარემ პირდაპირ ჩემთან მოხვიდეთ.

— რას ამბობთ, პეტრო პეტროვიჩ, — სიტყვა გააწყვეტინა მერგოლურმა და ისე გაშალა ხელები, თითქოს მთელი ბალი უნდა მოწმედ მოიყვანოსო, — განა მე ამას კონკურენციის გამო ჩავდივარ? განა მე უთქვენოდ გმირობას მივალწვედი?! სახუმრო ამბავია? მთელს დუნიაზე გავარდა ხმა!

— ნუ სცოდავთ, ივან სემიონოვიჩ, — სიტყვა ჩამოართვა მასწავლებელმა. — მე და თქვენ რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება რომ არა, ერთი საცოდავი მატლები დავრჩებოდით სამუდამოდ ამ დედამიწაზე!

— მარამ მე იმასაც მოვესწრები, — გულმხურვალედ მიუბრუნდა მერგოლური რატომღაც ისევ აყვავებულ ვაშლის ხეს, — იმასაც მოვესწრები, როცა მასწავლებლებსაც მისცემენ გმირობას, აი ნახავთ, პატიოსნებას გეფიცებით!

მასწავლებელმა გაისწორა მუხლზე დადებული წერილი. ხელზე ყვითელ-შარვლიანი ფეხბუსუსა ფუტკარი დააჯდა; დაღლილი იყო და ახლა ისვენებდა. მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. მასწავლებელი დაელოდა, სანამ ფუტკარი გაფრინდებოდა და თვალი გააყოლა იმის ფრენას. ვაშლის ხე, მზის სხივებით ერთნაირად განათებული, ვარდისფრად აშუქებდა.

— თქვენ ჩვენი მოღვაწე ხართ, ივან სემიონოვიჩ, — უთხრა მასწავლებელმა წყნარად და სერიოზულად, — ტყუილად კი არ მოგმართავთ თხოვნით საზღვარგარეთის ინსტიტუტი, ანკეტაზე პასუხი გაგვეცითო. იქ დიდად სახელოვან ადამიანებში ხართ ჩათვლილი...

— თუ არაყი არ მოვატანინეთ, ისე ვერაფერს გავარკვევთ, — დარცხვენით გაეხმაურა მერგოლური.

— ჰოდა, რაკი სახელოვანი კაცი ხართ, ივან სემიონოვიჩ, ისინიც პირდაპირ ამ კითხვით იწყებენ: „ხომ არ იყოთ თქვენს გვარში დიდი ადამიანი?“ მიხვდით? რას მიბრძანებთ მივწერო? ბატონებო, მკაცრად ნუ განმსჯიბთ, და ჩემი მამაპაპით თავს ვერ მოვიწონებ-თქო. ერთი უთვისტომო კაცი ვარ, სრულიად შემთხვევით, მამატივით და, მოვხვდი-თქო სახელოვან ადამიანებში...

— აბა კი, — იწყინა უცბად ივან სემიონოვიჩმა, — ეს ვითომ რატომღაც „უთვისტომო“?

— მაშ იყვნენ დიდი ადამიანები? რას უყურებთ, მოიტათ, აგერ ქალაქზე ჩავწეროთ. სარღლები, სწავლულები, სახელმწიფო მოღვაწენი. ჩავამწკრივოთ

ისინი ერთად, მერე კი ხაზი გაუსვით, რომ ბევ საზღვარგარეთელ პროფესორებს არ გამოჩნით თქვენი წინაპრები...

მასწავლებელმა ამოიღო ჯიბიდან პატარა ფანჯარი, ნაწერებზე დადჭრულ ბლოკნოტი, მონახა სუფთა ფურცელი. ივან სემიონოვიჩი დარცხვენილი უყურებდა ამ მზადებას, ჩაახველა, თითქოს გრძელი სიტყვისათვის ემზადებო, მერე ქუდი მოიხადა, სავარცხელი ამოიღო, ბუძგად დამდგარი ჭალარა გადაივარცხნა. მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ მოიგონა. არც მასწავლებელი აჩქარებდა, თვითონაც ფიქრებში იყო წასული. ისმოდა მხოლოდ ვაშლის ყვავილებში მოფუთფუთე ფუტკრების ზული.

— ვინძლო თქვენ თითონ მოახერხოთ რამე, პეტრო პეტროვიჩ, — დარცხვენით თქვა ივან სემიონოვიჩმა, — მოიგონეთ პასუხი. ჰოდა, გყვანდა-თქო დიდი ადამიანები, მაგრამ იმათი გვარი და სახელი არ გვახსოვს-თქო, ან ამის მაგვარი რამ დაწერეთ... ხათაბალაა და ესაა!

მასწავლებელმა საყვედურით გადაიქნია თავი. სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ სტუმარი ისედაც მიხვდა, რომ მეტად ცერცებელი რჩევა გამოუვიდა: მართლაც, რა დიდი ადამიანია ისეთი წინაპარი, რომელიც არც ვახსოვს?

„გასიებულან და კანში ველარ ეტევიან. — გაიფიქრა ივან სემიონოვიჩმა უცხოელებზე, — ეს შენ ბრიგადირისთვის ცნობის მიცემა ნუ გგონია, ავიღებ და მეცნიერებათა აკადემიაში გავგზავნი ამ ანკეტას, იმათ გასცენ მეცნიერული პასუხი...“

მაგრამ ეს ხმაშალა არ უთქვამს, რაკი მასწავლებელი რალაც საეჭვოდ იყო ამდენ ხანს გაჩუმებული.

— არაყს თუ არ მოვატანინებთ, ვერაფერს გავარკვევთ...

— პირველ სტრიქონებზე, ივან სემიონოვიჩ, პირველ ნომერს დაწერეთ, — მასწავლებელი დაიხარა ბლოკნოტისაკენ, — გავიხსენოთ თქვენი პირველი დიდი წინაპარი. ეს, თქვენც მოგეხსენებათ, სხვა ვინ იქნება, თუ არა სემიონ ოსტაპოვიჩი, თქვენი დიდად პატივცემული და დაუფიწყარი მამა...

მერგოლურმა გაიცინა ამ ზუმრობაზე, მასწავლებელს კი ეწყინა. მან დაიწყო ლაპარაკი და აი უკვე თვალწინ წარმოუდგათ განსვენებული სემიონ ოსტაპოვიჩი, მან ხელით გასწია ვაშლის აყვავილებული შტო და გაუჩინარდა. მაგრამ კიდევ დიდხანს ხედადნენ მისი ვაჟი და მასწავლებელი იმის შრომისაგან დაკორძებულ გლეხურ ხელს, აყვავილებულ ვაშლისკენ გაწვდილს, — ბერიკაჯი ამ ჯიშის ვაშლის შემქმნელი გახლდათ, რამდენიმე ათეული წელი მონადრომა მის გამოყვანას.

— მას წარმოდგენა არ ჰქონდა გენეტიკაზე, — გააგრძელა თავისი მასწავლებელმა, — მაგრამ ნახეთ ერთი რა დიდი ნიჭის პატრონი იყო, რა დაკვირვება და გამმედაობა ჰქონდა. აბა რით დაეხმარნენ იმას „საზოგადოების ბურანი“, რომელთა შორისაც ის ცხოვრობდა? კიდევ კარგი, თუ მღვდელი ამბიონიდან არ აჩვენებდა, ლეთის საქმეებში უტიფრად ერევიო!

— ასეთი ამბავიც იყო, — დაუკრა კვერი ივან სემიონოვიჩმა, — არ უყვარდა მამაჩემს ეკლესია.

— მემამულემ დასტყუა მამათქვენს ახალი ვაშლის ნერგი, მებალებთან წაიღო. — მერე ხელიდან ხელში გადავიდა, როგორც პანის ნახელავი, პანის სახელით მონათლული, სემიონ ოსტაპოვიჩი კი, მისი შემქმნელი, განზე დარჩა...

— ეგრე იყო, — ყრუდ დაუდასტურა მერგოლურმა, — თქვენ დაგაიწყდათ კიდევ, პეტრო პეტროვიჩ, საადრეო ბალი, უფხო ხორბალი, თითო თავთავ-

ში რომ სამოც მარცვალს იკეთებდა! ამ პურის ერთი თავთავისათვის ხერხონი-დანაც კი აკითხავდნენ მამაჩემს!

— უსწავლელი იყო ბერიკაცი და, ვიმეორებ, ცხოვრება არც მისთვის თოლი, მეცნიერება არ ამლევდა რჩევებს, ვისაც ძალა ჰქონდა, არაეინ უქერდა მხარს!

— გამოზარდა თორმეტი ვაჟი და ერთი ქალი ოთხ დესეტინა სახნავ მიწაზე, პეტრო პეტროვიჩი. დედაჩემი რომ ამ დროს მოსწრებოდა, ნამდვილი გმირი დედა იქნებოდა, მაშინ კი რა იყო?

ორივე მოხუცი დაჩუმდა. გაახსენდათ, თუ რას წარმოადგენდა მათი ახალგაზრდობა, ახლა კი შეიგნეს, რა ულიმლამოც იყო მაშინ ცხოვრება. მაგრამ მეხსიერებას მაინც შემოერჩინა სიყმაწვილის მოგონებანი, ერთი წვეთი ბედნიერებისა და სიხარულისა, რომელიც ჩაახშო უეუნი ღამის ზღვაში, და მაინც კიდევ ისე რეალურად ჩაბეჭდოდათ გონებაში, რომ შემდგომმა მძიმე დღეებმა ვერ დაფარეს ის.

პეტრო პეტროვიჩი ყმაწვილი იყო, სოფლის სკოლაში მასწავლებლობა რომ დაიწყო. ღმერთო შენ გაახსენე, როდის იყო ეს? ჰო, ლევ ტოლსტოის სიკვდილის წელს. როგორ არა, ახლაც ახსოვს უეცრად გამეფებული შესაზარი სიჭუმის შეგრძნება, და საიდუმლო კითხვა ლევ ნიკოლაევიჩის აკრძალული ნაწარმოებებისა ყველაზე უფრო საიმედო ყმაწვილების წრეში. აგერ, ივან სემიონოვიჩი მოვიდა სკოლაში ახალი გუნდის პირველ ვარჯიშობაზე. ის მაშინ ერთი მორიდებული ახალგაზრდა იყო, ბრგე და ახოვანი, სასიამოვნო ბარტონი ჰქონდა და ლოყები წითლად უღაეღაეებდა. აქაური კულაკი, ვისთანაც მოჯამაგირედ იყო ივანე, თავის მოსულელო ქალის შერთვას უპირებდა. მას გაგიეებამდე შეჰყვარებოდა მოჯამაგირე.

გარემოებამ გადაარჩინა ივანე ამ შეუფერებელ ქორწინებას: ჯარში წაიყვანეს, პირდაპირ გრენადერად უკრეს თავი. მსოფლიო ომი, რევოლუცია — ჰკუა დაებნეოდა კაცს ამდენ ამბების ვითარებაში: ვინ გაარჩევს, აბა, რომელია მართალი, მაგრამ მოჯამაგირის გულმა დროზე უქარახა ივანეს როგორ მოქცეულიყო. მისი პოლკი აჯანყდა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. გადავიდა ბოლშევიკების მხარეზე. დაჭრის შემდეგ შინ დაბრუნდა და კულაკებისა და მემამულეებისაგან განთავისუფლებულმა მიწამ ისე ძალუმად მიიჯაჰკუა, რომ მერე აღარსად გაუშვა. საბჭოთა ხელისუფლებისაგან ნაკვეთი მიიღო, ახალი სახლი დაიდგა და დასახლდა კაცი.

— დავსვით მეორე რიცხვი. — განაგრძო მასწავლებელმა, — მამასადაძე, თქვენს გვარში პირველი დიდი ადამიანის შემდეგ ჩავეწროთ, ივან სემიონოვიჩი, მეორეც...

— გმირი დედა ჩავეწროთ? — ჰკითხა მერგოლურმა.

— გმირი დედა ცალკე დგას. თხუთმეტი სულის დაბადება და გამოზრდა უწინდელ დროში — ეს დიდი მამაციობის ნიშანია. დიდი გმირობაა. მაგრამ საზღვარგარეთ ამას ვერ გავგიეებენ. ჩემო მოგობარო, ისე რომ მშობელი დედის ვასილინა იუხიმოუნას ხსოვნა ჩვენს გულში ჩავიტოვოთ...

— შე კი მეგონა, პეტრო პეტროვიჩი. დედაჩემს ჩაწერდით მანდ.

— რიცხვი მეორე. ვინ იქნება ეს? რით ასახელა იმან თავისი გვარი და ქვეყანა და რატომ უნდა ვცოთ პატრივი იმას? ეს იქნება, დიდად პატრიცემულო ივან სემიონოვიჩი, ისეუ და ისეუ თქვენი დაუეიწყარი პაპა დედის მხრიუ — იუხიმ ტარასოვიჩი სლივა, სოფელში მერტახელად ცნობილი გრევი...

— მე მას ცოცხალს მოვესწარ, ივან სემიონოვიჩ, და ვასილინა იუხიმოვნამ მიამბო მისი ცხოვრების ამბავი. ისიც უნდა ვთქვა, რომ თქვენი შრომები საუკეთესო მოამბე გახლდათ ყველა იმთში, ვინც კი მომისმენია, მის ნააშობ და ჩაწერილ ზღაპრებს კიევში წალებას ვუპირებდი.

— დედაჩემი ყმაწვილქალობაში კარგი მომღერალიც იყო, — ჩაურობ მერგოლურმა.

— მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, იმ ბარბაროსმა გერმანელებმა დამიწვეს ჩემი დოვლათი, ჩანაწერები და მეცნიერული დაკვირვებანი. ვასილინა იუხიმოვნას ახსოვდა თქმულებები თუ ნამდვილი ამბები, ადამიანებისა და გლეხის ოჯახების მთელი აეტობიოგრაფიები...

— პაპა სლივას ამბავს რა მოგონება უნდა, — ახირებული კაცი იყო, გეტყვით მე თქვენ! ხანდახან იტალიურ სიმღერებს რომ დაიწყებდა... პანს საზღვარგარეთ როცა დაჰყვებოდა, მაშინ უსწავლია...

— ის დიდი ნიჭის მხატვარი იყო, ივან სემიონოვიჩ, იგი იმ მიზეზებმა დალუპა, რამაც კინალამ არ შეიწირა ტარას გრიგორევიჩ შეეჩენკო: ყმა გლეხების საშინელმა ბედმა. პაპა გრეკი ღირსია იმისა, რომ მცოდნე კაცმა დაწეროს იმაზე მონოგრაფია, და მეც, ცოდვილმა ამატორმა, თავის დროზე შევაგროვე მისი ნახატები, მაგრამ გერმანელებმა დამიწვეს ესეც...

— სამწუხაროა! — თქვა მერგოლურმა. — მე მახსოვს, ჩვენს ქოხში ეკიდა პორტრეტი თურქისა თუ ზანგისა...

— ბედი პაპა გრეკისა — თავისით ნასწავლი მხატვრისა — ძალიან მძიმე და დასალონებელია. მე ჩავეწერე ახლა ყველაფერი, რაც მოვახერხე აღმედგინა ხსოვნაში. იმის ამბავს მთელი საღამო მოუნდება კაცი, იმისი ტრაგიკული მონური ცხოვრება პეტერბურგში, იტალიაში... მაგრამ ეს ანეკდოსათვის ზედმეტია.

— სწორეა, — დასტური მისცა ივან სემიონოვიჩმა, — თქვენ თურმე მწერალიც ყოფილხართ, პეტრო პეტროვიჩ, ასე ვთქვათ, ისტორიკოსიც...

— აი, — მასწავლებელმა მეორე ნომრად ჩაწერა პაპა სლივა, — შადაა მეორე დიდი წინაპარიც. ორიანს მუდამ სამიანი მოჰყვება ხოლმე, მესამე გამოჩენილი პირი. აბა ჩქარა გაიხსენეთ, ივან სემიონოვიჩ, — ჩემთან მალე მოვლენ ნორჩი ბიოლოგები პრაქტიკულ მეცადინეობაზე, რას იტყვით ამაზე?

— თითქოს მეტი არავინაა, პეტრო პეტროვიჩ?

— უნდა იყოს, ჩემო მეგობარო, ჩვენ ხომ ჩავწერეთ ერთი სწავლული და ერთი ხელოვნების მოღვაწე, მაგრამ სად არიან სახელმწიფო მოღვაწეები, დიპლომატები და სხვები? არასრული ანეკტაა...

უეცრივ მასწავლებელმა ვიღაც დალანდა ბალის სიღრმეში, მწვანედ მობიბინე კვლების გვერდით, და განსაკუთრებით გამომწვევად დაუსტენა. ძალღმა მოიბიბინა, გაჩერდა მასწავლებლის წინ, ცხვირი წაიღო სტუმრისკენ და გაშმაგებით ააქიციანა კული. ივან სემიონოვიჩმა ძალღს ყურზე მოუთათუნა ხელი.

— ეს ხომ თქვენი კადოშკაა, პეტრო პეტროვიჩ! შეხე ერთი: გერმანელებს ცოცხალი გადარჩენია! სად მალავდით აქამდის მაგას?

მასწავლებელმა დატუქსა კადოშკა კიტრის ბარდებზე სირბილის გამო. მასზე ხომ აღარაფერი ამოვა, თუკი ყოველი ცეტი ძალღი მიწის ჩიჩქნას დაიწყებს და ნაზ მცენარეებზე ზურგიით იგორავებს. კადოშკა მორჩილებით

ესმენდა, ხანდახან დამნაშავეის თვალით ამოხედავდა მასწავლებელს, მერე ვე-
ლარ მოითმინა და პეტრო პეტროვიჩს ხელი აუღოკა.

— ჰო, ახლა ილოკები, თავად კი წახვალ და ისევ დაიწყებ...
ქნას! უმსგავსობაა! შენი ასაკი მაინც უნდა იცოდე, ბებერო! ჩერჩეტო, ფუ-
გასწი აქედან!

კადოშკა ნელა წავიდა და განაწყენებული სახით მიწვა ფაცხის გვერდით,
ღობის ძირას.

— დიდი ხანია რაც ეგ ძალდი გყავთ, პეტრო პეტროვიჩი, — თქვა მერგო-
ლურმა, — მე მახსოვს, ჯერ კიდევ პატარა გალოჩკა ეთამაშებოდა მაგას...

ივან სემიონოვიჩმა ენაზე იკბინა იმ ადამიანივით, რომელმაც სისულელე
წამოროშა. რაღა ბებრის თავი და რაღა საცერი, ვერაფერს იქვტს, ღმერთო
შენი ჭირიმე, ეს რა წამოაყრანტალა!

— ის მინდოდა მეთქვა... პეტრო პეტროვიჩი... როცა ამ ვაშლს რგავდით...
იმ დროიდან კადოშკა...

უფრო უარესი! ისიც იტყვის, გამოასწორაო. აკი ეს ვაშლი თვითონ გა-
ლოჩკამ დარგა იმ დღეს, როცა სკოლაში წავიდა. მაშინ ისიც ესწრებოდა ამ
ამბავს, როგორც ოჯახის მოკეთე და ნათლია. ხათა თუ გინდა, ესაა! მოხუცი
ძლივს მოვიდა გონს შეილის დაკარგვის შემდეგ, ახლა კი შენ მარილს აყრი
ჭრილობაზე! ივან სემიონოვიჩმა ხმაურით ამოისუნთქა და მოულოდნელად
თქვა:

— რამდენიც არ უნდა ჩქმალ მწუხარება, მაინც თავს გამოყოფს...

— კადოშკა გალოჩკასთან იყო, — უსიცოცხლოდ გამოეხმაურა მასწავ-
ლებელი, — სულ ბოლო დღემდე. როცა ჰიტლერელებმა ის დაიჭირეს, პოლა-
ციელს სცემია და იმასაც ტყვია დაუხვია. გალოჩკას სახლის პატრონმა გა-
დამალა და მოარჩინა. გასულ კვირამდე მასთან იყო...

მასწავლებელმა ხელები აიფარა სახეზე და ისევ მოესმა ივან სემიონოვიჩს
ვაშლის ძირას ფუტკრების ზული, თითქოს მეტი ენერგიით შეიჭრნენო იმის
ვარდისფერ ნიღბი. ვილაცამ ხმაშალა ამოიხხრა, კადოშკა იქნებო, გაი-
ფიქრა მერგოლურმა. მაგრამ ძალდი იქ აღარ იყო. ის წაჩანჩალებულა ეზოში,
რომელიც ბალისგან ღობით იყო გაყოფილი. ჰო, უდროოდ გაუღიზიანა ჭრი-
ლობა მოხუცს. მაშინვე საკუთარმა მწუხარებამაც იჩინა თავი. გაახსენდა უფ-
როსი ვაჟი, რომელიც გერმანელებთან ომში დაეცა. სიბერე, წყეული სიბერე
დააწვა მხრებზე, ჯერჯერობით როგორც ბზით სავსე ტომარა, მაგრამ ბზე ხომ
მალე შეიცვლება უფრო მძიმე რამით. ეჰ, სიბერე, სიბერე, ივან სემიონოვიჩი...
მას ეშინოდა მასწავლებლის შეხედვა.

— ეჰეი, ნათლი, მგონი, ცხვირი ჩამოგიშვიათ? ასეთი რამე არც გგემაში
გეაქვს, არც პროგრამაში აბა, შემდეგ ვინ მოდის დიადი ნათესავი? ვწერთ
მიყოლებით მესამე ნომერს. მე მიაშობოდა ვასილინა იუხნიმოვნა ვილაც გერასიმ
გოლის ამბავს...

— აა, მეც გამიგონია, — გაეხმაურა ივან სემიონოვიჩი, — სწორია, გერა-
სიმ გოლი იყო. ჩემი ბებიის დედას კიდევ ახსოვდა იგი. ყარაჩივით კაცი ყო-
ფილა და თურმე ისეთი ღონე ჰქონია, წისქვილის ქეას რომ აიღებდა, სადაც
უნდოდა, იქ გადაჰქონდა. როცა ბორკილები დაადეს, რომ ლუბერჩინის სასა-
მართლოში წაეყვანათ, თურმე ორმაგი ჯაჭვი მოუქლონიათ — იმისთანა დეე-
კაცი ყოფილა: ბებიაჩემი იმის ამბავს რომ მომიყვებოდა, პატარა ბიჭი ტანში
ავიბუძვებოდი, იმისი ცოდვით...

— სწორედ, სწორედ! მესამე ნომრად სწორედ ეგ უნდა ჩაეწერათ.

— მაგრამ არ იფიქროთ, პეტრო პეტროვიჩ, რომ დიდი მოღვაწე უნდა ყოფილიყოს, — ერთი უბრალო მკედელი იყო, ყმა-გლეხი, რომელმაც ხალხი შემოიკრიბა და უნდოდა ყველა პანის სინსილა გაეწყვიტა. ჰოდა, მერე ალყა შემოარტყეს, რამდენიმე თვე ებრძოდა თურმე სასხედრო რაზმებს, ბოლოს მოტყუებით ჩაუგდიათ ხელში, სამედამო კატორღა მიუსაჯეს... გერასიმ გოლი როგორ არა, მახსოვს: იმისი სახელით იყო რომ ამინებდნენ რევოლუციამდე ჩვენში შემამულე პანებს...

— ეს ნამდვილი სახელმწიფო კაცი იყო, — თქვა საზეიმო კილოთი მასწავლებელმა, — რომელიც ვერ შეურიგდა მაშინდელ სოციალურ წყობას და გადაწყვიტა, რევოლუციის გზით იმისი შეეცლა. ეს უბრალო მკედელი უკვდავების ღირსი გახლავთ, ივან სემიონოვიჩ.

— ფუ, ოფლმა დამასხა კიდეს! — გამოეხმაურა მერგოლური, — სანამ საქმე მივიდოდა კოლმეურნეობამდე, დახე ერთი, რამდენი სახელოვანი წინაპარი მყოლია თურმე! იქნებ ვიკმაროთ, პეტრო პეტროვიჩ, ახლა არაყი მოვატანინოთ?

— ზომ იცით ჩემი ამბავი, ივან სემიონოვიჩ, არ მიყვარს საქმის შუაგზაზე მიტოვება, ეს — საერთაშორისო საქმე გახლავთ, მიაბიტ ხალხს სასაცილოდ აიგდებენ! ჩვენ კიდევ ჩაეწერთ ანექტაში ერთ დიპლომატს, ჰო, ჰო, თვალები ნუ დააკვირე, გეთაყვა, ის ქეშმარიტი დიპლომატი გახლდათ!

— ნებჲ თქვენია, — გული მოუვიდა სტუმარს, — იმას კი გეტყვი, რომ ჩვენს რაიონში დიპლომატი ერთიც არ იყო! ვისაც გინდათ, ჰკითხეთ, არ იყო და მორჩა!

სადაც ფხუკუნი ჯაისმა, მაგრამ რამდენიც არ მიაყურადეს მასწავლებელმა და მერგოლურმა, ფხუკუნი აღარ გამოჩნდებულა, ისე რომ გადაწყვიტეს. ალბათ მოგვესმაო. მასწავლებელმა უსიტყვოდ გამოიყვანა ბლოკნოტში ოთხი რიცხვი, მაგრამ ჩაწერით არაფერი ჩაუწერია.

— მართალი ვითხარით, — მიუბრუნდა ის ივან სემიონოვიჩს, — მისი სახელი მე არ ვიცი. მაგრამ სრულიად რეალური კაცი გახლდათ, ჩაწერილი თანამედროვეთა რამდენიმე მოწიგებაში. დოკუმენტებში იმას სხვადასხვანაირი სახელით იხსენიებდნენ. იყო ის ზაპოროჟიელი კაზაკი, ჩვენებური კაცი...

— ღმერთი იწამეთ, პეტრო პეტროვიჩ! — მოიბუზა სტუმარი ისე, თითქოს ცივმა ქარმა დაქარაო. — ასეთი წინაპრებით, იცით, როდის შევავსებთ ანექტას? აი ეს ვაშლის ხე რომ დაიყვავილებს და ვაშლები დამწიფდება ზედ!

ბატარა შუკა, სადაც მასწავლებელი ცხოვრობდა, დნებრის მარჯვენა მალალ ნაპირზე ორ ბორცვს შუა გადიოდა. ბალი მთის ძირას იყო გაშენებული და მისი მეორე ბოლო ადიოდა ზედ გორაკზე, საიდანაც მოჩანდა მდინარის განიერი ცისფერი ზოლი.

— აგერ იქიდან, — აჩვენა მასწავლებელმა, — ახლაც ჩანს დნებრზე გამოსასვლელი ძველი ფონი. ისტორია თუ გახსოვთ, აქ მუდამ იყო ფონი, ასეული წლების მანძილზე. ხიდები მაშინ არ იყო, ტექნიკის დრო არ გახლდათ. და აი ერთხელ დნებრს გამოღმიდან მოადგა რამდენიმე ათასი ცხენოსანი შვედი, დამარცხებული და განადგურებული. როგორც გახსოვთ, პეტრე დიდმა იმათ ბრძოლა გაუმართა პოლტავასთან. წინ ორთველა ეტლით მობრძანდებოდა ხელმწიფე, ირგვლივ გენერლები შემოხვევოდნენ, უკან კი ბებერი გეტმანი მანება მოჰყვებოდათ, როგორც მოგეხსენებათ, თავისი ხალხის გამყიდველი.

ცხადია, გრძნობდნენ, რომ უკან მენშიკოვის მღევრები მოსდევდათ, წინ კი დნებრმა გადაუღობა გზა. ეცენ გადასასვლელ საშუალებებს, ისინი ყველაფერს არა, თითქოს ძროხამ ენით ალოკაო. რაც რომ პატარა თუ უზარმაზარია მუხას ნავეები იყო, ტივები თუ ბორნები, — საღაა, ყველაფერი გაქრა, თუგინდ ტირილით დააქციე იჭაურობა, ვერაფერს ნახავ. მეფე კარლ XII ბრძანა, მახემა მოეხმოთ. „ეს რა ამბავი მოგივიდა, ბატონო გეტმან? უბრძანე თქვენს ხალხს, რომ ჩემი ჯარი დნებრზე გადაიყვანოს. საღამომდე თუ არ დაეიწყეთ გადაყვანა, დამელტეება ჯარი!“. გეტმანმა თვალეები მოქუტა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე. თურმე, ნუ იტყვიოთ, როცა შვედების ცხენები ქარიგიოთ მოქპროდნენ, მაინც ჩვენმა, კახაკურმა, გამოასწოო იმაო: მოიჭრა შვედებზე უმალ ჩემ მიერ ზემოთ მოსსენებული ზაპოროჟიელი, რომელიც პირდაპირ პოლტავის ბრძოლის ველიდან იყო გამოგზავნილი. და უთხრა თავისიანებს რამდენიმე სიტყვა. ამის შედეგად ყველა გადასასვლელი საშუალება უმალ დნებრს ქვემოთ ჩარეკეს...

— ლამაზი ამბავია, — შენიშნა მერგოლურმა, — თუკი ეს ისტორიული სიმართლეა. ასეთი დაბრკოლება დიხხაც გულს გაუხეოქდა კაცს!

— ჰოდა, შეაკოწიწეს მერე შვედებმა, რაც ხელში მოხედაოთ, იმისგან ერთი-ორო ტივი, გადავიდნენ გენერლები, რამდენიმე კაცი. მაგრამ ჯარს რა უყოს! თუმცა დამარცხებული ჯარია, მაინც არ უნდა მეფეს ეს უკანასკნელიც დაკარგოს! „ბატონო მახემა, — ეუბნება, — საღაა თქვენი ხალხი ბოლოს და ბოლოს? უბრძანეთ, ეშმაკმა წაილოს მაგათი თავი!“ გეტმანმა ბრძანა, დაეჭირათ რამდენიმე გლეხი, ურტყეს მათ მათრახები და გაგზავნეს მერე ხალხის მოსარეკად, რომ გადამაღული ნავეები გამოეთრიათ. ნავეები კი რა ერთი ხანია უგზოუკვლოდ გაქრა. წადი და ეძიე შენ ლელიანში! დრო არ იცდის ამასობაში, მეფე ბრაზობს, ნერვიულობს, დნებრიდან გაკუურებს კოგრიტით თავის საღდათებს, გეტმანიც ხედავს, რომ ნავეებს არავინ მისცემს, — მიხვდა ბოლოს, რა ხალხიც იყო მისი ხალხი. „დასწვიოთ აჭაურობა, — თქვა მახემა, — ცეცხლს მიეციოთ ყველაფერი, აქ ისეთი საოოე ხალხია, მარტო ცეცხლი თუ მოარჯულებს მაგათი!“ ის-იყო ცეცხლი წაუკიდეს, რომ მორბის მახემაასაკენ შიკრიკი, — მოსალაპარაკებლად კაცია გამოგზავნილიო. „აი, ხომ ხედაეთ, თქვენო უდიდებულესობავ, — უთხრა გეტმანმა, — მე ვიკი ჩემი ხალხის ამბავი, მას მარტო ცეცხლისა ეშინია!“ მოვიდა მოკიქული. ეს ისეე ის ზაპოროჟიელი იყო, ჩვენი მხრის კაცი, ასე ეთქვაოთ. წინაპარი. იცოდა, რომ მისი დიპლომატიური მისია შეიძლება სარზე ჩამოგებით დამთავრებულყო, და მაინც გადაწყვიტა, თავი გაეწირა.

— რა ჯანდაბა მოარბენინებდა აქეთ? — გაბრაზდა ივან სემიონოვიჩი. — გამომიჩნდა რალა ეგეც დიპლომატი.

— იქნებ დროის მოგება უნდოდა, რომ ქალებსა და ბავშვებს თავის გაღარჩენა მოესწოოთ. იქნებ სხვა რამ მოსაზრება ჰქონდა, — მაგალითად, საცხოვრებელი გადაერჩინა ცეცხლისაგან. მაგრამ უფრო სწორე მესამე იქნება — კახაკს უნდოდა მისებურად გზა დაელოცა მახემაასათვის...

— სწორია, — გადაწყვიტა სტუმარმა, — გზის დალოცვა კი ღირდა ამად!

— თქვენ წარმოგიდგენიაოთ, ალბათ, ივან სემიონოვიჩი, რა გაკიანურებული რამ არის დიპლომატიური მოლაპარაკება, — განაგრძო მასწავლებელმა, — მაგრამ ამ ელჩმა დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. ის ატყუებდა და ასულელებდა მახემაას იმდენ ხანს, რამდენიც შეძლო. ხან უკაზებს თხოულობდა, ხან ოქროს

დუკატებს, ხან თავს მოისულელებდა, ხანაც გაკადნიერდებოდა. ბოლოს ნახა, რომ ხანი გავიდა, დროა, გაათავოს. ამოიღო თავისი შარვლის უძველესი ჯიბიდან ქონის ნაქერი და თავის დაკვრით მიართვა მაზეპას. ხელმწიფე ვერ შეხვდა, მას ნიშნავდა, მაგრამ გეტმანმა ბებერი ხელი გაივლო ხმაღზე: ქონის ნაქერი იმისთვის იყო განკუთვნილი, რომ მაზეპას ქუსლებზე ამოეცხო გაქცევის დროს ამას გარდა კაზაკმა მოასწრო კიდევ სიტყვა ეთქვა მისთვის, ისეთი მაგარი, ახლანდელ დიპლომატებს რომ მოესმინათ, ცხვირს იმდენჯერ დააცემინებდნენ, კაცი იფიქრებდა, ცხვირში შავი წიწაკა შეეყარათო...

ლობის უკან ისეთი ფრუტუნი შეიქნა, თითქოსდა ცხენს საკმელი გულზე დაადგაო. მასწავლებელი წამოხტა და ლობზე გადაიხედა.

— ჰაი, თქვე არამზადებო! — შესძახა მან. — აბა, გამობრძანდით, თუ შეიძლება!

ნელი ნაბიჯით გამოვიდა იქიდან ოთხი ყმაწვილი ტარასენკო ბიჭის მეთაურობით, რომელიც ერთხელ უკვე გახლდათ იქ.

— ესენი პრაქტიკულ მეცადინეობაზე მოვიდნენ, — მოახსენა იმან მასწავლებელს და კარგა გრძელი პაუზის შემდეგ დაუმატა: — პეტრო პეტროვიჩ.

— ყოჩაღ, ბიჭებო, — თქვა მერგოლურმა, — ასე მოიქეცი თემდეგშიც. დღეს უფროსების ლაპარაკს უგდეთ ყური ჩუმად, ხვალ კი მოჰყევით ტყუილების როშვას. საცაა ცოლები უნდა შეერთოთ, ესენი კი აქ დამალობიას თამაშობენ!

ნორჩი სასიძოვები თავდახრილები იდგნენ და დარცხვენილები დუმდნენ. კადოშკა ჩუმ-ჩუმად კბილებით ექაჩებოდა ტარასენკოს შარვალზე, ის კი, მოღუშული, ხელით იშორებდა მას.

— აგრე იყოს, — გადაწყვიტა მერგოლურმა, — ვაი რომ მთელი ანკეტა არ მოგისმენიათ.

— მოვისმინეთ, — წამოცდა უეცრად ტარასენკოს და ენაზე იკბინა.

— აბა, დასხედით, სელექცია და ბოტანიკაც. მე წავედი, პეტრო პეტროვიჩ, — სხვა დროს მოვათავოთ. ვინძლო, ყინებამდე მოვასწროთ, ჰა?

მასწავლებელმა ხმაამოუღებლივ დახურა ბლოკნოტი და ჯიბეში ღრმად შეინახა. ამ დროს მისმა ცოლმა თიხის დიდი ჯამით მთელ-მთელად მოხარშული კარტოფილი გამოიტანა და ხის სამარილევ მოაყოლა. უსიტყვოდ დადო ის დახვანზე და ღიმილით წავიდა, თითქოსდა დიდი ხნის შემოღებულ ადამიანს შეასრულაო.

— აბა, მიირთვიეთ, მეგობარო, — მიიპატიჟა სტუმრები პეტრო პეტროვიჩმა და ყველას თითო-თითო კარტოფილი ჩამოურიგა. — ჭამაში კაცი არ იღლებათ.

— მაინც რიგზე არაა საქმე, — მიუგო მერგოლურმა, — ვის გაუგონია არყის გარეშე? ჩვენ, სტუდენტებს, ხომ, — ჩაუკრა იმან თვალი ბიჭებს, — ასე არა გვაქვს მიღებული! სწორს არ ვამბობ, სტუდენტებო?

— არ ბრძანებთ სწორს, ამხანაგო სოციალისტური შრომის გმირო! — ერთხმად მოუტრეს ბიჭებმა, რომლებიც მაჩვეულნი იყვნენ ვერაგულ ხრიკებს ივან სემიონოვიჩის მხრივ.

— თავისუფლად, — უთხრა მოხუცმა მერგოლურმა ბავშვებს და უღვაშები გადაიწია, რომ დაუბრკოლებლად ჩაედო პირში კარტოფილი, — ჩვენს მისი უმაღლესობის პრინც ბრანდებურგ-მაკლენბურგ-დუშეგუბის გრენადერთა პოლკში...

— ჰამეთ, ჰამეთ, ივან სემიონოვიჩ, — უთხრა მასწავლებელმა, — მაგის შესახებ ანექტაში ჩასწერეთ.

— მოიცათ, გეთაყვა, — უცრად მოაგონდა ივან სემიონოვიჩს ჩვენი ჩაფწერეთ ჩვენი კუთხის დიდი ადამიანები, რომელთაც, ასე ვთქვათ, ბედმა არ გაუმართლათ, უდროო დროს დაიბადნენ! მაგრამ ისინი, ვისაც ბედმა გაუმართლა? ვინც გამოიზარდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ? ადამიანები, რომელნიც ადამალა საბჭოთა ხელისუფლებამ და პარტიამ?

— ეს ანექტის მეორე კითხვა გახლავთ, ივან სემიონოვიჩ.

— არა, ყური მიგდეთ! თავის დღეში არავის გაუგონია ასეთი ამბავი. აი მე მივიღე მაღალი მოსავალი, როგორც წერდენ, დავამყარე რეკორდი, მაგრამ ამაში ხომ საკვირველი არაფერია, რადგან მე ათა-ბაბადან მიწას ვარ მიჯაჭვეული! მაგრამ იმაზე რას იტყვი, რომ ჩვენმა სოფელმა ხალხს ორი გენერალი გამოუზარდა? ერთი კანდიდატი აკადემიკოსებში? მფრინავი ქალი, რომელმაც მტრის ზურგში ათასზე მეტი გაფრენა მოახდინა დამთ ყუმბარების ჩამოსაყრელად? ასობით ოფიცერი, აგრონომი, მასწავლებელი? ჩვენს სოფელზე ოცდარი მედალი მოდის მოსკოვის დაცვისათვის!

ბიჭები ისხდნენ და დინჯად შეექცეოდნენ მოხარშულ კარტოფილს. იცოდნენ, რა სერიოზული მომენტიც იყო ახლა და ცდილობდნენ, ერთი სიტყვა რა არი, ისიც არ გამოჰპარვოდათ ამ ორი ბერიკაცის საუბრიდან. იმათთვის ხომ ყველაფერი იოლი და სულ უბრალო რამ იყო, თითოეულს რაღაც ბიოლოგიური ამოცანა ეთესა კვალზე, რამდენი აღმოჩენა ელოდათ მომავალშიც! ძალზე მოხუცები იყვნენ ისინი, ამ ბიჭების აზრით, თითქმის მიხრწნილებიც. მაგრამ საამო იყო მათთან მეგობრობა. ტყუილად კი არაა, რომ ივან სემიონოვიჩის რგოლი მხოლოდ თორმეტი კომკავშირელი გოგონასაგან შედგება, თავად ის მეცამეტეა. მოხუციც სწორედ ასეთი უნდა! ხანდახან თუთუნსაც კი შემოგთავაზებს, მოსწიფო, მაგრამ მხოლოდ ხამი და გამოუცდელი თუ წაიღებს ხელს იმის ქისისკენ: სხვებმა უკვე იწვნიეს ამისი გემო.

— აი როდის უნდა შეგვაპასუხოთ, — უთხრა მერგოლურმა, რაკი პასუხი ვერ მიიღო თავის გრძელ სიტყვაზე.

— დიახ, დიახ, — უპასუხა მასწავლებელმა, როგორც უცილობელ რასმეზე.

— ისინი მეკითხებიან ჩემს დიდ წინაპრებზე! მაგრამ სადაა საბჭოთა ხელისუფლება? აბა შენ მითხარი, პატარა ტარასენკო.

ტარასენკოს ყელზე დაადგა ცხელი კარტოფილი და ამოეფარა წითურა, მოწეული კეახივით ჭორფლიან მეზობელს, რომელიც გვერდზე მოსკუბებოდა ჯირკლე.

— ჩვენ კითხვა ვერ გავიგეთ, — უთხრა წითურა ბიჭმა, რომელიც გამოცდილი ბრძანდებოდა ყოველნაირ რთულ სიტუაციებში.

ივან სემიონოვიჩმა პირი და უღვაშები მოიწმინდა, მადლობის ნიშნად თავი დაუკრა მასპინძელს და ისევ თუთუნის გახვევა დაიწყო. თავით ფეხებამდე ბოლში გაეხვია და იმავე წამს ერთა ფორიაკი შექნეს ფურცლებმა იმის თავზე, ახლავე შეწყვიტე ეგ საძაგლობა ვაშლის ხის ძირასო. მასწავლებელი მელოტზე ისვამდა ხელს და არც ცდილობდა მიშველებოდა ივან სემიონოვიჩის შესიტყვების ფორმულირებაში.

— გახსოვთ, ბიჭებო, ჩემი ზამთრის უნივერსიტეტი? — დაიწყო მერგოლურმა და ბიჭებმა ერთად დაუქნიეს თავი. — ჩემთან ჩამოვიდნენ მერგოლუ-

რები, მოსავლის ოსტატები და აგრონომები მთელი ოლქისა. პოდა, თითოეულმა თავისი ცოდნა გაუზიარა სხვებს: ვინც სიმინდის ოსტატი იყო, სიმინდუნე ჯღაპარაკა, ვინც ფეტვის მომყვანი — ფეტვზე. იყვნენ კოკ-საგიზის ოსტატებიც, ჩამოვიდნენ მარცვლეულის მომყვანებიც. აბა მე რომელი ლექტორი ან პროფესორი გახლდით? მაშ რაში იყო საქმე, იკითხაეთ? მე აქ არაფერ შუაში ვიყავი. ეს უფრო ღრმა საკითხია. ვისი წყალობაა, რომ ყველას ერთიმეორის გვესმოდა? ვისი და საბჭოთა ხელისუფლებისა, მამასადამე, მე წინაპრებმა კი არ დამბადეს, არამედ საბჭოთა ხელისუფლებამ და პარტიამ. გასაგებია თქვენთვის, პეტრო პეტროვიჩ?

— ცხადაა, ამაყი კაცი ბრძანდებით, — უთხრა მასწავლებელმა, — და ამიტომაც მიგანიათ, რომ თქვენი რეკორდი საკვირველი არ არის. მაგრამ ის მართლაც არაა საკვირველი, რადგან იმაზე ცოტა ხალხის ამაგი კი არაა დადებული — წინაპართა თუ თანამედროეთა. ერთი ოჯახი რეკორდს ვერ შექმნის — საჭიროა კოლექტივი. საჭიროა სახელმწიფო, რომელიც შრომის გმირებსა ზრდის, საჭიროა საზოგადოება, რომელიც მილიონობით ხელით აიტაცებს თქვენს ცდას, გაზრდის და გაამრავლებს სასარგებლო საქმეს, რაც მარტო ერთმა თქვენმა რგოლმა მოიპოვა, ივან სემიონოვიჩ...

— აი, სერი! — თქვა დუმილის შემდეგ მერგოლურმა. — შემდეგ კვირას მობრძანდით, ამხანაგო სტუდენტებო. გავაგრძელოთ ანკეტის შეესება. რაკი საჭიროა, მამასადამე, უნდა გავაკეთოთ. ვაშლი ყვაეილობს, ფუტყრები დაფრინავენ, თავლს აგროვებენ, ყველაფერ ამის პატრონები კი ჩვენა ვართ. მართალს გეტყვით, პეტრო პეტროვიჩ, და ეგ კარგი ჰქენით, რომ ჩემი წინაპრების სიამაყე გამოიღვიძეთ. მაგრამ მაინც მინდა გითხრათ, რომ თქვენით არა ნაკლებ ვამაყობ. თქვენი მხარდაჭერა და მეცნიერული დახმარება რომ არა, მე გმირის წოდებას ვერ მივალწევდი. აგრონომები და აკადემიკოსები — თავისთავად, თქმა არ უნდა, ჩვენი სოფლის მასწავლებელს კი, რომელიც გვერდში მიდგას ამ მიწაზე, ჩემი უმდაბლესი სალამი!

— მე ვესალმები ბოლშევიკების პარტიას, — წარმოთქვა ფეხზე ამდგარმა მასწავლებელმა. იმის კვალობაზე წამოდგნენ თავთავიანთ ადგილებიდან ბიჭები, წამოდგა მერგოლური, — და ვიმედოვნებ, მიმიღებენ სასახლო რიგებში!

საზეიმო გუგუნი გაქონდა ვარდისფერ ვაშლის ხეს, დაფუსფუსებდნენ შიგ ფუტყრები და მზის სხივები ეფრქვეოდა გარს.

მზესუმზირა



კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოლოდინში მოქანდაკე კანტორის აივანზე მშვიდად იჯდა და მინერალურ წყალს სვამდა. ძლიერ ცხელოდა. ნორჩ ხეებს ტოტები მოქანცულად დაეხარათ, თითქოს ეწადათ მთლად მოკუნტულიყვნენ და საკუთარ ჩრდილში ჩამალულიყვნენ. ცარიელი ეზო ფართო, ქვიშიანი და მხურვალე, უდაბნოს პატარა კუთხეს მოგაგონებდათ, რომელიც აქ შემთხვევით მოხვედრილიყო. სადილობის საათი იყო და ყველა სულიერი ჩრდილს შეფარებოდა, განაბულიყვნენ და მიყუჩებულყვნენ. მხოლოდ კანტორაში დროდადრო ვიღაც საანგარიშოს აჩხაკუნებდა, ყვავილნარებში კი მოუსვენარი ფუტკრები ზუზუნებდნენ.

მოქმანცველი მგზავრობისა და ქალაქის ხმაურის შემდეგ მოქანდაკე ისვენებდა. ყელსახვევი მოეხსნა, ხალათის საყელო გადაეხსნა და თავს ისე გრძნობდა, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყოს.

მისი სიმშვიდე მოულოდნელად დაარღვია ნახევრად შიშველი, მზებზე გარუჯული ბიჭუნების ჯგუფმა. ისინი საიდანღაც გამოცვივნენ და როდესაც აივანზე თეთრ კოსტუმში გამოწყობილი ხანში შესული უცნობი კაცი დაინახეს, შეჩერდნენ, ძალიან დაინტერესდნენ: ვინ უნდა ყოფილიყო ის?..

სხვადასხვა მოსაზრებებს გამოთქვამდნენ:

- ლექტორი იქნება, ალბათ ისევ მეცნიერებათა კანდიდატი?
- უსათუოდ მწვანე კონვეიერის გამო ჩამოვიდოდა!..
- თუ მერიონოსისთვის?..
- შეხედე რა მელოტია: თუ გინდა ზედ ციგურებით იცურავე კიდეც!

მოქანდაკემ გულჯაოილად ჩაიკინა. მას ახარებდნენ ბაჭუკები. გონებაში ის უკვე ძერწავდა მათ მოხდენილ ტანს, თიხიდან ბრინჯაოში გადაქონდა. ქალაქის ბაღში თვალსაჩინო ადგილას დგამდა.

ამასობაში თავმჯდომარეც მოვიდა, თავაზიანი, წითელლოყება კაცი, რომელსაც მოელვარე და მოუსვენარი თვალები ჰქონდა. მან საიდანღაც უკვე იცოდა, რომ ჩამოვიდა მოქანდაკე წარჩინებული კოლმეურნე ქალის მელანია ჩობიტკოს გამოსამერწად.

— ახლავე ყველაფერს მოვაწყობთ, — უთხრა თავმჯდომარემ, — მე უკვე განკარგულება გავეცი, მელანია აქ მოვა, — მან სტუმარი მეგობრულად შეათვალიერა და თავის კაბინეტში შეიპატოცა.

მზის სხივებით გაბრწყინებული ფართო კაბინეტი დროშებისაგან ალისფრად და დიდებულად გამოიყურებოდა. ყველაფერში წესრიგი ჩანდა. ბრწყინვალეობა და სისუფთავე თვალში ეცემოდა კაცს.

— ოჰო, თქვენ მინისტრისგან მოწყობილი ყოფილხართ! — შენიშნა მოქანდაკემ.

თავმჯდომარემ ეს შექება საკმაოდ მშვიდად მიიღო.

— აბა, მაშ როგორ. პოლონელები მივიღე აქ. ჯერ სკამებიც კი არ გაუტანიათ. ვთხოვთ დაბრძანდეთ, — მან სტუმარს თავის პირდაპირ ადგილზე მიუთითა.

ჩამოსხდნენ. ისინი რამდენიმე ხანს ჩუმად შესცქეროდნენ ერთმანეთს. თავმჯდომარე გაიღურსა. ის ქორცქვიტასავით იჯდა კისერჩავეარდნილი, მხიარული, დადარაჯებული.

პირველ წუთებში მოქანდაკეს ეუცხოვა, როდესაც იგი მაგიდის კრიალა მინაზე, საწერი მოწყობილობის გვერდში ხედავდა თავმჯდომარის მზით დამწვარ ხელებს და მისი პიჯაკის შავ სახელოებს, მაგრამ მოქანდაკემ სულ მალე ამაშიც თავისებური მიმზიდველობა და პარპონია დაინახა. ეს დაყოფრილი ხელებიც ღირდა იმად, რომ თავმჯდომარეც გამოეძერწა.

— მომიყევით, გეთყუა, თქვენი გმირის შესახებ, — სთხოვა მოქანდაკემ და ფეხი ფეხზე შემოიღო, — მე მას მხოლოდ გაზეთებიდან ვიცნობ...

— მის შესახებ ჟურნალებშიც წერდნენ...

— წაითხული მაქვს. ფოტოსურათებიც ამოვჭერი, მართალია მხოლოდ პროფილებია. არსად არ შემხვედრია ანფასში გადაღებული.

— რა გაიმბოთ მის შესახებ? — იშმუშნებოდა თავმჯდომარე. ეტყობოდა ვერ მიმხვდარიყო სახელობრ რა უნდოდა მისგან ამ მელოტ სუბიექტს, რომელსაც ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს გახამებულიყო. — ოქრო ადამიანია. მოკრძალებული, მშრომელი, ნამდვილი პატრიოტია. მას ჩვენში ძალიან დიდ პატივს სცემენ. მამა ფრონტზე დაეღუპა. შვიდი კლასი დაამთავრა. ვარსკვლავი მიიღო სიმინდის მოვლა-მოყვანაში. წელს კი მზისუშირასაც მოკიდა ხელი.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩემთვის ძალიან ცოტას ნიშნავს. თქვენ გესმით, ამხანაგო თავმჯდომარე, როგორ გითხრათ, უფრო უბრალოდ? ერთის სიტყვით, მე მისი ანკეტა კი არ მინდა — მე მაინტერესებს მისი სული და გული, მისი ხასიათი!

თავმჯდომარე ჩაფიქრდა, ამოიოხრა. მოდი და გაიგე ვის რა სჭირდება. იმას ანკეტა მიეცი, ამას სული და გული, იმას კიდევ რაღაც სხვა.

— მის ხასიათს თქვენ თვითონ დაინახავთ. ჩუმი, კეთილი... რაც შეეხება მის სულსა და გულს, — თავმჯდომარეს ჩაეცინა და ქერს ახედა, — არ ვიცი, გულს გადაგიხსნით თუ არა...

— რატომ არა?..

— ისე... გული ეს ძალიან სათუთი რამ არის. მას განსაკუთრებული გასაღები სჭირდება. მაგრამ ნება მიბოძეთ დავინტერესდე. რად გინდათ თქვენ მისი გული? თქვენ ზომ მისი ბიუსტი უნდა გამოძერწოთ. თქვენ, ასე ვთქვათ, ფიგურა გჭირდებათ, სახის ფიზიონომია...

— ოჰ, არა, ეგ არ კმარა! — მღელვარედ მიუგო მოქანდაკემ. თავმჯდომარემ იგრძნო, რომ სხვის ღობეზე გადააბიჯა. — რასაკვირველია, ჩვენთვის გარეგნობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სილამაზის ნამდვილი წყაროები...

სტუმარმა ვერ მოასწრო თავისი აზრის დამთავრება. ვიღაცამ კარზე წყნარად დააკაკუნა.

— შემოდი! — გასძახა თავმჯდომარემ, ეტყობოდა კაკუნზე მიხვდა ვინც იქნებოდა.

კარი გილო და კაბინეტში, ოქროს ვარსკვლავის ციმციმით, მორიდებით შემოვიდა ჩაფსკენილი ქალიშვილი, რომელსაც შალის შავი ჟაკეტი ეცვა.

თავზე კი თოვლივით თეთრი ხილაბანდი ეკრა. მოქანდაკე უფრო მიხვდა. ვიდრე იცნობდა მასში მელანია ჩობიტკოს.

— თქვენ მე მეძახდით, ივან ფეოდოროვიჩ?

— გეძახდი. აი, გაიცანი, ამხანაგი მოქანდაკე შენს გამოსაძერწად ჩამოვიდა.

გაცნობის დროს მოქანდაკემ ქალიშვილს პროფესიონალის მახვილი თვალით ახედ-დახედა. ის მაშინვე მიხვდა გაზეთებში რატომ ბეჭდადნენ მას მხოლოდ პროფილში. მელანია ვერ დაიკვირვებდა სილამაზით. ფოტოკორესპონდენტებიც, ეტყობოდა, ცოტას არა შრომობდნენ იმისათვის, რომ მელანიასთვის ისეთი პოზა გამოენახათ, რომ ქალიშვილი უფრო მშვენიერი გამოსულიყო. ვიდრე ცხოვრებაში იყო. რას იზამ, ფოტოგრაფები ამას ახერხებენ, მაგრამ მოქანდაკე როგორ მოიქცეს?..

თავმჯდომარემ მელანია მარჯვნივ მოისვა, დროშებისა და ბრინჯის გამხმარი თავთაყვებისგან გაკეთებული გვირგვინების ქვეშ. შესცქეროდა მას გამამხნეველად, თითქმის ალტაცებულად, როგორც კალმით დახატულ მშვენიერებას. ვინ იცის, იქნებ მელანია თავმჯდომარეს სწორედ ასეთი ეჩვენებოდა. მაგრამ თვითონ, ეტყობოდა, კარგად გრძნობდა თავის არასრულყოფილობას და თითქოს რამე დანაშაული მიუძღვისო, სულ იბნეოდა მოქანდაკის დაკვირვებული და შემსწავლელი ცქერის გამო. აუტანლად უმძიმდა ჯდომა. მას უშლიდა საკუთარი მხრები, საკუთარი ხელები და ფეხები, და მთლიანად თვითონ, თითქოს თავის თავს უშლიდაო.

— მაშასადამე, აი, მელაშკა, ჩვენს პარტივერებულ სტუმარს ამხანაგ მოქანდაკეს, — რატომღაც კიდევ ერთხელ აუხსნა თავმჯდომარემ, — სურს გამოგძერწოს გამოფენისათვის.

თავმჯდომარემ ცბიერად შეხედა მელანიას, მოქანდაკემაც შეხედა, თვითონაც თითქოს შორიდან შეხედა თავის თავს.

— ეს რა მოუგონიათ, — სირცხვილისაგან თავი დახარა ქალიშვილმა, — მნახეს საამისო!..

მოქანდაკე თვალყურს ადევნებდა მას ოსტატ-პროფესიონალის უღმობელობით. მელანიას, თითქოს განგებ განიზრახაო, ჩაეშალა მისი შემოქმედებითი ჩანაფიქრი. უხერხულად ეკირა თავი, ნაძალადევად, მოშვებულად. რაც დრო გადიოდა, კი არ კლებულობდა, პირიქით უფრო მატულობდა ეს უხერხულობა. მას ესმოდა, რომ ადვილი არ იქნებოდა ქალიშვილისათვის დედაქალაქიდან ჩამოსულ მოქანდაკის წინ ჯდომა, მაშინ როდესაც წინასწარ იცის რაც მას სწადია. უნდა ასიამოვნოს, მაგრამ ვერ ხედება როგორ. მოქანდაკე სულ ელოდა რომ მელანია დამშვიდდება, თავს დაეუფლება, თავისუფლად და ბუნებრივად მოიქცევა. მაგრამ სად არის?.. თითქოს ნემსებზე იჯდესო. ხანდახან ირიბად უღიმის ივან ფეოდოროვიჩს, თანაც ცხვირსახოცი თიფრავს ტუჩებს. თავდაპირველად მოქანდაკეს ეს ართობდა, მერე კი უკვე აღშფოთებდა. იქნება მას არ შეუძლია სხეანაირი იყოს, იქნებ ეს ტლანქი, პრიმიტიული მანერულობა ქალიშვილის ბუნებას შეესისხლხორცა, მის მეორე ბუნებად გადაიქცა და ველარაფრით ველარ აღმოუხვრი მას?!.. ან რისთვის გამოეწყო ასე, თითქოს ქორწილში მიდიოდესო. ოჰ, მელანია, მელანია, ძნელია შენი გამოძერწა!..

საუბარი ვერ აეწყო. მელანია ისე სიტყვას არ წარმოთქვამდა, რომ თავმჯდომარისათვის არ შეეხედა, თვალებით არ შეჰკითხოვდა: ასეა თუ არა,

სწორად ვთქვი თუ არა? მოქანდაკეს სწყინდა მის მაგიერ. ასეთი ჯანსაღი, ნორჩი, მშვენიერად გამოწყობილი და ამავე დროს ასეთი უსუსური, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ის როგორც ეტყობოდა, სიამოვნებით დათანხმდებოდა მის მაგიერ თავმჯდომარეს ელაპარაკნა, ეხუმრა, გამოსაძერწადაც თავმჯდომარე დამდგარიყო მოქანდაკის წინ, ოღონდ თვითონ მას თავი დაეღწია ამ ხათბალისაგან. „ნუ თუ ის ყოველთვის ასეთია? — ნერვიულობდა მოქანდაკე. — ნუ თუ მას არასოდეს არა აქვს... ის... ნაპერწყალი?..“

— მითხარით, გყავთ თქვენ ნათესაეები, მეგობრები?.. — ჰკითხა მან. სხვა მხრივ უნდოდა მისდგომოდა.

მელანია ქარხალივით გაწითლდა.

— ნათესაეები მყავს, — ძლივს გასაგებად წაიჩურჩულა მცირე სიჩუმის შემდეგ. — მეგობრებიც... რომელ მეგობრებზე მეკითხებით?..

— ეს ჯერ გაუთხოვარია, — წამოიძახა თავმჯდომარემ და უსიამოვნოდ გადახედა მოქანდაკეს.

მოქანდაკე მიხვდა, რომ შეცდა, რომ ეს უტაქტობა იყო, ეს სულაც არ უნდა ეკითხა. მაგრამ განა ყველაფერს გაითვალისწინებ, განა მიხვდები, როგორ უნდა მიუღდე მას?

რომელ მხრიდანაც არ მიუღდა, მაინც ის არ იყო, როგორც უნდოდა დაეწახა. სცადეთ და გამონახეთ ხასიათი ამ უთავბოლო ხაზების ქაოსში, უხეშ მოძრაობაში.

„ყველაფერი ეს ტიპიურად ის არ არის, — და ბოლოს მწარედ სცნო მოქანდაკემ, — და მე აქ არაფრის გაკეთება არ შემიძლია. უკან უნდა დავბრუნდე, ვიდრე გვიან არ არის! მაგრამ რა მოვიმიზეზო, როგორ დავაღწიო თავი ამ ისტორიას? ისე რომ მელანიას არ ვაწყენინო, თითქოს არაფერიც არ ყოფილიყოს. არსებითად ის ხომ არაფერში დამნაშავე არ არის. სწორედ ისევე, როგორც მე“.

— აი, მელაშა, შენ გაქვს ამის შესაძლებლობა, — მზიარულად უთხრა თავმჯდომარემ, — ოდესღაც მხოლოდ ქალღმერთებს აქანდაკებდნენ, ახლა კი ჯერი ჩვენამდეც მოვიდა, პროგრესი გვაქვს, განა ასე არ არის?

— აუობებდა ჩემი მეგობარი გამოგეტყრწათ... განია!

— განია, განიაა, მაგრამ ნურც შენ ისაწყლებ თავს, გამოიძერწე... ახლა ჩვენს წინაშე ერთი ამოცანაც დგას: სტუმარი სადმე უნდა მოვაწყოთ.

— მე დიდხანს არ დავჩაჩები, — წინდახედულად დაიწყა უკან დახევა მოქანდაკემ, — შეიძლება ხვალე წავიდე.

— როგორ? — განცვიფრდა თავმჯდომარე, — ერთ ღამეში გამოიძერწავთ?

— ძერწვას მე შინ შეეუღლები, ჩემს სახელოსნოში, აქ კი მხოლოდ რამეს შევამზადებ. — მოქანდაკის ხმაში გაისმა თავის მართლებების სიმები. — მე ჩემი მეთოდი მაქვს. ჩემთვის მთავარია დაეინახო ცოცხალი ადამიანი. მეხსიერებაში აღვიბეჭდო, რომ მერე...

— ოო, ეს თქვენი საქმეა! — შეაწყვეტინა თავმჯდომარემ. — თქვენს მეთოდს მე ვერ განვსჯი, მაგრამ მოწყობით კი უნდა მოვაწყოთ, ახლაც რამეს მოვიფიქრებ.

— აქ მოსათქირი არაფერია. — ჩაერია საქმეში მელანია, — რადგან ჩემთან მოვიდნენ. ჩემთანვე გაჩერდნენ. არავის არ შეაიწროვებენ.

— მართლა, — ჩამოართვა სიტყვა თავმჯდომარემ, რომელიც, ჩანდა, ამა-

სვე ფიქრობდა, — შენ ფართოდ ცხოვრობ, შენთან სიმშვიდეა, ბავშვები არა გყავს. შენ აქ ინიციატივა გამოიჩინე.

— ნუ სწუხართ, არ იშინებთ.

ყველანი წამოდგნენ.

მოქანდაკე ოთახის კუთხისაკენ ჩემოდნის ასაღებად გაეშურა, მაგრამ მელანია მეტად მკვირცხლი აღმოჩნდა. ჩემოდანი უკვე ხელში ეჭირა მას. მიუხედავად სტუმრის გულწრფელი წინააღმდეგობისა მისი ბარგი მაინც მელანიამ წაიღო.

— თუ კი ხელი ჩაავლო, აღარ მოეშვება! — იცინოდა თავმჯდომარე, როდესაც სტუმარს აივანზე აცილებდა. — ჩვენ ასეთი კადრები გვყავს.

მსუბუქად, ჩქარი ნაბიჯით გადასჭრა მელანიამ კოლმეურნეობის ეზო, მოქანდაკე ძლივს მიჰყვებოდა მას. ამ წუთში ის თავს გრძნობდა უღონოდ, მოქანდაკედ, სიბერეში ფეხშედგმულ ადამიანად.

მელანიას ქოხი, როგორც გვირგვინში, ისე იყო ჩამჯდარი: ირგვლივ სიმწვანე და სისუფთავე მოჩანდა. იატაკი ბალახით იყო მოფენილი, ბუხარი მამლებით იყო მოხატული, მაგიდას ამოქარგული სუფრა ეფინა. სახატე ადგილას წიგნებით საესე თარო იდგა, მის ზევით რომელიღაც ქურნალიდან ამოჭრილი უღია გრომოვას პორტრეტი ეკიდა.

მაღე მაგიდაზე ჯამები და თევზები გაჩნდა, მოქანდაკე გეზად, მუდამ შეშინებული დიეტაზე მყოფის მშფოთვარე თვალთ შესცქეროდა ყველაფერ ამას:

— გთხოვთ ამდენ რამეს ნუ დააწყობთ, მე დიეტაზე ვიმყოფები.

მელანია წუთით დაიბნა.

— რას ნიშნავს ეს?

— არაფერს არ ნიშნავს.

— არა, თქვენ მითხარით, რა შეიძლება მოგართვათ, მე ყველაფერს ვიშოვნე. ნალებს მიირთმევთ? კვერცხი, რძე, თაფლი? თქვენ თვითონ აირჩიეთ, თორემ მე არ ვიცი! — ყველაფერი ეს ამოსარჩევად დაულაგა, სუფთა პირსახოცი მიართვა, — ინებეთ, რითაც მდიდრები ვართ, ის გვახარებს.

მოქანდაკე შეექცეოდა და ყოველი ლუკმა ყელზე ადგებოდა. აი, ის ხვალ ისე გაემგზავრება, რომ არაფერს გააკეთებს. კიდე ერთი შემოქმედებითი დამარცხება! რამდენი ასეთი დამარცხება განიცადა მხოლოდ სამამულო ომის დამთავრების შემდეგ: იქ ფორმალისმი, იქ პატრიარქალობა, იქ კიდე რალაც ეშმაკისეული რამ, „იქნებ თვალთ დამაკლდა, იქნებ მე უკვე რალაცას ვერ ვხედავ?“ — ფიქრობდა მოქანდაკე და ყელზე ადგებოდა მელანიას თითონ სურნელოვანი პური. — გენერლებს კარგად ეძერწავდი, რატომ არ გამომდის შრომის უბრალო ადამიანი? მოვემგზავრებოდი, იმ იმედით, რომ ღრმად შევიცნობდი, ჩაეწვდებოდი მის მალალ, კეთილშობილურ პათოსს, მაგრამ როგორ თავდება ეს ყველაფერი? სამარცხენოდ! გულაცრუებული უნდა გავიპარო. ამის შემდეგ რას იტყვის ჩემს შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რას იფიქრებს ეს გულუბრყვილო, მაგრამ კეთილი და კარგი მელანია?“ წინათ მოქანდაკე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ამათ. მაგრამ ახლა ეს მას უკვე აწუხებდა, მათ აზრს ახლა უკვე მნიშვნელობას აძლევდა. „იქნებ ვინმე სხვას შეეძლო მელანიას გამოძერწვა? — უცებ გონებაში გადაუჭრინა სამართლიანმა მოსაზრებამ და მოქანდაკემ წარმოიდგინა თავისი კოლეგები, განსაკუთრებით ახალგაზრდა ნიჭიერი ოსტატები, — იქნებ ისინი უკეთესად ხედავენ, იქნებ მე

სრულიად უბრალოდ გამოვიფიტე და რამეში ეცდები და არ შემიძლია შევიცნო. გადავშალო მისი სული? ოჰ, ეს საშინელება იქნებოდა!

მერგოლურმა ამ ხნის განმავლობაში მეორე ოთახში ტანსაცმელი გამიჩაგვრა. ის ზღურბლზე იდგა ფეხშიშველი, მოხდენილი, მიმზიდველი თავის სამუშაო ტანსაცმელში.

— მე უნდა წავიდე... მე მზესუმზირები მბაბრია... თქვენ კი აქ მოისვენეთ. აი, საწოლი, აი, ზეწრები.

— გმადლობთ.

მელანია გავიდა, ოთახში უცბად ჩამოხვდნენ: ეზოდან მან ნელა მოხურა დარბეზი. ის ზრუნავდა, რომ პატივცემულ სტუმარს არ დასცხოვროდა!

სალამომდე მოქანდაკემ დასვენებაც მოასწრო და რამდენიმე ბაეშუის პორტრეტიც დახატა, რომლებიც მან კანტორასთან ნახა, თავმჯდომარესთან ერთად აგრეთვე კოლმეურნეობაც დაათვალიერა. ინახულეს ფერმები, სამკვედლო, ელექტროსადგური. მოქანდაკის ჩამოსვლის ამბავი უკვე მთელს სოფელში გავარდნილიყო და სტუმარს ყველგან პატივისცემით და გულთბილად ეგებებოდნენ. მოტიკტიკე მწველავმა ქალებმა ფერმაში ნამდვილი დაკითხვა მოუწყვეს, დიდად დაინტერესდნენ თუ ვინ ჰყავდა მას გამოქანდაკებული მთელ თავის სიცოცხლეში. ან რა პოზაში აპირებს მელანია ჩობიტკოს გამოძერწვას.

— ჩვენი მილია ისეთი გამოძერწეთ, რომ ყველა ტყებოდეს მისი ცქერით! — მოითხოვდნენ კოლმეურნენი, — ის ამის ღირსია!

როდესაც ის სამკვედლოში შევიდა მკვდლებმა შეწყვიტეს თავიანთი უროების ცემა, სწევდნენ თუთუნს და სიამოვნებით უპასუხებდნენ შეკითხვებზე. სტუმარს უნდოდა გაეგო, ვინ იყო აქ ყვევლებზე ასე შეყვარებული.

— ეს ჩვენი გოგოების საქმეა... ყველგან დათესეს: კანტორასთანაც, კლუბთანაც, სამკვედლოსთანაც კი. ეს მელაშას წამოწყებულია...

ოჰ, ისევე მელაშა! სადაც ცხვირს შეყოფ, ყველგან მის კვალს შეხვდები.

— თქვენ ის ასეთი ყოჩალი გყავთ?

— ოჰო, როგორც ჩანს, თქვენ მას კარგად არ იცნობთ! მოუსვენარი, თავდადებული, ოქროს ადამიანია!

— მზის ამოსვლას მუდამ მინდორში ხვდება.

— თქვენ იმას, ამხანაგო მოქანდაკე, არ აწყენინოთ: თქვენს ტალანტს ფართო გასაქანი მიეცით.

ჩემს ტალანტს ფართო გასაქანი მიეცე! მოქანდაკეს გულსაც უყუჩებდა და ტანჯავდა კიდევ ის საპატიო ყურადღება, რომელსაც კოლმეურნენი იჩენდნენ მისდამი და მისი ხელოვნებისადმი. მას ისე ეჩვენებოდა, რომ არ დაუმსახურებია ასეთი პატივი და ასეთი ნდობა. სინდისი ქენჯნიდა, ის თავს გრძნობდა ისეთ ადამიანად, რომელიც თავისი სურვილის გარეშე ითვისებს იმას, რაც მას არ ეკუთვნის.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდა მოქანდაკე, რომ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა აჭაურობა. არაფერი ადამიანობაა კისერზე აჯღე ამ პატიოსან მშრომელ ხალხს, უმაღლედ მათ შენს შემოქმედებითს უძღურებას, ბოროტად გამოიყენო მათი სტუმართმოყვარეობა. ისინი შენ რატომღაც გეფერებია, ისინი შენგან რაღაცას მოეღიან, შენ კი... რით გაახარებ მათ? წადი აქედან, ეს საუკეთესო გამოსავალია, შენ ის გაწუხებს, თუ როგორ განსჯიან მერე ესენი შენს საქციელს. ამის მიხედვით ახლაც შეიძლება: მელანია კი არა,

დამნაშავე ყველაფერში შენ იქნები. ის მათთვის „ოქროს ადამიანი“ იმისდა მოუხედავად, გამოძერწავ თუ არა მას.

— აი, ეს ჩვენი ელექტროსადგურია! — აღსხნა ივანე ფეოდოროვიჩი, რომ დესაც კაშხალზე გავიდნენ, რომლის ბოლოშიც მოჩანდა დიდი წითელი შენობა, — განა მშენიერი არ არის, პა?

— მშენიერია, — დაეთანხმა მოქანდაკე და დააცქერდა გაშმაგებულ წყალვარდნილს, მისი თოვლივით თეთრი ქათის ბობოქარ ბრწყინვას. — დიდი ხანია ააგეთ?

— შარშანწინ ავამუშავეთ, მშენებლობა კი ორმოცდაათხუთ წელს დავიწყეთ, ეს კაშხალი, შეიძლება ითქვას, ქალებმა ააშენეს. რომ ჩაუფიქრდეთ. კარგი ქალები გყავს ჩვენ. მე რომ თქვენი ტალანტი მქონდეს, ყველა ჩვენს კოლმეურნე ქალს გამოვძერწავდი, როგორც თანამედროვე ეპოქის გმირებს.

— სცადეთ, — გაიღიმა მოქანდაკემ — და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არც ისე ადვილია.

— მე არც ვამბობ, რომ ადვილია... მაგრამ ჩვენი ქალები ამას იმსახურებენ, პატრიონს სიტყვას გაძლევი! აიღეთ თუ გნებავთ, წარსული წლები: ჩვენ ჯერ კიდევ სადღაც ფონტებზე ვიბრძოდით, იმ ოდერებზე და ბალატონებზე. ქალებს კი აქ, როგორც გვარდიელებს, მინდვრებში საღებავი მანქანებიც ზურგით გადაჰქონდათ, აი, ასეთ კაშხალსაც აშენებდნენ ჩვენს ჩამოსვლამდე. თქვენ გგონიათ ასობით კუმბეტრი მიწის ამოთხრა ადვილია? სხვათა შორის მელაშკამ აქაც გამოიჩინა თავი. დღე და ღამე საზიდავეში იყო ჩაბმული.

უსმენდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოქანდაკე და ამავე დროს მელანია თვალწინ ედგა სხვადასხვა გარემოებაში, მაგრამ მის პირველ შთაბეჭდილებას ველარაფერი ვერ სცვლიდა. მინდვრად ხორბლის საღებავი მანქანასთანაც, მიწის მძიმე სამუშაოზედაც, როდესაც ელექტრო სადგურს აშენებდნენ, ყველგან მელანია ერთნაირად გამოიყურებოდა, იმ ულამაზო, შებოჭვილ, მოუხეშავ ქალიშვილად, როგორც ნახა დღეს კანტორაში. ივანე ფეოდოროვიჩი ტყუილად ცდილობდა როგორმე გამოეწივებინა შეცდომა და ხელახლა აღემადლებინა თავისი კოლმეურნე ქალი მოქანდაკის თვალში. მე ვაფასებ მის ყოველდღიურ გმირობას, მის სასახელო საქმეებს, — ფიქრობდა სტუმარი მელანიას შესახებ, — მაგრამ განა ამით შესცვლი, ამით აანაზღაურებ იმას: რაც, სამწუხაროდ, მას პირადად აკლია?“

— თქვენ მართლაც მშენიერი ხალხი გყავთ, და მე მესმის კიდევ თქვენი განწყობილება, ივანე ფეოდოროვიჩი, თქვენ გამიგეთ მე...

— რა არის აქ გასაგები! მამასაღამე, თქვენ მაინც წასვლა გადაწყვიტეთ?

— გადავწყვიტე.

— კარგი. ხვალ მე რაიონში მიბარებენ. თქვენ სადგურამდე მიგიყვანთ, რომ ცხენები ზედმეტად არ ვაჭენოთ.

ცივად დაშორდნენ ერთმანეთს. ივანე ფეოდოროვიჩმა ჩაილულულა, რომ ტრაქტორისტებთან ეჩქარება, კაშხალზე გადაიარა და ველმინდორში გავიდა. მოქანდაკე კი გაეშურა შინ (ასე დაარქვა გულში მელანიას სახლს).

გზაში მოქანდაკემ პატარა მარცხი განიცადა, გზა დაებნა. ყველა ქოხი ერთნაირად ეჩვენებოდა: ყველა, ისევე როგორც მელანიას სახლი, ცისფრად იყო შეღებილი, ყველგან ფარდულების ქვეშ თეთრად მოჩანდა იზოლატორები და კედლებში იყარგებოდნენ მათულები, ყველა მინაში ერთნაირად კიაფობდნენ

მზის სხივები, რომელიც, უკვე წითლად გავარვარებული მთის გადაღმა მდინარის მეორე ნაპირზე ეშვებოდა.

ეს-ლა მაკლდა,— სწუხდა მოქანდაკე, ვილაცის კართან განჩქრებულნი, ნათელი დღეა და გზა კი დამებნა! სადღა წავიდე?

ამ დროს ქუჩის მეორე ბოლოს მტერის ვარდისფერი ბული აიშალა: სამოვრებიდან ნახირი ბრუნდებოდა და ნებაუნებლიეთ სადმე უნდა გადაეხვია.

მაგრამ სად?

მოქანდაკემ არ იცოდა, რომ იქვე მისი მხსნელები იდგნენ. ეს ის ბიჭები იყვნენ, რომელთა ესკიზებსაც ხატავდა ის მომავლისათვის. ისინი თითქოს გულგრილად იდგნენო, ზურგზეხელებშეწყობილნი და ტუჩზე კბილებდაბჯენილნი, რომ არ გასცინებოდათ. ისინი, როგორც ჩანდა სულ ფეხდაფეხ მისდევდნენ. შენიშნეს, როგორ გასცდა ის მელანიას ქოხს და როგორ დაიბნა, როდესაც ნახირი დაინახა, რომელმაც გზა გადაუღობა.

— ჩვენ გაგაცილებთ, — დაბეჯითებით უთხრა ასე რვა წლის თეთრთავა თამამმა ბიჭუნამ, — ჩვენ ვიცით, სადაც უნდა წახვიდეთ.

— სად უნდა წავიდე?

— მელაშკა ჩაბოტკოსთან.

— სწორია.

— ოღონდ ჩქარა, თორემ დამტვერიანდებით.

— თქვენ კი არ დამტვერიანდებით?

— ჩვენ არ გვეშინია.

მოქანდაკე დაბნეულად გაჰყუა ბიჭებს.

— თქვენი ქოხები ერთნაირია, თავგზა დამიკარგეს!

— თქვენ ეს მხოლოდ გეჩვენებთ, რომ ერთნაირია. შუაგულში შედით, ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან!

— შეიძლება, ვერ შეგეკამათებით.

— ყველა რომ შეთეთრებულია და ცისფრად შემოვლებული ეს იმიტომ, რომ საპირველმისოდ ვეშზადებით. შაბათობა მოვაწყვეთ.

— მნემ ყველასათვის ერთნაირი ლილა მოიტანა... თქვა, ერთმანეთს არ დაემღურებითო... აი, აქ უნდა მიხვიდეთ თქვენ.

— ვხედავ, ახლა კი ვხედავ... გმადლობთ, რომ გამომაცილებთ.

— არაფერს.

მოქანდაკე ეზოში შევიდა, კარი მიიხურა და შვევით ამოისუნთქა.

მელანია ჯერ არ მოსულიყო.

ის დაბრუნდა მზის ჩასვლის შემდეგ, ბალახის ძნითა და იასამფერას თაიგულით ხელში, რომელიც სადღაც მინდვრის პირად მოეკრიფა. მისი მდგმური ბოსტანში იყო. მწვანე ნარგავებში დაფუსფუსებდა, აცქერდებოდა და აკვირდებოდა, თუ რა დაეთესა და რა დაერგო მელანიას.

— სწავლობთ?

— არა, ისე, მაინტერესებს... ეს არის მთელი თქვენი ბოსტანი?

— მეტი რად მინდა? ჩემი ძირითადი ბოსტანი იქ არის, — მელანიამ მხიარულად გაიშვირა ხელი სადღაც მთის იქით, — ეს მე ისე მაქვს, როგორც უფაქო დამატება.

— მე აქ მხოლოდ ყვავილებს ვხედავ. იასამფერა, ზამბახი და იემი. სადღაა თქვენი მზესუმზირები, სიმინდი?



— ყველაფერი იქ არის, — გაიცინა მელანიამ და ხელახლა მოისაკენ გაიშვირა ხელი.

მოქანდაკე არ იცინოდა.

— სად გითესია პომიდორი, კომპოსტო და ამის მსგავსი მწვანეხედიანი?

— ამას მე არტელში ვიღებ. ამას თითქმის ყველა არტელში იღებს. იქ ბოსტნეული უკეთესიც და ადრეც მოდის.

— სხვა ჰაეა?

— ჰაეა კი არა, სარწყავი მეურნეობაა. — მშვიდად მიუგო მელანიამ, — შინ, რაღაც კომპოსტოსათვის მთელი ზაფხულის განმავლობაში მხრეულის ქვეშ წელში უნდა გაწყდეს. ვინ არის ამის მოსურნე? ვერც წაიკითხავ, ვერც კინოში წახვალ, არტელში კი ჩვენ წყალსაქაჩავი დავდგით.

— საინტერესოა! გლეხის საკარმიდამო ნამდვილად იცვლის სახეს, ხასიათს. უგრეხელსა და პურეულს, როგორც ჩანს, თავის საკარმიდამოში აღარაფერს სთესავს?

— რა საჭიროა. ჩვენი პურეული მინდორშია, უგრეხელიც მინდორში მაქვს. საკარმიდამოში თესლათბრუნვას ვერ შემოიღებ. დროა აქ ადგილი დავუთმოთ ყვევილნარებს, ბაღებს... ეს იყოს, დანარჩენი კი... რაც შეეხება დანარჩენს, მე ჩემს მინდვრებს ვენდობი. თუ არტელში გვექნება, მეც მექნება.

— ასე გამოდის, ყველაფერი იქ გაქვთ?

— ყველაფერი ჩემიც იქ არის და მეც მთლიანად იქ ვარ, — გაიცინა ქალიშვილმა.

გულკეთილი და მზიარული გოგონა ამ მომენტში მოეწონა მოქანდაკეს. მას უნდოდა ამ წუთში მისი სახის გამომეტყველება დაენახა, მაგრამ საღამოს ბინდი ჩამოქდა და მხოლოდ ქალიშვილის სილუეტი მოჩანდა ძნით ხელში.

— უნდა წავიდე, — გაახსენდა მელანიას და სახლისაკენ გასწია. — დღეს კომკავშირის კრებაც არის... გასაღები თქვენ გაქვთ?

— მე მაქვს, თუ არ დამიკარგავს.

— სხვა დროს გასაღები, აი, აქ, დარაბის უკან დატოვეთ ხოლმე.

— მე ხომ ხვალ მივემგზავრები.

— უკვე?

— უკვე... იქნებ შემოდგომაზე ჩამოვიდე.

«ჰა, შემოდგომაზე... წვიმის შემდეგ ხუთშაბათს... პირდაპირ გეთქვათ, რომ ვერ გამოვდექი, არ მოგეწონეთ!»

— თქვენ უკეთესად იცით, — ყრუდ ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და ოთახის კარი გააღო. მის ხმაში გულჩათხრობილი წყენა ისმოდა.

მოქანდაკე დამნაშავესავით სდუმდა. უნდოდა როგორმე დაემშვიდებინა იგი, აეხსნა მისთვის ყველაფერი... მაგრამ განა გაიგებს?..

იჯდა გარეთ, ოთახში შესვლისა რცხვენოდა. შიგნით რადიო ხმაურობდა, საქმიანობდა დაულალავი მელანია. რას ფიქრობდა მელანია მის შესახებ? ახლა ხომ მისთვის ყველაფერი გასაგებია? ის ხომ არც ისეთი გულუბრყვილოა. როგორც მას პირველად მოეჩვენა.

მალე მელანიასთან ქალიშვილებმა მოიბრინეს, როგორც ჩანდა, ისინი რგოლის მეგობრები იყვნენ. ვითომდა თეთრ კოსტუმში გამოწყობილი მოქანდაკისა ეშინოდათ, ისინი სწრაფად შეცვიდნენ ოთახში და უცბად გაისმა მათი სიცილისა, ხუმრობისა და ქალიშვილური წამოძახილების წკრიალა ხმა. იგონებდნენ ვიღაც დმიტროს „ხეილი კომუნისმას“ კოლმეურნეობიდან. ბოლოს გამო-

ირკვა, რომ დმიტრო შეყვარებულია მელანიაზე და მოქანდაკეს უკვე აღკრ
აკვირვებდა ის გარემოება, რომ ვინმეს შეიძლება ჰყვარებოდა მელანია.

შვენიერი საღამო იყო, ვარსკვლავებიანი. აგრილდა კიდეც გაფრცქელდნ
ლამის ყვავილების გრილი სურნელება.

სადღაც კლუბის ახლოს ზმაურობდა ხმამაღლამოლაპარაკე. დიდი თეატრი-
დან კონცერტს გადმოსცემდნენ.

მელანია მეგობარ ქალიშვილებთან ერთად სადღესასწაულოდ გამოწყო-
ბილი გამოვიდა. სტუმარს უთხრა, ვახშამი მაგიდაზე გაწყობილიაო, მეგობრებს
მკლავში მკლავი გაუყარა და ასე ჯგუფად გაქრნენ საღამოს ბინდბუნდში.
მოქანდაკეს კიდევ დიდხანს ჩაესმოდა მათი ხმამაღალი სიცილი. მან ისიც იფიქ-
რა, რომ ქალიშვილებს შეეძლოთ მასზე ეცინათ. არ შეეძლო დამდურებოდა. ადგა
და, მოქანცული ბორძიკით გაეშურა დასაძინებლად.

მეორე დღეს მოქანდაკე ივან ფეოდოროვიჩთან ერთად ორთვალათი მიემ-
გზავრებოდა.

მოქანდაკე მელანიას ვერც კი დაემშვიდობა. დილას, როდესაც მოქანდაკე
ადგა, მაგიდაზე უცდიდა მას დიეტური საუზმე. თვით ქალიშვილი კი არსად
ჩანდა: სამუშაოზე გაიქცა. იძულებული გახდა დაეკეტა სტუმართმოყვარე
სახლი და გასაღები მწვანე დარაბის უკან დაედო, როგორც ეს წინა დღეს
უთხრეს.

და აი ახლა ის მიემგზავრება, ირწყევა ორთვალაში თავმჯდომარესთან
ერთად. უხერხულია ასე წასვლა, დაუმშვიდობებლად: ისე გამოდის, თითქოს
მიიბარებო.

— ივან ფეოდოროვიჩ, — მიმართა მან თავმჯდომარეს, — არ შეიძლება
ერთი წუთით მელანიასთან მივიდეთ, იქ, სადაც ის მუშაობს??

— როგორ არ შეიძლება? — გამოეხმაურა თავმჯდომარე. — ყველაფერი
შეიძლება! მართალია შემოვლა მოგვიხდება, მაგრამ ეს ძნელი არ იქნება. გას-
წიე, მიშკა, მეორე ბრიგადა გადავიაროთ, — უბრძანა მან მეეტეს.

— ეს რა დაგითვისიათ? — ჰკითხა მან თავმჯდომარეს და მიუთითა მწვანე
ბუჩქოვან პლანტაციაზე.

— არაზისი.

— პირველად მესმის.

— მიწის თხილია — ეს ის არის, თქვენ რომ მოხალულ ჩინურ თხილს
უწოდებთ. ეს, რასაკვირველია, მოხალული არ იზრდება, — რატომღაც დაუ-
მატა თავმჯდომარემ.

ვიწრო გზა ზევით გაემართა, თიხნარ ფერდობებს შორის, რომლებიც ბუჩ-
ქნარით იყო მოფენილი.

წინ, სადღაც, ძალიან ახლოს, გზის პირდაპირ, ლურჯად მოჩანდა ცა,
ზურგში, ფართო დაბლობებში კილომეტრების სიგრძეზე გადაშლილი იყო ქა-
ლაკები, ქვეშ მშვიდად ბრწყინავდა პატარა მდინარე, მის გასწვრივ კი თეთრ
სახლებად შეჯგუფებული სოფელი. აგერ მელანიას სახლიც ფრთიანი დარაბე-
ბით, ის სამხრეთს გასცქერის, ირიბად ბრწყინავს ფანჯრის მინებით, თითქოს
ზურგს უქცევს სტუმარს.

ცხენები აღმართზე აქლოშინდნენ და ყველას ჩამოსვლა მოუხდა. გზის

ნაპირზე მიაბიჯებდა მოქანდაკე და ფერდობებიდან თიხას იღებდა, თითქმის სრესდა მას.

— მდიდარი თიხნარია; — ბუტბუტით მიმართავდა თავმჯდომარეს, — გამოძერწვა შეიძლება.

— ხედავთ, თქვენ კი ერთი ღამე გაათეთ და მიდინართ. მე გულახდილად რომ ვთქვა, ვეგვივდი თქვენი აქ ყოფნის გამოყენებას. ვფიქრობდი, ჩვენი კლუბისათვის თქვენ რამეს ისეთს გააკეთებდით, იცით... რაიმე შედეგს... ჩვენ თიხა უზომო გვაქვს.

მინდორში გავიდნენ და მოქანდაკე მოულოდნელად შეჩერდა.

— მოითმინეთ, — ერთ ადგილას გაშეშდა, — ეს რა არის?

აღტაცებისაგან სუნთქვა შეეკრა. დანახულმა სურათმა წუთით დააბნია და თვალთ დაუბნელდა: ფართოდ გადაშლილ ტრამპალზე ოქროსფრად ბრწყინავდნენ მზესუმზირები. ცის შორეულ კაბადონამდე აღმართულიყვნენ ფაფარაყრილნი, ტანწერწებები, უთვალავნი და ყველანი შესცქეროდნენ თავიანთებურ ციურ გამოხატულებას — მზეს. თითქოს თვითონაც აფრქვევდნენ სინათლეს თავიანთი ყვეთელი მხურვალე გვირგვინებით, და, შეიძლება, სწორედ ამიტომ ირგვლივ ყველაფერი როგორღაც ნათელი, მომჯადოებელი და ბრწყინვალე იყო, როგორც მზის ნაკრძალში. აქ, თითქოს ჰაერიც კი ოქროსფრად ლივლივებდა.

მეტელემ ცხენები შეაჩერა და გულგრილად დაიწყო თუთუნის წევა, თავმჯდომარე კი მოქანდაკესთან ერთად მზესუმზირისაკენ გაეშურა. მხურვალე ყვავილობამ დამათრობლად შთაბერა მათ მსუყე, განუმეორებელი სურნელებით.

— აი ეს მელანიასია, — სიამოვნებით განუმარტა თავმჯდომარემ. — აი, წარწერაც აქვს, წაიკითხეთ. ამის იქით კი სხვებისაა.

მოქანდაკე მოჯადოებული გასცქეროდა სივრცეს, რომელიც ცის კაბადონამდე აღსავსე იყო ნათელთავება მზის ძიობილებით.

— არა, ეს რაღაც არამიწიერია! — ხმადაბლა, მაგრამ აღფრთოვანებული გაიძახოდა ის, — დაუჯერებელიც კი არის, რომ ყველაფერი ეს ასე ბრწყინვალე, სრულყოფილი, ლეთაებრივი წამოიზარდა უბრალო რუხი მასისაგან, მტვერისაგან, მიწისაგან!...

— თვითონ არ ამოსულა, — იხუმრა თავმჯდომარემ, — დარგეს, მოუარეს და, აი, გაიზარდა... ცოცხალი ადამიანები პლუს აგროტექნიკა და პლუს, რასაკვირველია ბუნება. აგერ, სად არიან ისინი, რომლებმაც ყველაფერი ეს გამოძერწეს!

ოქროს პლანტაციების სიღრმეში თეთრ თოლიასავით ამოცურდა ვისილაც თავსახვევი, მას უკან გამოჩნდა მეორე, მესამე...

— გამოძერწესო, ამბობთ?

— აბა, მაშ როგორი ოსტატები არიან! ყოველ საქმეში ოსტატებიც არიან და ასე ვთქვათ, შთაგონებაც არის!

ქალიშვილები მოდიოდნენ მწყრივთა შორის, ნელა უახლოვდებოდნენ ზვას. იქ, სადაც ისინი აღიოდნენ, მზესუმზირებს რაღაც უცნაურობა ემართებოდათ. ჰკარგავდნენ თავიანთ მეფურ მთვლემარე მყუდროებას, მოულოდნელად ცოცხლდებოდნენ, გეგონებოდათ, თვითონვე ატოკდებოდნენ და ერთმანეთის შესახვედრად ისწრაფოდნენ, და, ერთი წუთით კოცნით შეერთებულნი, ხელახლა მიჰქროდნენ სხვადასხვა მხარეს, და ისევ ლალად იცინოდნენ, ცელქურად ქანაობდნენ, ეთამაშებოდნენ მზეს.

— რას აკეთებენ ისინი? — მიმართა თავმჯდომარეს განცვიფრებულმა მოქანდაკემ.

— ოო, განა არ იცით? ხელოვნური დამტვერვა სწარმოებს, რომ, როგორც იტყვიან, ბუნებისაგან წყალობას არ ველოდით!

ქალიშვილთა შორის მოქანდაკემ პირველი მელანია შეიცნო. აი, თურმე როგორია იგი სინამდვილეში! რაღაც სიდიადე გამოსჰქვიოდა ახლა მის გამოხედვაში, მოძრაობაში. კი არ მოდიოდა, არამედ თითქოს მოცურავდა ოქროსფერ სურნელოვან ზღვაში, ამჟყად გამართული, მსუბუქად და რიტმიულად აწყრილებდა თავის ოქროვან ლიტაერებს. მუშაობით გატაცებული, ის, როგორც ჩანდა, სრულიად ვერ ამჩნევდა მოქანდაკეს. მელანიას მისთვის არა სცალოდა მისი სახე შთაგონებით ანთებუდიყო, და, რაღაც ახალი აზრებით განათებული, თითქოს უფრო დაწვრილებოდა, უფრო აზრიანად და გამდიდრებული გამოიყურებოდა, ბევრი ახალი, მოულოდნელი გამონაკრთობი ამშვენებდა მას. საიდან განნდა ეს ზილამაზეც, ხასიათიც და ნაკეთების იდეალური სიწმინდე!..

მოქანდაკემ მოულოდნელად იგრძნო, როგორ აშკარად ახალგაზრდავდებოდა, თუ როგორ უბრუნდებოდა მას ხელახლა უნარიც და ტალანტიც. დაიხსომოს, ჩასწედეს, გამოძერწოს! აი აქ, ახლა, ამ წამში!

— გამარჯობათ, ქალიშვილებო! — შესძახა ცერებზე შემდგარმა თავმჯდომარემ, — ფუტკრები გემდურებიან, ლუკმა პურს რომ ართმევთ!

მტვერი ოქროს ნისლივით დაჰქათქათებებს ქალიშვილებს, ეფინება თავსაკრავებზე, წამწამებზე, წარბებზე.

მღუმარედ შესცქერის მელანია მოქანდაკეს, თითქოს იგონებს, ვინ არის იგი და რისთვის მოვიდა. გამხიარულებული, ბედნიერებით აღვსილი ის ჯერ კიდევ სულ სხვა სფეროში ცხოვრობს, სადაც თავს მეუფედ გრძნობს, სადაც შეიძლება თავისუფლად და ბუნებრივად ეკავოს თავი. ის შთაბეჭდილება, დაძაბულობა მოუქნელობა, რაც ასე აღშფოთებდა მოქანდაკეს წინა დღეს, მთლად გამქრალიყო.

— მელანია, — ბუტბუტებს ის, — მელანია!

და მლეღვარედ მღუმარებს.

ქალიშვილი ღირსეულად ელის, თუ რა მოხდება შემდეგ. თვალები უბრწყინავენ. სურნელოვანი მზესუმზირები ალერსიანად ეკვრიან მკერდზე. მხრებზე.

— მელამკა, — საჩქაროდ წარმოთქვა თავმჯდომარემ, — ჩვენი პატივცემული სტუმარი უკვე მიემგზავრება. მას უნდოდა დაგმშვიდობებოდა.

— არაფერიც არ მინდოდა მე, — მოულოდნელი გადაწყვეტილებით წარმოთქვა მოქანდაკემ. — არსადაც არ მივდივარ, მე აქ ვრჩები. გავხსნი ჩემს სახელოსნოს ამ ცის ქვეშ! გასაგებია?..

მელანიამ მეგობრებს გადახედა თავშეკავებულად და გაილიმა.

— თქვენ უკეთესად იცით!

ჩადგა მელანია ახლა მწკრივებს შორის და ერთი წუთის შემდეგ მისი ჩაფსკენილი, მზით დამწვარი ხელები კვლავ შეეკურდნენ მზესუმზირებში, შეწყობილად ეხებოდა მათ ბადროებს, ქალიშვილური სინაზით, კლასიკური გრაციოზულობით.

მეგობრებმა მიჰბაძეს მას. ისინიც დადგნენ თავიანთ ადგილებზე და შრი-ალა, მხურვალე ტყე ახმიანდა, მზიარული მზესუმზირები ჰკოცნიდნენ ერთმანეთს; ქალიშვილები პლანტაციის საწინააღმდეგო მხარეს გაეშურნენ.

— ჩამოაგდეთ ჩემი ჩემოდანი, — თქვა მოქანდაკემ, ისე რომ ორთვალასაკენ არც კი მიუხედავს, — თქვენ შეგიძლიათ გაემგზავროთ.

ის იდგა მოჯადოებულებით. გაჰქრა ყველაფერი უცხო. ხედავდა მხოლოდ მზესუმზირების ზღვას, თეთრ თავსაკრავს და ხელების არტისტულ მოძრაობას, რომლებიც, რიტმიულად იმართებოდნენ და შეწყობილად აწყრილებდნენ ოქროს ლიტაერებს.

თარგმანი ელიზბარ ზედგინიძისა

უკრაინაში

☆

სოფელში ილიჩის ნათურაში

თუ სტუმრებიხარ ამ მხარეს, ფარჩა-ხავერდით მოფენილს,
გინახავს უკრაინაში ეს მადლიანი სოფელი, —

ახლაც მოდი და გაიგე, გარს რა ნათელი ავლია,
რა სხივებს მოაჩანჩქერებს, რა შზის ქაფქაფა ჰაელიანს,
რა შექი გაუფენია, — მარჯანია თუ ლალია?

ახლაც მოდი და იხილე მინანქარმიმოფრქვეული,
მუდამ სინათლეს, სიმართლეს, მუდამ სიკეთეს ჩვეული.

ეს რა ტოკავს და დუგდუგებს მდინარის სანაპიროზე,
ასთვლიანი შენობა დგას და გარშემო მიმომზერს,
ხან შეაწითლებს ტყე და ხეეს, ხან დაამორცხევს მიმოზებს.

შექმა, აქედან დაძრულმა, ცის კიდე-განი გასცურა.
ღამის სიბნელე წახვეტა: ელვის ფრთად ფაიტკაცუნა.

სხივთა ხელხვევით ილაღეს დაბრუნებულმა მინებმა,
ნავთის ნათურა დაფრთხა და მის ფრთის ქვეშ ძილი ინება, —
საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, სანამ სხვას გაეცინება...

დატყვევებული სინათლე ბრიალ-ბრიალით ჩახჩახებს,
გამოღმა მხრიდან გაღმელებს — მოგილოცავთო, გასძახებს.
შენც, თვალმოკრილო ბერმუხავ, შეცბუნებული ჭახჭახებ!

ზეიმი არი, ზეიმი, ამ ბედნიერი მხარისა,
შეიშრილეს არყებმა და გულმა შეიხალისა,
უკრაინული სიმღერა რეკავს წყრილით ზარისა.

ხმა წამოვიდა გუგუნით, სოფელი შემოიარა,
ძირს მიწა შეადანდგარა, მალლა — ლაქეარდი კრიალა...
ეს ფიცი არი ძმობისა, მარტო სიმღერა კი არა!

ეს დღეობაა ძმობისა, განა ლხინია მარტოდენ?
მდინარე მოაციმციმებს თევზებს — ლიცლიცა ნაფოტებს, —
და, მგონი, დნებრიც საცაა ნაპირზე გადმოაბოტებს.

ტყის შუაგული შეაკრთო დამფრთხალ ფრინველის კრულმა,
 თანვე სინათლის ძახილმა ველ-მინდვრებს გადაუარა: ეროვნული
 — ღამევ, ხომ წამოგაჩოქე, ბიჭი ვუოფილვარ თუ არა! გინგლირთქვა

მან სახლი აიგო



არ დარჩენია უბრალო ნაცარიც მამის კერისა,
 გზა გაიწალდა ვაჟკაცის საკადრის-შესაფერისად.

ომი იყო და ფეხდაფეხ ოღირის ბჭიმდე მივიდა,
 მანაც ამოსწვა წყვედიადი ცის და ხმელეთის პირიდან...

და, როცა სოფლად დაბრუნდა, მკლავით მუხათა მჩეხელი,
 არ დახვედრია სახლ-კარი, არც ავსებული ბეღელი,
 დახვდა საპურე ყამირი უკაფავ-გაუტეხელი.

დახვდა ზღვასავით ლივლივა მინდვრები უკრაინისა,
 ლურჯად მბრწყინავი ლავეარდი, თითქოს კრიალი მინისა.

დახვდა მქშინავი სამკედლო და მოპირული გუთანნი,
 დახვდა წისქვილი პატარა, ნაფერებ-ნასათუთარი.

დახვდა ტყის პირზე მიყრილი, ქერქაუხდელი მორები,
 წიფელა ატოტებული და ღრუბლებს ნაამბორევი,
 იქვე რიყრავის შეჭვივით გადმოშვებული მორევი.

შექანდნენ, მკახე კახკახით კრიალი იწყეს თელვბმა,
 ალბათ თბილ მიწის გულ-მკერდზე ეწადათ ხელის შევლება.

სახლი აიგო ახალი, თალი დაადგა ჩონგურებრ,
 მზემ ჩამოპხედა მალლიდან ბჭეშემალღებულ ქონგურებს.
 კვირტი ასკდებათ ხეხილებს, ეზოს განდაგან მორგულებს.

ცაზე ვარსკვლავნი შემოსხდნენ ლალ-იაგუნდის ნიშნებად,
 ეზოში ქალი მიმოდის ყელყელა, თვალბეგმრება.
 ხეალ ქორწილია, ქორწილი, სუფრა მწვანეში იშლება
 და სიძე-კაცი ჩვენც, ყველას, ამ ლექსით გვეპატიეება.

ის ღრუბელიც...



ტრამპლებიდან დაიძრა ნისლი,
დნებრის პირს ლურჯი ჩამოწვა ლამე,
ვინ ხარ, დიდება არ გეგრძნოს მისი
და ან ჟრუანტლით არ გეთქვას რამე.

გარინდებული ცახცახებს შინდი,
გულდამღღღერელი გამჭრალა გლოვა.
ო, ის ღრუბელიც გაღმისკენ მიდის
და ხელმეორედ აქ აღარ მოვა.

ღუმან არყების თეთრი აფრები,
ღუმს მღორე დნებრი და ლურჯი ლამე.
ნეტავ შემეძლოს ვთქვა ყველაფერი,
უკრაინულად ვიმღერო რამე.

ქეწნების ჩრდილში აინგრა ბინდი,
თბილა და, მგონი, დაიწყოს თოვა.
ო, ის ღრუბელიც გაღმისკენ მიდის
და ამ მხარეზე კვლავ აღარ მოვა.

კიევში ცხოვრობ



შენ აქ ხარ... უკცნობ ვარდების ფენით
მოველ და ვძებნე მე შენი კვალი,
მაგრამ დიდია კიევი ჩვენი
და სად მოგნახო პატარა ქალი!

მაგრამ კიევში სხვაც ბევრი ბრწყინავს,
შენსავეთ ლაღად და მიაშიტად,

არ ვიცი, შენი სად არის ბინა,
სად დაიბუღე თეთრგულა ჩიტმა.

შენ აქ ხარ... ნათელ სინათლის ფენით
მოველ და ვძებნე მე შენი კვალი,
მაგრამ დიდია კიევი ჩვენი
და სად მოგნახო პატარა ქალი!

ველზე შრიალეხს ჯეჯილი



აქ რომ დნებრთან ველი ჩანს, ზედ არყების ჩრდილია,
ზღვად ირხევა ჯეჯილი, პურის მწიფე თაველი, —
ერთგულ ძმებთან მხარდამხარ ბრძოლით გადამივლია,
ბრძოლით გადამივლია მისი ყველა მტკაველი.

მოფრიალე დროშებით მივიწვევდი დასაველით,
გუგუნებდა, გრგვეინავდა მშობლიური გვარდია.
მტერს მინდორიც შეეხა, აქოჩრილი ზღვასავეთ,
რისხვამ, მუშტად შეკრულმა, ურდო მიმოარბია.



ჰმუნვა ამოჰკნობილა, დარდი გათავებია,
 დღეს აქ ოქროს ბუდეა, ოქროს ცისარტყელები.
 მის დაღარულ-ნატყვიარ მკერდზე თავთავებია,
 შვისკენ რომ გაუწვდიათ პაწაწინა ხელები.

ველო, ველო ბიბინავ, განთიადი გეწვია,
 ფხვიერ მკერდზე ბარაქა ნამჯის ძნებად გროვდება...
 და თუ წარსულს იგონებ, ბრძოლის დღეებს ცეცხლიანს,
 ერთი ბიჭი ქართველი, ვიცი, მოგაგონდება!

დნებრის ნაპირზე აპაქი მღერის



მე, უკრაინის მიწაზე მღგარი,
 ეხარობ, ღიმილით გავყურებ ქალაქს,
 ძირს მინანობს მდინარე წყნარი
 და ვერცხლის ზოლით ნაპირებს
 რკალავს.

ვთქვი: გამარჯვება, ქალაქო ჩემო,
 ჩემო ტკბილო და კეთილო ფუძევე!
 მერე ხეივანს ავეყვი ზემოთ,
 მაგრამ უმაღვე შეეჩერდი უცებ.
 თითქოს წამოდგა ყოველი ჩირგვიც,
 თითქოს ვმაღლდები და ფრთები
 შესჩმის, —

აფრქვევს ნაცნობ ხმას რადიო ირგვლივ
 და გაძლულუნებს აკაკის ლექსი.
 აი, ურღვევი კავშირი ძმათა
 და მეგობრობის ნიშანი სათნო:
 ქართულ სტრიქონებს რადიო

ფანტავს
 და უკრაინის შვის შუქში აღნობს.
 რა ხმა, რა ბგერა, რა სიტყვა
 ვძებნო?
 გულში სტრიქონთა შეგუბდა ჩქერი...
 ამაზე მეტი რაღა ვთქვა, ძმებო, —
 დნებრის ნაპირზე აკაკი მღერის!

მაშინ პირველად



როცა ბრძოლათა ავარდა ჭლი,
 ქალაქს ავხსენით როცა კარები,
 მაშინ პირველად მე დნებრის წყალი
 დავლიე თრთოლვით და მღელვარებით...

ალბათ რომ ვნახე ის კვლავ ასეთი,
 რომ კვლავ პირვანდელ გზაზე წავიდა,
 ალბათ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი
 და მეგობრობა გვექონდა თავიდან.

ალბათ იმიტომ, მისი ჰაერი
 რომ მომაგონებს ქართლის ბუნებას, —

და ეს მდინარე ფირუზნარევი
 გულზე თაფლივით მესალამუნება.

ალბათ იმიტომ, ჩვენი შვის მსგავსი,
 მისი შვის შუქი მხრებს რომ აღნება,
 ალბათ იმიტომ, რომ ის დღე მახსოვს,
 როგორც მეორე რამ დაბადება.

როცა ბრძოლათა ავარდა ალი,
 ქალაქს ავხსენით როცა კარები,
 მაშინ პირველად მე დნებრის წყალი
 დავლიე თრთოლვით და მღელვარებით.



თვალს ახელს აპრილი



გავხედე და შტქში ნაპირი, —
დინჯ დნებრის აქეთა მხარე
ჰყვავოდა და თეთრი აპრილი
ფოთლებში ახელდა თვალებს.

ის ძეწნაც. — გაშლილი მანდილი, —
შემომხედა და მიცნო, ვიცი,
შორი გზა კვლავ თვალწინ გადივლის,
ხსოვნაში დაიწყებს ციმციმს...

მე მახსოვს, ჩავხედე თვალებში,
მან იგრძნო უსიტყვოდ თქმული.

ო, დნებრი, — დედური ალერსით
გამთბარი კრიალა გული.

მე ვხედავ არყის ხეს გადახრილს,
გულში მაჭვს მე მისი სითბო,
კიევი — შშობელი ქალაქი
და დნებრი — რიონი თითქოს.

ნისლშია მდინარის ნაპირი
და მწვანე ხავერდი ფარავს.
შეხედე, მობრძანდა აპრილი
და იქსოვს ვარდების კარავს.

ელსადგური



აქ, მახსოვს, ჩრდილი სცემდა ყორანთა,
ზუოდა ტყვია, თავგამეტებით,
გადამწვარ ველზე კვამლი ბოლავდა,
არყების ტყეში — ცეცხლის სვეტები.

ნაკობარზე იწივლა ნაღმმა,
გადაიქროლა ველურ ხარხარით
და წყალამომშრალ მდინარის გაღმა,
ყვავივით დაღვა ნამოსახლარი.

ხედავ, რიერაჟი აენთო ისევ,
ცისა და მიწის დასალეირთან, —
და ვით ლავევარდი ღრუბლისგან, ისე
მიღამო მტრისგან დაცარიელდა.

იელვა, წყვდიადს მიატყდა ბრკყალი,
წინ გზა გადევტრა სისხლის წვიმათა.

დაქრილ ტრამალზე მზეს დარჩა თვალი,
და ელსადგური ამოიშართა.

მდინარის პირად ბუჩქნარი იწვის
და მათი ქება გაქუხს მთა-ბარად, —
ვინაც პატარა ამ ნაქერს მიწის
თავისი მკერდი გადააფარა.

ამ ტრამალისთვის დაეცნენ მაშინ,
დგანან, ცოცხლობენ ტრამალთან
ერთად. —

და მოგუზგუზე მოტორთა ხმაში
ისმის იმათი გულები ფეთქვა.

აი, ამავრებს აგურს აგური,
ნაპირთან ბინა უნახავთ კადრებს.
რომ ომი არა, ეს ელსადგური
ამენდებოდა ოთხი წლით აღრე.



ბარათი გზიდან



დადის ზაფხული მხარით მხარემდი
ტყბილ ყრიაშულით, მზით და ბარაქით.
განა მე კიევეს შევიყვარებდი,
რომ არ გიყვარდეს ჩემი ქალაქი?
ქვევით ზღვა დელავს იუ პურის ყანა?
ფირუზის ზეცა მიმზერს ზემოდან.
შევიყვარებდი მე ჩვენს დნებარს განა,
როინი რომ არ შეგყვარებოდა?

ამ გზებს. ამ ველებს მწვანე ხავერდით,
ტყეებს, წყაროებს ჩვეულ წყარუნით.
განა ოდესმე შევიყვარებდი,
რომ არ შეეძლოს გულს სიყვარული?
და, რადგან ტრფობა გვათბობს ამგვარი,
ძმობის კვირტებმა უფრო იყარონ.
ვინ გაიკვირვოს, შენი სახლ-კარი
ჩემ სახლ-კარივით რომ შევიყვარო?!

ეფემებიან ხელისგულებით



დგანან არყების რიგი და რიგი,
ნორჩი ძეწნების წყება ულევით
და სამო საფლავს ეკვრიან ირგვლივ.
როგორც ცოცხალი თაიგულები.

წარწერა თბილი და გრძნობით საესე...
მიდამო მწვანე ხავერდში მუდამ...
ლამით ვარსკვლავნი ჩნდებიან ცაზე,
რომ მის გარშემო ჩამოსხდნენ გუნდად.

სათნო და სუფთა პირველ თოვლივით,
ტყისპირს ანათებს მთვარის ნამლევი,

და დასცქერს ბალი, ცეცხლგამოვლილი,
საფლავს. მადლობის მთქმელი
თვალეზით.

ხომ თავი დადეს ძმებმა დეიძლებმა,
ხომ ყველას მეკრდზე აჩნდა იარა...
და დაიძინეს გაულევიძებლად,
რომ ამ ბუნქნარებს სულ ეშრილათ.

ძეწნის ხეები დახრილან დაბლა.
არყის ხეების წყებაც ულევით, —
და მათ გადამრჩენ ვეკაცთა საფლავს
ეფერებიან ხელისგულებით.

ფანჯრის ჩარჩოდან



ტანაყრილ ბუნქებს ნიავი ქორჩავს
და ჩანხრიალებს ბარს ნაკადული,
ფანჯრის ჩარჩოდან ბუნება მოჩანს,
როგორც ეკრანზე გადახატული.

ცად ავარდნილი ძეწნები, თანაც
არყის ხეების მკრთალი ჩრდილები,

ფანჯრის ჩარჩოში იმგვარად დგანან,
როგორც ეკრანზე აღბეჭდილები.

გაიფრთხილეს შარაზე დებმა,
ბალებში ჩარბის მათი კრებული, —
და ქვევით, ქვევით ტრამალი წნდება
ზეცის თეთრ ზოლთან შეერთებული.

ხრის რტოებს ძეწნა—მწვანე მანდილებს,
ჩამორბის ერთი ქალიც ზემოდან...
ვიდექ, დიადი ეს სინამდვილე
ეკრანზე ნახულს ემსგავსებოდა.

აბიზინებულ პურის ყანაზე
კურავდა გამდნარ ოქროს მორვევი.

ევგონობდი, ცხოვრება და სილამაზე,
რომ ერთად დგანან განუშორებლად.
გინგლირთეჲჲ

ფიქრი თან აჰყვა ასაფრენ სტრიქონს,
შეაეციმციმეს დღე აღმასებმა.
ეთქვი: ლამაზია ცხოვრება თვითონ
და არ სჭირდება შელამაზება.

მეისრა



როცა ხანძარი გაჩნდა მეორე,
კვამლმა დაძვარა ლავეარდის სარკე,
იგი ნაღმავდა მტრის ეშელონებს
და აგზავნიდა უფსკრულისაკენ.

იყო წვიმა თუ ქარი და ბუჭი,
თან ახლდა სითბო და სიყმაწვილე,
და ნაცნობ, მწვანე ფარნების შუქით
მიაცილებდა ჩვენს გმირ არწივებს.

მატარებელი ქროდა ელვისებრ,
თითქოს ნამდვილი ფრთები მოისხა.—
და მისძახოდა გზიდან მეისრე:
გზა მშვიდობისა!... გზა მშვიდობისა!...

მერე მაისმა ინათა, როცა
დნებრმა მზრებიდან გადიძრო ნისლი,
და ვით ომის დროს, მშვიდობის დროსაც
არ იმრუდებდა ისარი მისი.

ახლა ტყისპირ რომ სახლია ერთი,
მისი ბინაა და სამყოფელი,
ყველა გამვლელი აღხენს და შეტრფის
ბარაქით სავსე მთელი სოფელი.

მის ღიმილს დარდი ველარ შებინდავს,
მის თმას თოვლისფერს არხვეს ნიაევი,
ხე-ტყით დატვირთულ ვაგონებიდან
გაულიმებენ ლურჯალმიანნი.

მიაქვთ ფოლადი, მიაქვთ ნახშირი.—
და ვაგონები ქუხს უმაღესი...
ჩაიქროლებენ და გულგაშლილი
ვადმოხედავენ მოხუცს ალერსით.

მატარებელი მიქრის ელვისებრ,
თითქოს ნამდვილი ფრთები მოისხა.
და კვლავ მისძახის გზიდან მეისრე:
გზა მშვიდობისა!... გზა მშვიდობისა!...

ოქსანა



დილა იყო.

ოსტაპი ნელი ნაბიჯით მიდიოდა მშენებლობისაკენ.

შორიდან ესმოდა მანქანების ხმაური, ადამიანთა შეძახილები. გუშინ იქ ტრაქტორებმა და ბულდოზერებმა ხეები ამოძირკვეს. დღეს სხვა მანქანებთან ერთად მიწისმთხრელი მანქანებიც მუშაობდნენ. დნებრის ნაპირზე ოცი კაცი-საგან შემდგარი გეოლოგიური ჯგუფი მიწას თხრიდა. ისმოდა წერაქვების წკაპუნის, ბარების ხრამუნის, საბურღავი ჩაქუჩების ღმუელი.

ოსტაპის ყურადღება ახალგაზრდა კაცმა მიიპყრო.

„ეს არის ალბათ ის ქართველი მეცნიერი“, — გაიფიქრა ოსტაპმა და გზიდან გადაუხვია, უცნობისაკენ გაემართა. ახალგაზრდა მეცნიერი თვითონაც მუშაობდა. მის ირგვლივ მიწით, სილით და ხრეშით სავსე პარკუჭები ელაგა. უცნობი ისე იყო გართული თავისი საქმით, რომ ოსტაპის მოახლოვება ვერ შენიშნა.

— გამარჯობა, ძმობილო! — მიესალმა უცნობს ოსტაპი.

— გაგიმარჯოთ, ამხანაგო!

სადამოს ნისლში შებურვილი დნებრის ტალღები ნაპირს ეხეთქებოდნენ, მარგალიტისფერ ჩინჩხლებს ესროდნენ და მშვიდად უკან ბრუნდებოდნენ. ახალგაზრდა მეცნიერს რეზინის ჩექმები ეცვა.

ახლა იგი თვითონ შესცქეროდა ოსტაპს და თან ტანსაცმელზე მიწინწყლულ მდინარის შხეფებს იწმენდა.

ოსტაპი გააკვირვა ახალგაზრდის ვაკეაყურმა სილამაზემ.

— ეძებთ? — ჰკითხა ოსტაპმა.

— დიახ, ამ დილით დავიწყეთ.

— თუ მართლა გამოდგა ბეტონისათვის ეს მიწა, მაშინ თავი ქუდში გვექნება.

— ვნახოთ, ჯერ ვერაფერს გეტყვით.

ოსტაპი მოშორებით რამდენიმე კაცი პატარა ქაბურღილს თხრიდა. ისინიც პარკუჭებში ყრიდნენ ნიადაგის ნიმუშებს, თავებს უკერავდნენ პარკუჭებს და ინახავდნენ. ოსტაპი უფრო ახლო მივიდა უცნობთან, ამოღებულ ნიმუშებს ისე დაუკვირდა და ჩაფიქრებით თქვა:

— თქვენ დიდ საქმეს აკეთებთ, მეგობარო, — მიმართა ოსტაპმა, — მიცნობდეთ, მე ინჟინერი გავრილენკო ვარ, ოსტაპს მეძახიან. ბეტონის სადღვევ ქარხანას ვხელმძღვანელობ. თქვენი საქმით ძალიან დაინტერესებული ვარ.

ახალგაზრდა მეცნიერი წელში გაიმართა. რეზინის ხელთათმანები გაიძრო, ოსტაპს პირდაპირ შეხედა, რატომღაც მის ჩაცმულობას დაუკვირდა და დიმილთი ჩაილაპარაკა:



— დიახ, გეტყობათ, რომ ბეტონის სპეციალისტი ხართ.

ოსტაპმა უნებლიეთ ტანზე დაიხედა, მასაც გაეცინა. მის ტანსაცმელზე შეკირთულიყო ცემენტის მტვერი, რომელიც ალაგ-ალაგ მატყლის მოჩანდა.

კახოვის ხარაჩოებიდან სქელ ნისლში უხარმაზარი მანქანები ჩანდა. მათი ხმაური ახლო მომუშავე სხვა მანქანების გამო არ ისმოდა. საღამოს სქელი ნისლი შეთხლებულიყო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მანქანები ნისლსა თუ ორთქლს გუბთა-გუბთად ერეკებოდნენ.

ფაფუკ ნისლში ოსტაპი კარგად ამჩნევდა ჟირფიფით კისერწაგრძელებულ ამწეებს. ტრანსპორტიორებს, ბულდოზერებს და სკრეპერებს.

— მეც იჩეინერი ვარ, — თქვა ახალგაზრდამ წყნარად, — ბეტონის საქმის მუშავი, არჩილ ჩარქსელანი.

— ოჰო, — აღმოხდა ოსტაპს. — ვიცი, ვიცი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან ხართ მოვლინებული. კეთილი, კეთილი. თქვენ სტუმარი და ჩვენ მასპინძელი!

მდინარეზე ნავეები მოსრიალეებდნენ. შიგ მსხდომი ახალგაზრდები ოსტაპს ხელს უქნევდნენ და უძახოდნენ:

— ოსტაპს გაუმარჯოს, ჩვენს ოსტაპ ბუღბას!

არჩილი ამ სიტყვებმა გააკვირვა, სხვა გვარი რატომ მითხრაო, გაიფიქრა. ოსტაპი არჩილისკენ შემობრუნდა და უთხრა:

— არ გაგვიკირდეთ, შერქმეულ სახელად მეძახიან ბუღბას. საამისოდ მიზეზიც აქვთ. ამაზე სხვა დროს მოგიყვებით. ისე კი. იცოდეთ, ჩემი გვარი ნამდვილად გავრილენკოა.

ნავეები ისე შორს წავიდნენ, რომ ნიჩბების ტყალაშუნიც აღარ ისმოდა. არჩილმა არაფერი თქვა. იგი მიხვდა, რომ ახლად გაცნობილი არ ტყუოდა. მისი გვარი ნამდვილად გავრილენკო იყო.

მოულოდნელად, თითქოს ქარმა ტალღებიდან ამოაფრინაო, მდინარეზე პატარა ნაღვი გამოჩნდა. შიგ მხოლოდ ერთი მენავე იჯდა. ნაღვი საოცარი სისწრაფით მოაპობდა ტალღებს. მიმართულება იქით ჰქონდა, სადაც ოსტაპი და არჩილი იდგნენ.

არჩილი გაოცდა: მენავე ქალიშვილი აღმოჩნდა.

— ოსტაპი! — ყვიროდა ქალიშვილი წკრიალა ხმით, — შენ გეძებთ.

ოსტაპი თვალს არ აშორებდა მოსულს. გოგონა მან შორიდანვე შეიცნო. არჩილმა იგრძნო, რომ ოსტაპს ოდნავი მღელვარებაც დაეტყო.

მენავემ ნაღვი ნაპირზე გამოაცურა. ქალიშვილმა ნიჩაფი ტარით მკვირცხლად ჩასო სილაში და ნავის ცხვირიდან ბაწარი გამოათრია. ერთი წვერი ნიჩბის ტარს მოახვია, მეორე — ნავის ცხვირზე მიმაგრებულ რკინის რგოლს ბაწარი მარყუჟად შეჭკრა.

ქალიშვილს სქელი ტილოს შარვალ-ხალათი ეცვა. ორი შავი ნაწნავი უკან გადაეყარა. ნიჩბით ნაშხეფი წყლის წვეთები თმაზე და სახეზე მარგალიტებით დაფრქვეოდა.

არჩილი მოსულს დააკვირდა, მიხვდა, რომ სწორედ ამ ნაწნავებმა მოატყუეს იგი. ქალიშვილი ახლა ოცდაშვიდ-ოცდარვა წლის დასრულებული ქალი ჩანდა და არა თექვსმეტის, როგორც მას წელან მოეჩვენა.

— ოსტაპ! ბეტონის ავტომატური ქარხანა გაჩერდა. რაღაც გაუფუჭდა. შენი თვალი და ხელია საჭირო. უნდა წამოხვიდე.



— ბევრს თვალი როგორ აქვს? — შეაწყვეტინა სიტყვა ოსტაპმა.

— ეჭიმთან მყავდა. მითხრა, სიწითლე მალე გაუვლისო. საყმაწვილო-ყოფილა. წამალი კი მაგარი ჩაასხეს.

— აეწვა?

— ძალიან!

— მანქანა როდის გაჩერდა?

— ნახევარი საათია.

ოსტაპი ჩაფიქრდა და მერე შეშფოთებული შეხედა ქალს.

— აქამდე სად იყავი? — კითხა მწყურალად, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ქარხნიდან აქამდე ნახევარ საათზე ადრე ჩიტყ ევრ მოფრინდებოდა. უხერხულად ჩაახველა. უცებ არჩილისკენ მობრუნდა:

— გაიცანით, ჩემი მეუღლეა, ოქსანა ჰქვია. ეს კი ქართველი ახალგაზრდა მეცნიერია, — მიმართა მან ოქსანას, — ბეტონის საქმის ოსტატი.

ოქსანა გულსყურით უსმენდა ქმარს. იგი ნელა შემობრუნდა არჩილისაკენ. მზით დამწვარი, მაგრამ ქალური ნაზი ხელი უბრალოდ გაუწოდა.

— ბეტონის საქმე ცოტა მეც მესმის, თუმცა მეცნიერებიდან შორსა ვარ. ოსტაპმა ეშმაკურად გაიღიმა:

— ჰო, მართლა, ამხანაგო არჩილ, დამავიწყდა მეტქვა, ოქსანა ბეტონ-მღლებდავების ბრიგადირია. შეიძლება ზოგიერთ რამეში შეგედავოს კიდევ.

ოქსანა გაწითლდა. მან ქალური კდემამოსილებით, მაგრამ ოდნავ მკაცრად, უთხრა ქმარს:

— ნუ დამცინი, ოსტაპ!

ამ დროს უკუქცეულმა ტალღამ ისე მაგრად მიიზიდა ნავეი, რომ სილაში ჩასობილი ნიჩაბი გადახნიჭა. ნავეი წყალში შეცურდა.

ოსტაპმა დნეპრს დაკვირვებით გახედა.

— ქარი ძლიერდება, ოქსანა, უნდა ვიჩქაროთ. თქვენ კი, ამხანაგო არჩილ, ჩვენთან უნდა შემოიაროთ. ერთი კარგი აზრი მინდა გაგაცნოთ. აი, ჩემი მეუღლეც მოგვეხმარება. მან ბეტონის საქმე კარგად იცის.

მოძალებულმა ქარმა წყლის ტალღა ნაპირზე ამოისროლა და არჩილს ფეხებში შეატბორა.

მდინარეზე ნავეები ახლა ხშირად დაცურავდნენ. ზოგი ზემოთ, კაშხალისაკენ, დატვირთული მიემართებოდა, ზოგიც ცარიელი უკან ბრუნდებოდა. საჭირო იყო ბეტონის უთვალავი კუბომეტრები. ქარხანას მთელი სიმძლავრით უნდა ემუშავა, მასალა კი ასეულ კილომეტრებით იყო დამორებული საამშენებლო მოედანს. მშენებლები დიდ გაჭირვებაში იყვნენ. ამ მიზეზით ბეტონის ქარხანა რამდენიმე დღით შეჩერდა კიდევ. მშენებლებმა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობეს ეს ამბავი.

ოსტაპი ნავეში დაფიქრებული ჩაჯდა, ოქსანა კი ნაპირიდან ნავის ცხვირს ნიჩაბით მიაწვა. ნავეი მსუბუქად ატიუტივდა. ოქსანა მოხერხებულად ჩახტა შიგ და ქმრის გვერდზე დადგა. ოსტაპის ახლოს იგი ისევ გოგონას ჰგავდა. მისი თავი ოსტაპის უზარმაზარ ბეჭებს ძლივს სწვდებოდა. შავი წამწამების ქვეშ დიდი ლურჯი თვალები ქმარს სიყვარულით შეჰყურებდნენ.

ისევ ახლოს ჩაიჭროლეს ნავეებმა.

— ოსტაპს გაუმარჯოს, ოსტაპ ბულბას, — ისევ მოისმა ნავეებიდან.

ქარი თანდათან ძლიერდებოდა. დნეპრის ზედაპირზე იგი ახლა ისე მოშხულოდა, თითქოს ზემოდან საფანტს ჰყრიდნენ წყალში. ნისლი სრულიად გაი-

ფანტა. წერილი კრიალა ვარსკვლავები მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდნენ დნეპრის სიღრმეში, როცა ქარი ერთი წუთით მიუეჩნებოდა, სულს მოეფრებოდა.

„ოსტაპ ბულბა!“ — გაუელვა ამ სიტყვებმა არჩილს და უნებლურად დაეღწია ბავშვობა გაახსენდა. ზემო სევანეთში, მესტიაში, შრომის სკოლაში სწავლობდა მაშინ.

მასწავლებელმა ივანე მარგინამა წაუეთხა „ტარას ბულბა“.

მერვე კლასის მოსწავლეები მერბებზე ვერ მაგრდებოდნენ. საოცარი გავლენა მოახდინა წიგნმა. წაკითხვის შემდეგ როლები უკვე განაწილებული იყო. ყველაზე მკლავმაგარმა ბექნუ ხერგიანმა თავი ტარასად გამოაცხადა, არჩილს ოსტაპის როლი შეხვდა. ანდრეის მაგოვრად კი ვერავინ გამონახეს. ბექნუ მაგარი ბიჭი იყო. მთელი კლასი მოწიწებით ეპყრობოდა, მისი სარმა და მოგვერდი განთქმულა იყო ტოლებში. სწავლითაც კარგად სწავლობდა. ეს აორკეცებდა მისდამი პატივისცემას. ბექნუმ ჯერ დაშინებით მოინდომა ტოლების თავის ნებაზე დაყოლიება. ვერაფერს გახდა.

გახელებული ჰაბუკი მერე ხვეწნით ეუბნებოდა ყველას:

— ჩვენ ახლა როლებს ვთამაშობთ, მართლა კი არ დაემგვანებთ მოღალატე ანდრეის.

ვერც ხვეწნამ და ვერც მუქარამ ვერ გასტეხა ახალგაზრდობის სიჯიუტე. მაშინ ბექნუმ სხვანაირ ხერხს მიმართა.

— ეს მაშინ თუ ნახავდი უკრაინაში ერთ-ორ სუსტი ნების ახალგაზრდას, თორემ, დედას გეფიცებით, ჩვენი ტოლები ახლა სუყველა კომკავშირელები არიან, პანის ქალიშვილის გულსთვის სამშობლოს კი არა; დნეპრის ერთ წვეთ წყალსაც არ გაიმეტებენ. მოდი, ითამაშეთ.

არც ამ ეშმაკობამ გასჭრა. მაშინ ბექნუმ გამოაცხადა:

— მოდი მარტო ის ვითამაშოთ, როგორ შეხვდა ტარასი სასწავლებლიდან დაბრუნებულ შვილებს.

ამის შემდეგ ბექნუ და არჩილი მთელი საათი ერთმანეთს ზელავდნენ მუშტებით.

ამ მოგონებაზე არჩილ ჩარქელანს სახეზე ღიმილი მოუვიდა. იმან ისევ გახედა დნეპრს და ძლივს შენიშნა ნავი. იგი, თოლისავით ფარფატებდა დნეპრის ზედაპირზე.



არჩილ ჩარქელანის ბინა თიხის ჭურჭლების სახელოსნოს ჰგავდა. შუშის ქილებში ნიადაგის ფხვიერი, მრავალფეროვანი ნიმუშები ეყარა.

ტილოს პარკუქებში და ქილებში მოთავსებული სხვადასხვა ფერის ქვის ნატეხები თუ ხრეში თაროებზე ელაგა.

ოთახის შუა ადგილას პატარა ბეტონსადლეები მანქანა იდგა. არჩილი დაუღალავად მუშაობდა.

იგი ცდებს ახდენდა. სხვადასხვა ზომისა და წონის ნიადაგის ნაწილებს ერთმანეთში ურედა. მიღებულ ფაფისებურ ხსნარებს თუნუქის პატარა კოლოფებში და ქილებში ასხამდა და თაროებზე გასაცეხლად ალაგებდა.

ოსტაპი და ოქსანა ახლა არჩილთან მუშაობდნენ.

საქმე თანდათან ფართო ხასიათს იღებდა. ოქსანა ბეტონის დღეების უბაღლო ოსტატი გამოდგა. ოსტაპის რჩევით ყოველ კვირას მის ბრიგადაში იმართებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ახალგაზრდები პირველად მორცხვად, შემდეგ კი გატაცებით ჩაებნენ საქმეში.

ყოველ დღე მოქპონდათ დნეპრის ნაპირიდან საესე პარკუჭები; ერთმანეთში ურევდნენ სილას, მიწას, ხრეშს, სინჯავდნენ, აკვირდებოდნენ, ამოწმებდნენ. დაკვირვებები თუ ცდები ხშირად კამათსა და შეხლა-შემოხლას იწვევდა.

— იცით, რა ემჩნევა ამ მასალას? — ამბობდა ოქსანა და რომელიმე ნარევეზე მიუთითებდა, — გამარობის დროს წებოვანობა ეტყობა, ერთმანეთს რკინა-მაგნიტით იზიდავენ. გაცივების შემდეგ უფრო მაგრდება. მეორე კი, პირიქით, უცებ ცივდება და იყვრება, მაგრამ შემდეგ მალე იფშენება, მისი ნაწილები ერთმანეთს არ იზიდავენ. ორივეს თვისება რომ ერთმანეთს შეუღლოს, მაშინ...

არჩილმა იცოდა, რომ სწორედ ეს იყო საჭირო, მაგრამ მთელი სიმძნელე ამაში იყო. ოსტაპი ჩვეული სიღინჯით უსმენდა მათ კამათს. სქელი თაფლისფერი თმები მჯილით გადაჰქონდა უკან. ვეება ბეჭებით თაროებს მიადგებოდა, ქალებსა და პარკუჭანებზე მიწერილ თვისებებს იხუპირებდა. ხანდახან იგი მთელი საათობით გადაიკარგებოდა და, როცა აღარაფერი არ ელოდა, მაშინ შემოვიდოდა; თან ახალ-ახალი პარკუჭები მოჰქონდა.

ერთ დღეს ოქსანა და ოსტაპი მთელი დღით დაიკარგნენ. არჩილი იმ დღეს გარეთ ვერ გამოვიდა. უნდოდა ხრეშის და სილის ანალიზები დაესრულებინა. საღამო იყო, როცა ოქსანა და ოსტაპი ოთახში შემოვიდნენ.

— დნეპრის ნაპირები მთლად გადაებურღეთ, თუ ესეც არ გამოდგა, არ ვიცი, რა ვიღონოთ, — თქვა ოსტაპმა და მიწით საესე პარკუჭები მაგიდაზე დაყარა.

როგორც კი პარკუჭები გახსნეს, არჩილი დასწვდა გაფხვიერებულ მიწას. ნიადაგი ნაცრისფერი გამოდგა, ბუნებრივი ცემენტის მსგავსი. ხელში მსუყე ჩანდა. თითქოს ვინმეს ზეთში მოეზილოს იგი და მერე მზებზე გაემროს.

არჩილმა პეშვით ნიადაგი აიღო, სინათლეზე მიიტანა. ტყვიისფერ ნიადაგის ზედაპირს სინათლემ ბზინვარება მოუმატა.

— მეტისშეტად ბრწყინავს ეს ნიადაგი, — თქვა არჩილმა.

— მე მგონია, სწორედ ეს ფერი იძლევა კარგ ნიშანს, — უთხრა არჩილს ოქსანამ.

ოქსანას ბრიგადის წევრი ვასილუკ კიპარენკო ბრიგადაში ყველაზე ახალგაზრდა იყო. ხეტორში რვა კლასი დაამთავრა თუ არა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გული და თვალი ამოუკენკა — მშენებლობაზე გამიშვიო. თავმჯდომარე პირველად უარზე იყო, მერე იძულებული გახდა, თავისი ცხენით ჩამოეყვანა კახოვკაში.

ერთი კვირის შემდეგ მისი გვარი და სახელიდან გოგონებმა და ბიჭებმა მხოლოდ „პარენკო“ დატოვეს. ახლა მას არც ვასილუკ ეძახდნენ და არც კიპარენკოს. მთელ მშენებლობაზე „პარენკოს“ ეძახდნენ და ასე იცნობდნენ. შავი თვალები ჰქონდა, თმას ყოველ მეხუთე დღეს იპარსავდა. მართალია. პირში ვერ უბედავდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ პარენკო ორი მიზეზის გამო იპარსავდა თავს. მშენებლობაზე ახალგაზრდები ყოველ მესამე დღეს

სამართლებლით ილამაზებდნენ სახეს. პარენკოს ჯერ არც წვერი ჰქონდა და არც უღვაში.

როცა ბიჭები პირს გაიპარსავენ, პარენკოც დიდი კაცოვით შემოვიდა ოთახში და შებოხებული ხმით იტყოდა:

— ისე გამპარსა ოხერმა დალაქმა, კანი გადამატყავაო.

ეს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მას, და ბიჭებიც იღიმებოდნენ. მეორე ის იყო, რომ მშენებლობის უფროსი სულ სამართლებლით იპარსავდა თავს.

ყველამ იცოდა, რომ პარენკოს ფიჭრები იქით იყო მიმართული, როგორც უფროსს დამგვანებოდა.

უფროსის შემდეგ პარენკოზე ოქსანას ჰქონდა დიდი გავლენა. სულ მის გვერდში უნდოდა ყოფნა. ოქსანაც უმცროს ძმასავე უვლიდა. ცდილობდა, მისგან ნამდვილი თანამედროვე ზაპაროვიელი დამდგარიყო. სალამოს მოზრდილთა სკოლაში შეიყვანა. კომკავშირში რეკომენდაცია თვითონ გაუწია. ოთახიც ახლოს უშოვნა.

როცა ოქსანამ უკანასკნელი სიტყვა თქვა, პარენკო ახლად თავგადაპარსული ოთახში შემოვიდა.

ოსტაპმა შეხედა მას და ღიმილით თქვა:

— ეს მიწა პარენკოს თავივით ბზინავს, ე. ი. არ ივარგებს.

ოქსანას სიცილი წასკდა. არჩილმა შეატყო, რომ ჭაბუკი ოქსანას სიცილმა გააოგნა.

— პირიქით, ბრწყინვალეობა კარგი თვისებაა, — ნელა ჩაილაპარაკა მან.

პარენკო მიხედა, რომ არჩილმა მის შესახებ კარგი თქვა და გაიღიმა.

ოქსანა ადგა და პარენკოს მიუახლოვდა.

— იცი, პარენკო, სად ვნახეთ ეს მასალა?! „რუხი ყურღანის“ ტაფობში. ხომ იცი, შენი საყვარელი ადგილი რომ არის.

ჭაბუკი გაკვირვებით მიაჩერდა ოქსანას. პირველად ვერ გაიგო, რა მასალაზე და მიწაზე ამბობდნენ ისინი, და იკითხა:

— რომელი მიწა?

— აი, ეს მიწა, არჩილს მოსწონს, ის ოსტაპმა მონახა.

პარენკო ოსტაპს მიაჩერდა. ოსტაპმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ეს ყურღანი სწორედ პარენკომ გამახსენა გუშინ. მე მისმა სახელწოდებამ, „რუხი ყურღანი“, ჩამაფიქრა. ხალხმა მას ეს სახელი დაარქვა. მიწაც რუხი ფერისაა. ფერით კი ბევრი რამ შეიცნობა ამქვეყნად. ჩვენმა პარენკომ ახსენა გუშინ „რუხი ყურღანი“. მეც დავინტერესდი და ოქსანასთან ერთად წავედი. მოლოდინმა თუ გაამართლა, პარენკოს ჯილდო ეკუთვნის.

— მე რა შუაში ვარ, მე ისე ვახსენე იგი, შენ კი საქმე გაგიკეთებია. — თქვა პარენკომ.

არჩილი ზეზე წამოდგა. ოქსანა კი აღზნებით უყურებდა ქმარს. მისი თვალები ელნათურის შუქზე ლურჯად ბრწყინავდნენ და კაშკაშებდნენ.

გაღებული ფანჯრიდან დნებრის გრილი ნიავი ქროდა. სახლის წინ ახლად დარგული არყის ხეები ირხეოდნენ. ისინი რბილად შრიალებდნენ სიბნელეში. შორიდან ისმოდა მატარებლის ხმა. ახლახან გაყვანილ რკინიგზაზე ფედოროვიკიდან კახოვის ახალ სადგურს ტვირთშიმე ეშელონი უახლოვდებოდა. დნებრიდან უკრაინული სიმღერა ისმოდა. ყური მიუგდო არჩილმა. გატაცებით უსმენდნენ ოსტაპი, ოქსანა და პარენკო. გათავდა სიმღერა და სიჩუმე ჩამოვარდა.

ოქსანამ ქმარს მხარზე მიადო თავი და წყნარად თქვა:

— ოსტაპ, გახსოვს, ჩვენ რომ ქართული სიმღერა „ლილე“ მოვისმინეთ? არჩილი გაოცებული მიაჩერდა ცოლ-ქმარს.

— ჰე, არ ვიცოდი, თუ თქვენ ჩვენი სიმღერები იცოდით, — გაიკვირვა მან.

— ჩვენ, არჩილ, ისიც ვიცით, რომ ეს სიმღერა თავისუფლების მოყვარულთა სიმღერაა. ჩვენი და თქვენი წარსული ერთმანეთს ჰგავს. სვანეთში და ზაპოროჟიეში ბატონმომოქლუე ადამიანები ცხოვრობდნენ. თავისუფლების მძებნელნი და დამცველნი, ორივენი, ძველთაგანვე ებრძოდნენ ბატონყმობასა და ჩაგვრას. არც ერთს ბატონი არა ჰყოლია, არც ზაპოროჟიელ კაზაკებს, არც სვანებს. ერთნი ყინულოვანი კავკასიონის მისასვლელებთან მისი მწვერვალების დიდებას „ლილეს“ მღეროდნენ, მეორენი — ზაპოროჟიეს გაშლილ ველებზე სიცოცხლესავით ტყბილსა და ვაჟკაცურ უკრაინულ სიმღერებს. ეს ყველამ ვიცით და არ დაგვაიწყდება, — დააბოლოვა მან.

უკრაინის გაშლილი ველები მშვიდად სუნთქავდნენ. ელსადგურის კაშხლის მშენებლობიდან ღამის ამ სიმშვიდეში ისევ ისმოდა ხმაური. ღნეპრზე ისევ კატრები და ნაგები დაქროდნენ.

ოქსანა მანქანასთან მივიდა. მან ისე მოხვია მანქანას ხელი, თითქოს ბავშვს ეფერებოდა.

— თუ შენმა ნიადაგმა გაამართლა, ოსტაპ, — უთხრა მან ქმარს, — გვაჯობებ.

არჩილმა გაუღიმა. იგი მიხვდა, ამ თქმაში ოქსანა მასაც გულისხმობდა.

ოსტაპმა წყნარად თქვა:

— არაფერიც არ გავჯობეთ, მე მხოლოდ თქვენი დახმარება მინდა.

ოსტაპის მიერ მიკვლეული მიწის ნიმუშმა კარგი თვისებები უჩვენა. ორი თვე იბრძოდნენ არჩილი, ოსტაპი და ოქსანა „რუსი ყურღანის“ მიწის ხასიათის გამოკვლევისათვის. ორგვარი სხვადასხვა ნაზავი დადებით შედეგს იძლეოდა.

ამ დღით ოსტაპმა მანქანა დინამოს შეუერთა. საჭირო იყო, მათ მიერ მიღებული რეცეპტებით ხსნარები ესინჯათ.

— ოქსანა არ მოვა? — იკითხა არჩილმა.

— ვერ მოვა, ბავშვი არა გეყავს კარგად, თვალები სტკივა.

არჩილმა იგრძნო, რომ ოსტაპს ძალიან აწუხებდა ბავშვის ავადმყოფობა, და გადაწყვიტა, ამ საკითხზე არაფერი ეთქვა. იგი გაჩუმდა და პარკუქანების გახსნა დაიწყო.

მანქანა მწყობრი რიტმით მოძრაობდა. უკვე გავისო მასალების ნაზავით პატარა ხვიმერა. სადღეებ ყელში გადასული ხრეში, წყალთან ერთად, ხმაურით ამრიალდა.

ორივენი გაფაციცებით უყურებდნენ მანქანის მილის ბოლოს, საიდანაც შეზავებული ხსნარი უნდა წამოსულიყო.

მოულოდნელად ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ხმაურს შეჩვეულ ყურებში სიწყნარე ჩამოდგა,

მანქანა გაჩერდა.

არჩილმა შიშით შეხვდა ოსტაპს.

ოსტაპმა არაფერი თქვა. იგი მანქანას მიუახლოვდა და მის გასინჯვას შეუდგა. როგორც ეტყობოდა, მან დაზიანებულ ადგილს ვერ მიაგნო. მარჯვენა ხელი წაიკაბიწა და მანქანის მიღში ხელის ჩაყოფა დააპირა.

არჩილმა უნებლიეთ შეხედა შიშველ მკლავს და კინაღამ კვნესა აღმოხდა. მაჯის ზემოთ, ნიდაყვამდე, ორ ადგილას ოსტაპის მაჯა მოხრილი იყო. როგორც ჩანდა, ორივე ადგილას გადანატეხი ჰქონდა.

არჩილმა მარჯვენაზე ხელი მოჰკიდა.

— სანამ ამის მიზეზს არ მეტყვი, არ გაგიშვებ, — უთხრა მეგობარს. ოსტაპი ბავშვივით გაწითლდა. მარჯვენა სახელო ჩამოიწია და დაფიქრებით და ღიმილით თქვა:

— ხომ გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ალბათ ისიც გახსოვს, ახალგაზრდებმა „ოსტაპ ბულბაო“, რომ დამიძახეს, აი, სწორედ ბულბას ამ ნაჭრილობების გამო მეძახიან. ცოტა მაყალე, არჩილ, მანქანას ავამუშავებ და მოგიყვები.

ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ, ჰიდროელსადგურის ხარაჩოებზე კი — დნებრის სანათურები, როცა ოსტაპმა ამბის მოყოლა დაიწყო.



— ჩვენი ხეტორი ლამაზია, — სთქვა მან, — ხალხი გულლია, ლალი და შრომისმოყვარე. ჩვენი სახლის მახლობლად ცხოვრობდა ოქსანას ოჯახი. მარტო ერთი ქალი ჰყავდა მის მშობლებს. თვალის ჩინივით უელიდნენ და ზრდიდნენ.

ჩვენ პატარობიდანვე ერთად ვიზრდებოდით. ტყეში სოკოს ვეძებდით, პურის ყანებში მწყერს დავდევიდით, დნებარზე, ლიფსიტებს ვიჭერდით. თითბმეტი წლის ვიყავი, როცა ზაპოროჟიეში სასწავლებლად წავედი, ინდუსტრიული ტექნიკუმი დავამთავრე. როდესაც ჩამოვედი, უღვაში უკვე წაბლისფრად მიბიბინებდა.

სასოფლო საბჭოს კიბეზე შემხვდა ოქსანა. ლოყები ალუბლისფრად უღვივოდა. გვერდში ჩამიარა. ისეთი სითბო ვიგრძენი, ახლაც მისი მოგონება სულ-შებერილ ნაკვერჩხალივით მაღვივებს. შეეხედე და, თითქოს დნებარში მებანოს, იმ წუთს ტანში ერეოლა ვიგრძენი. პირველად უცხოვდ შემომხედა. ვერ მიცნო. როცა მიხვდა, ვინც ვიყავი, კისკისით ჩამომეკიდა, ხომ იცი, როგორი სიცილი იცის ახლაც.

— რა კარგი ვაჟაკი დამდგარხარ, ოსტაპ! — მეუბნებოდა იგი და ცხელი ტუჩებით მკოცნიდა.

— მე მაშინ გაოგნებული ვიდექი. არ ვიცოდი, რა მექნა. ჩემს სიცოცხლეში ქალიშვილი პირველად მკოცნიდა. პატარობის დროს ხშირად ერთად ვბანაობდით. ის ყოველთვის წინ მიცურავდა, მე კი მხარულით უკან მივეყვებოდი. მისი რბილი თმა, დნებარის ტალღებისაგან გაშლილი და გაწეწილი, სახეში მებლანდებოდა. მაშინ არც მისი ტანის მიკარება მწყვავდა და არც მისი ატმის ყვავილისფერი ტუჩები. ახლა კი საბჭოს კიბეზე ანთებული ჩირალდანივით ვიდექი. კიდევ კარგი, რომ არავინ გვიცქეროდა. სხვა ვერაფერი მოვახერხე, როგორ ცხოვრობ-მეთქი ვკითხე, ჩემმა კითხვამ ოქსანა შეაჯრთო. ხელები დანით მოსხებილი ძეწნის ტოტებივით ჩამოუვარდა. იგი ცოტა ხანი მწიფე მზესუმზირასავით იღგა თავდახრილი, მერე თავი ასწია, თვალები ვარსკვლავებივით

შემომანათა და მოწყენით მიიხრა: ნუ მკითხავ, ოსტაბ, შენ რომ წახვედი, მას შემდეგ მამა მომიკვდა. მე და დედა დავრჩით მარტო. სოფელი რომ არა, ძალზე გაგვიჭირდებოდა, ხომ იცი, დედა ისედაც ძალზე ავადმყოფი ქალღმერთი ჩემს სიკვდილის შემდეგ ლოგინში ჩაეარდა. ჩემ დაუხმარებლად ლოგინში გვერდზე ვერ გადაბრუნდებოდა.

მე ძალიან შემაწუხა ოქსანას მწუხარებამ. არ ვიცოდი, რით მენუგეშებინა იგი. გავიდა ხანი. უმაღლეს სასწავლებელში შევედი. მე და ოქსანა ისევ დავმეგობრდით. არღაღეგების დროს დნებრის ნაპირებზე დავდიოდით. ვმღეროდით ჩვენს სიმღერებს. ჰე, რომ იცოდე, რა კარგია, მღეროდე დნებრის ნაპირას. თუ კარგი ხმა გაქვს, მენავეებიც კი გაყურდებიან, ნიჩბებს დააგდებენ და გალურსულნი ისე გისმენენ, თითქოს მთელი უკრაინის სიმღერა შენი ყელიდან ამოდოდეს. მერე, მოგისმენიათ ოქსანას სიმღერა? ცხვარზე მივარდნილ მგელს შეაჩერებს მისი ხმა. მე გარბონი მეჭირა, მას კი ყვაილები. დასვენების დღეებში ადრე ვდგებოდით. ხშირად გათენებას დნებრის ნაპირზე ვხვდებოდით. მზის სხივები ასიათასი შიშველი ხმალივით ალაბლაკებდა მის ზედაპირს. ჩვენ მაშინ გვეგონა, რომ მზე აქედან იხედებოდა უკრაინაში. სალამოს ხანს, გიშრისფერი ჩრდილები დაეყრებოდა დნებრს. ნაევებში მსხდომნი, ჩვენი ტოლები, ათასნაირ სახუმარო სიტყვებს გვესროდნენ.

ინსტიტუტი დაეამთავრე თუ არა, სამამულო ომი დაიწყო. მე ჩემს ტოლებთან ერთად პარტიზანად გავედი. ოქსანამ მოხუცი დედის გამო წასვლა ვერ მოასწრო. ნახევარი ქვეყანა ბრძოლით მოვიარე. მტრის სიველურემ გამაბოროტა და დაუნდობელ კაცად გადამაქცია. ჩემი საშობლოს არაერთ მტერს გავუთხარე საფლავი. დიდი ბრძოლების შემდეგ ჩემს რაიონს მივუახლოვდი. მაშინ ფაშისტები ამ მიდამოებში ჯერ კიდევ მშვიდად გრძნობდნენ თავს.

ახალი შეღამებული იყო, როცა ხუტორში მარტო შევიპარე. უვარსკვლავო, უკუნი ღამე იყო. ჩვენს სახლს მივუახლოვდი. ოდესღაც ეზოში ძეწნები იდგნენ. ბოროტი კაცის ხელს აეჩეხა ისინი. კარზე დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. კარების ხელმოსაკიდი რგოლი მოტეხილი დამხვდა. კარები მუხლისთავით გავაღე. უსახო ღამე და სიჩუმე შიგნიდან ციკად შემომხვდა. შევატყვე, რომ ავკანკალი. სრული სიჩუმე სიკვდილს გაახლოვებს კაცს, ალბათ მან უფრო იმოქმედა ჩემზე.

ასანთი ავანთე. კედლები საცოდავად მეჩვენა. ყველაფერს თვალი მოვავლე, არაფერი დამხვდა. მხოლოდ ძველმანები მოჩანდნენ მიყრილ-მოყრილი. იდგნენ გაძარცული და შეგინებული კედლები. ვიდრე ანთებული ასანთით ხელში და მისი მკრთალი ალის თრთოლვასთან ერთად ჩემს ფეხქვეშ მიწა კანკალებდა. მივხვდი, რომ ჩემს მშობლებს ვეღარ ვნახავდი. ოქსანას ბედი იყო ამ წუთს ჩემთვის ყველაფერი. ასანთი ხელში ჩამეწევა. უცებ კარი გაჭირალდა და წელი კივილი შემომესმა. სანამ რამეს მოვიფიქრებდი, ვიგრძენი, ოქსანა მეხვეოდა. მისმა ტანის თრთოლვამ, ცრემლით დასველებულმა წარბ-წამწამებმა და გავარვარებულმა ტუჩებმა უსიტყვოდ გამაგებინეს ჩემი ოჯახის უბედურება. მშობლები გერმანიაში გაერეკათ. სახლ-კარი გაეძარცვათ. ახლობლებიდან ამქვეყნად მხოლოდ ოქსანა დამარჩენოდა. შენ როგორ ხარ-მეთქი, ვკითხე.

გამაერყოლა, ისეთი ამბავი მიიხრა ოქსანამ.

ერთი ფაშისტი ოფიცერი გადააჰკიდებოდა ოქსანას. საშველს არ აძლევდა. ვერაფერს გამხდარიყო, გერმანიაში გასაგზავნების სიაში შეეტანა.

ოქსანა გაქცეულიყო და მეზობლებში ინახავდა თავს. იმ დამით ჩემს სახლში მოსულიყო. უკანასკნელად დაეხედავო, უფიქრია. ამალამ ტყეში უნდა გავპარულიყავი, ჩემი ბედი, რომ განახე, — დააბოლოვა ოქსანამ. ამ საუბარში დილა შემოპარულიყო. გარეთ გამოსვლა შეუძლებელი გახდა. მთელი დღე იქ დავრჩი. ოქსანა მეხვეოდა, მკერდით მეკვროდა.

მისი თმები ჩემს სახეს ეწებებოდა. ხომ ჩემი ქმარი იქნებო, — შეკითხებოდა ის ათიათასჯერ, უცებ ოსტაპი გაჩერდა, პაერი ხარბად ჩაისუნთქა, ოთახში გაიარ-გამოიარა, შემომხედა და ისევ განაგრძო:

— გერმანელ ოფიცერს ოქსანას კვალი მოეძებნა. პოლიციელებით ეზოში შემოპარულიყო.

— მოულოდნელად თავში მძიმე რაღაც მომხვდა. წავიჭეცი. ჯალათებმა ალბათ წყალი დამასხეს, დასველებულს გამომედვიძა პოლიციაში. წინ გერმანელი ოფიცერი იჯდა.

— სად არის ოქსანა?! — შეკითხებოდა ის.

ჯერ უნდობლად ავხედე მას. მე ოქსანაც დაქერილი მეგონა, მაგრამ, როცა დაკვირვებით შევხედე, მივხვდი, ჩემი ცოლი მათ ხელიდან გასხლტომოდათ. სიხარულმა ძალა მომიმატა. იმ წუთში აზრად მომივიდა, პირველად ჩემს სიცოცხლეში ჩემი ოქსანა მეძაგებინა.

— ვინ ოქსანა?! გავიკვირე მე.

ოფიცერი თავისი ქროლა თვალებით ცივად მომაშტერდა. შევატყვე, ნასვამი იყო.

— შენ თვალებს ვერ ამიხვევ. გავიგე, თქვენ ერთმანეთი გიყვართ, ის შენ სადღაც გადამალე.

— მე ჩემი ქვეყნის მტრის სიყვარული თავში აზრად არ მომსვლია.

თავზე ცულდაკრულივით შეინძრა, მთლად დაკარგა ფერი, მერე ახლო მოვიდა და სახეში ჩამაორთქლა.

— გათქმევენებ, ოსტაპ გავრილენკო, გათქმევენებ, იმასაც გვეტყვი, შენი პარტიზანები სად არიან.

არ ვიცო, ჩემი ძალით თუ ბაწრის მარყუჟის სისუსტის გამო, როცა წამოვიწიე, ვიგრძენი ხელი გამითავისუფლდა. მარჯვენა ხელის მჯიღი ისე მოვარტყი სახეში, რომ ის ოფიცერი მორგვევით გადაბრუნდა.

ყველანი თავს დამესხნენ. ორი დღე არაადამიანურად მაწამეს, სიტყვა ვერ მათქმევენეს. მესამე დღეს მოედანზე გამიყვანეს.

კვირა დღე იყო. მოედანზე მთელი ხუტორი მოერეკათ. ვიციანი ჩვენი მეზობლები. გაყვითლებულნი და დაჩიავებულნი ცოტანი-ლა დარჩენილიყვნენ. მიხრწინილი მოხუცები და შიმშილისაგან დასუსტებული ბავშვები ისე მიყურებდნენ, თითქოს მეუბნებოდნენ, ჩვენ ჩვენი გვეყოფოდა, შენ რაღად ჩაუვარდი ხელშიო.

ფამისტი პოლიციელები გარს მერტყნენ. ოფიცერი განკარგულებებს იძლეოდა. მუხის ორი მაღალი ჯირკი მოიტანეს. ახლო-ახლო დადგეს ერთმანეთთან. მხოლოდ ერთი მტკაველი იქნებოდა მათ შუა. როცა მქედლის უროს თვალი მოვკარი, გუმანით მივხვდი, რასაც მიპირებდნენ.

წამომესივნენ, გავუძალიანდი. ერთი ორმოცთან რას გავაწყობდი? ოფიცერი მათრახს მირტყამდა და ყვიროდა:

— თქვი, შე ძალიშვილო, თქვი, სად არის ოქსანა, სად არის შენი პარტიზანები!

მე გაჩუმებული ვიყავი. ვგრძნობდი, რომ დასუსტებული ხალხი ვერაფერს დამეხმარებოდა.

ვისაც გაჭირვება გამოუცდია, მან იცის, რომ ყოველ განსაცდელზე უფრო ყველაზე ახლობელი ადამიანი გახსენდება კაცს. მოედნის ახლოს ფიჭვისა და ნაძვის ხეები იდგა. დღესასწაულების დროს აქ ჩვენები საზეიმო თაღს აკეთებდნენ. იმ თალიდან სიცოცხლით და მზიარულებით სავსე ხუტორს დიდი სტალინის სურათი უქვეყრდა. ასე მომეჩვენა, თითქოს ახლაც მიცქეროდა მისი სახე. სიამაყე ვიგრძენი.

სამი გოლიათის ღონე ჩამიდგა ტანში. ხალხს გადაეხედე. მოსიყვარულე თვლებით მიყურებდნენ თანასოფელელი. ვიგრძენი, რომ ხალხს ნამდვილი სიყვარულით ვუყვარდი. აღფრთოვანებულმა ოფიცერს ყვირილზე ამაყად უპასუხე: „რაც უნდა მცემო, ვერაფერს მათქმევიანებ!“

ხელი მტაცეს, უფრო მაგრად შემკრეს. მკლავი გამიშიშვლეს და ამ ორ ჯირკვზე გამადებინეს. ერთზე იდაყვი იდო, მეორეზე მაჯის სახსარი. როცა ურო დამარტყეს და ძვლების მტკრევის ხმა გაისმა, ხალხმა ამოიგმინა.

არ დამიკენესია, მხოლოდ თვლებში ელვამ ისე გამკრა, რომ ერთ წუთში ჩემს გარშემო ყველაფერი ჩირაღდანით აენთო. ცოტა ხნის შემდეგ ყელში თბილი სისხლის წვეთები ვიგრძენი, თურმე მოკვმული ბაგეები დამეკბინა და პირი სისხლით გამესებოდა. მარჯვენას დაეხედე, სახსრებს შუა მეორე იდაყვი გამჩენოდა. ძვალი შუაზე იყო გადატეხილი.

დაწყვეტილი ძარღვებიდან სისხლი თქრიალით მოდიოდა.

ჩვენს სოფელში ერთი მეწისქვილე იყო, ვასილი ლაგვინენკო. ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ღებში თუ ქორწილში ტარას ბუღბას გაიხსენებდა. მთელი მისი ამბავი ზეპირად იცოდა. ახლა შიმშილისაგან ძლივს დალასლასებდა მოხუცი. მიხრწნილი და ძვალზე ხორცშემოლეული ჯოხდაბჯენილი წამოვიდა ჩემსკენ.

ეს უცებ მოხდა. ვერაფერს მოასწრო მისი შეჩერება. იგი პირდაპირ ჩემთან მოვიდა. მხარზე ხელი დამადო, ხალხისაყენ შებრუნდა და აცახცახებულმა თავისი სუსტი ხმით დაიყვირა:

— იცოდე, ეს ბიჭი ჩვენი მიწის ნამდვილი შვილია, ოსტაპია. ხომ არ დაგვიწყებიათ ოსტაპ ბუღბა?

მერე კისერზე შემომეხვია. აქვითინდა და ჩამომეკიდა. როცა ჯალათები მომვარდნენ და მოხუცს ხელი წააღეს, იგი მკვდარი დაეცა მიწაზე. აღელვებამ სული ამოართვა ვასილ ლაგვინენკოს.

აი, ამის შემდეგ მეძახიან ბუღბას, — დაასრულა ოსტაპმა ამბავი. გარეთ სიჩუმე იდგა. სადღაც შორს ფრინველები ყიოდნენ. დნებარის ზედაპირზე ისევ ფარშევანგის ფრთების მსგავსი მომწვანო პროექტორები კანკალებდნენ.

არჩილი სულგანაბული უსმენდა ოსტაპ გავრილენკოს. მან უნებლიეთ წამოიძახა:

— ოქსანა? ოქსანას რა დაემართა?!

გავრილენკომ მანქანას შეხედა. მარცხენა ხელი ისევ ყელში ჩაუყო და რო-შელილაც ჰანჭვიკს მოეჭიდა. უცებ გაისმა შრიალი და მანქანა ამუშავდა. მისი რბილი და ერთნაირი ნელი გუგუნი ისე ისმოდა, თითქოს ოსტაპის გულის მაგვირად მოძრაობდა იგი.

გავრილენკო ახლა ღიმილით შემობრუნდა არჩილისაკენ.

— ოქსანა ტყეში გაქცეულიყო, — ისევ განაგრძო მან, — პარტიზანები წამოეყვანა. სწორედ სულზე მომისწრეს. ერთი კაციც არ გაუშვიათ! ცოცხალი გაღებულ კარებიდან შემოვარდნილმა ლამის ნიავემა ორივე მჭიწი მჩახვდამ კარებთან სახეგაბრწყინებული ოქსანა იღგა.

— ბეშვი დავაძინე. მე ვერ გაეჩერდი. გულმა არ მომიტოპინა და წამოვედი. როგორ არის საქმე? — წუნარად იკითხა მან.

არჩილმა მანქანის ყელიდან გამოსულ ხსნარს შეხედა. თითქოს ვინმეს ხელით ებიძგოს, ისე მივარდა ხის ყუთში ჩაღვრილ მასალას. იგი შედედებულიყო და ტყვიისფრად ბზინავდა.

ოქსანამ ცერი დააკირა ხსნარს. მისი თითის ნაკვალევი ღრმად დააჩნდა შეციებულ ბეტონს.

— ნამდვილი ბეტონია, ნამდვილი! — წამოიძახა მან.

ღნებრის ნაპირიდან ფანჯარაში მალალ კვარცხლბეკზე აღმართული ლენინის ძეგლი მოჩანდა. ბელადს მარჯვენა ხელი მშენებლობისაკენ ჰქონდა გაწვდილი. განთიადის სხივებში მრავალფერად ბრწყინავდნენ უზარმაზარი ბარაჩოები, ბეტონის ვეება ქვაბულები, ცამდე აზიდული ქარხნების საკვამურები. საპაერო ვაგონეტების გზები განუწყვეტლივ მიმოქროდნენ. ლიანდაგებზე კი საბარგო მატარებლები მისრიალებდნენ. მთელი თავისი ძლიერი და მკვეთრი ხმით ეღერდა მშენებლობის სიმფონია და ყველაფერს ამას, თითქოს ლენინის წინგაწვდილი ხელი მართავდა.

საახალწლო



ახალ წელს უყვარს ახალი სიტყვა,
და სიტყვას უყვარს საქმე ახალი, —
როგორც დუღილი მქუხარე ზვირთთა,
როგორც საშობლოს მთები მაღალი.

ათასი ფიქრი გაჩნდება გულში,
როგორც ფუტკრები, გარს მეხვევიან,
მათ, როგორც ხორბალს გადაყრილს ხნულში.
მყერდის ფიქალი გაურღვევიათ.

ახალი შუქით ცა იფერება,
მოაქვს სიცოცხლის ფესვი რტობად,
ჩემი საშობლოს გაძლიერება,
მტრის აღსასრულის მოახლოება.

მაშ, სასმისები გადაეკრათ ყველამ,
დავაგუგუნოთ სიმღერა წრფელი,
ვადილოთ, ვინაც ყამირებს თელავს
და ვის ბელღებსაც ბარაქა ელის.

ვადილოთ, ვინაც ლუმელებს ანთებს,
უბრალო შავ ქვას ადულებს რკინად,
ვინც ჩაის ბუჩქით ამშვენებს კალთებს
და ვის მყერდზედაც ვარსკვლავი ბრწყინავს.

ვადილოთ ჩვენი საშობლოს ფუძე,
მისი სიმტკიცე, მისი ჯაგარი,
მტერი რომ შურის თვალებით უშვებს,
მაგრამ მოკეთეც რომ ჰყავს მრავალი.

მაშ, სასმისები გადაეკრათ ყველამ,
დავაგუგუნოთ სიმღერა ისევ,
რომ მტკიცედ გაეყვით ცხოვრების ღელვას
და არ მოვაკლოთ გულს სიხალისე.

ახალ წელს ვუთხრათ ახალი სიტყვა
და სიტყვას მოჰყვეს საქმე ახალი,
როგორც ქუხილი მშფოთვარე ზვირთთა,
როგორც საშობლოს მთები მაღალი!

ღლეზი სვალინგრაღში



ვოლგის ქალაქი

მოედინება

ღინჯი ვოლგა, რუსთა მდინარე,
 ეზიდებიან
 მძიმე ტრეებს დიდი ბარეები,
 არის ნათელი,
 კომუნისმის შუქთა მფინარე,
 როგორც ლენინის
 და სტალინის ბრძნული აზრები.

დიდი სტალინი

კვარცხლბეკიდან ვოლგას გასცქერის,
 და წყლის სარკიდან
 ჩანს ნაპირთა მუქი ჩრდილები:
 ზეცას ანათებს
 ელვარება რკინის ჩანჩქერის,
 სადაც აწვდილან
 ევამლიანი ქარხნის შილები.

აქ უერთდება

გმირ სტალინგრაღს ვოლგის ნაპირი,
 აგუგუნდება
 ვრცელი მიწა, წინათ მთვლემარე,
 აქ ზღვა გაჩნდება
 მომხიბვლელი და გასაკვირი,
 ქალაქს აანთებს
 ელნათურის შუქი ელვარე.

უღაბნოს ღამე

უფსკრულისკენ წავა ზმორებით,
 სინემეს შთანთქავს
 მძიმე გემი მიწის მწოველი,
 აიშლებიან
 სკრეპერები, ბუღლოზერები,
 ზეცას დასერავს
 მავთულები, სხივთა მქსოველი.

აქ აშენდება

სტალინგრაღის ჰიდროსადგური,
 დაეზურება
 თაეზე ვოლგას ცეცხლის ჩაჩქანი;
 შეემატება
 სახლებს—სახლი, სართულს—სართული
 შემოველება
 ვოლგის ქალაქს რკინის ჯავშანი.

ვით ძმადნაფიცი,

შრომობს რუსი, უკრაინელი,
 შრომობს ქართველი
 და შენობა ასე მაღლდება.
 სწავლობს შორიდან
 ჩამოსული მოძვე ჩინელი
 და გამარჯვების
 დიად რწმენით იარაღდება.

სალამი, ძმებო,

ელსადგურით მხარეს აღვიძებთ,
 გმირ სტალინგრაღელთ
 ველარ გიძლებთ გული მიწისა,
 თქვენთან მხარდამხარ
 მტერს მუსრაედა დიასამიძე,
 დღეს მას გაგონებთ
 შრომა ქართველ დამბაშიძისა!

მოღელავს ვოლგა

უსასრულო, ნაპირტყიანი,
 წყალი მაღლდება,
 თითქოს რკინის ჯებირებს არღვევს:
 ელექტრობობებს
 და მავთულებს გააქვთ ზრიალი
 და თეფრი გემი
 დაუმცხრალი მიაბობს ტალღებს..



ყორანი



შემოდგომის ხეს კიდევ შემორჩა ერთი ფოთოლი, როგორც წერტილი. მამაის ბორცვზე ვხედავ შემოჯდა შავი ყორანი გულდაწყვეტილი.

ბედი ამწარებს, ბედი აღონებს, მას ხომ ოდესღაც ჰქონდა ღრეობა; თავის სამღურავს ვერვის აგონებს. ქვებს უშენს მთელი მოსახლეობა!

გლოვობს ყორანი ავი და უნდო, შავი სიკვდილის ბნელი მხლებელი;

ხედავს, ყოველგან სიციცხლე ბუდობს მზის და სინათლის მაუწყებელი.

ხედავს სტალინგრადს, როგორ ნათდება და ემატება სართულს სართული, ხედავს და რისხვად აღეშართება მისი მძლეობა გოლიათური.

ყორანი — ომის ბნელი აჩრდილი, რალამ აციცხლოს, ან რამ გაართოს?!
ჰა, გაისწორა ფრთები გაშლილი, გაფრინდა. გაჰქრა უმისამართოდ.

უკრაინელი ქალი გმირთა საფლავთან



კლდემამოსილი ლამაზი ქალი უკრაინიდან მოვიდა გემით, შე ვიგრძენ სითბო ცისფერი თვალის, ნაზი, სიციცხლის ნუგეშისმცემი.

დაღუპულ გმირთა საფლავთან შედგა და ობელისკთან დახარა თავი, გულზე ლოდავით დააწეა სევდა, გადევრა ხედვას ღრუბელი შავი.

და მეც ქართველი, გულსევდიანი, იქ ვიყავ. ვთვლიდი გმირთა სახელებს. ჩვენი წარსული ქარიშხლიანი ვიცი, ჩემსავით მასაც აღელვებს.

იქნებ ლოდის ქვეშ აქ განისვენებს მისი ღვიძლი მშა ან ნათესავი, იქნებ დაღუპულ სატრფოს იხსენებს, არის მწუხარე ცრემლთა მთესავი!

დიდება იმათ ნათელ სახელებს, ჩვენს მძლეობას რომ უდგას თავდებად. მათი დაკარგვა ზღვებსაც აღელვებს, მათზე სიმღერა აღარ თავდება.

ვინც გამარჯვების დროშა აღმართა, დიდება იმათ მარადიული, დეე, ბრწყინავდეს საფლავი მშათა, ვით დიდი დროშა მარად მზიორი!

სტალინგრადელი მებრძოლის დღიურიდან



★

მაგონებს ჩვენს ბრძოლებს,
ჩვენს გმირულ თავდაცვას
მღუმარე მამაის კურღანს.
უძლებდა მოსეულ
ტანკების თავდასხმას
ეს ჩვენი პატარა ჭბანი.

შეტევას ვუძლებდით
და შემდეგ დონიდან
გამოჩნდა დამხმარე ლაშქარი,
სტალინის არმია
ქუხილით მოვიდა,
მტარეალთა რისხვა და ლახვარი.

ვიბრძოდით. ჩვენ ყველგან
ვხედავდით დიდ სტალინს,
გვფარავდა მხედრული მანარით,
თავდამსხმელი ვხედებოდით
ცეცხლით და გრივალით,
ბრძოლის ველს გაჰქონდა ზანზარი.

ქვა ქვაზე დადულდა,
ქვა ქვაზე არ დარჩა,
გველირსა მტრის ჯარის მოსპობა
— სტალინგრადს უტყველენ,
სამშობლო გადარჩა!
მსოფლიოს აუწყა მოსკოვმა...

მიტომევაული ეზო

★

ალბათ გინახვით პატარა სახლი
სახემკინარი, სიცოცხლით სავსე,
მიტოვებული ჩანს მისი ბაღი,
ობლად შთენილა ბრძოლების გზაზე.

გავცქერ ვოლგა-დონს, გემების ანძებს
ლურჯად კამკამებს ლაქვარდის თალი,
შევხარი ცაცხვებს, შევხარი ნაძვებს,
მაგრამ არსად ჩანს პატარა სახლი.

სიხარულის და სიღალის ნაცვლად
აქ ცად აწვდილა ტყვიების კვამლი,
პატარა სახლი ქცეულა ნაცრად,
მტერს წაუშლია სიცოცხლის კვალი.

დგანან ქარხნები ცადაწვდილები,
ვხედავ სტალინგრადს, ძლევიით
აღმღვარა!
და უზარმაზარ სახლთა ჩრდილებში
მოწყენით მოჩანს ეზო პატარა.

ცარიცინის დროშა

★

დგას სტალინგრადის
შუზეუშში დროშა წითელი,
იგი მრავალი
გრივალების არის მნახველი;
ძირს დაუცია
დროშა თეთრი, დროშა ყვითელი,
საუკუნეებს
გასწვდენია მისი სახელი.

იგი პირისპირ
შეხვედრია დენიკინელებს,
ვრანგლის ბანდებს
მისი ხილვა შიშით ჰზარავდა.
ხელთ ეპყრა სტალინს,
დიდ მხედრობის შემარკინებელს,
მშობელ ქვეყანას
ძლევაშოსილი შექით ჰფარავდა.



და როს სტალინგრადს,
ჩვენს საყვარელ გმირულ ცარიცინს,
ყოველი მხრიდან
მრბეველთ ურდო თავზე დაესხა,
მან მოიხვია
საბურველი მძლვეელ ქარიშხლის,
ფრონტზე გაიჭრა,
რომ მშობელი მხარე დაეცვა.

იგი ჩვენს ლაშქარს
მხედართმთავრის ცეცხლით ანთებდა,
და როცა დადგა
ჟამი მტარვალთ განადგურების,

აქ მოიტანეს
გამარჯვების შარავანდედად
და მისი ზილით
ენტებიან ხალხთა გულუბნობა

დიდების დროშას
დაჰფენია შუქი ლენინის,
როგორც ოქტომბრის
ძლიერების დიდი ნათება.
კვლავ იმრიალებს,
ჩვენი ხალხის უკვდავ გენიით
მთელს მსოფლიოში
ის დიდებად აღიმართება!

სტალინგრადელ კომიტებს



Какже волнения им нужны,
Какже нужны слова,
Чтоб, после подвига старшими
Искусству верить права.
М. Лукиян

გრძნობთ, ცარიცინის
დაცვა არის დიდი მიღწევა,
დიდი მწვერვალი
ლენინური სარდლის ნებასა;
სტალინგრადელთა
ბრძოლა არის გმირული ძლევა,
დიდი სტალინის
მხედართმთავრულ ზელოვნებისა.

ვის არ აკვირებს,
რომ პავლოვი სტალინგრადისთვის
უშკლავდებოდა
მხეცს, რომელმაც დასცა ევროპა;
თქვენ იმ მოდგმის ხართ,
თქვენც პავლოვის ძალას განიცდით,
რომ ლექსში ჩანდეს
მისი სული, მისი მძლეობა!

თქვენ ღელვა გინდათ
პოეტური და ხმოვანება,
მიწვდეთ იმ მწვერვალს,
რაც დაიპყრეს ჩვენმა მხედრებმა.

რომ მგოსნის გზნება
ჰგაედეს შრომის აღფრთოვანებას,
გმირ მხედარს ჰგაედეს
პოეტური შემოქმედება!

ღვე, ამაღლდეს
მგოსნის ძალა და მგზნებარება,
სტალინგრადია
ბრძოლისა და შრომის მწვერვალი.
მე მჯერა, ქვეყნად
მას ვერაფერს შეედარება,
ამ სიდიადეს
თუ მიწვდება კალმით მწერალი,

თქვენს სიტყვას ელის
მეგობრებო, მთელი მსოფლიო,
სუეჭეთ სიმღერა,
სტალინგრადის ბრძოლის სადარის;
პოეტურ სიტყვას,
სიტყვას ახალს, სიტყვას მშობლიურს
შეისისხლბორცებს,
შეიყვარებს ხალხი მართალი!

ზღვა ღაიბაღა

პოემა

★

IX

წინ აღემართნენ მიხას ბორცვები,
და კაშხალების უცხად მნახველმა
წამოიძახა: — მიწავ, ცოცხლები! —
მერე ღიმილით ყრუდ ჩაახველა.
ღინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა
ფლატეს მოხუცი მიხა მუნჯივით.
გულით სწყუროდა ჩრდილში სამზრობა.
ქვაზე ჩამოსდო ფრთხილად ხურჯინი.
მიხამ ინატრა ჩრდილის ნასახი,
ხახაგამშრალმა წყალი ახსენა,
ბოლოს დალილმა ხელის ცახცახით
გახსნა ხურჯინის თვალი მარცხენა.
დახეთქილიყო მიწა მხურვალი,
თვლემდა გვალვაში მოქანცულივით,
მისწვდა ტიკქორას მიხა მწყურვალი.
ღვინით უნდოდა მოკვლა წყურვილის.
ტვინში ატანდა სიცხე ისრებით,
მთლად აიტანა მიხა ცახცახმა,
— სამგორო, მალე ჩრდილს
ვეღირსებით! —
მოხუცმა ფიქრით მიწას ჩასძახა.
მაგრამ 'გულმკვდარი და უღმობილი,
ველზე დაძრული ლომურ თარეშით
გვალვა მძვინვარე, დაუნდობელი
სისხლს უღუღებდა მოხუცს ძარღვეებში,
და ჭკანება კაცის არსათ
აღარ მოჩანდა ტრიალ ზეგანზე,
დამწვარ ბალახის ბაცი ნაცარი
მტვრად აკვდებოდა მიხას პერანგზე.
ცხელ ქარს ხედებოდა მკერდგადელი
მოხუცებული, ქვაზე მორთხმული,
მას წინ ოცნებად ედგა ხეხილი,

ბნელჩრდილიანი, ნაყოფმოსხმული.
მის წინ ოცნებად ცემდა ცივ-ცივი
წყარო ანკარა, ცისფერკველება.
უცებ ჩაესმა მოხუცს სისინი:
— გასწი, საითაც მიგეჩქარება!
გასწი, მოხუცო, — ქარი ბრძანებდა:
— შინ რაც დაღიე წყალი, გეყოფა,
გულს უდაგავდა და ამწარებდა
მოხუცს ასპიტი გვალვის მეფობა.
შორს, გზატყეცილის მიღმა გამოჩნდა
წყება მგზავრების შავ წერტილებად,
თავი ასტყეოდა მიხას საოცრად,
ქვიშას აყრიდა ქარი ტყევიებად.
იჯდა ბექობთან გზაზე მოხუცი,
სტეხდა თვალები დასისხლულები,
გულში ფიქრობდა: „მგზავრებს
მოუცუდი,
აქ წავისამზრებთ დასიცხულები“.
სიცხით დახრუკულ გამხმარ ბალახზე
სუფრა გაშალა მიხამ იმგვარი,
რომ ვერ დახატავს მის სილამაზეს
ჩემზე ათასჯერ სიტყვამდიდარი.
სუფრა გაშალა, მაგრამ ხელახლა
დაისისინა გვალვამ ბექობთან,
— მოხუცო, ჩემი მსხვერპლი შენა ხარ,
მე შენი თავი აღარ მეთმობა.
იმუქრებოდა გვალვა ტიალი,
ქარი მხურვალე ჰქროდა მხუილით
და დასიცხული აღამიანი
ველარ დგებოდა მოშხამულივით.
თვალთ დაუბნელდა უცებ შიოშვილს,
ისისხლი მოაწვა, კაცი გაოგნდა.

პირველ დაემხო სუფრას მიმოშლილს,
 გადაიშლართა და ძირს ჩაგორდა.
 ტივი დაეშვა ლალად დაღმართზე,
 გადმოიღვარა ლენო უღვეი,
 და გასრიალდნენ გამხმარ ბალახზე
 შოთები, როგორც თხილამურები.
 გაისმა მიხას მძაფრი ხრიალი,
 ამ ხმის გამგონე შეერთა ტრამალიც,
 სახეშეშლილი და სისხლიანი
 ათთქოს შეშინდა გვალვა მტარვალი.
 ხუთი კეთილი ადამიანი
 როცა შეჩერდა ჩუმად ხურჯინთან,
 აცნეს მოხუცი, მაგრამ გვიანი
 იყო... ბერიკაცს სუნთქვა უჭირდა.
 — მომკლა! — გაიღო ხმა შიოშვილმა,
 და გაიშვირა ხელი კანკალით,
 ტრამალს ვახედა ხალხმა მორჩილად,
 რომ დაელანდათ მკვლელის გზა-კვალი.
 გზაზე გამეღულებს რა გამოლევდა,
 სადაც მიმოქრის გლეხი ტაიკით,
 ნორიოელთა და მარტყოფელთა

ატყდა ძახილი: — მკვლელი დაიჭით!
 უცებ მიუხედა ხალხი ბერიკაცს...
 არ იქნებოდა გვალვის დაჭერა,
 მიხა კედებოდა, ამიერიდან
 ჰქნებოდა ძველი კაცის მარჯვენა.
 მწარედ დაწყევლეს გვალვა მგზავრებმა,
 გვალვა ტიალი ძვირად ახსენეს,
 მოხუცი ფრთხილად და მოკრძალებით
 სამგორელებმა ძირს დაასვენეს.
 სითბო მიჰქონდა მიწას მიხასი,
 თანდათან უკლო ხამხამს წამწამმა,
 ოცნება ჰქონდა მიხას ძვირფასი,
 მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა...
 გვალვის შხამიან ისრით დაჭრილი
 მიწას დააკვდა უტყვი ამბორით.
 გათავდა მიხა, მისი აჩრდილი
 გავრცელდა, როგორც მწუხრი სამგორის.
 გათავდა მიხა, აღარ ეღირსა
 ცოტაც ესუნთქა, ცოტაც ეცოცხლა.
 ტრამალზე ივრის დაზღვევებისა
 შეილთა მარჯვენა რომ დაელოცა.

თავი X

ჩემო მკითხველო, ისევ გვირახში
 შევიდეთ, ვნახოთ, რა დიდებული
 სანახავია კაცის წინაშე
 კლდე სველ კედლებით ატირებული.
 როცა თალიდან ჩამოწურული
 წვეთი კისერში ჩაისრიალებს,
 გაგაერიალებს. მთა გაბურღული
 თავის სიგრილეს გაგიზიარებს.
 როგორც ამბობი სისხლი ძარღვებში,
 დროც ასე ჩქარა მიჰქრის საოცრად.
 გვირახი უნდა გავჩრან სამ თვეში,
 ახლა იწყება დიდი გამოცდა.
 მთა იბურღება, მაგრამ სამი თვეც
 ყინულად დნება ვაჟკაცთ წინაშე,
 გვირახის მკრეულებს დახვდა სალი
 კლდე,
 ქვის მქისე სუნი დაღვა წიაღში.
 კლდის სიჯიუტე მაშინ აცეცხლებს,
 მაშინ ეცვლება ვაჟკაცს გუნება,
 როცა გამოჰყრის კაფი ნაპერწყმებს,
 ცედება ფოლადი და ფხა ჩლუნგდება.
 კობერაშვილი დადის გვირახში,

ახლადმონგრეულ ლოდებს სცილდება
 და კლდეში, როგორც თავის ბინაში,
 გრძნობს ყოველ კუნჭულს, ყოველ
 ცელილებას.
 „ძმებს შიოშვილებს საით ვნახავო“, —
 პარტორგმა ახმახ ვაჟკაცს მიმართა.
 „კლდეს უცებ თავი არ მოვარტყავო“ —
 გიგოლა წელში არ გაიმართა.
 ერთი შესძახა: — აქეთ მოდიეთო!
 და წინ გაუძღვა დაეთს ნათურით,
 მკრთალ შუქში მისი თავი მოდილო
 გაბრწყინდა წმინდად გადაპარსული.
 გიგოლას ყოველ მიხვრა-მოხვრაში
 იგრძნო პარტორგმა მაშინ ბრძენივით,
 რომ გვირახშია, როგორც ოჯახში,
 ცხოვრობს გლეხკაცი მასპინძელივით.
 კობერაშვილი მაშინ გაწითლდა,
 სირცხვილმა თითქოს წყაროდ იღინა.
 უბნის პარტორგმა თავი მასპინძლად,
 ვერ იქნა, ვეღარ წარმოიდგინა.
 გრძელი გვირახი... განა ყველასთვის
 კარგია ჰავა ამ გვირახისა?

უნდა დილადან დაღამებამდის
 დარჩე, რომ იცნო თავი მასპინძლად.
 უნდა იხილოს ყველამ პირადად,
 რომ მარჯვენაში ძალა ვიგრძენი,
 რომ შემეყვაროს მთელმა ბრიგადამ,
 როგორც სწორკაცი და მასპინძელი.
 მე კი ყოველდღე, როგორც სტუმარი,
 გვირაბში მარტო დავდივარ ხოლმე.
 ვარ გასაკიცხი, გასამტყუნარი,
 ჯერ ყველა რომ ვერ დავიახლოვე-
 ვიცი სუყველას გვარი, სახელი,
 მაგრამ ხომ არის მათში ფარული
 რაღაც განზრახვა, დარდი, სათქმელი,
 რწმენა, მიზანი და სიხარული.
 უნდა ვიცნობდე ყველას უკლებლად,
 ყველა მიწისმთხრელს, მამაც
 სამგორელს.

რომ შევეკითხო, მეც მაქვს უფლება,
 მათ რაც ახარებს და რაც აღონებს! —
 ასეთ ფიქრებში იყო ჩაფლული
 უბნის პარტორგი, როცა კინლამ
 ვერ შეამჩნია წინ აღმართული
 ორი მბურღავი, ძლივს დაინახა.
 იდგა ორი ძმა შეტბლაოფლილი,
 მკერდზე კუნთები ესხდათ ღონივრებს.
 კობერაშვილი გულჩათხრობილი
 მიუახლოვდა დინჯად ორივეს.
 გრძნობდა დავითი: სისხლი თავნება
 ძარღვებში როგორ უჩუხჩუხებდა,
 პარტორგს დაღუპულ მიზას თვალები
 ახსენდებოდა, გულს უჩუყებდა.
 იდგნენ ტყუპები და გაოცებით
 აცქერდებოდნენ ვაჟკაცს დაღვრემილს,
 კედელს ერჩოდნენ თავგამოდებით
 ბურღები მათი ამხანაგების.
 ფუძეს მოგლეჯილ ქვათა გრიალი
 შემამრწუნებელ ხმაურს ბადებდა.
 „ზეავი მოჰქუხსო“ — ადამიანი
 გაიფიქრებდა ნაუცბათევედ.
 იდგა პარტორგი, დარდი მომსყდარი
 შუბლზე ეხატა ღრმა ნაოჭებით.
 მარცხნივ ქიტცესა, მარჯვნივ ოთარი
 აცქერდებოდნენ მას გაოცებით.
 — რა მოხდა? — სულსწრაფ ოთარს
 წამოსცდა,
 ძმამ მუჯღუგუნე გაჰკრა მაშინვე.

დინჯი ქიტცესა მომდგარ გამოცდას
 ხედებოდა, როგორც აედარს ხანძინელს.
 — მამა გკითხულობთ, წინდითი იქნება
 ცოცხალს მიუსწროთ, — თქვა და
 უმაღლე

კობერაშვილმა ტუნზე იკბინა:
 „რატომ ვთქვი, რატომ არ
 დავუმაღლე?“ —

შედრკა ორივე ძმა, ელდა ეძგერათ,
 უცებ აენთოთ ცეცხლი გულებში,
 შავი თვალები ჯერ დაეცრემლათ,
 მერე გაუშრათ ცრემლი გუგებში.
 „სულ სხვა მიზეზი მეთქვა, მერჩია“, —
 უბნის პარტორგი დიდხანს ფიქრობდა.
 ბოლოს თქვა: — ძმები ჩემს

თვალებშიაც
 წაიკითხავდნენ, რის თქმაც მინდოდა.
 ენანებოდა კაცი ძვირფასი,
 დავითს კაწრავდნენ დარდის ეკლები
 და თითქოს კიდეც შურდა მიხასი,
 რომ ჰყავს ასეთი დამტირებლები.
 ბურღი აიღო ბოლოს დავითმა,
 ფოლადის წვეტი ქვას მიაბჯინა
 და იგრძნო უცებ, როგორ გაფითრდა,
 როგორ ასტიყვდა მკერდი საშინლად.
 — რას მემართლება გული ტიალი,
 აღარ, ო, აღარ მაძლევს უფლებას,
 რომ შეეძლო კლდეში ბურღის ტრიალი,
 რომ შევეჯახო მარჯვედ ბუნებას.
 უცებ მოესმა ხმა გაიოზის,
 კობერაშვილმა თავი დახარა,
 ვით ქანდაკება მარმარილოსი
 ბნელში ელავდა კაცი ჭალარა.
 ჯერ შეანათა დავითს ნათურა
 და ინეინერი შეჩერდა წამით.
 — ჩვენმა უფროსმაც დამიდასტურა,
 რომ არ გვეყოფა სამი თვე, დავით! —
 მოსვლისთანავე თქვა გაიოზმა,
 დათქვა ერთბაშად სიტყვის მადანი.
 არც შეიცხადა, არც გაიოცა
 კობერაშვილმა მისი ნათქვამი.
 თითქოს ჩამოხსნა მაშინ ნიღაბი,
 მიხვდა პარტორგი ორბისთვალებმა,
 იგრძნო ინეინრის ხმაში სიყალბე
 და ქედმიღლობა რომ იმალება
 დავითი წილში ძლივს გაიბართა;

— გატყობ, მცირე დრომ რომ შეგაშინა...

რისთვის დაგქირდა მისვლა მდივანთან?

ჰკითხა გაიოზს კობერაშვილმა. ცეკას მდივანი გვესტუმრა თვითონ, თქვა გაიოზმა დამაჯერებლად, თან განზე მიღვა, ეგონა, თითქოს თავს დამტყდარ რისხვას გააჩერებდა. მაგრამ დავითის მწველი თვალები ცეცხლად წვდებოდა გულში ინჟინერს.

— ყველას არცხვენენ შენისთანები, ვეღარ ნიღბავენ სულის სიშიშვლეს. შენ ლაჩარივით კლდემ შეგაშინა, თავს თუ იმართლებ,

ქედმოდრეკილი,

თქვა და პარტორგმა ვერ შეამჩნია ხალხი გარშემო შემოკრებილი.

უჩვენოდ მიხველ ცეკას მდივანთან, თხოვე ვადის გახანგრძლივება, შენ შეარცხვინე ორი ბრიგადა, მაგრამ პირობა არ გაწბილდება. არ გაწბილდება ხალხის პირობა, არ გაწბილდება ფიცი სამგორის, გინდა გვირაბის გაჭრა იოლად? გინდა დაზოგვა სისხლის, ძალღონის? ასე იოლად არა ხდება—რა, ასე ტრამალი არ გაცოცხლდება, მტყეცე პირობის განაღდება ჩვენი მიზანი, წვა და ოცნება. მჯერა, — ნამდვილად მოგცა დასტური ჩვენმა უფროსმა, განა მაკვირვებს, მსჯელობა იცი შენ ოსტატური, მაგრამ ბრიგადა არ გაპატიებს...

ალბათ ფიქრობდი: „მე ვარ, რაცა ვარ“, და დაივიწყე ქვეყნად ყოველი. „მე, მე!“ იძახის წვერებცანცარა წინ მარბენალი ერთი ცხოველიც. გაშრა გაიოზ მენაბდიშვილი, გარს შემორტყმოდა რაზმი ძმებისა, უცებ შენიშნა ყველამ ინჟინრის თვალეში ცეცხლი განრისხებისა. ვიწრო გვირაბში ორის გარშემო იდგნენ მუშები, სახით მკაცრები, როგორც მიწურში საიერიშოდ გამზადებული ჯარისკაცები.

— უბნის უფროსი თუ ვარ, მისმინეთ, თქვენი თანხმობა განა მჭირდება გწამდეთ — ყველაზე კარგად ვიცი რომ კლდე სამ თვეში არ გაიჭრება.

ვიცი, საქვეყნოდ დასდეთ პირობა, კაეის კედელი მიწა გგონიათ. გმირობა გინდათ? განა გმირობა ასე ადვილი მისაწვდომია? — მენაბდიშვილმა თქვა ღვარძლიანად და გააცეცხლებულ დავითს გახედა. მას ჰკითხა განგებ თავაზიანად — სხვა ჩემს ადგილას დაიძრახება? უცებ დაბალმა, შავმა, ჩოფურა მბურღავმა დინჯად უთხრა გაიოზს: — ნუ გაცხარდები ავადმყოფურად, ბრიგადამ ქეუა თუ დაგარიგოს. ბრიგადა, ჩემო ძმაო, ხალხია, ბურღებით ჯიგარს მთას რომ უშოვნავს, —

ჯერ ხომ გამრჯევა და ყოჩაღია, ჯერ ხალხს შეტევა არ მოუშლია. ჩვენი ბრიგადა განა ლუგუმი და უჯილაგო ხალხის ჯგუფია, განა არ გვახსოვს ცეცხლის ზუზუნნი, განა სიკვდილთან არ გვიჩხუბია. ფრონტზე ყოფილა ჩვენგან რამდენი, —

თქვა და ჩოფურამ თვალი განაბა. — რა არ გეინახავს, მეხი, შრაანელი, კიდევ რამდენი დავიდარაბა. განა რა გახდა ერთი გვირაბი, რომ ვერ მოვასწროთ გაჭრა ნალმებით. შეცდი, უფროსო, გეტყვი პირდაპირ, მხარს დამიჭერენ ამხანაგებიც. შეუქი ჟამრავ ნათურებისა თვალს უჭრელებდა ფერმკრთალ გაიოზს,

ფიქრობდა იგი: „რა დრო მელირსა, ყველას სწყურია მე დამარიგოს“. უცებ გაისმა ხალხში პირხმელი, გრძელუღვაშება გლეხის ძახილი: — რატომ არაფერს არ გვეკითხები, როცა ქადაგობ ჩვენი სახელით. რა გადიდგულებს, შე დალოცვილო, არა გვკადრულობ საამხანაგოდ? უნდა მოხვიდე, ჩვენთან მოსწიო

თუთუნი, დაჯდე სალაპარაკოდ...
 ორი ბრიგადა ასე ერთპირად
 მოსდგა გულზეიად კაცს ვაეკაცურად,
 მოსკდა ინჟინერს ხვითქი მყერდიდან,
 ექვა პერანგი მთლად გასაწურად.
 დათა, გიგოლა და სხვა მრავალი
 გაიოზს პირში ერთხმად ახლიდნენ:
 — ჩვენთან თუ რამე გაქვს დასამალი,
 გიჯობს, ახლავე სხვებთან წახვიდე!
 რომ მიდიოდი, არა გრცხვენოდა?
 რისთვის ჩაგვთვალე არაბობად!..
 მენაბდიშვილი ქვას დასცქეროდა,
 თავის საქციელს განა ნანობდა.
 თავს იმართლებდა, მაგრამ გვიანი
 იყო — სათქმელი უკვე გამელაგნდა,
 სახელგანთქმული ადამიანი
 ხალხის წინაშე უცებ გაშავდა.
 გვიანლა ჩაქრა ხალხის ჩოჩქოლი,
 ყველამ გაკიცხა ქეცეა ინჟინრის,
 ფერმწეანე, როგორც წაბლის ფოთოლი,
 შინ გაეშურა მენაბდიშვილიც.
 წყელი საჩემელი მისი ფიცრულის
 უცებ განათდა მთვარის ამოსვლით.
 კაცი დაღლილი და გაკიცხული
 ტახტზე წამოწვა ტანისამოსით.
 არ მოუხუჭავს თვალი გაიოზს,
 ასე დარდობდა დროზე დასჯილი.
 ნატრობდა: „იქნებ კარი გაიღოს
 და შემოვიდეს კობერაშვილი.
 იქნებ დავითმა მომცეს ნუგეში,
 ვისაც თვალეში ხალხი შესცქერის.
 საით წავიდე, რომელ უბანში
 გამომეყოფა თავი შერცხვენილს?“
 ასე ფიქრობდა ძილგატეხილი,
 გაოგნებული კაცი წუხილით,
 ვისაც ბრიგადის რისხვა მეხვიით
 თავს დასტყდომია მძაფრი ქუხილით.
 ვის გადაეუხსნა გული ამალამ,
 ჩემი სიწრფელე ერთმა იცოდეს...
 ძმა, მეგობარი თუკი აღარ მყავს,
 რალად ვესწრაფვი ქვეყნად

სიცოცხლეს.

გულში ვარამი, დარდი ბევრია,
 გულს სინანული ბუგავს, აშფოთებს:
 მკვიდრი ოჯახი დამინგრევია,
 ხვალ ბრიგადასაც უნდა დავმორადე.

რაღაა ქვეყნად ჩემი ცხოვრება,
 ჩემი სიცოცხლე ახალგაზრდულმა...
 პირშერცხვენილი ვრჩებმს სწორებთან,
 გაშავებული და გალანძლული.
 მართალს დღეიდან არვინ მიწოდებს...
 ძილი დაუფრთხეს ვაეკაცს ფიქრებმა:
 „ნეტავ იგორმა მინც იცოდეს
 ჩემი წუხილი და გაჭირება.
 ჩემმა ძმობილმა, ჩემთან გაზრდილმა
 უნდა იცოდეს, უნდა მივეწერო,
 რომ ბრიგადასთან შევრცხვი

ნამდვილად.

გული წერილით უნდა ვიჯერო.
 მენაბდიშვილი გრძელ მაგიდასთან
 დაჯდა, დაიწყო ასე წერილი:
 „შენმა ძმობილმა ველარ ივარგა,
 გალანძლულია და შერცხვენილი.
 შენი ძმობილი ყველამ გაკიცხა,
 წინ ჯგებირები დახვდა სიძნელის,
 თურმე კეფაზე ტეხა კაკლისა
 ძნელი ყოფილა — ახლა ვიგრძენი.
 რომ გამოგიტყდე და გადაგიხსნა
 გული, ნამდვილად ახლა მწყურია
 ისმინე სიტყვა ამხანაგისა,
 ვინც დღეს საჯაროდ გალანძლულია“:
 უცებ გაისმა სტვენა ხშირ-ხშირი,
 ქარის სასტვენით სტვენდა რიერაჟი.
 სწერდა გაიოზ მენაბდიშვილი,
 თავს რაც გადახდა წელან გვირაბში.
 როცა იჯერა გული წერილით,
 ჩაუქრა კიდევ იმ. დროს სანთელი,
 მენაბდიშვილი, ვით მოცელილი,
 დაწვა. ესიზმრა იგორ ლაბტევი.
 ესიზმრა: ერთად ზღვაში ცურავდნენ,
 ერთად დაესწრნენ ზღვის დაბადებას,
 თითქოს იღებდნენ ერთად სურათებს,
 სადაც ბზინავდა მზის ქანდაკება.
 ბელადს, თბილისის ზღვისკენ

ხელგაწვდილს.

წინ ჩაუარეს თითქოს ორთავემ,
 უკმაყოფილოდ დახვდათ მზეკაცი
 და ზღვა რატომღაც იყო მშფოთვარე-
 მენაბდიშვილი მიხვდა მაშინვე
 და ხმის ცახცახით სტალინს მიმართა:
 — დიდო ბელადო, ვარ დამნაშავე,
 რომ გავაწბილე ხალხი, ბრიგადა...

ბელადმა მაშინ წარბი ასწია,
 მზერაში სიბრძნის წყარო მოჩქეფდა:
 — შენ კომუნიზმის ჯარისკაცი ხარ
 და არ შეგფერის გაყოფობა! —
 აუჩქარებლად უთხრა გაიოხს,
 და ზღვას შეავლო თვალი ბელადმა,
 რწყადნენ შეფეხები ლურჯ სანაპიროს,
 იგრის ანკარა წყალი ღელავდა.

ჩრდილი ნიგუნარის და მუხნარისა
 გარს მოვლებოდა მის ქანქარებს,
 ვინც ჩვენ სიცოცხლე გვაგვიხალისა,
 ტბებთან დიდ დღეზე ვინც ქადაგებდა,
 კაცობრიობას ვინც დაეხადა,
 რომ ამოვგდო ქვეყნად შიმშილი.
 და განა მართლა სიზმარს ხედავდა,
 ძილში ფიქრობდა მენაბდიშვილი.

თაზი XI

მოხუცი ცხედრის გაცრეცილ ტუჩებს
 სათქმელი ჰქონდა თითქოს მომდგარი,
 და მკერდზე დაყრილ ყვავილებს
 გულპრელს
 ურხევდა სტეწენით ქარი მომსკდარი.
 ატეხილ ქარში შოპენის მარშის,
 სამგლოვიარო მარშის გოდებას
 როცა მოისმენ, შედგები მაშინ
 და ცივი მგზავრი შეგეცოცება.
 ტრიალ ტრამალზე თავახდილ კუბოს
 მიასვენებდა მთელი ბრიგადა,
 ტიალი ქარი მომძლავრდა, უფრო
 და ქარის ხმაში ველი გმინავდა.
 მიასვენებდნენ ბერიკაცს ველზე,
 შოპენის მარშის ხმები მწუხარე
 აჩენდა ხალხის თვალეზში ცრემლებს,
 ტრამალს ალბობდა ცრემლი მდუღარე.
 გულხელდაკრეფილ ოთარს, ჭიტესას
 დარდმა გაუშრო თვალეზში ცრემლი.
 ცამ თითქოს მათი გლოვა ისესხა,
 სხივებად ღვარა აღერსი მწველი.
 ჰბაძავდა მარშის გოდებას, ვალას,
 ქარიც გმინავდა ჟლოვის მარშივით,
 გასვენებაზე ამოსულ თამარს
 გვერდით მოსდევდა კობერაშვილი.
 დამწუხრებული, დადუმებული
 უჩუმრად ვინ არ მოთქვამდა მაშინ;
 გულში სიმწარეჩაგუბებული
 მენაბდიშვილიც მოჩანდა ხალხში.
 ახლადმეკრული ყვავილთ კონები
 ესხათ პატარებს მხრებზე ფრთებივით,
 წინ მიუძლოდნენ ხალხს გოგონები,
 მოსიარულე ენძელებივით.
 ისე ჰგოდებდა მარში შოპენის,
 ფრენა შეწყვიტა ლაღმა მერცხალმა,

ევონა, ყველას ღვიძლი მშობელი,
 მოხუცი მამა გარდაეცალა.
 შეჩერდა ხალხი. ყვავილთა ნოხზე
 დაუშვეს კუბო. მუსიკა შეწყდა.
 და ღრუბლის ჩრდილი პატარა ბორცვზე
 შრიალით გაწვა მწუხრისფერ ზეწრად.
 წამოიჩოქეს ცახცახით ნეშტთან
 დარდით აღსავსე, რისხვით აღსავსე
 მიხას ვაეებმა.
 ხალხს აცვიფრებდა
 ორი თმაგრუნა ძმის სილამაზე.
 კლდის მბურღავეები კუბოსთან დუმდნენ
 მამის წინაშე დაჩოქილები
 და იხსენებდნენ ბალობის წუთებს
 ძმები უღედოდ გამოზრდილები.
 წამწამებიდან ნამად ნასროლი
 ცრემლი დაეცა ნახად ცხედარზე, —
 მოხუცს გლოვობდა ახალგაცნობილს,
 ყრუდ ჭვითინებდა თამარ ცხედაძე.
 შუბლზე ეხატა გაიოხს დარდი,
 წუხილს შეეპყრო ვაეკაციის სახე:
 „მასხოვს, მოხუცო, გზას მილოცავდი,
 სამგორში როცა პირველად განახე.
 გზის დამლოცავო, ველარ
 შეგხვდები“, —
 გულში ამბობდა მენაბდიშვილი.
 და აკვდებოდა სხივთა შეფეხები
 მის ჩალამებულ თმებს ზარინშივით.
 ამ დროს ცხედარზე შუბლშეკმუხენილი
 კობერაშვილის ცრემლიც დაეარდა.
 პარტორგს სწყუროდა გულისწუხილის
 გაზიარება მთელ ბრიგადასთან.
 იგი მაღლობზე შედგა მარტოკა,
 ხალხს გადახედა და გაიმართა.
 ხელად მიიპყრო მზერა პარტორგმა,

მზერა გულდამწვარ ადამიანთა.
 დინჯად დაიწყო დავითმა სიტყვა,
 ლაგამი მოსდო მან გულის ლელვას:
 — ამხანაგებო, დღეს უხმოდ ითქვა,
 რასაც გევალებს მამული ყველას.
 ამხანაგებო, ვინ გაიოცებს,
 ვინ გაიკვირებს — ახლა ცხადია —
 გვალვამ ჩააქრო წმინდა სიცოცხლე,
 შხამი გველური მან დაანთხია.
 ნუ დაევიწყებთ, ამხანაგებო,
 ვართ დაზრდილები ჯარისკაცებად.
 ავაგრილოთ ახლა ნალმები
 ძველი მებრძოლის პატივსაცემად.
 რომ დაიმარხოს ნალმთა ძახილით,
 ძველი მებრძოლი ამის ღირსია,
 დიდ ომში მისი სისხლი დაღვრილი
 მთელი ქართველი ხალხის სისხლია!
 კობერაშვილი ქუხდა ხმამაღლა:
 — ასეთ უბადლო და სანაქებო
 მებრძოლს ფრონტულად უნდა
 დამარხვა,

ჯარისკაცურად, ამხანაგებო!
 თქვა და შორს, ველზე ატყდა გრილო-
 მიწა აპყარა მაღლა ნალმებმა,
 გვალვისგან მკედარი ადამიანი
 გამოიტირეს ამხანაგებმა.
 გამოიტირეს ძველი თბილისის
 კონკის წამყვანი — მამა მართვეთა,
 შიოშვილისთვის ექვსი იენისის
 დღე რა უქმურად, შავად გათენდა!
 როცა ნალმების შეწყდა გუგუნი,
 პატარა ბორცვზე გაჩნდა საფლავი.
 დამარხეს გული მძლე, ჭაბუკური
 გული ძლიერი, ალაღ-მართალი.
 გული, რომელმაც გარდა მამულის
 ღრმა სიყვარულის არა იცოდა...
 გული, რომელიც ღრმა სიყვარულის...
 ძალით უწმინდეს სანთლად იწვოდა.
 გული, რომლის ხმა წმინდა, ხალასი
 საფლავში განა მიწყდა იმ წამსვე...
 გული, რომელმაც ვერ მოითმინა
 გვალვის ბოგინი წმინდა მიწაზე.

მდინარესავით ტოტებგაშლილი
 ხალხი დაშლილი ჩანდა ზეგანზე,
 დინჯი საუბრით კობერაშვილი
 მიაცილებდა თამარ ცხვედაძეს.
 — თურმე მოსკოვში, სწავლის დღეებში
 ის ჯერ გამოცდებს არ მორჩენილა,
 შეგიცდენია ქმარი დეპეშით,
 ჩაპრილა, უკან გამოფრენილა.
 კი არ გეწყინოს, ხარ დამნაშავე, —
 დავითმა თამარს გვიან შეჰპედა.
 — რაო? — მოუჭრა ქალმა მაშინვე
 და კობერაშვილს ცივად შეხედა. —
 ვარ დამნაშავე? რადგან ასეა,
 გიტყვით ყველაფერს, დავით, რაც
 მოხდა.

ვიცი, აუგად კაცმა მახსენა,
 ვინც თქვენს წინაშე არც კი გამოტყდა.
 რად დაგიმალათ, პირშერცხვენილი
 რისთვის დაბრუნდა კერის დამწველი,
 ახლაც უბეში მიდევს წერილი
 და ის დეპეშაც, ჩემი ნაწერი.
 და თუ ამაში ვარ დამნაშავე,

მას შეუძლია სწავლის განგრძობა.
 დღეს მე მამტყუნებს და ეს მაჯავრებს:
 ლაფი ესხმება მაგის კაცობას.
 ვიცი, არ უნდა გულით გაიოზს
 ჩემი დაკარგვა, განქორწინება,
 მაგრამ როდისღა უნდა დაიწყოს
 ჩვენი ოჯახის აღორძინება!
 მარტო საკუთარ გამარჯვებაზე
 იფიქროს, მარტო გადიჩეხება, —
 თქვა გულმოსულმა თამარ ცხვედაძემ
 და ჩაფიქრებულ დავითს შეხედა.
 — ძნელია ქვეყნად კაცი ასეთი
 გულზევიადობას გადააჩვიო, —
 თამარს ხმადაბლა ეტყვის დავითი:
 — იგი შენ უნდა გადაარჩინო.
 მან უნდა იგრძნოს რისხვა დამტყდარი,
 ჰყავდეს ერთგული კაცი ქომაგად,
 რკინა უძალო სხივით ჩამთბარი
 არ გადიქცევა ნამდვილ ფოლადად! —
 გზატკეცილამდის რომ მიაცილა,
 დინჯად მიუგო თამარს დავითმა:
 — ის ჩემი შვილის ტოლი კაცია

და როგორც მიყვარს, რაღა თქმა გინდა?
მისი მშველელი ახლა შენა ხარ,
უქირს გაიოზს მარტოდ ცხოვრება,
ძნელია მისი აღზრდა ხელახლა,
ძნელია, მისი გამოსწორება.
ჯერ შენ გადადგი მისკენ ნაბიჯი,
ამით უჩვენე მას მაგალითი! —
როგორც მშობელი თავის ქალიშვილს,
ისე უმზერდა თამარს დავითი.

დავითს მოუჭრა სიტყვა თამარმა
და თან გვერდულად, მორცხვად
გახედა:

— მაღე ამოვალ, მთელი ამაღა
თან ამომყვება მოქანდაკეთა.
თან ამომყვება მთელი ბრიგადა,
მზეზე თქვენსავით აქ დავიწვებით;
მე ვინც ბალღური გზნებით მიყვარდა.
იგივე მიტაცებს თავდავიწყებით.

თავი XII

გრიალს იწყებდნენ გათენებისას
ლოკინის ხევი და რიყიანი,
უერთდებოდა ძახილს ქვეყნისას
მთელი სამგორის ხმა რიხიანი.
ჰქუხდნენ ტბებიდან, ვიდრე

პალდომდის

აღმშენებელთა რკინის ჯარები.
მუხების ენით იორს გატოტვილს
შეპბუბუნებდნენ ივრის ქალები.

ქარი უკან მოგაბრუნებს,
გზაზე დაგიდარაჯდება,
ივრის ქალებს, ხოდაბუნებს
რომ არ უთხრა გამარჯვება.
გამარჯვება რომ არ უთხრა
ამ ატეხილ, აყრილ ქალებს,
შეიძლება ბერი მუხა
პაპასავით გაგიჯავრდეს.
გზიდან პალდო გამოჩნდება,
სადაც წყალი კლდიდან ბტება,
სადაც მაღე აქოჩრდება
საგუბარი ციეტალღება.
ირმის ჯოგი სველტუჩება
გადმოლახავს მაღალ ქედებს,
კაცის თვალის შეუშინველად
რქებს ტალღებში ჩაახედებს.
ხელჩაქნევით მეტყვის ზოგი:
სად პალდო და სად ირმები?
მე მინახავს ირმის ჯოგით
სავსე ივრის ნაპირები.
თუ არ გჯერა, მიდი, ნახე
მომავალი გზა ივრისა,
ნახე სივრცე საკაღმახე,
საგუბარი წყალლიცილიცა.

მიდი, ნახე და მითხარი,
რომ სიცოცხლე მიეცე პუკარებს,
რა დიადი, რა მდიდარი
მომავალი გვიღებს კარებს.

ოკეანეში ცურვით დაღლილი
მეზღვაურების ყრუ ძახილივით
ატყდა გვირაბში ხალხის ძახილი,
ვაშას გუგუნი, მბურღავთ ყვილი,
— მიწა ჩანს, მიწა! — გაიძახიან,
მიწა შორს როცა ემცნაურებათ,
ასე იციან ცურვით დაღლილმა,
მიწას ნატრულმა მეზღვაურებმა.
— მიწა! — გაჰქუხდა მთელი ბრიგადა.
ჰქუხდნენ ბურღებიც წვერგაპირული,
უცებ გარდასულ დღეებს მიბარდა
კლდოვან ქანებთან ბრძოლა გმირული.
ნათურა მიწის წინ ცახცახებდა,
— მიწა! — გვირაბში ხმა მქუხარებდა,
კედლად აღმართულ კლდის დამარცხება
გულს, აბა, ვის არ გაუხარებდა.
— მორჩა, გადაგვხდა მძიმე წუთები,
პარტორგმა ჩვეულ სიღარბაისლით
უთხრა გაიოზს: — ნუ გავბრუნდებით,
არ გაიჭრება მიწა თავისით.
აი, ხომ ხედავთ, — იტყვის დავითი, —
აღარ გვეკირდება შენი სამი თვე.
შეცდი, გაიოზ, ახლა რას იტყვი,
სწორი ვყოფილვარ მე იმთავითვე?
— მიწამ გვიშველა, — ნიშნის მოგებით
სიტყვა მოუჭრა მას გაიოზმა.
— მიწამ კი არა, თავგამოდებით
კლდე დამარცხა ხალხმა, შეილოსანს
ხალხმა გაბურღა კლდე კაიიანი,

პასუხს ხალხივე გაგცემს, იცოდე-
დიახ, ხალხია შენზე ჭკვიანი,
ხალხი შემრცხვენიელს არ შეიცოდებს.
კრებაზე უნდა გქონდეს ამალამ
შეკრდი გრდემლისა, გული უროსი.
— სხვა რაღა გინდათ ჩემგან? —
ხმამალა

შესძახებს პარტორგს უბნის უფროსს.
— მოხვალ, გაიგებ, ნახავ, რაც გვიწავდა,
ხალხი რას გირჩევს, რაც გეუბრებიან
აუღელვებლად თქვა და გასცილდა
კობერაშვილი ნაწყენ ინეინერს.

ვერ უპოვია კვამლს გასასვლელი.
კედლებს აყვითლებს თეთრად
გაკირულს,
ჟართო ფიცრულში დათა გლდანელი
თავმჯდომარეობს კრებას პარტიულს.
დათა გლდანელის გვარი ნამდვილი
აბაძეა, მაგრამ, რომ არ ვთქვა,
არ შეიძლება: გლდანში გაზრდილი
დათა „გლდანელად“ ხალხმა მონათლა.
ვინც დაიბადა და გაიზარდა
გლდანში ცნობილი, სახელგანთქმული,
ყველა გლდანელად გადაინათლა,
გვარი ნამდვილი აქვთ შენახული.
ყადრი გვარისა განა დაკარგეს,
ხალხში ცოცხლობენ ხალხში
გაზრდილნი,
ხალხს უთქვამს: ხალხი რასაც
დაგარქმევს,
ის არის შენი გვარი ნამდვილი.
თავმჯდომარეა ახლა კრებისა,
ხალხმა იწება დათას არჩევა.
ჭიტესას გვარის დაძახებისას
მალა შემართა ხალხმა მარჯვენა.
კობერაშვილმაც ხელი ასწია,
თქვა: — ვარ თანახმა მისი მიღების,
გამრჯე კაცია, წრფელი კაცია,
ღირსია ჩვენი რკინის რიგების.
ადასტურებდა ხალხი ერთპირად,
ადასტურებდა კრება ძაბილით,
რომ ჭიტესასაც ამიერიდან
ყველაზე წმინდა ერქვას სახელი,
ერქვას სახელი კომუნისტისა,
ყოს პარტიის შეილი ნამდვილი,
ცეცხლში გამოვლილ ლომგულს
ვისთვისაც

აქვს სტალინგრადთან სისხლი
დაღვრილი.
როცა ოთარის ჯერი ჩამოდგა,
ზეზე წამოდგა ხელად გლდანელი
და უჩვეულო ლეღით წარმოთქვა:
— ერთად განველიეთ ჩვენ განსაცდელი.
ერთად ვიბძოლით მე და ოთარი,
გულები ცეცხლში ძლივს გამოვწაფეთ,
სადაც დღეები იდგა მშფოთვარი,
ჩვენ ერთმანეთი იქ გამოვცადეთ.
ზადი არა აქვს მის ვაჟაკობას, —
დათამ ხმამალა თქვა და მაშინ მან
ერთიც შენიშნა: — წყალში დაბრჩობას
ოთარმა ბევრი გადაარჩინა.
მაშინ შავ ზღვაში ბევრი დავკარგეთ,
ბევრიც გადაარჩა ძლევამოსილი.
ოთარს შავი ზღვის ლომი დაარქვეს.
ისე ცურავდა ეს დალოცვილი.
ახლაც კაცურად, კარგად მოიქცა,
რომ ჩამოვიდა, ჩვენთან რომ იბრძვის...
ერთხმად მიიღო კრებამ ორი ძმა,
აქო მარჯვენა კრებამ ორი ძმის.
ძმები, დაცემულ მიხას ვაყები,
თითქოს სკამებზე კი არ დაეშენენ,
არამედ ზღაპრულ მფრინავ რამებით
მოსხლტნენ, გაფრინდნენ მზისკენ
პაერში,
სადაც ელოდა შეილებს ალერსი,
ვით ერთ დროს — მშობლის ცისფერ
თვალეზში.
და ერთი დიდი ფიქრი, ოცნება
ენტო, იწვოდა ყოველ მათგანში.
მკვდარი ტრამალის გამოცოცხლება
რაც შეიძლება მოკლე ვადაში.
ერთ გზას მისდევდა ყველას მიზნები:
მძლე მარშით, განა ნელი ნაბიჯით;

უღიღინებოდ ვერ გავიზრდებით,
როგორც უმწეოდ ნერგი ნარინჯის.
დიხაც ძალუმს მიზანს ხმელეთზე
ჩაახრჩოს გვალვა, ამის სიმწარე.
ძალუმს არეკლოს ცისარტყელებზე
ტყის, წალკოტის და მოლის სიმწვანე.
ისე ვიზრდებით დიად მიზნებით,
რომ ხვალ ვარსკვლავებს მკლავით
აეწვდებით,

დღე-დღე იზრდება კომუნისტების
არმია ნამდვილ ჯარისკაცებით.
ივღა გაიოზ მენაბდიშვილი,
ვრძნობდა, დგებოდა წუთი

გულმოსვლის.

„თავის მართლება ველარ მიშველის“, —
გულში ფიქრობდა უბნის უფროსი.
მისი საკითხი ახალ საკითხად
ახლაც საჯაროდ იდგა კრებაზე:
„რად ვემეტები ხალხს

გასაკიცხად?“ —

იგი თავისთავს ჰკითხავს მესად.
სიტყვა აიღო უბნის პარტორგმა,
უფროსმა ცოდნით და ასაკითაც.
მენაბდიშვილი გულში ნატრობდა:
„ნეტავ გადავრჩე ახლა გაკიცხვას“.
როცა დაიწყო სიტყვა დაეთმა,
სმენა სუყველამ მაშინ დაძაბა.
— ამხანაგებო, ვფიცავ, არ მინდა
კაცის შერცხვენა, კაცის დაჩაგვრა.
კაცის გაკილეა ტყუილუბრალოდ
ბალღობიდანვე არ მიკადრია,
მაგრამ მტყუანი რომ შევიბრალოთ,
რალა პასუხი გავცეთ პარტიას?
ხომ დაეჩოქეთ კლდე სამ კვირაში,
ხომ არ დაგვჭირდა მთელი სამი თვე,
ხომ ვართ მართალნი ქვეყნის წინაშე,
ხომ ვართ მართალნი ჩვენ იმთავითვე.
ხომ შეგვარცხენინა მენაბდიშვილმა,
ეგონა, სულით ვართ პატარები,
მაგრამ ფრთის გაშლას ვერ

დაგვიშლიან,

ძმებო, ასეთი ამპარტაუნები.
უნდა კამათის ცეცხლი დაინთოს,
მისთვის ესლა ერთი საშველი.
ჯანა ბრიგადის სახელს დაინდობს
კაცი — საკუთარ კერის დამშლელი.

იციო, უღირსად რომ მიატოვა
მენაბდიშვილმა კერა თანხისა
მეც ამიხვია თვალი რატომღაც.
გავცეთ პასუხი დღეს საკადრისი! —
უბნის უფროსი გამავებული
თვალს არიდებდა ხალხს გაჭირვებით,
და მოსმენილით გაჯაგრებული
კრება უმწერდა მას დაყინებით.
— გატყობდი, კაცი სანთლად იწვოდი
ჩვენთან ერთხელაც არ გიმღერია,
ხალხს უმაღავდი და რა ვიცოდით,
თურმე ოჯახიც დაგინგრევია.
თურმე ტყუილად თავის მართლებას
გჩვევია, ჩემო ძმაო გაიოზ,
ვთქვამს ენაზე რაც მოადგება,
სიმართლედ უნდა ჩამოარიგოს?
ძმაო, უფროსთან რისთვის მისულხარ,
უჩვენოდ ვადის გასაგრძელებლად.
რომ მიდიოდი, აბა ვის უთხარ?
სხვა ჩვენს ადგილას გაგაძეებდა...
დაჯდა გიგოლა. ყველამ ერთობრად
იწყო მტყუნება გულით უნდოსი.
არვის უნდოდა, რომ განეწირა,
ხათრი მოსდევდათ უბნის უფროსის.
რომ მოათავა სიტყვა პარტორგმა,
მენაბდიშვილთან შედგა გიგოლა,
იგი შეცბუნდა, შეკრთა რატომღაც,
სიტყვის წარმოთქმა ჯერ არ ინდომა.
თავის ინეინერს რომ დააქქერდა,
ელდამ აქცია იგი ქანდაკად:
გაიოზს ოფლი მოწანწყარებდა
ლაწვებზე ტყვიის მდულარ ნაკადად.
იდგა გიგოლა, გლეხი ახმახი,
და შესცქეროდნენ კრების წევრები,
მბურღავს შერუჯულ შავი ბალახის
დარად უჩანდა გრძელი წვერები.
იგი შერცხვნილ უბნის უფროსთან
იდგა მოხრილი, თან ახველებდა,
გიგოლას მთელი გულით უნდოდა,
ეთქვა რამ მოძმის გასამხნეებლად.
მაგრამ გაალო პირი თუ არა,
— შერცხვიო, — ახმახს ეს-ლა
წამოსცდა, —
გაიოზ, კრებას ვერ დავუშალავ,
შენმა სობრიყვემ მეც გამაოცა.
კაცი შებოლეს შავად სიტყვებმა,

როგორც თუთუნის კვამლმა ფიცრული.
იჯდა და ხმასაც აღარ იღებდა
გაშვეებული და გაკიცხული.
ერთხმად დაადო კრებამ სასჯელი,
ხალხის სიმართლემ დაიმქუხარა.
და გაფრთხილება უკანასკნელი
გაისმა, როგორც მკაცრი მუქარა,
ვაყები მიხა შიოშვილისა

XIII

— სინათლე! — უცებ ატყდა გრუხუნი,
— სინათლე! — სამგორს ხალხმა
გასძახა,

ისე აქუხდა მთა გაბურღული,
შეაერიალა ტრამალს გადამხმარს.
ვერ შეედრება მუხის დაცემის,
მმაფრი გრიგალის ხმა, ვერც ლომების,
ხმა კომუნისმის ჯარისკაცების
ხმა ბრძოლებით სავსე ცხოვრების.

— სინათლე! — ჭექდა მთელი გვირაბი,
— სინათლე! — გრგვინვა აღარ
ცხრებოდა,

და მზის სხივების ჩქერი პირდაპირ
გულგამოფულრულ მთას აწყდებოდა.

განა კლდის ფენა, განა ქვიშნარი, —
წინ აღემართა შუქი ბრიგადებს,
წუთით დაუდგათ დაუფიწყარი
მთის ჩალამებულ გულის ბინადრებს.

გაქრეს გვირაბი, უკვე დამთავრდა,
უკვე გამოჩნდა ივრის სავალი.
მიწას სიცოცხლის შუქი დაადგა,
ჩქერებს ლანდავდა დიდი ტრამალი.

ვიადუკების, აკვედუკების
ხმას შეერთვოდა ხმა დედამიწის:

— სამგორო, იორს ჩაეხუტები,
როგორც შინმოსულ ბალს დედამისი!
მიწისქვეშეთში დღის დაბადებას
ხალხი ხედებოდა მკერდგაღელილი,
გვირაბს მზის შუქი ისე ანთებდა,
როგორც ბნელ ღამეს ელვა ტეხილი.

გვირაბში უცებ გაჩნდა ორქარი
და უჯარმიდან ზეგანს მივარდა,
ძმებში სამღერლად ჩადგა ოთარც,
ძლევის სიმღერა სქექა ბრიგადამ.

ისხდნენ, ისმენდნენ ხალხის განაჩენს,
თან ოცნებობდნენ: „საქმიო,
სინდისყო,
კეთილკაცობით ვგავდეთ მამაჩვენს“.
ასე ფიქრობდა ახლა ორივე,
თითქოს ორივეს მამამ მიმართა:
„შვილებო, ამ დღემ გასაოცარი
გაკვეთილივით გზა გაგინათათ“.

გვზრდიდა პარტია, გვზრდიდა მზე,
ვართ მშენებლები ქვეყნისა.

უნდა დაეხადოთ მიწაზე
ქართული ზეცისფერი ზღვა.

გვზარდა პარტია, გვზარდა მზე,
გულად გვაქვს მთელი სამყარო,
ყველა გადამწვარ ტრამალზე
უნდა გახაროთ, ბალნარო.

უნდა დაეხადოთ მიწაზე
ქართული ზეცისფერი ზღვა,
გვზრდიდა პარტია, გვზრდიდა მზე,
ვართ მშენებლები ქვეყნისა.

გახარებულნი და კმაყოფილი
კობერაშვილი შეხვდა გაიოზს.

— ნუ იბუზები ავადმყოფივით,
სქექე სიმღერა, სევდას გაგიდნობს! —

მენაბდიშვილმა ცივი ღიმილით
დავითს მოუკრა: — არ დამეხსნები?
დავდივარ შენი შვილიშვილივით,
ქუყას მარიგებ, სადაც შემხვდები.
მეც მემღერება ახლა ძალიან,
მეც გამარჯვება მზემდე მამალღებს,
მაგრამ სამღერლად აღარ სცალია
ჩემს გულს, კაცობას, ჩემს სიამაყეს, —
თქვა და გასცილდა პარტორგს დასჯილ
მენაბდიშვილი ზელის ჩაქნევით.
დავითი გულში იტყვის მაშინვე:

— ერთმანეთს კიდევ შევეჯახებით.
არ შევალუბა მარტო გვირაბის
გაქრა, ვადაზე ადრე შენება,
პატივმოყვარე აღამიანიც
რომ ვერ გარდავქმნა, რა მეშველება?
ის შევიყვარე ღვიძლი შვილივით,
გამოვიყვანე ხალხში კაცურად,
ახლა უჩუმრად მიდის ჩრდილივით,

ნაცვლად მადლობის — ამითვალწუნა.
 მოდი, ასეთ კაცს დასდე ამაგი,
 პასუხს რომ აღარ მაძლევს სალამზე!
 აღარც ოჯახი, არც ამხანაგი,
 მაშ, რა იტაცებს მას ქვეყანაზე?
 განა მარტოკა მიწის გადახვენას,
 შეცვლას გვიბრძანებს ხალხი, პარტია?
 უნდა შემეძლოს მისი გარდაქმნაც,
 ვისაც უღირსის დალი ატყვია.
 მეც ვეთანხმები ჩემს კობერაშვილს,
 (თავი პოემის გმირი მეჩვენა).
 ბევრჯერ ვინანე, მეც ცხოვრებაში
 დამრიგებელთან პირის შერცხვენა.

ბევრჯერ ვინანე, მაგრამ გვიანი
 იყო ყოველთვის ეს სინანული
 გაოგნებული და დარდინებული
 ვტვნი და მეებს ცრემლით ნამული.
 უმეგობრებოდ ბევრჯერ მივლია,
 ნაკლიც, ვინ დათვლის, დამყვა
 რამდენი.

და დღესაც, დღესაც არ შემიძლია
 ვთქვა, რომ შეცდომის არ ვარ ჩამდენი.
 გვეყოს საკუთარ თავზე ბაასი,
 თავის გაიკიხვა, თავის მართლება,
 ნეტავ სიცოცხლე ასე ლამაზი
 უნაკლოდ როდის დაიხატება!

XIV

— ჩხირი კედელსო, გამცა პასუხი,
 თვე გაიჟიმა ორი წელივით, —
 თქვა გაიოზმა და სხაპასუხით
 გადაიკითხა მოჰმის წერილი:
 „რაც დავემართა ვიცი, გაიოზ,
 გადარდებს — გვერდით არ გყავს
 თამარი.

მაგრამ დავითის თქმისაც არ იყოს,
 ხარ გულზევიადი, ამპარტავანი.
 შიდი, იკითხე მკვიდრი ოჯახი,
 სიყვარულისთვის, ბავშვის
 გულისთვის.

წადი, ჩაუბტი თბილისს ცოტა ხნით,
 ნახე თამარი და შეურიგდი.
 ამბებს კითხულობ, ვიცი, აჭაურს,
 ვიცი, ძმობილო, არ მეგეკვება:
 სტებებს გარუჯულს, ქვიშით
 დაფარულს

რა დიდებული არხი ეჭრება.
 გახსოვს, სტებები რომ გაგვიარეთ?
 იქ დღეს რაზემები მოიჩქარიან.
 დონს უერთებენ ვოლგა მდინარეს,
 სადაც შეერთდა ორი არხია.
 ორი არხია სადაც შეერთდა, —
 ახლა ხანძარი როდი ბრიალებს,
 ბალ-ვენახების გასაშენებლად
 ხალხი მიუძღვის ორ დიდ მდინარეს.
 და იმ სანგარში, სადაც ვიწვეით,
 გაისად ზუხას დავრგავ, გაიოზ,
 დე, ხემ ძმობილთა თავდავიწყების

დღე სახსოვარი დაათარილოს.
 დე, ჩვენი წმინდა სისხლი დაღვრილი
 მიწამ აწოდოს მუხას სასმელად.
 ახლა ნახვამდის, ეწვები დალილი
 და გთხოვ, ძმობილო, უკანასკნელად:
 თუ სიყვარული შეგჩა მციარედი,
 თუ ძვირად გიღირს ყადრი ძმობისა,
 დავითს უსმინე, შენ ხარ იმედი
 შვილდაკარგული ხვადი ლომისა“.
 გადაიკითხა მოჰმის წერილი,
 ჩაყვა სტრიქონებს განმეორებით.
 წარბებშეკრული და მოწყენილი
 გაწვა ვაჟკაცი ტახტზე ზმორებით.
 ვერ დაიძინა. დიდხანს ებრძოდა
 მენაბდიშვილი ფიქრებს წამოშლილს.
 კობერაშვილი იწვა მეზობლად,
 წიგნს კითხულობდა რკინის საწოლში.
 „ერთჟერკვეშ ვცხოვრობთ, მაინც
 მგონია.

თითქოს გვაშორებს დიდი მანძილი“.
 ერთმა წადილმა აიყოლია.
 მენაბდიშვილი, ფიქრით დალილი.
 ერთი წადილი გულში გაუჯდა,
 გასაუბრება სცადა დავითთან,
 მაგრამ ვაჟკაცი წუთით დამუნჯდა
 და თქვა თავისთვის „არა, არ მინდა“...
 ძილგატეხილი ბოლოს წამოდგა,
 რიდი დაძლია მან ვაჟკაცურად.
 არც თვითონ ახსოვს, როგორ
 წარმოთქვა:

— დაეით, ხმა გამე, რამ გაგაჩუმა...
წიგნი დაეცა კობერაშვილმა,
ცერად გახედა ამდგარ გაიოზს.
და გაიფიქრა: ისევ ბავშვია, —
ამდენმა ფიქრმა არ გადარაოს.
— რა დაგემართა, რას გწერს იგორი? —
კითხა გაიოზს უბნის პარტორგმა
და არ ეგონა, ასე იოლად
თუ მოხდა, რასაც გულით ნატრობდა.
მკერდში ჩაეკრო დაეითს შვილივით
მენაბდიშვილი ძილგატეხილი.

თავი XIV

— იორი! — ხალხის ზღვა აგუგუნდა,
თავი გრიგალმა დღეს აიწყვიტა,
თითქოს იფეთქა საუკუნეთა
ღიაღმა ნატვრამ დედამიწიდან.
— იორი მოდის! განა იოლი
იყო ტრამალზე გაჭრა არხისა,
ბარში მთებიდან გაჩნდა იორი,
წყალს დაეჯახა ვაშა ხალხისა!
მთელი თბილისი სამგორს სწვევოდა,
გადმოსულიყო მთელი რუსთავი,
ვინც შეგვიანდა, გული სწყდებოდა:
— ივრის მოვარდნას ვერ მოეუსწარი!
გორის, ბათუმის, ფოთის მკვიდრების
და საქართველოს ურიცხვ ქალაქთა
ქექდა სამგორში ჰიმნი დიდების, —
თავს დაჰნათოდათ შუქი ქათქათა.
— ამიერიდან არ იყამირებს
სამგორი — ქართულ მიწის ჯაგარი!
ხალხი ისროდა არხში ყვავილებს,
ხალხში მოჩანდა შვილით თამარი.
მზის და სიცოცხლის საგალობელი
გაქქუნდა, აღარ მიწყდა სიმღერა,
მიწამ დალია სამადლობელი.

— ხედავ, ჩამოვინი კაცი ცვილივით,
კვლავ შენი რჩევა მინდა კეთილი.
გადავიწყე ჩემი უკმებელი
სიტყვა-პასუხი და საქციელი.
მამა-შვილობა ჩვენი უტეხი.
ღე, იყოს ძველზე ასმაგ ძლიერი.
შენვე ითავე ჩემი თამართან
ერთხელ შეხვედრა და შერიგება,
გული, რომელმაც ლხენა წამართვა,
კვლავ სიხარულით სავსე იქნება.

ივრის ჰაშნიკი მიწამ იგება.
ვით კომუნიზმის მახარობელი
გაქქუნდა, აღარ მოწყდა სიმღერა,
ქექდა მთელი ხმით, ჰქუნდა მამული,
კრემლში ბელადი — ზღვათა მშობელი
სამგორს უსმენდა სულგანაბელი,
შერას სტყორცნიდა ჩამშრალ
ველამდის,
კაცი სიკვდილის დამამზობელი!
დედამიწაზე, გარდა ბელადის,
სხვა არ შობილა ზღვათა მშობელი,
მისი სახელი არხსაც დამშვენდა,
ვინც დასცქეროდა რუკას დახრილი,
ვისი ნებითაც აღდგა, აშენდა
ჩემი სამშობლო ომგადახდილი.
ვინც დაებადა კაცობრიობას,
დროშა გონების რომ აეწია,
ვინც აღასრულა — კაცის გმირობად
სამშობლოსათვის შრომა ექცია.
ვინც შემოქმედად სულში შევიდა,
აღამიანიც რომ გარდაექმნა,
მისი სახელი უკვე დღეიდან
კომუნიზმისთვის ბრძოლას დაერქვა.

წინადა ზეიმის გაჩნდა ფერდამზე
აურაცხელი წყება სუფრათა,
ერთგან ილხენდა თამარ ცხვედაძეც,
დაი კეთილი ყველას უყვარდა.
მოქანდაკეთა მთელი ბრიგადა
გადაპყრებდა ტრამალს დაცემულს.

ჭიქის სარკემიცი ველი ბრწყინავდა
და აბრუებდა ხალხს ალტაცებულს.
ბაღი გაიოზ მენაბდიშვილის
მარტო იერით მოჰგავდა თამარს,
მამის ხშირ-ხშირი თმები გიშერის,
მამის თვალები ჰქონდა პატარას.

ოჯდა დედასთან, მტრედს აპურებდა, ბოლოს წამოხტა სხარტად არჩილი, მოუხდა ზეიმს, დედაბუნებას ცაში ფრინველი ლაღად აჭრილი. ლაქვარდში ერთი თეთრი წერტილი, ზეიმს შნოსა და ლაზათს ჰმატებდა, მშვიდობის თეთრი მტრედი კეთილი ხალხს მახარობლად დაჰფარფატებდა. და ბრიგადები მიწის მუშათა, მებეტონეთა, წყება ხუროთა ჯარისკაცურად ისხდნენ სუფრასთან, ლეინო ზეიმზე ყველას სწყუროდა. როცა გაიოზ მენაბდიშვილი თავდალუნული დაჯდა თამართან, სუფრამ დასქევა ერთხმად ყიყინა, ხალხი აენთო და გათამამდა. გამხიარულდნენ. ლხენამ იმატა, (ქართველს უღვინოდ ლხინი არა სწამს.) სუფრას გიგოლამ ენაკვიმატმა გასძახა: — ეაშა სიძე-პატარძალს!.. წამოწითლებულ თამარს, გაიოზს აღღერგძელებდნენ ერთად ყანწებით. და ის ქეიფი, ზღაპრის არ იყოს, იქცა ქორწილად, ჩემ თანდასწრებით. მამის მარჯვენა ეპყრა მარჯვენით, მარცხენით კიდევ დედის მარცხენა

ოჯდა მშობლებთან ბიჭი არჩილი, პატარაც გრძნობდა კერის კლდეგნას. სქეჟდა თამადა — კობერაშვილი — ახლად აღდგენილ ოჯახს დიდება! მინდა გაიოზს სჯობდეს არჩილი, სამგორს ეწვიოს, რომ გაიზრდება. აქ გაღიზიანოს მანაც ქორწილი, იქნებ მინამდევ არც კი დაეუარდევ. მოვალ მოხუცი, ჯანგამოცლილი გავეპაბუკდები და ვითამაღებ. იორს ხაფავდა მიწა გაჭრილი, მიწა სიცოცხლის ძარღვად ქცეული. თითქოს გამოჩნდა მიხას აჩრდილიც, სუფრას წარუდგა ალტაცებული. კლდეთამნგრეველები, კობერაშვილი, მენაბდიშვილი ყანწით დალოცა, მერე ავიდა ბორცვზე აჩრდილი და წმინდა ალაგს კრძალვით აკოცა. ადგილს აკოცა, სად ქანდაკების ამოეთხარა ხალხს საძირკველი, ბოლოს აჩრდილმა ლაქვარდს აძხედა, ცაში მშვიდობის ჩანდა ფრინველი. იორს მისდევდნენ გუნდად ჩიტები ცა დაჰფარვოდა მიწას ხავერდად. — აქა მშვიდობა! — გულდამშვიდებით თქვა და აჩრდილი იქცა ჰაერად.

XV

მიჰყვებოდა არხით იორს ქარაენეზის ლურჯ კალმახთა, შენატროდა გლდანი ლილოს, იმწვანებდა შუბლს მახათა. ზღვაედებოდა წყალი წმინდა, ზღვაედებოდნენ მლაშე ტბები, ზედაზნიდან, კრწანისიდან დაუსახლდნენ გარს ნერგები. საბადურის წიფლებს, მუხებს, ივრის ქალის აყრილ ალევებს, ზღვისპირ ჩამოსახლებულებს არ აკლებდა ქარი ალერსს, ორთაქალას ჩაუქროლებს, აეჭრება შავნაბადას, დაგლეჯს ქარი ყაყაოებს, წითელ თოვლად გადაფანტავს. ხან დაუსტვენს ფრინველივით,

მიაქვს ქარხნის კვამლი შავი, ხან ტრიალებს ბორბალივით, ხან ჰქრის, როგორც ქარიშხალი. ეჯახება დიდრონ კაკლებს, ჰადრებს, მუხებს — ცასმიკრულებს, ვერაფერს რომ ვერ დააკლებს, მთელი ღონით დაიღმეველებს. რომ იყაროს სხვათა ჯავრი მიეხლება ახლა ძეწნებს. ბებერ ღომის მოღლილ ჯანით ვის დაეძებს, რას დაეძებს!.. მივარდება ახალ ნერგებს, ქარი ბლავის: დარდი მომკლავს, ხალხი მიწას ახავერდებს, აწალკოტებს, გზას მიბორკავს. უტრამალოდ რა მაყოცხლებს, ტრამალებში სად გაეთელო!

თავშესაფარს აღარ მომცემს
 ბალად ქმნილი საქართველო
 მწვანე მიწის მკერდს მომწყდარი

მივარდება ქარი ღრუბლებს
 და გულმკვდარი მომაცვდავე
 განწირულ ხმით დაღმძვლებს

უზარმაზარი ლოდი მალლობზე
 რომ დაინახეს ზღვასთან აღრიან,
 სამგორელები როდი გაოცდნენ,
 ექვიც არავის არ დაბადია,
 რომ აღმართავდა მის ქანდაკებას
 მოქანდაკეთა რაზმი ქებული,
 პროლეტარიატს ვინც აღანთებდა
 ქვეყნის სვე-ბედზე დაფიქრებულთ.
 იერშეცვლილი ბორციე ნაცნობი
 თოვლის სითეთრეს ღვრიდა ზეიმით.
 უზარმაზარი ლოდით მალლობი
 ჩანდა შორიდან მყინვარწვერივით.
 და ანიშნებდა სოფლებს მალლიდან
 ბორციე, მსმენელი კობას ძახილის:
 — ხალხო, გახედე, როგორ გაღვივდა
 მიწა გვალვასთან ომგდახდილი.
 სამგორელებო, გახედეთ ვალმა
 და დაინახეთ ბევრჯერ ნანახი,
 გვალვა მლაშე ტბის მარილად გაღვდა,
 ამოიყარა ველზე ბალახი.

მოგელვებულა ტლაშენით ტალღა,
 შემოვარდნილა ზღვაში კალმახი.
 გახედეთ! ხედაეთ? გამოჩნდა ბურჯი,
 ქვიტიკის ციხეს წაჰგავს ჩვენებურს.
 დაზღვავებულა იორი ლურჯი, —
 გედებს ამრავლებს გადაშენებულს,
 დამსგავსებია გორები ხურჯინს,
 პურ-ღვინით გავსილ-გადაქრებულს.
 დაცემულ ტრამალს გახედეთ ფართოს,
 თქვენ არ გათხარეთ ბარით არხები?
 თქვენ არ აშენეთ დღუდაბის ფლატო,
 ზედ რომ დაჰკიდეთ ბაირალები?
 და გადასძახეთ თბილისის ტაფობს:
 — ქალაქელებო, დაინახევით! —
 დაბლა დახრია ტოტები ტირიფს
 და სველ ფოთლების შეფათურებით
 გადაჰყურებენ თუთები თბილისს,
 აბღღვიალებულს ელნათურებით,
 და კალმახების ჭერით დაღლილი
 ზღვის პირად წვანან მებადურები.

ჩემო მკითხველო, ნება მიბოძე,
 უკანასკნელი დავსვა წერტილი,
 ვერ ვთქვი მთლიანად, ნუ გაიოცებთ,
 რაც გულით მქონდა გადაწყვეტილი.
 სხვა — შეცოდებას არც ვაამხელდა,
 თქვენ მაპატიებთ, შინაურები.
 ერთი საბჭოთა კერაც გამოთელდა
 მენაბღიშვილის შინდაბრუნებით.

მეც სულს მიმწარბებს, მებრძვის
 ყოველთვის
 კერის დანგრევის ძველი თარიღი.
 ვერ გადაწყვიტე... ჩემი პომის
 გმირმა გადაჭრა ძნელი საკითხი.
 ვერ ვთქვი, ბრიგადა ახალ საგუბარს
 როგორ უშენებს ტრამალს ზედა წელს,
 ვერ ვაეაგრძელებ ახლა საუბარს,
 ვერც დაგავიწყებთ თამარ ცხვედაძეს.

ის შავი დილა როცა გათენდა,
 ფარდად დაეშვა მწუხრი ქანდაკთან.
 ქეთინი ქართველ მოქანდაკეთა
 შეერთო ქვეყნის წუხილს ნაკადად.
 ხარაჩოვებში ჩამდგარ ბელადის

ჩამოსანაკეთად ზღაპრულ სახებას
 ტრიალ ველიდან მალალ კრემლამდის
 ჰქონდა კვარცხლბეკი გადმოსახედად.
 ძეგლს ჩაესმოდა დარდი ქვის
 მთელეთა,

ცრემლი მომსკდარი ზღვას აღელვებდა. თავს იკავებდა, არ ქვითინებდა თამარი ძმათა გასამხნეველად. მაგრამ შემოქმედ ქალის ცრემლები მღვლარ ვერცხლივით ქვაზე ორთქლავდნენ, ყრუდ ქვითინებდნენ ძეგლის მთლელები, სამგორელები მწარედ მოთქვამდნენ. მარტის სისველე ცრემლად ჩაგუბდა ასაკვირტებლად აყრილ ნერგებში, არ შეწყვეტილა რეკვა ჩაქუჩითა შეაშემოვლებულ მარტის დღეებშიც. გამოთხოვების დადგა წამები, ჩრდილი დროშების მწუხრად გამეფდა, დიდი ბელადის გარდაცვალებით დაობლებული წუხდა პლანეტა. ძალა კომუნისტ მოქანდაკეთა ქვას აცოცხლებდა ხორციელებით;

ხარაჩოებში უზარმაზარი ლოდი მოჩანდა ჩამოსათლელი, და შთაგონების უქრობ ხანძარით ქვასთან იწვოდა ქალი ქართველი. თამარს დასჩემდა ტუხა ღამეთა, ვულს უამებდა რეკვა ჩაქუჩითა, რამდენი ღამეც თეთრად გათენდა თმებში იმდენი თეთრი გაუჩნდა. ერთს მეტყველებდა მისი ჩაქუჩიც, რომ თითო ძარღვი, ხაზი ლოდისა ხალხს ანიშნებდეს დიდი ჭაბუკის დაძახილს პირველ მაისობისას.

ყოველ ცისკარზე მაღალ კვარცხლილზეთან რთვილი ეყარა გლოვის ცრემლივით. წუხდა გორივით მთელი ქვეყანა და ქვითინებდა გორი კრემლივით. ხან ლომის ბანით, ხან შეთრთოლებით, ხან ვით კლდის გული ნალმზობვედრილი ხევესს არყევდა ხმა ბეთპოვენის წლების სიღრმიდან ამოხეთქილი. ცრემლი აორთქლდა, ფიქვად გადიქა, მოთოვა ვანა მარტო თბილისში? და ყველა ქალის გმინვა გაისმა ფალიაშვილის მაროს ტირილში. ძმებს ამხნევებდა თამარ ცხვედაძე: — უნდა იწამოს ჩვენში ყოველმა, რომ ხეალ სიკვდილის დამარცხებაზე დაიბადება ძეგლი-პოემა!

დღე-ღამე იღწვოდა ქალი, ძლიერი რომ ჩაეტია ლოდში მედგარი, სულით ჭაბუკი, სახით ხნიერი, ბრძენი ბელადი ბორცვზე შემდგარი. თამარ ცხვედაძის წვა და ოცნება იყო მიზანი ერთი მთლიანი. როგორ იწვოდა. — გაგაოცებდათ მისი თვალების ცეცხლის ბრიალი. ხარაჩოებზე იდგა ნიადაგ, შთაგონებული ქალი თამამი, როგორ შეეაჭო, ჩემზე ხმიერად უქიათ ქალნი ამისთანანი.

ეპილოგი



საქართველოს
წიგნწერის
კავშირთა
კავშირთა

გადაიჭროლეს წლებმა ძლევისამ,
ზღვასთან დაზღვავედა მადლი ბუნების,
სტვენდნენ სამგორში შებინდებისას
მოლალურები და ბუღბუღები.
ჩემი პოემის გმირებს ნიადაგ
კლდე უნგრევეით, მთა მოუჭრიათ,
დავითს, გაიოზს, და მთელ ბრიგადას
ზღვისპირ სახლები წამოუჭიმავეთ.
როცა ტალღაზე ტალღა მიგორავს,
მამებს ეღვრებათ ტბილი ღიმილი,
ტყუები ვაჟკაცის დათას, გიგოლას
ბალებს გაუღიოთ ყივილ-ხივილი.
დედათბილისის ზღვასთან დამდგარი
თამარ ცხვედაძის ნაქანდაკარი,
დიდი ბელადის ძეგლი ბორცვიდან
სამგორს გასცქერის სულგანაბული,
და გულს უმშვიდებს სახემოციანარს
მშვიდობიანი სუნთქვა მამულის.

ბორცვზე შემდგარა გმირულ პარტიის
დიდი ბელადი და ამაგდარი.
ბედნიერების მზიურ ქარტიით
განახლებული უმზერს მთა-ბარი.
ბალებს გასცქერის და მთელ
სამშობლოს:

— ჩემო ქვეყანავ, ომი გაშოროს! —
ამბობს სტალინი — მამა მართვეთა.
მზის და მშვიდობის დამბადებელი,
დიდი ლენინის დიად საქმეთა
სწორუპოვარი გამგრძელებელი.
სამგორს გასცქერის დიდი ბელადი,
მისი მეტყველი მზერა ყველასთვის
მისახვედრია, გასაგებია,
საგულისხმოა და საგანგებო:
— ჯერ კომუნისში ასაგებია,
მე თქვენთანა ვარ, ამხანაგებო!

ლენინის უკვდავება

I

ოცდაათი წლის წინათ, მოსკოვის ახლოს, სოფელ გორკაში გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადი და მასწავლებელი, რომელმაც ასეულ მილიონობით დაჩაგრულსა და ექსპლუატირებულ ადამიანს უჩვენა ახალი ცხოვრების გზა, დაუმკვიდრა ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრება.

ლენინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის მთელი გმირული ისტორია, ძღვევამოსილი საბჭოთა სახელმწიფოს წარმტაცი ისტორია. ლენინმა არა მარტო დაიცვა მარქსიზმი მრავალრიცხოვან შტრებთან ბრძოლაში, არამედ ამასთანავე ყოველმხრივ განავითარა იგი იმპერიალიზმის ეპოქაში პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი პირობების შესაბამისად. ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები კომუნისტური პარტიისა, რომლის გარშემო დაიარაღმნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მილიონები. სოციალისტური რევოლუციის ლენინურმა თეორიამ მუშათა კლასს მისცა ბრძოლის პერსპექტივა. განავითარა რა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც სოციალისტური რევოლუციის თეორიის მთავარი, ცენტრალური იდეის შესახებ, ლენინმა აღნიშნა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი, პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპია.

კომუნისტურმა პარტიამ ლენინის მეთაურობით დარაზმა მშრომელთა მილიონები და წინ გაუძღვა მათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საიერიშოდ. 1917 წლის ოქტომბერში ძღვევამოსილად გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ და ამიერიდან დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც გამოაცხადა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა, დარაზმა ჩვენი სამშობლოს ხალხები ერთიან ძმურ ოჯახად პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ.

ვ. ი. ლენინმა შეაიარაღა პარტია და ხალხი სოციალიზმის მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას. ეს პროგრამა საფუძვლად დაედო კომუნისტური პარტიის მთელ მოღვაწეობას.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ, ლენინის საქმის დიდი განმგრობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით დაიცვა ლენინიზმი,

უფრო მკიდროდ დარაზმა ხალხი დიადი ლენინური დროშის გარშემო და სსრკავშირში სოციალიზმის აშენების მტკიცე გეზი აიღო.

განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა შვედეთის პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა სოციალიზმი, მძლავრ ინდუსტრიულ-საკომუნისტროს სახელმწიფოდ გადააქცია ჩვენი საშობლო. ახლა საბჭოთა ხალხი წარმატებით აშენებს კომუნისტური დიად შენობას; საბჭოთა ხალხის ყველა ისტორიული გამარჯვება კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის, საბჭოთა ადამიანების შთაგონებულნი, შემოქმედებითი შრომის შედეგია, ლენინის დიადი ანდერძის შესრულების შედეგია.

ლენინის საქმე უკვდავია. ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს. ასეული მილიონობით უბრალო ადამიანი მთელ დედამიწაზე ლენინის სახელს უკავშირებს ყველაზე სანუკვარ თავის ოცნებას, მისწრაფებებსა და იმედებს. დიად ლენინის სახე ცოცხლობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა გულში, შეგნებაში; აღაფრთოვანებს მათ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ლენინის გენიის შუქი გზას უნათებს მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს, ყველა მებრძოლს თავისუფლებისათვის. ლენინის გენიის ელვარე შუქი სწვდება მთელ მსოფლიოს და ხალხებს ეძახის წინ, ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ.

კაცობრიობის ისტორია წინ მიჰყავს ლენინის ნათელსა და შუქმფენარე გენიას. ლენინიზმის იდეების ძლევამოსილებაზე ხმამაღლა მეტყველებს მსოფლიოს ხალხთა გრანდიოზული ბრძოლა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. მრავალზე მრავალი მაგალითებიდან ჩვენ აქ ხალხთა ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდზე შევჩერდებით.

II

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ტრიბუნებიდან, მრავალ სხვა მისალმებათა შორის წაკითხული იქნა ლუის კარლოს პრესტესის მისასალმებელი დეპეშა. ბრაზილიელი კომუნისტების მამაცმა წინამძღოლმა ამ მისალმებით ერთგულების დიადი და წმინდა ფიცით შეჰფიცა ლენინის დროშას.

პრესტესი თავისი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ დღედ იმ დღესასთვის, როცა მან ლენინის წიგნი პირველად აიღო ხელში; ხოლო სახელგანთქმული პოეტი და რომანისტი ჟორჟი ამაღლე აღნიშნავს, რომ ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე არა მარტო პრესტესისათვის, არამედ მთელი ბრაზილიის ხალხისათვის, ორმოცდაათი მილიონი დაჩაგრული ბრაზილიელისათვის, რომელთაც ამიერიდან ისწავლეს როგორ უნდა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

პრესტესის სახელი თავზარსა სცემს ბრაზილიელ რეაქციონერებსა და მათ ბატონებს — უოლ-სტრიტის მაგნატებს. რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებზე გაკრულია განცხადებები, რომელშიც ბნელეთის მოციქულები ერთ მილიონ კრუსეიროს პირებიდან მას, ვინც პრესტესს მოჰკლავს, ან ცოცხალს ხელში ჩაიგდებს. მას გაცოფებით დაეძებენ არა მარტო ბრაზილიელი ფაშისტები, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე გამოცდილი და გაქნილი მშვერავებიც. მისი ძებნისას ალყას არტყამენ ქალაქების ქუჩებს, პოლიციის შეძებრებს

ფეხდაფეხ მისდევენ მეტყვიამფრქვეველთა ოცულები, თითქოს ბინების გასაჩნრეკად კი არა, ფორტებზე საიერიშოდ მიდიანო. და მინც მუდამ ამკოა მათი ცდები — პრესტესი არსად არ ჩანს, ვერ უპოვნიათ. დამამკვე დროს პრესტესი ჩანს ყველგან: ეს პრესტესია, ძილს რომ უფრთხობს არა მარტო რიო-დე-ჟანიეროს მარიონეტულ მინისტრებს, არამედ ვაშინგტონელ ბატონებსაც; ეს პრესტესის გამარჯვება იყო, რომ ამერიკელებმა ბრაზილიელი ჯარისკაცები ვერ გაგზავნეს კორეაში, პრესტესი ვერ უპოვნიათ, მაგრამ აგერ უცებ კუბას კოშუნისტური გაზეთი აქვეყნებს მის ინტერვიუს; პრესტესი ამ ინტერვიუში ამბობს:

„ჩვენ არასოდეს იარაღს არ აღემართავთ სახელოვანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ჩვენი ქვეყნების გამცემლური მთავრობანი შეეცდებიან ჩაგვეთრიონ ახალ ომში, ჩვენ გადავაქცევთ ამ ომს განმათავისუფლებელ ომად, დავამხობთ იმპერიალისტურ უღელს, დავამხობთ გამცემლურ მთავრობებს, რომლებიც კაპიტალისტური ლათინური დიდებისა და მსხვილი იმპერიალისტური კონცერნების ინტერესებს იცავენ, დავამხობთ მათ და დავამკვიდრებთ დემოკრატიულ რეჟიმს. ეს არის ერთადერთი გამოსავალი ლათინური ამერიკის ყველა პარტიოტისა და პატიოსანი ადამიანისათვის“.

პრესტესის ხმას უსმენს ლათინური ამერიკის ყველა პატიოსანი ადამიანი. ამიტომ ეშინიათ პრეტესტისა ამერიკელ მილიარდერებს. ისინი ცოფდებიან. ახალ-ახალ ჯაშუშებს უსევენ, მაგრამ მარცხს მარცხზე განიცდიან.

რა ძალა აქვს პრესტესს? როგორ უმკლავდება ის რეაქციის ურდოების შემოტევას? მამაც კომუნისტს დიდი ლენინის სიბრძნე ეხმარება, ის იფარავს მას, ასწავლის როგორ მოერიოს თავის მტრებს; ის ამხნევებს პრესტესს და განა მარტო მას? ყველა მებრძოლს, თავისუფლების დიადი არმიის ყველა ჯარისკაცს დედამიწის ხუთივე მატერიკზე, მთელს პლანეტაზე.

დიდი ჩინეთის ბელადი მაო ძე-დუნი ამბობს:

„ჩვენ ვუმაღლით მარქსს, ენგელსს, ლენინსა და სტალინს, რომელთაც იარაღი მოგვცეს. ეს იარაღი ტყვიამფრქვევები როდია, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის ჩვენი საუკეთესო მასწავლებელი“. ამ დიდი მასწავლებლის გამოცდილების საფუძველზე, მისი სიბრძნის შეთვისებითა და შესწავლით მოიპოვა თავისუფლება ოთხას სამოცდათხუთმეტმა მილიონმა ჩინელმა; ამ მასწავლებლის გამოცდილებით შეიარაღებულნი იბრძოდნენ მამაცი კორეელები თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ამ გამოცდილების საფუძველზე აგებენ სოციალიზმს პოლონელები და ბულგარელები, რუმინელები და ჩეხოსლოვაკები. აღმოსავლეთ გერმანიის მკვიდრნი და მთიანი ალბანეთის მშრომელები, რომელნიც თავიანთ ქვეყანას შვიპერბას — „არწივების ბუდეს“ ეძახიან. ამ გამოცდილების საფუძველზე შენდება სოციალიზმი შანდორ პეტეფის სამშობლოში; ამ გამოცდილებით შეიარაღებულნი იბრძვიან მთელი მსოფლიოს ხალხები; მათთვის მაგალითის მანვენებელი — დიდი საბჭოთა კავშირია, ლენინის მიერ შექმნილი პირველი სოციალისტური სახელმწიფო, მსოფლიოს ყველა მშრომელთა სამშობლო.

ყოჩი ამადუ თავის შესანიშნავ წიგნში „ლუის კარლოს პრესტესი“ აღნიშნავს:

„საბჭოთა კავშირი — ეს მსოფლიოს მშრომელების სამშობლოა, ეს არის მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სილამაზისა და თავისუფლების სამ-

შობლო. ესაა სამშობლო ადამიანური სამართლიანობისა, ესაა პოეტების ოცნება, რომელიც მუშებმა და გლეხებმა ლამაზ სინამდვილედ აქციეს“.

„წინათ ამ თოვლით გადათეთრებულ, ნეთისაგან გაშავებულ, ოქროსფერი ქვაკით დაფარულ სივრცეებზე, — განაგრძობს ამაღუ, — ადამიანება დამონებულნი იყვნენ სოფლებშიც და ფაბრიკებშიც, ისინი პატიმრები იყვნენ უნივერსიტეტებშიც და ბიბლიოთეკებშიც; უბედური იყო ამ ხალხის ცხოვრება, ღომილი არ ანათებდა ქალებისა და მშვიერი ბავშვების სახეს, იმ გარდასულ დღეებში, ცარიზმის დროს რუსეთის სივრცეებზე მეფობდა შიმშილი და ჩაგვრა. ზუზუნებდა მათრახი ადამიანების ზურგზე, ადამიანთა კენესის ხმებს ახშობდა გრუხუნი ზარბაზნებისა, რომლებიდანაც ესროდნენ ხალხს მოედნებზე. ერთი მუჭა მდიდრებისათვის მუშაობდნენ მილიონები... ცაზე არ ჩანდნენ ვარსკვლავები, დღე იყო უმზეო, დილა — უსიხარულო. და იქაც, როგორც ბრაზილიის სოფლებში, ცრუმორწმუნე გლეხები ამბობდნენ: „რა გქნათ ჩვენი ბედი ასეთია, ღმერთმა ასე დაგვიწყესაო“. ისინი თითოთ უჩვენებდნენ ცაზე და ამბობდნენ: „იქ დაწერილ ბედის წიგნს ვერცნ ვესცვლისო“.

„მაგრამ ერთხელ გამოჩნდა კაცი და მან დაამტკიცა, რომ ბედი ადამიანებისა ზეცაში კი არ იწერება, რომ კანონები, რომლებიც განაგებენ ადამიანის ცხოვრებას, რეალური კანონებია. ამ ადამიანის სახელია კარლ მარქსი. რუსეთის ლამის წყევლიაღში გამოჩნდა მეორე ადამიანი და თქვა: ეს კანონები შექმნილია უმცირესობის მიერ უმრავლესობის წინააღმდეგ. იმ დღეს, როცა უმრავლესობა მოინდომებს, მას შეუძლია დაწეროს საკუთარი კანონები და თავისი საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი გახდეს. მაშინ გათავდება ეს წყვდიადისებური ლამე და ქვეყანაზე მზე ამოვაო. ამ ადამიანის სახელია ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი, მისი საბრძოლო სახელია — ლენინი. ეს სახელი დაჰქროდა მთელ რუსეთში, როგორც გამაცოცხლებელი იმედის ქარიშხალი“.

„მეფის რუსეთი იყო ქვეყანა დაჩაგრული ხალხისა, რომელიც შიმშილობდა ქვეყანაში, სადაც უხვი ყანები იყო, რომელიც წყურვილით იტანჯებოდა ქვეყანაში, სადაც წყალუხვი მდინარეებია, ჩაცმული იყო კონკეტში საქსოვი დაზგების გვერდით, რომლებიც უშესანიშნავეს ქსოვილებს ამზადებდნენ. ასეთი იყო მეფის რუსეთი...“.

„— მთელი ქვეყნის ბედი მშრომელების ხელშია, — ასე თქვა ლენინმა და მოუწოდა ყველა ადამიანს — მუშებსა და გლეხებს, პოეტებსა და მწერლებს, ექიმებსა და მასწავლებლებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, ყველა უბედურსა და დაჩაგრულს, ყველას, ვინც აღშფოთებული იყო უსამართლო წყობილებით, მოუწოდა გაენადგურებინათ ეს მახინჯი ბედი და დაემკვიდრებინათ ბედნიერება მიწაზე. მან მოუწოდა ყველას რევოლუციისაკენ, ჩაგრულთა განთავისუფლებისაკენ და მშრომელებმა საკუთარი სისხლით დაწერეს ახალი ბედი ადამიანებისათვის მიწაზე, მათ შეჰქმნეს ბედნიერი, სასიხარულო, სიუხვითა და სიყვარულით სავსე ცხოვრება“.

„აი ასე, რუსეთი შიმშილისა და მონობის ქვეყნიდან იქცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად — სიუხვისა და თავისუფლების, სიხარულისა და სიყვარულის ქვეყნად“.

„ახლა საბჭოთა კავშირი — წერს ბოლოს ეორჯი ამაღუ — ეს არის ქვეყანა თავისუფალი ხალხებისა, ბედნიერი ადამიანებისა. იქ აღარ არიან აღარც მჩაგვრელები და აღარც ჩაგრულნი. იქ არიან სრულფასოვანი ადამიანები, ღირსეული ბატონ-პატრონები თავისი ცხოვრებისა; მოკლე ხანში ამ ადამიან-

ნებმა ააშენეს ახალი ქვეყანა. კაპიტალისტებს სურთ წაშალონ გეოგრაფიულ რუკაზე ეს ქვეყანა, სადაც ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ბედს, ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს მაგალითს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთათვის. მაგრამ მტრები ამას ვერასოდეს ვერ მოახერხებენ იმიტომ, რომ საბჭოთა ხალხმა, რომელმაც შექმნა ბედნიერი ცხოვრება, იცის როგორ დაიცვას თავისი დიადი უფლებანი ამ ცხოვრებაზე“.

გორგი ამადუს ამ სიტყვებში შესანიშნავადაა გადმოცემული ის მძაფრი გარდატეხა, რომელიც მოახდინა ძლევამოსილმა ოქტომბერმა ადამიანთა ცხოვრების ისტორიაში. თავისუფლებისათვის ამ დიადი ბრძოლის გზაზე კომუნისტურმა პარტიამ შექმნა დიადი ტრადიციები, დააგროვა უდიდესი გამოცდილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილება უჩვენებს მაგალითს ყველა მოძვე კომუნისტურ და მუშათა პარტიას, უჩვენებს წინსვლის გზას. ლენინის წიგნები, ლენინის მოძღვრება — მოქმედების დიადი სახელმძღვანელოა ყველა მოწინავე მებრძოლისათვის მთელ პლანეტაზე, ყველასათვის. ვინც იღწვის თავისუფლების დასამკვიდრებლად, მონობის წყევული ბორკილების დასაღწევად. ლენინის სახელი არის დროშა, რომელსაც წინ მიჰყავს მთელი მსოფლიოს მშრომელები. ამ დროშით იბრძვის საფრანგეთის კომუნისტური პარტია, მორის ტორეზის პარტია, რომელიც რაზმავს ფრანგ ხალხს თავისუფლების მოსაპოვებლად; თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ხალხის შეილი“ მორის ტორეზი წერს: „ჩვენ რომ არ შეგვესწავლა ლენინი, როგორ უნდა დაგვეძლია სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომელსაც ვაწყდებით სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე?“ ლენინის სახელი — მანათობელი შუქურაა, რომელიც გზას უკაფავს იტალიის ორნახევარ მილიონ კომუნისტსა და კომკავშირელს, რომლებიც პალმირო ტოლიატის მეთაურობით იბრძვიან დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის; ეს შუქურა გზას უნათებს ბერძენ და ესპანელ კომუნისტებს, ვიეტნამის, მაღაის და ფილიპინის მამაც მეომრებს, ყველას, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის; ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ენტრალური კომიტეტის წერილში, რომელიც წაკითხული იყო XIX ყრილობაზე, აღნიშნულია რომ ლენინ-სტალინის დროშა — ვიეტნამის ხალხს მიაჩნია ახალი იმედებისა და სინათლის წყაროდ, რომელიც ნათლად უჩვენებს ვიეტნამის ხალხებს დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლის გზას.

ლენინი — მარად უკვდავი, მარად ცოცხალი გენიოსია, რომელიც რაზმავს ხალხებს მთელ პლანეტაზე და კომუნისმისაკენ მიჰყავს ისინი.

III

1924 წლის 28 იანვარს კრემლის კურსანტების საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში ი. ბ. სტალინმა შემდეგნაირად დაახასიათა ლენინის ფოლადისებური ლოგიკის ძალა და ძლევამოსილება:

„მხოლოდ ლენინს შეეძლო უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ და გარკვევით, სხარტად და გაბედულად წერა, — როდესაც თვითველი ფრაზა კი არ შეტყველებს, არამედ ტყვიასავით ვარდება“.

აქვე ი. ბ. სტალინი იხსენებდა ტამერფორსის კონფერენციის დელეგატთა სიტყვებს ლენინის ლოგიკის შესახებ:

„ლოგიკა ლენინის სიტყვებში — ეს რაღაც ისეთი ყოველად ძლიერი მარალია, რომელიც ყოველი მხრით მარწუხად შემოგვექრობა და რომელსაც ვერ გაუსხლტები: ან დანებდი, ან და იცოდე, რომ სრული მარცხი მოგივა“.

ი. ბ. სტალინმა ზუსტად და ამომწურავად გვიჩვენა, თუ რა აძლევდა ესოდენ ბუმბერაზულ ძალას ლენინის ლოგიკას. ლენინმა თავიდანვე მაღლა აღმართა შემოქმედებითი მარქსიზმის დროშა, გაამდიდრა მარქსიზმი ახალი უმნიშვნელოვანესი დებულებებითა და დასკვნებით. აი ეს ერთადერთი სწორი, ყველაზე მოწინავე რევოლუციური თეორია — მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომლის საფუძველზე ლენინი წარმატებით წყვეტდა სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის ყველაზე რთულ ამოცანებს, სწორედ ეს თეორია, მოქმედების ეს დიადი სახელმძღვანელო ანიჭებდა ლენინის ყოველ ფრაზას უძლეველ და ბუმბერაზულ ძალას.

ლოგიკის ეს ფოლადისებური ძალა იგრძნობა ლენინის მთელ ოცდათხუთმეტი ვრცელი ტომის ყველა წერილში, ყოველ ფურცელზე, ყოველ აბზაცსა და სტრიქონში. თხზულებათა ეს კრებული — ხალხთა მასების დიადი ქარიშხლისებური მოძრაობის, კომუნისტური პარტიის ლეგენდარული ბრძოლების მარად წარმატები მატანეა. კითხულობთ ამ წიგნებს და პირდაპირ საკუთარი თვალთ ხედავთ ისტორიის ზეალმავალ მსვლელობას, საკუთარი თვალთ ჰხედავთ როგორ ჰფანტავს, ამარცხებს, ანადგურებს უთვალავ, ათასი ჯურის მტრებს ლენინური ფოლადისებური ლოგიკა და ამ ბრძოლაში ლენინის ყოველი სიტყვა მარჯვედ ნასროლ, მიზანს აუცდენელ ტყვიასავით ხედება და სასიკვდილო ჭრილობას აყენებს მტრის გულს.

ლენინის ფრაზა განსაცვიფრებლად ცხადი და სხარტია. ის ნათელია და ძლიერი, სადაა და რთული, ღრმად მეცნიერული და ბრძნული, უმტკიცესი როგორც ფოლადი.

აი ერთი დამახასიათებელი მაგალითი:

თავის გენიალურ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინი, ანადგურებს რა იდეალისტურ ფილოსოფიას, სხვათაშორის, არჩევს მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორის ჰანს კორნელიუსის ნაშრომს; ლენინი ჯერ ნათელპყავს, რომ კორნელიუსი მონურად იმეორებს თავის მასწავლებლების — მახისა და აენარიუსის დამპალ ემპირიოკრიტიციკისტულ იდეებს, რომ კორნელიუსი შავრაზმული აზრების მქადაგებელია... მკითხველი უკვე ხედავს, თუ რაოდენ ყალბი და რეაქციულია კორნელიუსის მოძღვრება და აი სწორედ ამ დროს ერთი სხარტი ფრაზა ლენინისა: „კორნელიუსი პროფესორის კათედრაზე ასული ურიადნიკაო“ — საბოლოოდ სპობს და აცამტკერებს მოწინააღმდეგეს, ქვას ქვაზე აღარ სტოვებს მისი კონცეფციისაგან.

აქ არა მარტო პუბლიცისტური სიბასრეა, არამედ განსაცვიფრებელი მხატვრული პლასტიკურობაც; ესაა გამანადგურებელი მხილება ზეპრე პრუსიელი ურიადნიკისა, რომელსაც პროფესორის მანტია გადაუყვამს, უნივერსიტეტის კათედრაზეც ისე გაბლენძილა, როგორც მისდამი რწმუნებულ საბოლიციო უბანში, იმავე დროს „გნოსეოლოგიურ ემპირიზმზე“ და „პოზიტივიზმზე“ მსჯელობს, მაგრამ ვერც ამ მანტიით და ჯამბაზური ფრაზებით ვერ ჰფარავს ვერც თავის პოლიციურ დინგს და ვერც ურიადნიკის პაგონებს. უფრო მეტიც — თქვენ იმასაც ხედავთ, თუ რაოდენი სიბილწეა მთელი ემპირიოკრი-

ტიცისტული ფილოსოფია. ამ ერთ ფრაზაში ის მხილებულია, სააშკარაოზე გამოტანილია, მას ფარისევლური ნილაბი უკვე ჩამოგლეჯილი აქვს და, ახალი ნილაბი ეძებონ, როგორც უნდათ გამოუცვალონ მას სახელი, თუნდაც ემპირიომონისტური ფილოსოფია უწოდონ, თუნდა იმანენტური. ამ აშშორებულ დუქანს, ამ დამპალ საქონელს ველარავითარი ახალი აბრა ველარ უშველის. და ლენინი იქვე აღნიშნავს:

„სახელწოდება „იმანენტები“ არსებითად ისეთსავე თვალთმაქცურ აბრას წარმოადგენს დამპალი საქონლის გასასაღებლად, როგორც ევროპის ბურჟუაზიული პარტიების აბრებია“.

ლენინმა თავის ხსენებულ წიგნში გენიალურად ნათელყო, რომ ბურჟუაზიული ფილოსოფოსების დაუსრულებელი ცდები ახალ-ახალი სახელები მოუჭებნონ სახელგატეხილ და დამარცხებულ იდეალიზმს — ეს არის მხოლოდ „მეწერელმანის უსაზღვრო სიჩლუნგე“, „ძველი ნაგავის გამოფენა ახალი... ტერმინოლოგიის სახელით“, „სიტყვიერი აბრუნდების პრეტენზიული სამოსელი“, „ახალი ფილოსოფიური „იზმებით“ სქოლასტიკური თამაშობა“, მისი შინაარსი კი ძველია — ესაა დამპალი კაპიტალიზმის აპოლოგია.

1947 წელს გამართულ ფილოსოფიურ დისკუსიაზე ა. ა. ედანოვი აღნიშნავდა: „მატერიალიზმის მოწინააღმდეგეებთან ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშს წარმოადგენს ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, სადაც ლენინის თითოეული სიტყვა არის გამგმირავი მახვილი, რომელიც მოწინააღმდეგეს სპობს“. ეს გამგმირავი მახვილი მთელი ძალით მოქმედობს დღესაც — მოწინავე მოაზროვნენი მთელ მსოფლიოში ამ ძღვეამოსილია, უბასრესი იარაღით ებრძვიან და ანადგურებენ დამპალი ბურჟუაზიული ფილოსოფიის ახალ „იზმებს“, იმ „იდეოლოგიურ“ შხამსა და საწამლავს, რომელსაც ანთხევს უოლსტრიტი კოსმოპოლიტიზმისა, პრაგმატიზმისა, სემანტიკური იდეალიზმისა და სხვა ათასგვარი „იზმების“ სახით. ლენინის დიადი წიგნი დღესაც გამგმირავი მახვილია მოწინავე კაცობრიობის ხელში ბნელეთის მოციქულთა ბოდვის, იმპერიალისტური რეაქციის ფილოსოფიის შესამუსრავად. ამას წინათ ინგლისში კომუნისტმა ფილოსოფოსმა მორის კორნფორტმა გამოაქვეყნა წიგნი „ფილოსოფიის დასაცავად“, რომელშიაც მან ამხილა უოლსტრიტის მოსყიდული ფილოსოფოსები; მორის კორნფორტი, ებრძვის რა სემანტიკურ იდეალიზმს, პოზიტივიზმს, პრაგმატიზმს, მთელ ბურჟუაზიულ ფილოსოფიას — ყოველ ნაბიჯზე ეყრდნობა ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმს“. ეყრდნობიან რა ლენინის ამ გენიალურ ნაშრომს — ამერიკელი მარქსისტ-ლენინელები — ვილიამ ფოსტერი, იუჯინ დენისი, ჰოვარდ სელზამი, ბეტი პარნეტი ნილაბსა ჰგლეჯენ ამერიკელი „ფილოსოფოსების“ ცდებს — შეუცვალონ სახელი რეაქციულ იდეალიზმს, ახალი ნილაბი გაუკეთონ და ეს შხამი გაავრცელონ, რათა ამით ხელი შეუწყონ უოლსტრიტის იმპერიალისტურ ექსპანსიას. ასეთსავე სურათსა ვხედავთ საფრანგეთში: რეაქციული პერსონალიზმის რელიგიურ-მისტიკურ ფილოსოფიას, საერთოდ ყველა ახალ თვალთმაქცურ „იზმს“ ფრანგი კომუნისტები ებრძვიან და ნილაბს ჰგლეჯენ იმ ბასრი იარაღით, რომლითაც მოწინავე კაცობრიობა შეიპარა და დიდმა ლენინმა. ამ ბრძოლის სურათს ვხედავთ ყველა მარშალიზებულ ქვეყანაში; მოწინავე ადამიანები იბრძვიან მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, ებრძვიან იმპერიალისტური რეაქციის დასათრგუნავად და ამ დიდ ბრძოლაში ლენინი ყველგან ცეცხლის მოწინავე ხაზზეა. ის გზას უნათებს მოწინავე აზროვნებსა. ამ დიდ ბრძოლაში

იმარჯვებს ლენინის უკვდავი აზრი, ხოლო ლენინის სიტყვით, რომ ვთქვათ „წაგებულა ახალი ფილოსოფიური პარტია სკოლების დამაარსებლები, ახალ გნოსეოლოგიური „იზმების“ შემთხვევების საქმე, — წაგებულა სამუდამოდ და უიმედოდ“.

ლენინის ფრაზაში კათედრაზე ასული ურიადნიცის შესახებ — მხილებულია ბურჟუაზიული ფილოსოფიის მთელი შინაარსი; ექ პოლიციის მოხელეც და ფილოსოფოსი იდეალისტიც ერთ საქმეს აკეთებენ: ასე იყო იმ დროს, როცა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იწერებოდა, ასეა ახლაც ბურჟუაზიულ სამყაროში. გავიხსენეთ თუნდაც სემანტიკური იდეალიზმი, რომელსაც დღეს ბურჟუაზიული ფილოსოფოსები ქადაგებენ. ეს ახალი „იზმი“, ახალი თვალთმაქცური აზრა ძველი იდეალიზმისა — აშკარად დგას ამერიკული ფაშისმის სამსახურში. ამ „იზმის“ მოციქულები — ნეომახისტი კარნაპი, პოლონეთიდან გაქცეული გრაფი კორკიბსკი, ჩაკაგოელი პროფესორი მორისი, დოლარის დიპლომაინი ლაქიები არიან. ერთი შეხედვით ისინი ვითომ განყენებულ საგნებზე მსჯელობენ, ვითომ სულ ღრუბლებში დაფრინავენ, მაგრამ მათ ყოველ წიგნს ეტყობა, რომ ავტორს დოლარების საქმოდ დიდი შეკვრა მიუღიათ ე. წ. „ფედერალურ გამოძიებათა ბიუროსაგან“, ანუ ამერიკის დაზვერვისაგან.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მხოლოდ ერთი ფრაზა ლენინის წიგნიდან „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. აქ ნათლად ჩანს თუ რაოდენ ძლევაშობილი და ბასრია ყოველი სიტყვა ბრძენი გენიოსისა; ის პირდაპირ გულში ხედება მტრებს. ახლა მოვიყვანოთ მეორე მაგალითი — გავიხსენოთ ლენინის წერილი „გრაფი გეიდენის ხსოვნას“. ჯერ ვნახოთ რა ვითარებაში დაიწერა ეს წერილი, რამ გამოიწვია იგი.

1907 წელს კონტრრევოლუციონერი მემამულის გრაფ პეტრე გეიდენის გარდაცვალების გამო რეაქციულმა პრესამ გლოვა გამოაცხადა და ცრემლების ზრქვევა დაიწყო. მის ფეხის ხმას აპყუა გაზეთი „ტოვარიშჩი“, რომელიც ფორმალურად არ წარმოადგენდა რომელიმე პარტიის ორგანოს, მაგრამ ფაქტიურად „ემმარცხენე კადეტების“ ორგანო იყო, ამავე გაზეთში თანამშრომლობდნენ მენშევიკებიც; ისინი ამ ორგანოს ფურცლებზე „უგულითადესი სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ“.

და აი ამ გაზეთმა ასეთი მოთქმა დაიწყო გეიდენის სიკვდილის გამო:

„მთელი პროგრესული პრესა ღრმად მწუხარებით შეხვდა იმ მძიმე დანაკლისს, რომელიც რუსეთმა განიცადა გრაფ პ. გეიდენის სახით. პეტრე ალექსანდრესძის მშვენიერი პიროვნება იზიდავდა ყველა პატიოსან ადამიანს განურჩევლად პარტიებისა და მიმართულებებისა. იშვიათი და ბედნიერი ხვედრია!!!“.

„ტოვარიშჩის“ ფურცლები გადაკრელებული იყო გეიდენის შემამოკბელი ასეთი ეპითეტებით:

„მძიმე დანაკლისი... მშვენიერი პიროვნება... ბედნიერი ხვედრი... უწინარეს ყოვლისა ადამიანი იყო“.

ლენინი თავის წერილს იწყებს ამ ციტატების მოყვანით, შემდეგ ურყევი ფაქტების საფუძველზე ნათელყოფს, თუ ვინ იყო გეიდენი. თქვენს წინაშე დგება სურათი კონტრრევოლუციონერი მემამულისა, რომელიც მუდამ მხარს უჭერდა შავ რეაქციას, გეიდენის მთელი საქმიანობა ეს იყო — თვითმპყრობელობის ყველაზე ტლანქი და ბინძური საქმეების ეშმაკური მოქაზრება. ამ საქმეების მოქაზრების დროს გეიდენი ხშირად წარმოსთქვამდა სიტყვებს —

კონსტიტუცია, განათლება, ჰუმანიურობა და ა. შ. „ტოვარაშჩის“ პუბლიცისტებმაც მისი ეს ნილაბი, ეს თვალთმაქცობა — ბაჯალლო ოქროდუმიდუქს, მოთქმა დაიწყეს, რომ ეს „ჰუმანიური“ მემამულე გარდაიკვალა. ლენინის სიტყვადღურესად აღაშფოთა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ამ თვალთმაქცობამ; ლენინმა ვრცლად დაახასიათა რა გვიდენი, შემდეგ მოუბრუნდა მის მეზობლებს და მართლაც ტყვიასავით გასროლილი ერთი ფრაზით გაანადგურა ისინი. აი რას წერდა ლენინი მათი მისამართით:

„А сами по себе вы — гробы повапленные. Душонка у вас насквозь хамская, а вся ваша образованность, культурность и просвещенность есть только разновидность квалифицированной проституции“.

„Гробы повапленные“, — ეს მართლაც ზუსტი და მომაცდინებელი დახასიათებაა. Вашь — ძველი რუსული სიტყვაა, ნიშნავს საღებავს და ამ გამოთქმას რუსულ ენაში გადატანითი მნიშვნელობაც აქვს; ასე ეძახიან ძალიან ცუდსა და გათახსირებულ კაცს, რომელსაც თავი მოაქვს კეთილ და კარგ ადამიანად და რომელიც ჰგავს კობტად შეღებილ კუბოს, რომლის შიგნით გახრწნილი ლეშია მოთავსებული.

აი იმ ერთი ფრაზით მოსპო ლენინმა რეაქციის ლაქიები, რომლებიც „დემოკრატიის“ ნილაბს იფარებდნენ, „მტირალა რეგვენები“, რომლებიც „ლიბერალური გლახაობით“ ფარავდნენ თავის შავზნელ სახეს, რეაქციის ყურმოჭრილი მონები, რომელთაც არ ესმოდათ, რომ კონტრრევოლუციური მემამულე, რომელიც კონტრრევოლუციურ მთავრობას უჭერს მხარს, არ შეიძლება ჰუმანიური ადამიანი იყოს. და საქმე სწორედ ის არის, რომ ლენინის ზემოდმოყვანილი ფრაზა ეხება არა მარტო „ტოვარაშჩის“ პუბლიცისტებს, არა მარტო კადეტებსა და მენშევიკებს. ლენინის ეს სიტყვები იბრძვიან დღესაც და ტყვიასავით გულში ხედებიან მსოფლიო რეაქციის ლაქიებს, რომლებიც ყოველ დღე ჰყიდნიან თავიანთ მონურ სულსა და კალამს ამერიკასა და ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში და რომელნიც „ატლანტიკის ცივილიზაციაზე“ და „ამერიკულ დემოკრატიაზე“ ლაყბობენ, ეხმარებიან რა ახალი ომის გაჩაღებაში უოლ-სტრიტის იმპერიალისტურ აფთრებს. მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანი მათი მისამართით იმეორებს ლენინის სიტყვებს:

„თქვენ შეღებილი კუბოები ხართ. თქვენ სულ მთლად ზებრული სულითა ხართ გაქლენილი, ხოლო მთელი თქვენი განათლებულობა, კულტურულობა და განსწავლულობა მხოლოდ ნაირსახეობაა კვალიფიციური პროსტიტუციისა“.

კიდევ ერთი მაგალითი: 1918 წელს, 20 აგვისტოს ლენინმა გამოაქვეყნა „წერილი ამერიკელი მუშებისადმი“, რომელშიც აღნიშნავდა:

„ყოველ დოლარზე ჩანს ტალახის გუნდა... ყოველ დოლარზე ჩანს სისხლის კვალი — იმ სისხლის ზღვიდან, რომელიც დაიქცა ათი მილიონი ადამიანის მოკვლის და ოცი მილიონის დასახინჩრების შედეგად“.

ამ სხარტმა, ფხიანმა და ბასრმა ფრაზამ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოგლიჯა ნილაბი ამერიკის მტაცებლურ იმპერიალიზმს, გააშვილა ის და ჩვენს თვალწინ წარმოსდგა შემადრწუნებელი ურჩხული უოლ-სტრიტი, რომლის მაგნატები ბიზნესს აკეთებენ ადამიანების ტანჯვაზე, ქალაქების დანგრევაზე, მილიონობით ქვრივებისა და ობლების სისხლისა და ცრემლების ზღვაზე. და ყველაფერი ეს, ნათქვამია ამ მოკლე, სხარტ ფრაზაში! სისხლსა და ტალახში ამოსვრილი დოლარი — აი ის, რომლის სახელით გადათქვრეს იმპერიალისტებმა ლათინური ამერიკა, რომლის სახელით იწვიოდნენ და ბოლავდნენ სახ-

ლები კორეაში. სისხლსა და ტალახში შესვრილი დოლარი — ეს შავი, ბინძური სული ამერიკელი მილიარდერისა — ცდილობს გააჩაღოს ახალი ომის ხანძარი, მას შეჰყავს ატლანტიკის ბლოკის შემადგენლობაში ახალი ქვეყნები, აკოწიწებს აგრესიულ სამხედრო ბლოკებს ხმელთაშუაზღვის რაიონში და წყნარი ოკეანის აუზში, გააფთრებით ცდილობს გერმანიისა და იაპონიის მილიტარიზმის აღორძინებას...

მაგრამ ეს სისხლსა და ტალახში მოსვრილი ურჩხული უძლურია მოწინავე კაცობრიობის წინაშე, ის ვერ შეაფერხებს ისტორიის ჩარხის ბრუნვას, ისტორიისას, რომელიც განაგრძობს თავის ძლევამოსილ წინმსვლელობას ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. ასეული მილიონობით ადამიანები ირახმებიან მშვიდობის დასაცავად და მათი ხმა მთელ მსოფლიოში ჰქუტხს მონობის დასათრგუნად. ამ ბრძოლაში მილიონების ძლევამოსილი იარაღი — ლენინის სიბრძნეა.

ასე მოქმედობს და იბრძვის ლენინის ყოველი სიტყვა. ასე ანადგურებს ეს ძლევამოსილი მოძღვრება — მარქსიზმ-ლენინიზმი ყველაფერს დახვედბულს, ყველაფერს დრომოკმულს, რაც წინ ეღობება კაცობრიობის გიგანტურ წინსვლას კომუნიზმისაკენ; იმავე დროს ლენინის დიადი მოძღვრება გზას უნათებს, აღორძინებს ყველაფერს ახალს, იმას, რაც იზრდება, რასაც კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ მივყევართ.



ლენინის ცხოვრება და ბრძოლა — შთაგონების დაუშრეტელი წყაროა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. საბჭოთა სინამდვილემ, რასაც თავიანთ ნაწარმოებებში გამოხატავენ ჩვენი მწერლები და ხელოვანი, ლენინიზმის იდეებმა, რომლებიც შთაგონებენ მათ — ყოველივე ამან ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებას შესაძლებლობა მისცა გამხდარიყო ყველაზე მოწინავე ლიტერატურა და ხელოვნება მთელს მსოფლიოში.

საბჭოთა პოეტებმა, პროზაიკოსებმა, დრამატურგებმა შექმნეს ნაწარმოებები, რომელშიაც მთელი სიდიადით აისახა ცხოვრება დიდი ლენინისა.

გ. ი. ლენინის გარდაცვალების ოცდამეათე წლისთავი საბჭოთა ქვეყანამ აღნიშნა კომუნისტური მშენებლობის საქმეში მიღწეულ ისტორიულ წარმატებათა პირობებში, სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლის ვითარებაში.

ლენინ-სტალინის დროში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.]

ხალხთა მეგობრობა, ლიგეიაგუჰათა მეგობრობა



მსოფლიოში არ არსებობს უფრო მონოლითური, უფრო მჭიდროდ დარაზმული სახელმწიფო, ვიდრე არის ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც არ ღრღნის არც კლასობრივი წინააღმდეგობანი, არც ერთა შორის შუღლი, სახელმწიფო, რომელმაც არ იცის არც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არც ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის დამონება..

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად რუსეთის ხალხები განთავისუფლდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან და შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში პირველი სახელმწიფო, დაფუძნებული თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების ნებაყოფლობის კავშირზე, ხალხებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან ურღვევი მეგობრობის გრძნობით, თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების ერთიანობის შეგნებით და ამასთან ერთად ინარჩუნებენ და ავითარებენ თავიანთ ეროვნულ თავისებურებებს, თავიანთ სოციალისტურ სახელმწიფოებრიობას, თავიანთ კულტურას, ლიტერატურას, ენას.

საბჭოთა წყობილებაში პარმონიულად არიან შეხამებული ყველა მოძმე ხალხის საერთო-სასიცოცხლო ინტერესები და მათი ეროვნული ტრადიციები. მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებამ, რომელიც განხორციელდა და ხორციელდება საბჭოთა საზოგადოებაში, შეძლო მიეყვანა ხალხები თავისი ეროვნული შემადგენლობით ისეთი მრავალფეროვანი სახელმწიფოს შექმნამდე, როგორც არის საბჭოთა კავშირი, რომელმაც მისცა კაცობრიობას ხალხებს შორის ახალი, კეშმარტად ძმური ურთიერთობის მაგალითი. მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, მის შემადგენლობაში შემაჯალმა ყველა ხალხმა შეძლო მიეღო განვითარების შეუზღუდველი შესაძლებლობანი, თავიანთი მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სულ უფრო და უფრო სრული დაკმაყოფილება. მხოლოდ სოციალიზმის საფუძველზე, კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა ქვეყნის ხალხებმა შესძლეს გაზრდილიყვნენ, გარდაქმნილიყვნენ ახალ, კეშმარტად საერთო-სახალხო სოციალისტურ ერებად, რომლებიც ვერ ურიგდებიან ერთა შორის განხეთქილების რომელიმე ფორმას, გაერთიანებული არიან ურღვევი მეგობრობით, აღკურვლი არიან საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობასთან განუყრელად შეერთებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შეგნებით.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ხალხთა მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველი ძლიერების საფუძველი და წყაროა. მძლავრი და შეუღრეკელი, თავისი სახელოვანი ისტორიის მრავალრიცხოვანი განსაცდელით გან-

მტკიცებული ეს სახელმწიფო, რომელმაც ღირსეულად გაუძლო შინაური და გარეშე მტრების გაათრებულ შემოტევას, სახელმწიფოს, რომელსაც მთლიანად კომუნისტური პარტიის ძლევამოსილი დროსა, აღმართულია მსრფლბრში რრ-გორც თავისუფალ ხალხთა ბანაკის უძლიერესი სიმაგრე, როგორც მშვიდობის დასაყრდენი მთელ მსოფლიოში, როგორც იმედის ჩირაღდანი კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხებისათვის, როგორც ხალხთა შორის იმ ძმურ ურთიერთობათა კაშკაშა მაგალითი, რომლებიც ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვებენ დედამიწის ზურგზე. ამ მაგალითს ყურადღებით სწავლობს დიდი ჩინელი ხალხი, რომელიც აწესრიგებს ახალ მეგობრულ კავშირს თავისი სამშობლოს ხალხებსა და ეროვნებათა შორის. ამ მაგალითს მისდევენ ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები. ურთიერთობანი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში მყოფ ხალხებს შორის ემყარება ხალხთა მეგობრობის ურღვევ და წმინდა პრინციპს.

პროგრესული კაცობრიობა საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობას უწოდებს თავის ავანგარდს, ხედავს რა ამ მეგობრობაში ხალხთა თანასწორობისა და ძმობისადმი კაცობრიობის მოწინავე მოღვაწეთა ყველაზე ნათელ, მგზნებარე მისწრაფებათა განხორციელებას. ოდესღაც აღმავალმა ბურჟუაზიამ წააწერა თავის დროებს სიტყვა „თანასწორობა“, მაგრამ იგი უკვე მაშინაც ცრუობდა. ამჟამად, იმპერიალისტური ბურჟუაზიის არსებობის უკანასკნელ ეტაპზე, მან უკუაგდო ძველი დროები, ხელში აიღო რა ფაშისტური ძარცვისა და რასისტული ურჯულების შავი აღმები. მასში ეელურ სიძულვილს იწვევს მარტო ხსენება იმ ქვეყნისა, სადაც პირველად ისტორიაში შექმნილა თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა ნამდვილი თანამეგობრობა, — ხსენება საბჭოთა ქვეყნისა. მაგრამ მტრების სიძულვილი როდი აშინებს საბჭოთა ხალხებს. მკიდროდ დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ისინი მტკიცედ შიდიან კომუნიზმისაკენ, აღრმავებენ და განამტკიცებენ რა თავიანთ ცხოველყოფელ მეგობრობას, თავიანთ ყოვლისმძლე ერთიანობას.

საბჭოთა ხალხებს სათავეში უდგას დიდი რუსი ხალხი. ძმადშეფიცულმა ხალხებმა იციან, რა ფასდაუდებელი განძი მათი გათავისუფლების საქმეში, ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების შექმნის საქმეში შეიტანა მათმა უფროსმა ძმამ — რუსმა ხალხმა. მას სამართლიანად უჭირავს წამყვანი ადგილი, როგორც ყველაზე უფრო გამოჩენილ ერს ყველა ერთა შორის, რომლებიც შედიან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. რუსი ხალხისადმი ერთგულებას, თხსდამი უღრმესი სიყვარულისა და მადლობის გრძნობას — ამ ნათელ, ცხოველყოფელ გრძნობებს, რითაც აღსავსეა ყველა მოძმე ხალხის გული, ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. ისინი განმტკიცდნენ ხალხთა გულში ერთობლივი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით „თავიანთი“ მჩაგვრელებისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. რუსეთის ხალხებს ამ ბრძოლაში მუდამ ჰყავდათ ერთგული დამცველები და მოკავშირეები რუსი ხალხის, მისი მოწინავე მოღვაწეთა სახით. რუსეთის მუშათა კლასმა თავი გამოიჩინა როგორც ყველაზე უფრო რევოლუციურმა მუშათა კლასმა მსოფლიოში. სახელოვანი კომუნისტური პარტია გახდა ხელმძღვანელი ძალა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში. რუსმა ხალხმა წარმოშვა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი ლენინი.

რუსეთის მუშათა კლასმა თავისი პარტიის ხელმძღვანელობით წაიყვანა რუსეთის მთელი მშრომელი ხალხი იერაშე ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ძველი სამყაროს წინააღმდეგ და გამარჯვება მოიპოვა დიდი ოქტომბრის სო-

ცილისტურ რევოლუციაში. რუსმა ხალხმა თავისი გმირობით გახსნა მსოფლიო ისტორიის ახალი ერა — სოციალიზმის ერა. სოციალიზმისათვის მთელ ბრძოლაში, სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე რუსი ხალხი იყო წარუწყვეტილადამწყვეტი ძალა. მის გარშემო დაირაზმნენ ყველა საბჭოთა ხალხები დიად, ურღვევ თანამეგობრობად — მძლავრ საბჭოთა კავშირად.

მსოფლიოში არ მოიპოვებიან ძალები, რომლებიც შეძლებდნენ საბჭოთა ხალხების თანამეგობრობის ურღვევი შენობის შერყევას.

თითოეული საბჭოთა ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის უღრმესი კეთილისმყოფელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დიდ რუსულ კულტურას — მთელი კაცობრიობის მოწინავე კულტურას.

ერთი ძველი რუსული ეროვნულობის ფესვიდან განვითარდნენ რუსეთის, ბულორუსიისა და უკრაინის მოძვე ერები. წარმოადგენს რა მძლავრი აღმოსავლეთსლავური ხის ერთ-ერთს სამ შტოთაგან, უკრაინელი ხალხი მუდამ გრძნობდა თავის განუყრელ ერთიანობას რუს და ბულორუს ხალხებთან. ვითარდებოდა რა, როგორც დამოუკიდებელი ერი, როგორც ისტორიულად შექმნილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთიანობა, რაც გამოიხატა მისი ეროვნული კულტურის თავისებურებით, უკრაინელ ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს რუს ხალხთან თავისი ერთობლიობისა და ძმობის გრძნობა. როცა XIV — XVII საუკუნეებში ისეთი ისტორიული ვითარება შეიქმნა, რომ უკრაინელი ხალხი ჩამოაცილეს რუს ხალხს, მოექცა რა ლიტველი და პოლონელი ფეოდალების ძალაუფლების ქვეშ, საუკუნეების მანძილზე იგი გმირულ ბრძოლას აწარმოებდა დამპყრობთა წინააღმდეგ, რუს ხალხთან შეერთებისათვის. დიდმნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენამ — 1654 წლის პერეიასლავის ზადამ — დაასრულა ეს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა რუსეთთან უკრაინის შეერთების აქტით. უკრაინის იმ მიწაწყალზე, რომელიც მაშინ, XVII საუკუნეში, არ შეერთებია რუსეთს, ხალხი თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში კვლავ აწარმოებდა დაუღალავ ბრძოლას მთელ უკრაინელ ხალხთან შეერთებისათვის. ამ ხალხმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა რუს ხალხს. 1939 წლამდე ასე იყო დასავლეთ უკრაინის მიწა-წყალზე. მხოლოდ მძლავრმა სოციალისტურმა სახელმწიფომ — საბჭოთა კავშირმა, რომლის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს უკრაინის საბჭოთა სახელმწიფო, შეძლო განხორციელებინა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება მთელი მისი მიწაწყლის ერთ უკრაინულ სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ. უკრაინელი ხალხის ეს ნათელი გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით, მხოლოდ რუსი ხალხის და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა მხრივ უკრაინელი ხალხის სამართლიანი საუკუნეობრივი მისწრაფებებისადმი სრული მხარდაჭერის მეოხებით.

ამჟამად გაერთიანებული უკრაინის თავისუფალი ხალხი, გახდა რა ხალხთა დიადი თანამეგობრობის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — პირობებში მოწინავე სოციალისტური ერი, კანონიერი სიამაყით მიმოაერებს თვალს იმ ისტორიულ გზას, რომელმაც მიიყვანა იგი თავისუფლებასა და აყვავებასთან. ამ გზაზე პერეიასლავის რადის მოწვევის თარიღი არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის თარიღი უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

მიიღეს დადგენილება ფართოდ აღინიშნოს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, რომელიც 1954 წლის იანვარში სრულდება, როგორც ფედალ-საჩინო ისტორიული მოვლენა, უკრაინელი და რუსი ხალხების დასახრ. კავშირებს ყველა ხალხთა დიდი ეროვნული დღესასწაული.

ფართოდ გაიშალა მზადება საყოველთაო-სახალხო ზეიმისათვის. საბჭოთა უკრაინის, მთელი საბჭოთა ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ემზადებიან აღნიშნონ რუსეთთან უკრაინის შეერთების დიდმნიშვნელოვანი თარიღი ახალი შრომითი გმირობით, იბრავიან რა ჩვენს ქვეყანაში მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა სიუხვის შექმნისათვის. საბჭოთა ხალხები სასიხარულო შემოქმედებითი შრომით შეხვდებიან ამ საერთო დღესასწაულს, რომელიც მიძღვნილია მათი ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავებისადმი.

რუსეთთან შეერთებამ იხსნა უკრაინელი ხალხი გამანადგურებელი საფრთხისაგან პოლონელი ფეოდალებისა და თურქ-თათარ მძარცველთა მხრივ, მისცა მას შესაძლებლობა მიუხედავად ცარიზმის, რუსი და უკრაინელი ფეოდალებისა და ბურჟუაზიის რეაქციული პოლიტიკისა, განუყრელად გაერთიანებია თავისი გამათავისუფლებელი ბრძოლა თავისუფლებისმოყვარე მძლავრი რუსი ხალხის ბრძოლასთან ყველა გარეშე მტრის წინააღმდეგ, მებატონეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ცარიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ. ასეთი გაერთიანების მეოხებით, რუსი ხალხის, მისი მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის დახმარებით უკრაინელმა ხალხმა შეძლო მოეხდინა თავისი ისტორიული ბედის ძირფესვიანი შემობრუნება. რუს ხალხთან ერთიანობისა და მეგობრობის გარეშე არ გვექნებოდა უკრაინის თავისუფლება, არ გვექნებოდა მისი სოციალისტური აყვავება, არ მოხდებოდა მისი გაერთიანება. ამ უდავო ქეშმარიტების უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ უკრაინელი ხალხის მტრებს, უკრაინის თავისუფლების, აყვავების, გაერთიანების მტრებს — უკრაინელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს.

უკრაინელ ხალხს შეგნებული აქვს, რა შორისმჭერტ ისტორიულ სიბრძნეს შეიცავენ დიდი ლენინის მიერ კარგა ხნის წინათ თქმული სიტყვები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ მნიშვნელობას: „ველიკორუსი და უკრაინელი პროლეტარების ერთობლივი მოქმედების პირობებში თავისუფალი უკრაინა შესაძლებელია, ასეთი ერთობლიობის გარეშე მის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება“. ლენინის ეს უკვდავი ანდერძი გახდა უკრაინელი ხალხის სასიცოცხლო დევიზი. განამტკიცებს რა თავის ერთიანობას რუს და სხვა საბჭოთა ხალხებთან, უკრაინელი ხალხი განამტკიცებს საკუთარ თავისუფლებას და ბედნიერებას და მტკიცედ მიემართება კომუნისტური კაშკაშა ხვალისდელი დღისაკენ. უკრაინელმა ხალხმა იცის, რომ დიდ რუს ხალხთან მეგობრობა ნიშნავს პროგრესის გზით, კომუნისმის გზით ძღვევამოსილ სვლას.



ძმურ კავშირს რუს და უკრაინელ ხალხებს შორის, რაც ვლინდება უკლებლივ ხალხის ცხოვრების ყველა დარგში, ისტორიის პროცესებში, ენაში, კულტურაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, აქვს ღრმა ფესვები, რომლებიც გადგმულია საუკუნეთა სიღრმეში, იმ აღმოსავლეთსლავურ ერთობლიობაში, სა-

დაც უკვე IX საუკუნეში წარმოიშვა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია — კიევის რუსეთი, მძლავრი ადრანდელფეოდალური სახელმწიფო ერთიანი კულტურით და ერთიანი ენით, საერთო აკეანი, საიდანაც წარმოსდგნენ უფრო გვიან დაახლოებით XIV—XV საუკუნეებში — რუსი, ბელორუსი და უკრაინელი ხალხები.

ძველი რუსეთის სახელმწიფოს — კიევის რუსეთის კულტურის ერთიანობა იყო ის ნიადაგი, რომელზეც განვითარდა რუსი ხალხის კულტურა, ბელორუსული და უკრაინული კულტურები. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, კარპატებიდან ვოლგამდე მთელი ვეებერთელა ტერიტორიისათვის ერთიანი ამ ძველი რუსული კულტურის განვითარების მაღალ დონეს ახლაც მოწმობენ იმ ეპოქის ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, გადაურჩნენ რა ისტორიის მკაცრ განსაცდელს, ომების ხანძარს და რისხვას, უცხოელთა შემოსევებს, ლაშქრობებს, რბევას, ძვირფასად მოხატულა კიევისა და ნოვგოროდის ტაძართა მაღალი კედლები, აღმოსავლეთელ სლავ იუველირთა და ემალერთა უაღრესად ნატიფი ნაკეთობანი, ძველი რუსი პოეტების, ორატორების, მემატიანეთა შთაგონებული ქმნილებანი, — ყველა ეს შედეგები ამკობენ ზოგადკაცობრიული კულტურის საგანძურს, უჭირავთ მასში საპატიო ადგილი, ადასტურებენ ძველი რუსი ხალხის ძალასა და შემოქმედებითს ძლიერებას, ხალხისა, რომელმაც თავის წიაღში აღზარდა სამი დიდი სლავი ხალხი, რომელთათვისაც მათი კულტურების საერთო წყაროს წარმოადგენს კიევის რუსეთის მაღალგანვითარებული კულტურა. მისი მოწინავე მოღვაწეები იყვნენ ყველა აღმოსავლეთსლავური ტომების ერთობლიობის გამომხატველნი, ძველი რუსეთის მიწა-წყლის დიდებისა და სიდიადის დამცველნი. ერთიანობისაკენ მგზნებარი მოწოდებით არის შთაგონებული XII საუკუნის პოემა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ — მთელი საშუალოსაუკუნეობრივი პოეზიის უმაღლესი მიღწევა, ქმნილება, რომლითაც სამართლიანად ამყობენ რუსებიც, უკრაინელებიც, ბელორუსებიც, როგორც თავიანთი საერთო საუნჯით. იმ ეპოქის როგორც წერილობითს ძეგლებში, ისე ზეპირი ხალხური შემოქმედების ქმნილებებში ცოცხლობს და მტკიცდება მთელი ძველი რუსეთის მიწა-წყლის ერთიანობის გრძნობა.

ძმობისა და ერთობლიობის გრძნობა ხალხის შეგნებაში მაშინაც არ წაშლილა, როცა ფეოდალური დაქუცმაცების შინაგანმა სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა და გარეშე ფაქტორებმა — თათართა შემოსევამ უნგრელი, ლიტველი, პოლონელი აგრესორების მიერ ძველი რუსეთის სამხრეთდასავლეთის მიწა-წყლის დაპყრობამ — გამოიწვიეს ძველი რუსეთის სახელმწიფოს გათიშვა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში ახალი მძლავრი სახელმწიფოებრივი ცენტრის — მოსკოვის სახელმწიფოს ჩასახვა, რომლის გარშემო უკვე XIV საუკუნიდან იწყო რუსეთის მიწა-წყლის გაერთიანება, იწყო დიდი რუსი ხალხის ფორმირება. ამ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ძალასა და ძლიერებას ემყარებოდნენ თავიანთ გამათავისუფლებელ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ უკრაინელი და ბელორუსი ხალხები, რომელთაც იწყეს იმავე პერიოდში ფორმირება როგორც ცალკე ეთნიკურმა ერთეულებმა, მაგრამ განუყრელად დაკავშირებულებმა რუს ხალხთან წარმოშობის ერთიანობით, ისტორიის ერთობლიობით, ენისა და კულტურის სახლოვით.

უკრაინელი ხალხის მშრომელი მასები და მისი მოწინავე მოღვაწეები მუდამ გრძნობდნენ თავიანთ ღვიძლ ძმობას რუს ხალხთან.

უკრაინის კულტურის განვითარებას დაუვიწყარი დახმარება აღმოუჩინა რუსი ხალხის შესანიშნავმა შვილმა ივანე ფეოდოროვმა, მანამდე არჩხული

წიგნების მკეთებელმა“, როგორც წარწერილია მის საფლავზე ლეონში, სადაც გაატარა თავისი უკანასკნელი წლები და სადაც 370 წლის წინათ გარდაიცვალა სახელოვანი რუსი პირველმბებქდავი. მისი მოღვაწეობის შედეგად უკრაინელმა ხალხმა მიიღო ნაბეჭდი წიგნების სახით ქმედითი იარაღი გაკათოლიკებისა და რუსი ხალხისაგან მოწყვეტის წინააღმდეგ საბრძოლველად. აქეთვე კი ასე ისწავლნენ პოლონელი ფეოდალებიც და რომის პაპობაც. მაშინდელ უკრაინულ ლიტერატურაში, რომელიც ილაშქრებდა პოლონეთის შლიახტის, კაბიტალიზმისა და უნიატობის წინააღმდეგ, გამოშასხველად ეღერდა ორი მოძმე ხალხის ერთობლიობის თემა და გამოთქმული იყო რუსეთის სახელმწიფოს მხრივ დახმარების იმედი.

XV — XVI საუკუნეების რუსი მწერლების ნაწარმოებნი, როგორცაა, მაგალითად, „თქმულება მამაის ბრძოლაზე“, ფართოდ ვრცელდებოდა უკრაინაში. „თქმულების“ პოეტურ სტილში გამოისახა „იგორის ლაშქრობის ამბავის“ მაღალი პოეზიის თავისებურება, როგორც ეს გამოისახა შესანიშნავ უკრაინულ ხალხურ ისტორიულ სიმღერებში, რაც მოწმობს უკრაინულ და რუსულ ლიტერატურათა დამაკავშირებელი კულტურული ტრადიციების ურღვევლობას. რუსი მწერლების ნაწარმოებები ზრდიდნენ უკრაინელ მკითხველს, ხოლო უკრაინელ მეცნიერთა და მწერალთა წიგნებს ღრმად აფასებდა რუსი მკითხველი, ეხმარებოდნენ რა მის განვითარებას და აღზრდას..

ვერავითარმა მტრის ძალებმა, ვერავითარმა დევნამ და ხრიკებმა ვერ შესძლეს რუსი და უკრაინელი ხალხების გამაერთიანებელი ისტორიული და კულტურული კავშირის დარღვევა. საუკუნეების მანძილზე ცდილობდა უკრაინა შეერთებოდა მოძმე რუსეთს, ზედავდა რა ამაში თავისი, როგორც ერის ხსნას. ამაზე მღეროდნენ სახალხო მომღერლები, ქმნიდნენ რა თავიანთი დიდებული და გმირული სიმღერების სტროფებს, ამაზე ლაპარაკობდნენ მწერლები და ორატორები, ამისათვის იღუპებოდნენ ბრძოლის ველზე და შლიახტურ დილეგებში ისეთი სახელოვანი სახალხო რაინდები, როგორც იყვნენ ნალივაიკო, პავლიუკი და სხვები. უკრაინელი ხალხი ზედიზედ აწყობდა აჯანყებებს პოლონური შლიახტის მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ, რაც თანდათან ძლიერდებოდა. სიცოცხლეს არ ზოგავდნენ უკრაინელი გლეხი და კაზაკი, იცავდნენ რა თავიანთ მიწაწყალს თურქ-თათარ მძარცველთა თავდასხმებისაგან, რაც სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა. მაგრამ უკრაინის წინაშე აღმართული გამანადგურებელი საფრთხე თანდათან იზრდებოდა. და აი გაჩაღდა უკრაინელი ხალხის მძლავრი გამათავისუფლებელი ომი — 1648-1654 წლების ომი. რუსი ხალხის დახმარებამ განამტკიცა აჯანყებული უკრაინელი ხალხის ძალები, ხელი შეუწყო გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებს, მოძრაობისა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი უკრაინელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი ბოგდან ხმელნიცი. როგორც უკრაინელი, ისე რუსული ლიტერატურის ბევრ ნაწარმოებში ხორცშესხმულია მისი სახე, დახატულია მისი მრავალმხრივი და მღელვარე მოღვაწეობა. შორსმკვრეტელურად შეაფასა ხმელნიციის მოღვაწეობა ბ. ბელინსკიმ. იგი წერდა: „...გმირი და დიდი ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მალროსიის ისტორიაში ბევრია ძლიერი და მძლავრი ხასიათები; მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ბოგდან ხმელნიცი იყო ამავე დროს სახელმწიფოებრივი მოაზროვნე... იგი იყო დიდი მეომარი და დიდი პოლიტიკოსი“.

მარქსისტულ-ლენინურმა ისტორიულმა მეცნიერებამ სწორად გააშუქა ხმელ-

ნიციის როლი 1648-1654 წლების გამათავისუფლებელი ომის მღელვარე ეპოქაში, რაც რუსეთთან უკრაინის შეერთებით დამთავრდა.

რუსეთთან უკრაინის შეერთების შესანიშნავ აქტს ღრმად მნიშვნელობა ჰქონდა რუსი და უკრაინელი ხალხებისათვის. მიუხედავად რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკისა, მტკიცდებოდა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი ორ მოძმე ხალხს შორის. რევოლუციურ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში გაერთიანდნენ მათი ძალები. უკრაინის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარება, უკრაინული ლიტერატურის განვითარება მიმდინარეობდა რუსეთის მოწინავე მოაზროვნეთა, დიდი რუსული ლიტერატურის უშუალო კეთილისმყოფელი გავლენით, ლიტერატურისა, რომელიც მსოფლიოს მოწინავე ლიტერატურა, ყველაზე უფრო მართალი, თავისუფლებისმოყვარე და ხალხის ინტერესებთან ყველაზე უფრო შერწყმული ლიტერატურა გახდა.

ცარიზმის მიერ წარმოებული სასტიკი ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკა ერთნაირად საძულველი იყო როგორც რუსი, ისე უკრაინელი ხალხისათვის. რუსეთის მოწინავე მოღვაწეები მუდამ აღიარებდნენ უკრაინის დამოუკიდებელი ეროვნული ცხოვრების უფლებას, უკრაინის მოწინავე მოღვაწეებთან ერთად მუდამ იბრძოდნენ ხალხთა შორის ერთიანობისა და მეგობრობისათვის, მუდამ ილაშქრებდნენ ერთი ხალხის მეორე ხალხზე წასისიანების საზიზღარი პოლიტიკის წინააღმდეგ, პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდნენ როგორც რუსი, ისე უკრაინელი მემამულეები და კაპიტალისტები, როგორც ველიკოდერჟავნიკი შოვინისტები, ისე უკრაინელი ნაციონალისტები.

გამოხატა რა რუსი ადამიანის ძმური ვრძნობები უკრაინისადმი, რომელიც რუსეთთან ერთად იტანჯებოდა თვითმპყრობელობის უღელქვეშ, კ. რილევმა წარმოთქვა: „ჯოჯობეთია ჩემთვის, როცა დამონებულ უკრაინას ვხედავ, ზოლო სამოთხეა, ვიხილო იგი თავისუფალი!“.

დიდი პუშკინი იცნობდა უკრაინას და უყვარდა იგი, ალტაცებული იყო მისი სიმღერებით, სწავლობდა მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხის ისტორიას. უკრაინის გაცნობამ, უკრაინაში მოგზაურობიდან პოეტის მიერ მიღებულმა პირადმა შთაბეჭდილებებმა, — ყველაფერმა ამან თავისი ასახვა ჰპოვა პოემა „პოლტავის“ ნათელ და ღრმად მართალ სახეებში. პოლტავის ომში მოპოვებულმა სახელოვანმა გამარჯვებამ ერთხელ კიდევ აუწყა მსოფლიოს, თუ რა რიგ ურღვევია რუსი და უკრაინელი ხალხების ერთიანობა და რა სამარცხვინო ხეივანი ელის ყველას, ვინც შეეცდება ამ ერთიანობის დარღვევას. ვერაჯი მოლატის მანუშას სახელს უკრაინელი ხალხი თავის სიმღერებსა და ანდაზებში უმატებს ეპითეტს „წყველი“. ამნაირად დახატა იგი პუშკინმა — დახატა თანახმად ხალხის მსჯავრისა და ისტორიის სიმართლისა.

უდიდესი ალტაცებითა და სიყვარულით არის აღსავსე ტ. შევჩენკოს მიერ მრავალჯერ გამოთქმული აზრები პუშკინის შემოქმედების შესახებ. დიდმა რუსმა მსახიობმა მ. შჩეპკინმა, რომელიც იყო პუშკინისა და შევჩენკოს ერთგული მეგობარი, იცოდა, რომ გენიალური უკრაინელისათვის საუკეთესო ნუგეშისცემა და სიამოვნება იყო რუსული ლიტერატურის გენიის პოეზია, და ამიტომ მუდამ ახარებდა თავის სტუმარს პუშკინის სტროფების შთაგონებული დეკლამაციით.

მ. შჩეპკინის სახით მკაფიოდ გამოვლინდა მოწინავე რუსული და უკრაინული კულტურის მეგობრული ერთიანობა. შჩეპკინმა ბავშვობიდანვე შესანი-

შნავად იცოდა უკრაინული ენა, უკრაინელი გლეხობის ცხოვრება და ხასიათი, მისი სიმღერები, ჩვეულებანი, გადმოცემები. უკრაინელ მწერალ მწერალ-არევსკისთან შჩეპკინის ერთობლივი მუშაობით შეიქმნა ისეთი პრესმწერალთა რიცხა „ნატალკა-პოლტავკა“ და „მოსკალ-ჩაროენიკი“, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ უკრაინულ დრამატურგიას. სახელოვან უკრაინელ მსახიობ კ. სოლენიკთან ერთად დიდი რუსი მსახიობი მ. შჩეპკინი წარმოადგენს ახალი უკრაინული თეატრის მამამთავარს, იმ რეალისტური თეატრალური სკოლის შემქმნელს, რომლის ტრადიციებსაც თვალისჩინივით იცავენ როგორც რუსული, ისე უკრაინული საბჭოთა თეატრები.

რუსულ და უკრაინულ ლიტერატურათა შორის ძმური კავშირის განმტკიცებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის შემოქმედებამ. უკრაინელი ხალხის სიამაყეს წარმოადგენს ის, რომ მისი წინააღმდეგობა ეს გენიალური მწერალი. იგი თითქმის მოძმე რუს ხალხთან უკრაინელი ხალხის განუყრელი კულტურული კავშირის სიმბოლოა. გოგოლმა კიდევ უფრო განამტკიცა რუსი მკითხველის სიყვარული უკრაინისადმი, შთაგონებულად უმღერა რა მისი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის, მოძმე რუს ხალხთან შეერთებისათვის. ტარას შევჩენკო წერდა: „გოგოლის წინაშე უნდა ვიხრიდეთ ქედს, როგორც ისეთი ადამიანის წინაშე, რომელიც აღუტრევილი იყო უაღრესად ღრმა გონებით და უაღრესად ნაზი სიყვარულით ადამიანებისადმი!“ გოგოლის შემოქმედებამ თავისი რეალიზმით და ხალხურობით, თავისი მამხილებელი, კრიტიკული ძალით კეთილისმყოფელი გავლენა იქონია უკრაინული ლიტერატურის განვითარებაზე, შევჩენკოს შემოქმედებაზე, კერძოდ, მის პროზაზე, რომელიც მკაფიოდ გვიჩვენებს, რა შეგნებულად და დარწმუნებით აითვისა შევჩენკომ გოგოლის პრინციპები კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის შესახებ. ამ ძვირფასმა მეგვიდრეობამ შემდეგში შემოქმედებითად გაამდიდრა ისეთი მოწინავე უკრაინელი მწერლები, როგორიც არიან პანას მირნი, ივანე ფრანკო.

რუსმა რევოლუციონერი-დემოკრატმა მწერლებმა უღრმესი გამარეგოლუციურებელი გავლენა მოახდინეს რუსეთის ყველა ხალხთა ლიტერატურის განვითარებაზე. განსაკუთრებით მტკიცე კავშირი ჰქონდათ მათ უკრაინელი ხალხის ლიტერატურასთან, რომელსაც ისინი უდიდესი სიყვარულით და ყურადღებით ეპყრობოდნენ და რომლის საუკეთესო წარმომადგენელთან ტარას შევჩენკოსთან დაკავშირებული იყვნენ, როგორც თავიანთ თანამებრძოლთან და თანამოაზრესთან, პირადი მეგობრობით.

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი ბ. ბელინსკი იყო პირველი კრიტიკოსი, რომელმაც მხარი დაუჭირა გ. კვიტკო-ოსნოვიანენკოს მოთხოვნებს. მან დაინახა მოთხოვნაში „მარუსია“ მთავარი გმირი, ესოდენ საყვარელი და ძვირფასი მისი გულისათვის, მან დაინახა მასში უკრაინა - მისი პოეტური ბუნებით, მისი უბრალო ხალხის პოეტური ცხოვრებით, მისი პოეტური ჩვეულებებით. სწორედ ეს გმირი შეადგენს მოთხოვნის მთელ მომხიბლაობას, მიერ პოეტურ მშვენებას“.

ამასთან რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი კრიტიკოსები აღნიშნაოდნენ და გამოდნენ კონსერვატულ მხარეებს გ. კვიტკო-ოსნოვიანენკოს შემოქმედებაში, რითაც ხელს უწყობდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის განმტკიცებას უკრაინულ ლიტერატურაში.

ბელინსკის საქმის განმგრობნი ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ნეკრასოვი, რუსული ლიტერატურის სახელოვანი რევოლუციონერი დემოკრატი

მოღვაწეები, ხელს უწყობდნენ უკრაინული ლიტერატურის განვითარებას, ძმურ მზრუნველობას და სიყვარულს იჩენდნენ მისი გენიალური წარმომადგენლის შეეჩენკოსადმი, რომელიც დაბრუნებული იყო ნიკოლოზისეული გადასახლებაში დაწ. ნ. ჩერნიშევსკი მებრძობდა დიდ უკრაინულ პოეტს, პატივს სცემდა მას და ანგარიშს უწევდა მის აზრს, მაღალ შეფასებას აძლევდა მის ნიჭს, აღნიშნავდა რა შეეჩენკოს შემოქმედების არა მარტო უდიდეს მნიშვნელობას უკრაინული ლიტერატურისათვის, არამედ მის საერთაშორისო მნიშვნელობასაც: „როცა პოლონელებს მოევიწყებოდათ მიცევიანი, მათ აღარ დასჭირვებიათ რომელიმე ფრანგი ან გერმანელი კრიტიკოსების შემწყობელი შეფასებანი: თუ არ აღიარებდი პოლონურ ლიტერატურას, მაშასადამე, მაშინ გამოამიჯივებდი საკუთარ ველურობას. ჰყავს რა ახლა ისეთი პოეტი, როგორც არის შეეჩენკო, არც მალორუსულ ლიტერატურას სჭირდება არავის შემწყობარებლობა“.

შეეჩენკო მუდამ გრძნობდა სიყვარულსა და მებრძობას თავისი რუსი მშობის მხრივ. ასეთივე სიყვარულითა და მებრძობით უპასუხებდა მათ იგიც, უკრაინის დიდი პოეტი, რომელმაც გაამდიდრა თავისი შემოქმედება მისი თანამედროვე მოწინავე რუსული ლიტერატურის ნათელი საუნჯეებით, პოეტი, რომელსაც ღრმად უყვარდა და პატივს სცემდა მის თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთებასა და სიდიადეს. იგი აღტაცებული იყო პუშკინით, გოგოლს უწოდებდა თავის დიდ მეგობარს, მოწინაებით ეპყრობოდა დეკაბრისტების ხსოვნას, ღრმა პატივს სცემდა გერცენს, განუყრელად იყო დაკავშირებული ჩერნიშევსკისთან და დობროლუბოვთან, პატივს სცემდა სალტიკოვს, ნაზად უყვაროა შჩეპკინი, აღტაცებული იყო გლინკას მუსიკით. როცა გადასახლებიდან დაბრუნდა, მან მოსკოვის ინტელიგენციის წრეში ჰპოვა გულთა მასპინძლობა, რის შესახებაც მადლობით იხსენიებს დღიურში: „მოსკოვში ყველაზე უფრო ის მახარებდა, რომ განათლებულ მოსკოველებში შეეხვდი უაღრესად გულთბილ მოპყრობას პირადად ჩემდამი და გულწრფელ თანაგრძნობას ჩემი პოეზიისადმი“. თავისი დროის მოწინავე აზროვნების მწვერვალებამდე შეეჩენკო ამაღლდა მოწინავე რუსი ადამიანების მხარდაჭერითა და გამხნივებით, ადამიანებისა, რომლებსაც ესმოდათ, რომლებიც აფასებდნენ და პროაგანდას უწევდნენ ამ პოეტის — რევოლუციონერი დემოკრატის შემოქმედებას. „შეეჩენკო ახლოს და კარგად იცნობდა რუს ხალხს და უაღრესად მკიდრო მებრძობა ჰქონდა მის გამოჩენილ მოღვაწეებთან და მებრძობლებთან. იგი იცავდა რუსი და უკრაინელი ხალხების ძმური ერთიანობისა და მებრძობის განმტკიცებას მათ ერთობლივ ბრძოლაში რუსი და უკრაინელი მებრძობებისა და ცაროზმის წინააღმდეგ“ (ნ. ს. ხრუშჩოვი. უკრაინელი ხალხის გაერთიანების ათი წლისათვის ერთიან უკრაინულ საბჭოთა სახელმწიფოდ. უსსრ სახელმწიფო პოლიტგამომცემლობა. 1949წ.).

მებრძობა დობროლუბოვთან, გერცენთან, ჩერნიშევსკისთან და შეეჩენკოსთან შესანიშნავი უკრაინელი მწერალი ჭალის მარკო ვოვჩოკისათვის იყო სკოლა, რომელმაც განსაზღვრა მისი შემოქმედების დემოკრატიული ხასიათი. მ. ვოვჩოკი, ისევე, როგორც შეეჩენკო, წერდა რუსულადაც და უკრაინულადაც. ი. ტურგენევი თარგმნიდა მ. ვოვჩოკის უკრაინულ მოთხრობებს რუსულ ენაზე, დ. პისარევი, ხაზს უსვამდა რა მ. ვოვჩოკის შემოქმედების დემოკრატიულობას, ხალხობრობას, აღნიშნავდა, რომ „ხალხური მოთხრობების“ ავტორი ეყრდნობა ხალხს, რომ მისი ენით მერყველებს თვით უკრაინა.

არ არსებობს უკრაინული ლიტერატურის არც ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, რომლის შემოქმედებაც არ ვითარდებოდეს მოწინავე რუსული

ლიტერატურის კეთილმოყველი გავლენის გარეშე. მისი ხალხურობა, ხალხის ინტერესებისადმი სამსახური, მისი სიმართლე, მისი რეალიზმი ზრდიდნენ და ამდიდრებდნენ უკრაინის საუკეთესო მწერლებს. ეს კეთილმოყველი გავლენა როდი შლიდა ეროვნული თავისებურების საზღვარს მათ შემოქმედებაში; პირიქით, ემყარებოდნენ რა მოწინავე რუსული ლიტერატურის გამოცდილებას. უკრაინელი მწერლები ამდიდრებდნენ თავიანთ რეალისტურ ხელოვნებას, სწავლობდნენ ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის კიდევ უფრო სრულად და ღრმად ჩამწვდომად ასახვას, მისი გრძობების, იმედების, მისწრაფებათა გამოხატვას.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში, გაძლიერებული სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცდებოდა რუსი და უკრაინელი ხალხების ერთიანობა. უკრაინის ჩაგრული მშრომელი მასები და ხალხთან დაკავშირებული მოღვაწეები ხედავდნენ, რა ერთგული მეგობარი და მოკავშირე ჰყავთ მათ დიდი რუსი ხალხის, მისი მოწინავე მოღვაწეთა სახით.

ნეკრასოვის მრისხანე პოეზია, ლევ ტოლსტოის მძლავრი ძალა, სალტიკოვ-შჩედრინის გამანადგურებელი სატირა დაეხმარნენ პანას მირნის, XIX საუკუნის მიწურულის გამოჩენილ უკრაინელ რეალისტ მწერალს, ღრმად აესახა რეფორმის შემდეგდროინდელი უკრაინული სოფლის ცხოვრების სიმართლე. პ. მირნიმ დაინახა ის, რასაც ვერ ხედავდნენ ნაროდნიკული მიმართულების მწერლები, — გლეხობის ფენებად დაყოფის პროცესები, კულაკური ზედაფენის გამოყოფის, გლეხთა მასების გალატაკებისა და პროლეტარიზაციის პროცესები. პ. მირნის შემოქმედება გახდა კრიტიკული რეალიზმის მკაფიო გამოხატულება უკრაინულ ლიტერატურაში.

კრიტიკული რეალიზმის სკოლა — გოგოლისა და ჩერნიშევსკის, სალტიკოვ-შჩედრინისა და ლევ ტოლსტოის სკოლა — ხელს უწყობდა იდეურ-მხატვრულად გაზრდილიყენენ პანას მირნიც, ივანე ფრანკოც, მიხეილ კოციუბინსკიც — ისეთ ნაწარმოებთა შემქმნელნი, რომელნიც გამოხატავენ კრიტიკული რეალიზმის მაღალ განვითარებას უკრაინულ ლიტერატურაში და მოწმობენ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსეთისა და უკრაინის მოწინავე მწერალთა ურღვევ იდეურ ერთობლიობას.

დიდი უკრაინელი რევოლუციონერი მწერალი ივანე ფრანკო ლაპარაკობდა იმის შესახებ, რა მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინული ლიტერატურის განვითარებისათვის რუსულ ლიტერატურას: თუ ვერაოებულ ლიტერატურათა ნაწარმოებნი ჩვენ მოგვწონდა, აღლევდნენ ჩვენს ესთეტიკურ გემოვნებას და ჩვენს ფანტაზიას, რუსთა ნაწარმოებნი გვქენჯნიდნენ, გვიღვიძებდნენ სინიდიხს, აღვიძებდნენ ჩვენში ადამიანს, აღვიძებდნენ სიყვარულს ღარიბებისა და შეურაცხყოფილთაში.

ი. ფრანკო უდიდეს ყურადღებას აქცევდა რუსული ლიტერატურის პროპაგანდას, უკრაინელი ხალხის მასებისათვის მის გაცნობას, განსაუთრებით დასავლეთ უკრაინის მიწაწყლის მოსახლეობისათვის, რომელიც იმ დროს ხელოვნურ საზღვრებით იყო ჩამოშორებული უკრაინელი ხალხის უმრავლესობისა და რუსი ხალხისაგან. დაიბადა რა გლეხი მკვდლის ოჯახში, მთელი სიცოცხლე გაატარა რა დასავლეთ უკრაინის მიწაწყალზე, ივანე ფრანკო ნათლად ხედავდა და იცოდა, რა უშრეტი საუკუნეობრივი იმედი მთელ უკრაინელ ხალხთან შეერთებისა, მოძმე რუს ხალხთან შეერთებისა ცოცხლობს დასავლეთ უკრაინის მიწა-წყლის ხალხთა მასების გულში.

ივანე ფრანკო მხოლოდ რუსი ხალხის გამათავისუფლებელ ბრძოლასთან ურღვევ სოლიდარობაში ხედდადა უკრაინელი ხალხის გამარჯვების შესახებ ლობას, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან მისი გაათავისუფლების შესახებ ლებლობას. მაგრამ ფრანკომ ბოლომდე ვერ გაიგო პროლეტარიატის ისტორიული როლი მომავალ რევოლუციაში და მსოფლიოს მომავალ სოციალისტურ გარდაქმნაში. ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიმართა რა უკრაინულ ლიტერატურაში პროლეტარიატის თემას, მან ვერ შეძლო მისი გამოხატვა ისე ღრმად და სწორად, როგორც ეს მოახდინა გორკიმ — პროლეტარიატის დიდმა მწერალმა, რომლისადმი ი. ფრანკო მუდამ მუხრავალე სიმპათიით იყო განწყობილი და რომელსაც უწოდებდა „რუსი ხალხის ერთ-ერთ ჩირაღდანს“.

გორკის შემოქმედება ასახავს ლიტერატურაში რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალ, პროლეტარულ პერიოდს რუსეთში. მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა მსოფლიოში უაღრესად რევოლუციური რუსეთის პროლეტარიატი. მის გამოსვლას, მარქსისტული თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის შექმნას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი, უკრაინელი და რუსეთის ყველა ხალხთა შემდგომი განვითარებისათვის. პარტია დაუღალავად ზრდიდა ხალხთა მასების შეგნებაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და პროლეტარული სოლიდარობის გრძნობას. რაზმავდა რა რუსეთის ყველა ჩაგრულ ხალხებს რუსეთის პროლეტარიატის გარშემო, პარტია იბრძოდა მტრების ზრახვათა წინააღმდეგ — გაეთიშათ მუშათა კლასი, გაეთიშათ ხალხები, გაეღვიძებინათ მათ შორის ეროვნული შუღლი და მტრობა. პარტია გადაჭრით იბრძოდა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

გენიალური ლენინისა და მისი მოწაფის და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის პირით პარტიას არაერთხელ უთქვამს რუსი და უკრაინელ ხალხების ისე, როგორც რუსეთის სხვა ხალხების, მეგობრობის შესახებ. კომუნისტური პარტია, მისი ბელადები ლენინი და სტალინი გადაჭრით იცავდნენ ჩაგრულ უკრაინელი ხალხის ეროვნულ უფლებებს, მიუთითებდნენ რა, რომ მხოლოდ რუსეთის და უკრაინის პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობით, პროლეტარიატისა, რომელიც წინ უძღვის თავის ერთგულ მოკავშირეს — მშრომელ გლეხობას, — შესაძლებელია თავისუფალი, დამოუკიდებელი უკრაინის შექმნა. აღნიშნავდა რა რუსული კულტურის უდავო გავლენას უკრაინელთა შეგნებაზე, კულტურაზე, ლენინი წერდა: „თუ უკრაინელ მუშათა უმრავლესობა იმყოფება ველიკორუსული კულტურის გავლენის ქვეშ, ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ ველიკორუსული ხეცური და ბურჟუაზიული კულტურის გავრცელებით აქ მოქმედებენ ველიკორუსული დემოკრატიისა და სოციალ-დემოკრატიის იდეებიც. შეებრძოლება რა პირველი სახის „კულტურას“, უკრაინელი მარქსისტი მუდამ გამოჰყოფს მეორე კულტურას და ეტყვის თავის მუშებს: „ველიკორუს შეგნებულ მუშასთან, მის ლიტერატურასთან, მისი იდეების სფეროსთან ურთიერთობის ყოველგვარ შესაძლებლობას აუცილებლად ყოველი ძალღონით ხელი უნდა ჩაეჭიდოთ, გამოვიყენოთ, ამას მოითხოვენ როგორც უკრაინის, ისე ველიკორუსული მუშათა მოძრაობის ძირითადი ინტერესები“ (თხზ., ტ. 20, გვ. 16).

ლენინის ამ სიტყვების შექმნე ნათლად სჩანს, რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის მოწინავე უკრაინელი ლიტერატურის განვითარებისათვის რუსულ პროლეტარულ ლი-

ტერატურასთან უთიერთობას, იმ ლიტერატურასთან, რომელიც განსახიერდა გორკის დიდებულ პიროვნებაში, მწერლისა, რომელიც იზრდებოდა ლენინისა და სტალინის უშუალო გავლენით, მწერლისა, რომელიც მკიდრად იყო დაკავშირებული კომუნისტურ პარტიასთან.

გორკი იყო უკრაინელი ხალხის ერთგული და ბრძენი მეგობარი. ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის შავბნელ წლებში იგი შთაგონებულად წერდა უკრაინის ისტორიულ ბედის შესახებ: „რუსი ხალხი წარმოადგენს უკრაინელ ხალხის მეგობარსა და ძმას. იგი მასთან ერთად ღრმად განიცდის მის ტანჯვას. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მტრობა რუს და უკრაინელ მშრომელ ადამიანებს შორის. როცა უკრაინაში ვიყავი, მე ვნახე, რა სიყვარულით ლაპარაკობს უკრაინელი გლეხი რუსი მიწის მუშის შესახებ. ორივე ხალხი ერთად უნდა მონაწილეობდეს დიად ბრძოლაში ძალადობის, დესპოტიზმის წინააღმდეგ.“

უდიდესია ა. მ. გორკის, მისი შემოქმედების, მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა უკრაინული ლიტერატურისათვის. მან კარგად იცოდა უკრაინული ხალხური პოეზია, წარსული პეროდის უკრაინელ მწერალთა ნაწარმოებნი.

გორკი მუდამ ეხმარებოდა მისი თანამედროვე უკრაინული ლიტერატურის მოწინავე, ნიჰიერ წარმომადგენელთა განვითარებას. მის მეგობრულ მხარდაჭერას პოულობდნენ მიხეილ კოციუბინსკი და ლესია უკრაინკა, ივანე ფრანკო და ვასილ სტეფანიკი. მან ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა პ. ტინინას ლიტერატურული ტალანტი.

განსაკუთრებით მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა გორკის მ. კოციუბინსკისთან. მათი მეგობრობა შემოქმედებითი მეგობრობა იყო. თავისი შესანიშნავი მოთხრობა „Fata Morgana“ კოციუბინსკიმ დაწერა გორკის იდეურ-მხატვრული გავლენით.

ლესია უკრაინკას შემოქმედებამ შეისისხლხორცა პუშკინის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, გორკის ძვირფასი მემკვიდრეობა. დანკოს აგიზგიზებული გულის აღმა გააშუქა ლესია უკრაინკას ქმნილებათა ვაკეცური, შეუღრეკელი გმირების სახეები. გორკისთან იდეურმა სიახლოვემ შეაპირობა დიდი პროლეტარული მწერლის, განსაკუთრებით მისი შემოქმედების რევოლუციურ-რომანტიკული მხარეების გავლენის ძალა ლესია უკრაინკას პოეზიასა და პოეტურ დრამატურგიაზე. გორკი პირადადაც ეხმარებოდა უკრაინელ პოეტ ქალს. მან მიიწვია იგი ისევე, როგორც ვ. სტეფანიკი, ო. კობილიანსკაია, — ეურნალ „ეიზნ“-ში სათანამშრომლოდ.

რევოლუციამდელი უკრაინული ლიტერატურის ყველა საუკეთესო, მოწინავე ძალები დაკავშირებული იყვნენ გორკისთან როგორც პირადად, ისე შემოქმედებითად. ი. ფრანკო, მ. კოციუბინსკი, ლესია უკრაინკა, ვ. სტეფანიკი თავიანთ ბრძოლაში უკრაინული ლიტერატურის ანტიხალხურ ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ მათი აშკარა ნაციონალიზმით, დეკადენტობით, დაკემულობით შთამაგონებელ მაგალითს პოულობდნენ გორკის ბრძოლაში ბურჟუაზიული ლიტერატურის ღპობისა და სიბილწის წინააღმდეგ.

მარქსიზმის მოძღვრებამ გავლენა მოახდინა ლესია უკრაინკას, ი. ფრანკოს, მ. კოციუბინსკის, პ. გრაბოვსკის იდეურ ზრდაზე, პ. გრაბოვსკისა, რომელიც ჯერ კიდევ 1902 წელს წერდა: „ახლა ყველაფერი, რაც კი რუსეთში მოიპოვება ცოცხალი, მოძრავი და მომუშავე, მარქსიზმის ნიშნით ვითარდება“.

იმ პროცესების მარქსისტული გაგება, რომლებიც განსაზღვრავდნენ იმდროინდელი უკრაინული ლიტერატურის განვითარებას, მოცემულნია ჰქ-ტომბრის რევოლუციამდელი პერიოდის ბოლშევიკური პრესის გამოხატულებში. ლესია უკრაინკის გარდაცვალების შემდეგ „რაბოჩაია პრავდა“ 1913 წელს მიათავსა ნეკროლოგი; მასში გამოხატული იყო მუშა მკითხველის ღრმა მწუხარება გამოჩენილი მწერალი ქალის, მუშათა მეგობრის გარდაცვალების გამო, და მოცემულია ლესია უკრაინკას შემოქმედების მარქსისტული განსაზღვრა, ლესია უკრაინკასი, რომელიც ახლოს იდგა რა საერთოდ გამათავისუფლებელ საზოგადოებრივ მოძრაობასთან და კერძოდ პროლეტარულ მოძრაობასთან. სწორედა მას მთელ თავის ძალებს...“

ჩვენი პარტიის პრესა, მზრუნველურად უპერდა რა მხარს უკრაინული ლიტერატურის, ისე როგორც სხვა ხალხთა ლიტერატურის მოწინავე ძალებს, მრისხანე პროტესტით გამოდიოდა ცარიზმის საზიზღარი პოლიტიკის წინააღმდეგ, ცარიზმისა, რომელიც უკრაინულ ენას „არაარსებულად“ აცხადებდა და ცდილობდა ჩაეხშო უკრაინული ლიტერატურა, დევნიდა მასში ყველაფერს პროგრესულს და მოწინავეს.

უკრაინული ლიტერატურისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ვ. ი. ლენინის გამოსვლებს უკრაინის შესახებ, უკრაინელი ხალხის ეროვნულ უფლებათა შესახებ, მისი ნათელი მომავლის შესახებ. ამ ნათელ მომავალს უკრაინელმა ხალხმა მიაღწია დიდ რუს ხალხთან ძმობასა და ერთიანობაში, რუსეთის მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით.

ლენინი, ბოლშევიკები ბოლომდე ერთგული და თანმიმდევრული დამცველი იყვნენ ორმაგი უღლის — სოციალური და ეროვნული უღლის ქვეშ მგმინავი უკრაინელი ხალხისა, მისი კულტურისა, ენისა, ლიტერატურისა.

როცა მეფის პოლიციამ 1914 წელს აკრძალა ტ. გ. შევჩენკოს დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნა, ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რა ძვირფასი და მშობლიურია მრავალი მილიონი ადამიანისათვის დიდი პოეტი. იმ დღეებში ბოლშევიკური გაზეთი „პუტ პრავდი“ შთამაგონებლად და მკათოდ წერდა პოეტის სამარადისო დიდების შესახებ, რომელმაც ნათელი ხსოვნა დაიმსახურა შთამომავლობაში, რომლის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა.

და სტოლიპინის რეაქციის უაღრესად მძიმე წლებში და იმპერიალისტური ომის წლებში პარტია დაუღალავად სძებდა რუსი, უკრაინელი და რუსეთის დანარჩენ ხალხთა საბრძოლო ერთიანობას, ამზადებდა რა მათ გადამწყვეტ ბრძოლისათვის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წყობილების წინააღმდეგ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ექსპლოატატორთა ჩაგვრისაგან. უზრუნველყო ყველა პირობა მათი ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი განვითარებისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ალი იყო ის ბრძმედი, რომელშიც მანამდე არნახული ძალით გამოიწრთო რუსი, უკრაინელი და რუსეთის ყველა ხალხთა ურდვევი თანამეგობრობა. უკრაინელი ხალხის მაღალ ეროვნულ სიამაყის წარმოადგენს ის, რომ იგი რუსი ხალხის შემდეგ პირველი დაადგა სოციალისმის გზას კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

შინაური კონტრარევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში უკრაინელი მუშა და გლეხი წითელი გვარდიისა და წითელი არმიის პირველ რიგებში იდგნენ რუს მუშასთან და გლეხთან ერთად. ისინი იბრძოდნენ, აღფრთოვანებულნი კომუნისტური პარტიის ღრმა ისტორიული სიმართლით. 1917 წლის ოქტომბრის შემდგომ პირველ დღეებში ი. ბ. სტალინი წერდა: „უკრაინელი და რუსი ხალხები, ისევე როგორც რუსეთის დანარჩენი ხალხები, შესდგებიან მუშებისა და გლეხებისაგან, ჯარისკაცებისა და მატროსებისაგან. ისინი ყველანი ერთად იბრძოდნენ ცარიზმისა და კერენშჩინის წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ისინი ყველანი ერთად ღვრიდნენ სისხლს მიწისა და ზაფისათვის, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის. მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ბრძოლაში ისინი ყველანი ძმები და ამხანაგები არიან. თავიანთი საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლაში მათ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ კონფლიქტი“ (თხზ., ტ. 4, გვ. 7).

შეუპოვარი, მძიმე, სისხლისმღვრელი იყო რუსეთის ყველა ხალხთა ერთობლივი ბრძოლა როგორც „თავიანთი“ ბურჟუაზიის, ისე უცხოელი იმპერიალისტთა გამხეცებული ურდოების წინააღმდეგ. ძირითადი ძალა, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა სოციალიზმისათვის ბრძოლებში, იყო რუსი ხალხის მძლავრი ძალა. მასთან ერთად იყვნენ უკრაინელი ხალხი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხები. პარტიის მოწოდებაზე უკრაინელი ხალხის მამაცი ვაჟები და ქალი-შვილები თავდადებით იბრძოდნენ ყველა საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, უკრაინის დამოუკიდებლობის — გერმანელი ოკუპანტების, ნაციონალისტური ბანდიტების, თეთრგვარდიელი ჯალათების, ამერიკელ-ინგლისელ-ფრანგი დამპყრობლების და პილსუდსკის შლიახტელ მემარტთა წინააღმდეგ, ჩვენი სამშობლოს ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ.

ინტერვენტთა მტაცებლური გეგმები სამარცხვინოდ ჩაიფუშა. იმპერიალისტთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლიდან საბჭოთა რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა. უკრაინელმა ხალხმა რუსი და სხვა მოძმე ხალხთა დახმარებით გასწმინდა მშობლიური მიწაწყალი მტრებისაგან. კომუნისტურმა პარტიამ მოუპოვა უკრაინელ ხალხს მისი საუკუნეობრივი მისწრაფების განხორციელება — ეროვნული უკრაინული სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება. დაიწყო უკრაინის ისტორიის ყველაზე უფრო სახელოვანი ეპოქა. უკრაინელი ხალხი პირველად გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი. უკრაინული ენა პირველად გახდა სახელმწიფო ენა. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც მუდამ იბრძოდა უკრაინული ენის, უკრაინული კულტურის თავისუფლებისა და განვითარებისათვის, ჯერ კიდევ 1919 წელს პარტიის ც. კ.-ის რეზოლუციაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ უკრაინაში — რეზოლუციაში, რომლის პროექტი შედგენილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ, — თქვა: „იმის გამო, რომ უკრაინულ კულტურას (ენას, სკოლას და ა. შ.) საუკუნეების განმავლობაში ახშობდნენ ცარიზმი და ექსპლოატატორული კლასები, რკპ-ის ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიის ყოველ წევრს ყოველნაირი საშუალებით ხელი შეუწყოს ყველა დაბრკოლების აღმოფხვრას უკრაინული ენისა და კულტურის თავისუფალი განვითარებისათვის“ („სკკპ ც. კ.-ის ყრილობათა, კონფერენციათა და პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწილი I, გამ. VII, გვ. 459). პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა კომუნისტებს, რომ ისინი უნდა მიისწრაფოდნენ იქითგენ, რათა გახადონ უკრაინული ენა მშრო-

მელი მასების კომუნისტური განათლების იარაღად. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე კომუნისტურმა პარტიამ საფუძველი ჩაუყარა უკრავ-ნული კულტურისა და ლიტერატურის თავისუფალ განვითარებას.

პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს რა შეიარაღებული მტერი, საბჭოთა ხალხები შეუდგნენ მშვიდობიან შემოქმედების შრომას, სოციალიზმის მშენებლობას. ერთობლივ შრომაში, ისე როგორც ამასწინანდელ ერთობლივ ბრძოლებში, მტყიცდებოდა და იზრდებოდა ყველა საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობა, რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობა. სოციალიზმის პირობებში ამ მეგობრობამ მიაღწია არნახულ სიმაღლეს, რომლის ბადალი წარსულს არ ახსოვს. იგი ახალი მეგობრობა გახდა, რომელმაც შეითვისა და შეინარჩუნა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყველა საუკეთესო ტრადიცია. იგი გახდა სოციალისტური ერების მეგობრობა, ერებისა, რომლებიც წარმოიშვნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე და გაიზარდნენ სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში.

საბჭოთა ხალხების მეგობრობის ერთ-ერთი პირველი პოეტური გამოხატველი იყო ჩვენი ეპოქის საუკეთესო პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. თავის შემოქმედებაში მას არა ერთგზის მიუმართავს უკრაინისათვის, უმღერდა რა მის ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას, მის ხალხს, მის კულტურასა და ენას აღიღებდა რა ხალხთა მეგობრობას და ურთიერთობათვისცემას, პოეტი ამასთან ერთად მრისხანედ აკრავდა სამარცხვინო ბოძზე და ამხილებდა ყველას, ვინც ცდალობდა დაეთესა ნაციონალისტური ბანგის მარცვალი საბჭოთა აღამიანების შეგებაში, ვინც ცდილობდა წაეჩხუბებინა მოძმე ხალხები, დაენერგა მათ შორის უნდობლობა და მტრობა რუსი ხალხისადმი, მისი დიდი კულტურისა და ენისადმი. შესანიშნავ პატრიოტულ ლექსში „ჩვენს ახალგაზრდობას“ პოეტი მიმართავს ახალგაზრდა მთავრობას, აფრთხილებს მას ნაციონალისტური ქუჩუისაგან და ხობტას ასხამდა რუსი ხალხის უდიდეს როლს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის განთავისუფლებაში:

ახალგაზრდებო,
შეხედეთ მოსკოვს, და
რუსულ ენას მიუგდეთ
ყური.
ზანგიც რომ ვიყო
ხნიერი და
წილში მოხრილი,
მაშინაც როდი
დავიზარებდი
რუსულის სწავლას
მარტო იმიტომ,
რომ ამ ენაზე
თვით ლენინი
ლაპარაკობდა.
ხოლო როდესაც
აგრიგალებულ ქვემეხების
ოქტომბერი

ქუჩებში სისხლად
 იღვრებოდა,
 მე ვიცი, იმ დროს
 ჩვენ კიევთა, თბილისთა
 ბედი
 მხოლოდ
 მოსკოვში წყდებოდა.

საქონის
 გიგანტი

თავისი ამ ლექსით პოეტმა ლახვარი ჩასცა უშუალოდ საზიზღარ უკრაინელ ნაციონალისტებსაც, რომლებიც, სარგებლობდნენ რა უკრაინაში მათ წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებით იმ წლებში, ფესვი გაიდგეს და დაუეკავირდნენ ინტერვენციონისტებს. ნაციონალისტმა ზვილევოიმ თავბედურად წამოაყენა თავისი პროფაშისტური ლოზუნგი: „შორს მოსკოვისაგან“, ესე იგი შორს სოციალისტური კულტურისაგან, უფრო ახლოს დასავლეთის რეაქციულ კულტურასთან. იგი გაბოროტებით ურჩევდა უკრაინულ პოეზიას რაც შეიძლება საჩქაროდ გაქცეოდა რუსულ ლიტერატურას, მის სტილს. ცნობილია, როგორ უპასუხა უკრაინულმა საბჭოთა ლიტერატურამ მთელ ხალხთან ერთად ამ საზიზღარ, გამცემლურ რჩევას. უპასუხა ზიზღითა და აღშფოთებით, კრაზანის ნაციონალისტური ბუდეების განადგურებითა და ამოძიკვით, რომლებიც ცდილობდნენ მიტმასნოდნენ ლიტერატურასაც. იდეოლოგიურ ფრონტზე ნაციონალისტური აგენტურის წინააღმდეგ ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ უკრაინის კომუნისტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ი. ბ. სტალინის მიერ 1926 წელს ამხ. კავანოვიჩისა და უკ(ბ) ც. კ.-ის პოლიტიბუროს სხვა წევრებისადმი გაგზავნილ წერილში მოცემული მითითებებით.

ი. ბ. სტალინმა მიუთითა, რომ მხოლოდ ნაციონალისტურ გამოვლინებებთან ბრძოლაში შესაძლებელია აღმავალი უკრაინული კულტურისა და საზოგადოებრიობის შემდგომი გადაქცევა საბჭოთა კულტურად და საზოგადოებრიობად.

ლიტერატორთა ნიღაბაფარებული ნაციონალისტი დივერსანტების მხილებაში, დივერსანტებისა, რომლებიც ვნებდნენ უკრაინული ლიტერატურის განვითარებას, გზა გაუკაფა საბჭოთა უკრაინის კულტურისა და ლიტერატურის აყვავებას. უკრაინელი საბჭოთა მწერლები თავიანთი მხატვრული სიტყვით ანადგურებდნენ და ამხილებდნენ უკრაინელი ხალხის მტრებს — ნაციონალისტებს, რომლებიც ოცნებობდნენ ჩამოეშორებინათ უკრაინა მოძმე საბჭოთა რუსეთისაგან, ხოლო უკრაინული ლიტერატურა მისი განვითარების გზების მოწყვეტით რუსული ლიტერატურის გზებისაგან. მიეყვანათ სასწავლებლად დასავლეთ ევროპის ფაშისტ „კულტურტრეგერებთან“.

ერთ-ერთი უდიდესი რევოლუციამდელი დემოკრატი მწერალი ს. ვასილჩენკო, რომელიც ნაყოფიერად მუშაობდა ახალი, საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის პირობებში, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ნაციონალისტ მჯღაბნელებს, მათ მიერ „ევროპული კულტურის“ თუნუქური ვარაყით ლაქიური მოხიბლვა და ზეპრული დამოკიდებულება თავისი მშობლიური კულტურისადმი“. გარეწარი ემიგრანტული ნაშეიერებისადმი დარტყმას წარმოადგენდნენ პ. ტიჩინას სიტყვები: იმედი შეგრჩათ? ჩაიხრჩეთ ლუღხანებში, რათა თქვენი ძვლებიც კი დაიშხერეს და გატიალდეს!.. მრისხანედ მიახალა სახეში ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს უკრაინელი ხალხის გამოჩენილმა პოეტმა.

ნაციონალისტური აგენტურის მგზნებარე მხილებას წარმოადგენენ ა. კორნეიჩუკის პიესები „ქვის კუნძული“ და „ესკადრის დაღუპვა“. ა. კორნეიჩუკის ისტორიულმა დრამამ „ბოგდან ხმელნიცი“ თვალსაჩინო რბობა — შექმნილია ბრძოლაში ნაციონალისტური ფალსიფიკაციებისა, აგრეთვე ვულგარულ-სოციოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბოგდან ხმელნიცის ისტორიული მოღვაწეობის, მისი ეპოქის, მის თანამებრძოლთა ასახვაში. მასში უკრაინელმა საბჭოთა დრამატურგმა პირველად მხატვრულ ლიტერატურაში სწორედ გვიჩვენა ბოგდან ხმელნიცის ისტორიული დამსახურება, რომელმაც გამოხატა უკრაინელი ხალხის მისწრაფება რუს ხალხთან მკიდრო კავშირისადმი და რომელიც სათავეში ჩაუდგა მოძრაობას რუსეთთან მხსნელი შეერთებისათვის.

ბრძოლაში მტრული, ნაციონალისტური იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ ვაკაცდებოდა უკრაინელი საბჭოთა მწერლების შემოქმედება, მტკიცედებოდა მათი იდეური და მხატვრული ძალა.

თავისი ზრდის პროცესში უკრაინულმა საბჭოთა ლიტერატურამ ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა სრულიად-საკავშირო საბჭოთა ლიტერატურაში. ნაწარმოებნი მისი მწერლებისა, რომელთა რაზმი განუწყვეტლივ ივსება ახალგაზრდა, ახალი ძალებით, სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ითარგმნება რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე, ვრცელდება მთელ თვალუწყედენ საბჭოთა ქვეყანაში და მის ფარგლებს იქით.

მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების სწრაფი პროცესი შეპირობებული იყო კომუნისტური პარტიის მუდმივი მზრუნველობით და ბრძნული ღონისძიებებით ლიტერატურის დარგში. 1932 წელს ი. ბ. სტალინმა, შეაჯამა რა საბჭოთა ლიტერატურის დაგროვილი გამოცდილება, განსაზღვრა მისი განვითარების გზა, როგორც სოციალისტური რეალიზმის გზა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის, რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის და სხვა ლიტერატურული ორგანიზაციის შესახებ უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურისათვის: მან გააერთიანა ყველა საბჭოთა მწერალი ერთ კავშირში, დარაზმა ისინი კომუნისტური პარტიის გარშემო და შექმნა პირობები ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთა მწერლების კიდევ უფრო ნაყოფიერი შემოქმედებისათვის.

ბ. ტიჩინას წიგნები „გუთანა“, „ქარი უკრაინიდან“ და განსაკუთრებით „პარტია მიგვიძღვის“, მ. რილსკის კრებული „სასწორთა ნიშანი“, ლ. პერვომაისკის, პ. უსენკოს ლექსები, ა. გოლოვკოს, ბ. პანჩის, ივ. ლეს, ი. იანოვსკის, ი. სმოლიჩის, ს. სკლარენკოს რომანები და მოთხრობები, ა. კორნეიჩუკის, ი. კორჩაკის პიესები — ეს და უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის ბევრი სხვა ნაწარმოები მოწმობდნენ მის იდეურ-მხატვრულ აღმავლობას, უკრაინაში სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ზრდას. ამ ზრდას ხელს უწყობდა რუსეთის საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი გამოცდილება და პირველ რიგში სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ფუძემდებლის ა. მ. გორკის შემოქმედება. გორკის გავლენა იყო და რჩება მძლავრი ფაქტორი უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-მხატვრულ განვითარებაში. უკრაინულ საბჭოთა ლიტერატურაში განუწყვეტლივ მოდის სულ ახალ-ახალი შევსება, — და გორკის შემოქმედება არის და მუდამ იქნება მათთვის სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების მაღალი სკოლა. ამაზე მეტყველებენ ო. გონჩარისა და ნ. რიბაკის, მ. სტელმახისა

და ვ. სობკოს, ი. ბაშის, ვ. კოზაჩენკოს და სხვა მწერლების ნაწარმოებნი, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოვიდნენ უკრაინულ ლიტერატურაში. სოციალისტური რეალიზმის პოეზიის ფუძემდებლის ვ. მაიაკოვსკის მძლავრმა, მგზნებარე, ჰემშირიტად ნოვატორულმა შემოქმედებამ დიდმნიშვნელოვანი და ნაყოფიერი გავლენა მოახდინა უკრაინულ საბჭოთა პოეზიაზე. იგი თავისებურად აითვისა პ. ტიჩინამ. მ. რილსკი, რომლის ლექსები თავიანთი ფორმალური თავისებურებების გამო, თითქოს, არ ჰგვანან მაიაკოვსკის პოეზიას, ღრმად დასაბუთებულად უწოდებს ვ. მაიაკოვსკის თავის მასწავლებელს. მაიაკოვსკის პოეზია, რომელიც გამოირჩევა უდიდესი იდეური სიმდიდრით, მაღალი ოსტატობით, არის და იქნება მაგალითი, ნიმუში და სკოლა საბჭოთა უკრაინის პოეტებისათვის. ამას მოწმობს ა. მალიშკოს და პ. ვორონკოს, ლ. დმიტერკოს და მ. ნაგნიბედას, პ. დოროშკოს და მ. რუდენკოს, ა. პიდსუხას, დ. ნეხოდას შემოქმედება. უკრაინის საბჭოთა მწერლების მეგობრულ ოჯახში ნაყოფიერად მუშაობენ რუსი მწერლები და პოეტები. პ. ბესპოშჩადნიმ, ვ. ნეკრასოვმა, ვ. დობროვოლსკიმ, ვ. ბელიაევემა და სხვებმა დაწერეს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ცნობილი ნაწარმოებნი.

ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელსაც ატარებს მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, შესაძლებლობა მისცა უკრაინულ ხალხს 1949 — 1940 წლებში განეხორციელებია თავისი საუკუნეობრივი ოცნება, დაეგვირგვინებია თავისი ეროვნული აღორძინება, გააერთიანა რა მთელი უკრაინული მიწაწყალი ერთ უკრაინულ სახელმწიფოდ. უფრო გვიან — 1945 წელს — დედასამშობლოს შეუერთდა უკრაინული იმიერკარპატის მხარეც.

ამ შეერთების შემდეგ უკრაინულ საბჭოთა ლიტერატურას შეემატა დასავლეთუკრაინელ მწერალთა რაზმი, რომელთა შორის პირველი ადგილი დამსახურებულად ეკუთვნოდა რევოლუციონერ მწერლებს; მათ განიცადეს პანების პოლონეთის დევნა და სატუსალოები; ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ისინი შეუდრეკელად ებრძოდნენ ნაციონალისტ ცილისმწამებლებს. ებრძოდნენ საბჭოთა უკრაინასთან შეერთებისათვის, რუს ხალხთან ერთიანობისა და ძმობისათვის.

ასეთი მებრძოლი იყო მწერალი იაროსლავ გალანი, რომელმაც საპატიო ადგილი დაიკავა სრულიად საკავშირო საბჭოთა ლიტერატურაში; იგი დაიღუპა საბრძოლო პოსტზე — 1948 წელს მოკლულ იქნა ვატიკანის ნაციონალისტი აგენტების მიერ. მისი შემოქმედება გამსჭვალულია რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის თემით. იგი წერდა: „მოსკოვი ერთადერთი ქალაქია ჩვენი პლანეტის ისტორიაში, რომელსაც არ შეიძლება გულგრილად მოეკიდო... კაცობრიობა ორ ბანაკად გაიყო: ერთი ბანაკი ის არის, ვისაც უყვარს მოსკოვი, ხოლო მეორე ის, ვისაც სძულს იგი. ნეიტრალური არ არიან“. გალანი მთელი გულით იყო იმათ ბანაკში, ვისაც მოსკოვი უყვარს, ვინაიდან მოსკოვის სიყვარული ნიშნავს თავისი ხალხის სიყვარულს, მისი თავისუფლებისა და ბედნიერების, მისი ნათელი მომავლის სიყვარულს.

გალანთან ერთად იბრძოდნენ პოლონელი და უკრაინელი ბურჟუაზიის მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ და გალანთან ერთად მოვიდნენ საბჭოთა ლიტერატურაში ს. ტუდორი და ო. ვაგერილიუკი, რომლებიც დაიღუპნენ სამამულო ომის პირველ დღეებში. მათი თანამებრძოლი, გამოჩენილი უკრაინელი საბჭოთა მწერალი-პ. კოზლანიუკი ამას წინათ გამოსულ თავის რომანში „ოურკო კრუკ“ გვიხატავს იმის ნათელ სურათს, თუ პირველი მსოფლიო ომის დროს

გალიციაში, მეფის არმიის რიგებში მყოფი მოწინავე რუსი მუშეები რა თავდადებულად ეხმარებოდნენ დასავლეთუკრაინელ გლეხობას, როგორც აღვნიშნავდნენ მასში რევოლუციურ შეგნებას.

შეერთების იმავ დაუვიწყარ დღეებში საბჭოთა ლიტერატურაში მოვიდა და მალე ჩაღდა მის პირველ რიგებში შესანიშნავი პოლონელი მწერალი ქალი ვ. ვასილევსკაია. გმირები მისი ტრილოგიისა „სიმღერა წყლის ზედაპირზე“ ეწინაა რუს, პოლონელ და უკრაინელ ხალხთა მეგობრობის ერთიან სახეს, მეგობრობისა, რომელიც გამოიქვდა ერთობლივ ბრძოლაში პიტლურელ დამპყრობთა წინააღმდეგ და რომელიც გახდა თავისუფალ, მწვინდობისმოყვარე ხალხთა ურღვევ, მარადიულ მეგობრობად.

დიდი სამამულო ომის ცეცხლში კიდევ უფრო გამოიწრთო რუს და უკრაინელ ხალხთა წმიდათაწმიდა ძმობა. ომის სიმწელითა და განსაცდელით კიდევ უფრო შემკიდროებული, კიდევ უფრო შემოწმებული გახდა საბჭოთა ხალხების მძლავრი თანამეგობრობა თავისი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების დროისათვის. ომის განსაცდელში განმტკიცდა მათი სიყვარულისა და მადლობის გრძნობა დიდი რუსი ხალხისადმი, რომელმაც დაიმსახურა საყოველთაო აღიარება როგორც ხელმძღვანელმა ძალამ ყველა საბჭოთა ხალხებს შორის. მისი ძალა, მისი ნათელი გონება, მოთმინება, მტკიცე ხასიათი დაეხმარნენ საბჭოთა კავშირის დანარჩენ ხალხებს არა მარტო გადაეტანათ ომის კოლოსალური სიმწელები, არამედ შეგებებოდნენ გამარჯვებას არა დასუსტებულნი, და სისხლისაგან დაცილინი, როგორც ამას ჩვენი მტრები ვარაუდობდნენ, არამედ რწმენით, სიმხნევით, შემოქმედებითი ძალებით აღესილნი.

საბჭოთა ხალხმა, აღუშრეტელი შემოქმედებითი ძალით, კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებულმა და წარმართულმა, არნახულ მოკლე ვადაში აღადგინა ყველაფერი, რაც კი ომმა დაანგრია, ერთსულოვნად მოჰკიდა ხელი თავის მსოფლიო-ისტორიული საქმის განგრძობას — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

საბჭოთა ლიტერატურა წარმატებით ვითარდება კომუნისტური პარტიის ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით. პარტიის ცნობილმა დადგენილებებმა იდეოლოგიის საკითხებზე შთაგონეს მწერლები მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად, ნაწარმოებებისა, რომლებმაც ზრდიან ახალგაზრდობის სიმხნევის, მამაცობის, ჩვენი საქმის გამარჯვებისადმი რწმენის სულისკვეთებით. ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გადანაშთობთან შეურიგებელ ბრძოლის სულისკვეთებით ლიტერატურის კადრების აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული პრესის გამოსვლას უკრაინულ ლიტერატურაში იდეოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ. პარტიული პრესა დაეხმარა მწერლებს, რომლებმაც დაუშვეს თავიანთ შემოქმედებაში ნაციონალისტური და კოსმოპოლიტური შეცდომები. შეეგნათ და გამოესწორებინათ ისინი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაციონალისტური, კოსმოპოლიტური და ყველა სხვა რეციდივები ამჟამად ლიტერატურაში უკვე სრულიად შეუძლებელია. ჩვენი ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიულ გადმონაშთობთან, მის მხატვრულ სახეებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი იდეების, ხალხთა მეგობრობის დიადი გრძნობის განმტკიცება.

ომის შემდგომი წლები ყველა საბჭოთა ხალხების ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების წლებია. მტკიცდება აგრეთვე ერთიანობა სსრ კავშირის ხალხთა ყველა ლიტერატურებს შორის, იზრდება და მრავლდება მათი შემოქმედებითი კავშირი, ღრმავდება ურთიერთშეცნობისა და ურთიერთგამდიდრების პროცესები. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მკიდრო მეგობრული ურთიერთობა, რაც განუწყვეტლევ ვითარდება და მტკიცდება, რუსულ და უკრაინულ საბჭოთა ლიტერატურებს შორის.

რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის თემა მის ყველა ისტორიულ ეტაპზე სრულად და წარმომსახველად ეღერს უკრაინელ მწერალთა ომის შემდგომ ნაწარმოებებში. ა. კორნეიჩუკის პიესები, ო. გონჩარის რომანი „მედროშენი“ და მოთხრობები, ნ. რიბაკის ორტომიანი ეპოპეა „პერეიასლავის რადა“, ლ. დმიტერკოს დრამა „სამარადისოდ ერთად ვიქნებით“, ი. იანოვსკის ნოველები, ო. ივანენკოს „ტარასის გზა“, პ. ტიჩინას, მ. რილსკის, პ. ვორონკოს ახალი ლექსები, ა. მალიშკოს პოემები „პრომეთე“, „ეს მოხდა განთიადზე“ — აქ უკრაინელ საბჭოთა მწერლების მხოლოდ რამდენიმე ახალი ნაწარმოებია ჩამოთვლილი, რომლებიც გვისახავენ რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დიდებულ თემას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხალხი კანონიერად მოელის უკრაინელ მწერლებისაგან უფრო სრულად ასახონ ლიტერატურაში ახალი ეპოქის — სოციალიზმის ეპოქის ხალხთა მეგობრობა.

რუსი საბჭოთა მწერლები მუდამ აქცევდნენ ყურადღებას უკრაინელი ხალხის ცხოვრებასა და ისტორიას, საბჭოთა უკრაინის სილამაზესა და სიდიადეს, მის ადამიანებს, მათ საბრძოლო და შრომითს გმირობას. ა. ფადეევის, მ. შოლოხოვის, ა. სერაფიმოვიჩის, ა. ტოლსტოის, ვ. ივანოვის, ს. ზლობინის და სხვა მრავალი მწერლის ნაწარმოებებში ასახულია რუსი და უკრაინელი ხალხების ურთივე მეგობრობა. ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას ემსახურება რუსი მწერლების უდიდესი მუშაობა უკრაინული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმანის დარგში. ეს თარგმანები მნიშვნელოვანწილად დაეხმარნენ უკრაინული ლიტერატურის საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდას. მთელი საბჭოთა კავშირის მკითხველებს და მილიონობით საზღვარგარეთელ მკითხველს შესაძლებლობა მიეცათ რუსული თარგმანებით (რომელთა უმრავლესობა ძლიერ საზრისიანად და სისწორით არის შესრულებული) გაცნობოდნენ შევჩენკოს გენიალურ პოეზიას. პ. მირნის, მ. ეოვჩოკის, ლ. უკრაინკას, მ. კოკიუბინსკის, ი. ფრანკოს, ვ. სტეფანიკის, პ. გრაბოვსკის და უკრაინელი ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა შემოქმედებას, კლასიკოსებისა, რომელთა თხზულებების რუსული თარგმანები ახლა გამოვიდნენ. რუსულ ენაზე გამოცემულია აგრეთვე უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის თითქმის ყველა საუკეთესო ნაწარმოებანი. რუსი მწერლებს — ნ. ტიჩინოვის, ა. სურკოვის, ა. ტვარდოვსკის, მ. ისაკოვსკის, ს. მარშაკის და სხვათა კეთილშობილური შრომა, მწერლებისა, რომლებიც ახორციელებენ უკრაინული ლიტერატურის თარგმანს, — ყოველწლიურად ფართოვდება და ღრმავდება.

თავის მხრივ, უკრაინელმა საბჭოთა მწერლებმა უკვე გადათარგმნეს უკრაინულ ენაზე დიდი რუსი ლიტერატურის — როგორც კლასიკოსთა ისე თანამედროვე მწერლების — მრავალი ნაწარმოები. მაღალი ღირსებებით ხასიათდება მ. რილსკის მიერ შესრულებული პუშკინისა და ლერმონტოვის უკედვე ნაწარმოებთა თარგმანები. პ. ტიჩინამ გაამდიდრა უკრაინული ლიტერატურა

პუშკინის, ნეკრასოვის, შაიკოვსკის თარგმანებით. მთელი რიგი უკრაინელი საბჭოთა პოეტები ნაყოფიერად მუშაობდნენ და მუშაობენ თარგმანის დარგში.

ძნელია რუსი მწერლების ნაწარმოებთა უკრაინულად ყველა თარგმანის ჩამოთვლა; გვსურდა მხოლოდ აღგვენიშნა ა. პუშკინის ოთხტომეულისა და მ. გორკის თხზულებათა თექვსმეტტომიანი კრებულის, ვ. შაიკოვსკის სამტომეულის, ა. რადიშჩევის, ნ. ნეკრასოვის, ი. კრილოვის ერთტომეულების, ნ. ჩერნიშევსკის, ბ. ბელინსკის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, ვ. კოროლენკოს, მ. სალტიკოვ-შჩედრინის ქმნილებათა თარგმანები, რომელთა ბეჭდვა უკვე მთავრდება. უკრაინულ ენაზე გამოცემულია რუსი საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებთა უმრავლესობა.

საბჭოთა უკრაინის თეატრები ამდიდრებენ თავიანთ რეპერტუარს უკრაინელი მსახურბელისათვის ახლობელი და ძვირფასი რუსი დრამატურგების — როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქმნილებებით. უკრაინულად იღვმება ჩვენს თეატრებში ა. გრიბოედოვის „ვაი ჰეუსიანსაგან“, ნ. გოგოლის „რევისორი“, ა. ოსტროვსკის, ა. ჩეხოვის, მ. გორკის პიესები. უკრაინაში იღვმება ნ. პოგოდინის, ბ. ლავრენიოვის, ა. სოფრონოვის პიესები. ამავე დროს უკრაინული დრამატურგიის ნაწარმოებში მტკიცედ შევიდნენ სსრ კავშირის ხალხთა თეატრების რეპერტუარში. მაგალითად, ა. კორნიეჩუკის პიესები აღიარებული და ცნობილი არიან მსახურბელთა მიერ მთელ საბჭოთა კავშირში. რუსული თეატრების რეპერტუარში სავატიო ადგილი მოიპოვეს ი. გალანის, ვ. სობკოს, ვ. მინკოს პიესებმა. რუსი მსახურბელის სიყვარული დაიმსახურეს უჭკნობმა „ნატალკა-პოლტავკამ“ და ხალისიანმა „ზაპროპიელი დუნაის გადღმა“, აგრეთვე უკრაინული დრამატურგიის კლასიკოსის ი. კარპენკო-კაროის პიესებმა.

ლიტერატურული ღირებულებების ეს ურთიერთ გაცემა ამდიდრებს არა მარტო მილიონობით მკითხველსა და მსახურბელს, — იგი ხელს უწყობს ლიტერატურის განვითარებასაც. იზრდება და ვითარდება უკრაინული ლიტერატურის ურთიერთ კავშირი ბელორუსულ, სომხურ, ქართულ, უზბეკურ და სხვა ლიტერატურებთან.

რუსი და უკრაინელი ხალხების მშური მეგობრობა იყო კეთილმოყვადელი ძალა ჯერ კიდევ მათი ერთობლივი გმირული ბრძოლის დროს ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. ეს მეგობრობა განუზომლად გაიზარდა, განმტკიცდა, განვითარდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, სოციალისტური ერების ფორმირებისა და აყვავების პერიოდში. ხალხთა მეგობრობის თემა ასახულია რუსი და უკრაინელი საბჭოთა მწერლების მთელ რიგ გამოჩენილ ნაწარმოებებში.

რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის თემა არ შეიძლება მოწყვეტილ იქნას საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მეგობრობის თემისაგან. რუსი ხალხის როლი სხვა მომხე ხალხების ისტორიაში ისევე დიდი და პროგრესულია, როგორც უკრაინის ისტორიაში. რუსი ხალხი მუდამ იყო სხვა იმ ხალხთა დამცველი და მოკავშირე, რომლებიც ამჟამად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან, და არა მარტო მათი დამცველი და მოკავშირე. ვავისხენით რუსი ხალხის როლი, მისი მოწინავე მოღვაწეებისა და მწერლების როლი ბულგარელი, პოლონელი. რუმინელი ხალხების ისტორიაში, ევროპისა და აზიის ბევრი სხვა ხალხის ისტორიაში, მათი ლიტერატურების ისტორიაში. რუსული კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა — უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის ძალა. ფაქტორია, რომელსაც წინ მიჰყავს მთელი კაცობრიობის განვითარება.

ვითარება. განსაკუთრებით დიდია ეს როლი იმ ხალხთა ისტორიაში, რომლებიც სხევებზე უფრო მჭიდროდ არიან გაერთიანებული რუს ხალხის მრავალტერაობრივი, კულტურული და ეკონომიური კავშირით.

რუსეთის მუშათა კლასის გარშემო, მისი პარტიის გარშემო დარაზმული იყვნენ ბრძოლაში ცარიზმისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ უკრაინელები და ბელორუსები, ქართველები და სომხები, აზერბაიჯანელები და ლატვიელები, რუსეთის ყველა ხალხი. ამჟამად ახალი, არნახული და ურღვევი ძალით არის დარაზმული რუსი ხალხის გარშემო ყველა მოძვე ხალხი, რომელმაც მისი დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაარღვიეს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები და ახლა წარმატებით აშენებენ თავიანთ ბედნიერ კომუნისტურ ცხოვრებას. რაოდენ კეთილმოყოფელი და კეთილშობილურია რუსი ხალხის როლი მოძვე ხალხების ისტორიაში, იმდენად კეთილმოყოფელი და კეთილშობილურია მისი დიდი ლიტერატურის როლი უკრაინული, ბელორუსული, ქართული, უზბეკური ლიტერატურების — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურათა ისტორიაში. მრავალ ათეულ ენაზე წერენ ამჟამად თავიანთ ნაწარმოებებს საბჭოთა კავშირის მწერლები, სკეპენ წიგნებს, რომლებიც განამტკიცებენ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის მაღალ იდეურ ერთიანობას, ლიტერატურისა, რომელსაც არა აქვს სხვა ინტერესები და სხვა მიზნები, გარდა ყველა საბჭოთა ხალხის საერთო მოვლვარე მიზნისა. ეს მიზანია კომუნნიზმი.

შ ი მ რ ი ზ ა ძ ე



48 წლის წინათ მეფის რუსეთის ჯალათებმა სიცოცხლეს გამოასალმეს გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, პედაგოგი, მებრძოლი ლიტერატორი და კრიტიკოსი, დიდი მოაზროვნე და თავდადებული საზოგადო მოღვაწე შიო ალექსისძე ჩიტაძე.

თავისი სამშობლოს ამ მგზნებარე პატრიოტს თვალსაჩინო ადგილი უკავია არა მარტო ქართული საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. მას რუსეთისა და უკრაინის მოწინავე ახალგაზრდობაშიც პროგრესული იდეებისათვის მებრძოლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკური გაზნეთი „ახალი ცხოვრება“ ფართოდ გამოეხმაურა ჩიტაძის ვერაგულ მკვლევარს. გაზნეთი მოუწოდებდა მშრომელთა მასებს, დაარსებულყვენ სისხლის ასაღებად, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1906 წლის 7 ივლისის ნომერში მოთავსებულ წერაღში გაზნეთი წერდა: „თვითმპყრობელობის აჯაკობათა დაუსრულებელ რიგს კიდევ ერთი სიმხეცე მიემატა. ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა, სტუდენტობის დროს, თავისი იდეალისტური მისწრაფებით და გაღვივებული თეორეტიული ინტერესებით საყოველთაო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული როგორც ქართველ. ისე რუს სტუდენტობაში, და განსაკუთრებით თავის თანამემამულეებზე ნაყოფიერ გავლენას ახდენდა. იმავე დროს, სერიოზულად სანდო ადამიანის სახელი ჰქონდა დამსახურებული კიევის მოწინავე საზოგადოებაში... მისი მოკვლა ჩვენც არანაკლებ გვიმსებს გულს შურისძიების გრძნობით. დეე. ეს მსხვერპლიც მუდამ განუშორებელი იყოს ჩვენი ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვიწოდებდეს“.

შიო ჩიტაძე დაიბადა 1873 წლის 4 თებერვალს, გორში, ულატაკესი ხელოსნის ოჯახში. ღარიბმა მშობლებმა პატარა შიო დაწყებითი განათლების მისაღებად მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც შიომ 1887 წელს წარმატებით დაამთავრა.

ჩიტაძის ყოფილი მასწავლებელი გორის სასულიერო სასწავლებელში — სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ „შიო ჩიტაძე დიდად ნიჭიერი მოწაფე იყო, სწავლობდა საეცხოოდ, და სკოლაში ხშირად ფეხშიშველა და გაცვეთილი ჩუსტებით დადიოდაო“. შიო ჩიტაძე არ კმაყოფილდებოდა მარტო სასწავლო საგნების ათვისებით. ის ხარბად ეწაფებოდა ლიტერატურას და აარსებს მოსწავლეთა ხელნაწერ ეურნალს — „შრომას“. რომელშიც იბეჭდებოდა პოლემიკა, ლექსები, მოთხრობები და სხვ. ამ ეურნალში ჩიტაძემ მოათავსა საკუთარი მოთხრობა „ტყის დარაჯი ანტონა“. ეურნალს რედაქტორობდა ცნობილი ეურნალისტი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი.

1887 წელს ჩიტაძე თავისი უფროსი ძმის გოლა ჩიტაძის რჩევით შედის თბილისის პროგიმნაზიაში, რომელიც მან 1892 წელს წარჩინებით დაამთავრა.

1892 წელს ჩიტაძე მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, აქ იგი 1893 წლის 18 მარტამდე სწავლობდა.

1893 წ. შიო შევიდა კიევის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

კიევში შიო ჩიტაძემ დიდი სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა. მან სახელი მოიხვეჭა არა მარტო უნივერსიტეტის სტუდენტობაში, არამედ მთელი კიევის მოწინავე ახალგაზრდობასა და პროფესორ-მასწავლებლებშიც.

შიო ჩიტაძის იმდროინდელი მეგობარი, უკრაინის ცნობილი ლიტერატორი და პუბლიცისტი ვსევოლოდ ანდრიას-ძე ჩაგოვეცი იგონებს, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისს ჩიტაძე კიევში ყველაზე ცნობილი, ცოდნით აღსავსე და ნიჭიერი პედაგოგი იყო, თანაც იგი გამოირჩეოდა როგორც საუკეთესო ორატორი.

1899 წელს კიევის ბეიტელის გიმნაზიაში ჩიტაძესთან ერთად მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად ამჟამად გამოჩენილი მცენიერი აკადემიკოსი ე. ტარლუ, რომელიც ჩიტაძის მეგობარი იყო. ე. ტარლუმ გვაცნობა შემდეგი: „ჩიტაძე მე მაცუფიტრებდა თავისი ყოველმხრივი და მრავალფეროვანი ცოდნითა და განვითარებით, გაბედული აზროვნებით, მსჯელობის სიმწიფითა და მაღალი ინტელექტუალური დონით“.

1904 წელს ჩიტაძე თბილისის მოწინავე საზოგადოების თხოვნით ჩამოდის სამშობლოში. იგი ინიშნება თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის გამგედ.

კიევის მასწავლებლები და მოსწავლეები, აგრეთვე მთელი ახალგაზრდობა, გულისტკივილით გამოეთხოვნენ საყვარელ ადამიანს. ეს სიყვარული და დაფასება კარგადაა გამოთქმული ჩიტაძისადმი გამოგზავნილ კოლექტიურ წერილში. რომლის ორიგინალი ჩვენ ხელთ არის. ამ წერილში ნათქვამია:

„ძვირფასო ჩვენო შიო ალექსის-ძევ. არ ვიფიქრებდით, რომ ასე ადრე მოგვიხდებოდა დაშორება. წარმოუდგენელი, მძიმე და სამწუხაროა ჩვენი ფიქრი ამაზე. გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ჩვენზე მუდმივი მზრუნველობისათვის. შენ იყავი ჩვენი არა მარტო საყვარელი მასწავლებელი, არამედ გულითადად მეგობარიც. მთელი სულით და გულით გისურვებთ კარგად ყოფნას თქვენს. მშობლიურ მხარეში. გისურვებთ, რომ მშობლიურმა საქართველომ აღგიდგინოთ ჯანმრთელობა...“, და სხვ.

გამოჩენილ უკრაინელ მწერალ ჭალს ლესია უკრაინკას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული როგორც შიო ჩიტაძესთან, ისე მის მეუღლესთან — იუსტინა კირილეს ასულ შჩერბანთან. თბილისიდან კიევის მშობლების სახელზე გაგზავნილ წერილში, 1905 წლის 22 მარტის თარიღით, ლესია უკრაინკა საგანგებოდ აღნიშნავს შიო ჩიტაძის ოჯახთან მეგობრობას: „ეს არის ახლა ჩემთან იყვნენ შიო ჩიტაძის ცოლი და მისი და... ჩიტაძის ოჯახთან მე კეთილმეგობრული ურთიერთობა მაქვს, სწორად დავიარებით მათთან“. ამავე წერილში ლესია უკრაინკა დაწვრილებით ამუქებს საქართველოს მუშებისა და გლეხების აუტანელ მდგომარეობას, გაფიცვებს და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებას. 1905 წლის 6 თებერვალს ლესია უკრაინკა დედისადმი მიწერილ წერილში აღწერს თბილისის ამბებს: „აქ მოხდა ამბოხება ყველა საშუალო სკოლაში... ქართულ სათავადაზნაურო სასწავლებელში, სადაც ჩიტაძეა, შეიშუშავეს წესდება. რომელიც უფლებას ანიჭებს მოწაფეებს — მასწავლებელთა თანადასწრებით მოიწვიონ თათბირები და შექმნან მოწაფეთა საბჭო... ეს მიღწეულ იქნა ფანჯრის მინების ჩაულეწავად და წესიერების დაზარალებად, დირექტორის — შიო ჩიტაძის ტაქტის წყალობით“.

საქართველოში შიო ჩიტაძე შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ და მშრომელებს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მის პუბლიცისტურ კალამს ეკუთვნის მთელი რიგი სტატიები, სადაც გამოაშკარავებულია რუსეთის მეფის პოლიტიკა, მისი აგენტების აღვირაზნელობა. ეს სტატიებია: „თბილისის სათავადაზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი“, „საქართველოსათვის ქართული სკოლა“, „ფსიქოლოგიური წერილები“, „მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება“, „ანტონ ჩეხოვის სახსოვრად“, „ნიცშეს იდეალი“, „უდროობის მსხვერპლი“ „უცნაური შედავათი“, „სამარცხვინო ბორკილი“, „ახალი წესწყობილება“, „თავისუფლების ღირსნი არა ვართ“, და სხვ.

შიო ჩიტაძემ 1905 წლის რევოლუციის დამარცხება „სამარცხვინო ბორკილად“ აღიარა. იგი წერდა: „ახლა სხვა დროა, სხვა სიო პებრავს. საჭიროა აუცილებლად საჭიროა მოშორდეს ხალხის გონების განვითარებას, განათლებას სამარცხვინო ბორკილი. საჭიროა სრული თავისუფლება მიეცეს სინათლეს, რათა ადვილად მოთინოს თავისი მადლიანი შუქი ბნელში მყოფ ხალხს“.

მწვავედ განიცადა შიო ჩიტაძემ 1905 წლის რევოლუციის დროებითი დამარცხება. ის ვერ შეაშინა გაათორებული რეჟიციის თარეშმა და კვლავ განაგრძობდა ბრძოლას. 1906 წელს მან ხალხს მოუწოდა: „წვეთი კლდეს ანგრევს. ყველანი გადავიქცევით ნიღთებად, დაეანგრიოთ კლდე, რომელიც ჩვენ გულს და სულს გვიხუთავს, სადაც შეგვიძლია, როგორც შეგვიძლია — ვებრძოლოთ შავბნელ ძალებს“.

რევოლუციის დამარცხების წლისთავზე ჩიტაძე წერდა: „ჯალათების დღეები დათვლილია. დიდ ხანს ვერ მოიხმარს მთავრობა გამარჯვებას. ხიშტებზე მხოლოდ ზორცის აგება შეიძლება, აზრისა კი არასოდეს, ცხოველი აზრი კი კვლავ შეუდრეკელად და სწრაფად დაფრინავს ვრცელი რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში, არ არის ძალა, რომელსაც ძალუმს გადაეღობოს ამ ძლივამოსილ სელას... ზვალ კვლავ გაადვილებს დამარცხებულ ხალხს და გამარჯვებას მოუპოვებს“.

მეფის რუსეთის დამქაშები შიო ჩიტაძეში ზედადნენ თვითმპყრობელობის ერთ-ერთ საშიშს და დაუძინებელ მტერს. რევოლუციის დროებით დამარცხებისა და რეჟიციის პერიოდში, 4 ივლისს 1906 წელს, შიო ჩიტაძე ვერაგულად მოკლეს კაზაკებმა თავის სამუშაო ოთახში, გიმნაზიის შენობაში. ასე დაეცა ბრძოლის ველზე 33 წლის ასაკში სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე პუბლიცისტი-კრიტიკოსი, მებრძოლი — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, რუსეთის თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი, თავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი. საქართველოს მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ ახალგაზრდა პედაგოგის დაკარგვას.

ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება“ 1906 წლის 6 ივლისს აცხადებდა: „პოლიცემისტერი მარტინოვი ყუმბარით დასჭრეს. მკვლელი გაიქცა. გამხეცებულმა კაზაკებმა მოკლეს უდანაშაულო, ძალღონით სავსე ახალგაზრდა მწერალი შიო ჩიტაძე“.

შემდეგ გაზეთი დაწერილებით ცნობებს იძლევა მომხდარი ამბების შესახებ: „4 ივლისს, საღამოს 8 საათზე, პეტრე დიდის (ყოფილ ლაბორატორიის) ქუჩაზე სათავადაზნაურო გიმნაზიის გვერდით პოლიცემისტერს მარტინოვს, როდესაც ის თავის სადგომიდან გამოდიოდა, ვიღაც უცნობმა ყუმბარა ესროლა.“

ყუშბარა გასკდა ფეხებთან და მძიმედ დასკრა პოლიციებისტერი მარჯვენა ფეხში და მკლავში... ორი წუთის შემდეგ ჯარიმა ალყა შემოარტყა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობას და ასტეხა შეუჩერებელი თოფის სროლა. რომელიც ნახევარ საათს გრძელდებოდა, ესროდენ გიმნაზიის შენობას და ქუჩაში გაჟღელვით. როდესაც ზალბით გული იჯერეს, ჯარი შეიჭრა გიმნაზიის შენობაში და შეუდგა იქაურობის აკლემას... სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორედ ეწვია 22 ოქტომბერს შავი დღე.“

იგივე გაზეთი — „ახალი ცხოვრება“ — შიო ჩიტაძის მკვლელობის გამო საქართველოს მშრომელებს ბრძოლისა და შურისძიებისაკენ მოუწოდებდა. შიო ჩიტაძის დასაფლავების დღედ გამოცხადებული იყო 8 ივლისი, დღის 4 საათი. მაგრამ თბილისის ენდარამერიის განკარგულებით ცხედარი გამოასვენეს იმავე დღეს დილის 10 საათზე. ეს იმიტომ, რომ მუშები და მოსამსახურეები არ დასწრებოდნენ დაკრძალვას. ამისდამიუხედავად, დაკრძალვის პროცესია საღამოს 6 საათამდე გაგრძელდა. გაზეთი „ახალი ცხოვრება“ წერდა: „გუშინ დილას კუჩის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე წირვა-ბანაშეიდის გადახდის შემდეგ დასაფლავეს 4 ივლისს მხეცურად მოკლული შიო ჩიტაძე. განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინები ამკობდა. გვირგვინების უმეტესობა წითელი ლენტეხით იყო შემკული. კუბოს დიდძალი ხალხი გაჰყვა სასაფლაომდის“.

წარმოითქვა მგზნებარე სიტყვები და ლექსები.

გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ე. გუნიაშვილმა თავის სიტყვაში ფართოდ დაახასიათა შიოს საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ჩვენს ხელთ არის მრავალი ხელმოუწერელი წერილი, მიძღვნილი შიოს ხსოვნისადმი, რომლებიც იმ დროს მკაცრი საცენსურო პირობების გამო გაზეთებს ვერ გამოეჭყვევებინათ.

მოვიყვანთ ამონაწერებს ზოგიერთი წერილიდან.

წერილში, რომლის სათაურია „უკანასკნელი საღამო“, ავტორი ამბობს: „მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო შიო! ახლად გათხრილი საფლავის წინ ფიცსავსდებთ, რომ შენს უზომო მსხვერპლს არ დავივიწყებთ და არც დავივიწყებთ შენს ჯალათებსაც. სანამ ცოცხალი იქნება უკანასკნელი ჩვენათგანი... შენ იყავი პატროსანი მებრძოლი, მეღვარი დამცველი ხალხის ინტერესებისა...“ ერთ წერილში, რომლის სათაურია „შიოს საფლავის წინაშე“, ნათქვამია: „შიო მოკვდა, მაგრამ იმისი ენერჯია არ მომკვდარა, იგი მხოლოდ გაიზარდა, გასაღვლდევდა, მოემატა ჩვენს ენერჯიას და გაამრავლა სიმართლისათვის მებრძოლი ჯარი“. წერილში „ამხანაგს და წინამძღოლს“ ნათქვამია „შენს გაციებულ გვამს გულამოსკენით დასტირის შენი საყვარელი სამშობლოს თვითიული კუთხე... დიდი, პატარა, ქალი და კაცი... შენ იყავი იმათგანი, რომელსაც ღირსეულად შეეძლო აღამიანის სახელის ტარება“ და სხვა.

ერთი უცნობი ავტორი თავის უსაზღვრო აღშფოთებას ასე გამოთქვამდა:



მოკლეს, განგმირეს, ახალ ცხოვრებას
 კიდევ მოსტაცეს მებრძოლი ერთი...
 სისხლი სისხლს იახოეს, სიკვდილი სიკვდილს,
 და ჩვენც ფიცსა ვსდებთ, რომ არ შევარჩინო
 მტარვალთ შენს სიკვდილს, ცარცვა-დარბევას...
 ვაშა, ლომკაცნო, მებრძოლთ-მებრძოლნო!
 უკვდავი არის თქვენი სახელი
 და სატყუნოდ, სამარადისოდ
 სთაყვანო და სადიდებელი...
 შენ კი, ტანჯულო, უკანასკნელად
 მიიღე ჩვენგან სალაპი წრფელი,
 არ დაგივიწყებს ხალხის ერთგულ შვილს
 ვიდრე არსებობს ქვეყნად ქართველი!

მუშა-ბოლშევიკმა ხანდამაშვილმა შიო ჩიტაძეს მიუძღვნა ლექსი, რომელიც წაკითხულ იქნა დასაფლავების დღეს.

იციღე, შიო, რომ იმ მტარვალებს,
 სისხლი უმანკო ვინც დაგიღვარა,
 ძლევაშისილი ხალხი ანანებს,
 ეცდება ქვეყნად აღგავოს ჩქარა.

მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი ამბობს, რომ ამ „ტრაგიკულმა სიკვდილმა რამდენიმედ წინ წასწია ხალხის თვითცნობიერება“.

შიო ჩიტაძის ლიტერატურული, პუბლიცისტური და პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლას პატრიოტული და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხისათვის.



ბიბლიოგრაფია



სოხის შემოქმედებითი ზეა

სანდრო შანშიაშვილის წიგნი „ჩველი“ საინტერესო ლიტერატურული მოვლენაა, რამდენადაც იგი სამუდამად მისცემს მკითხველს, თვალი გადაეწიოს იმ ზეას, რომელიც განვლილ მწერალმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე. წიგნში შეტანილია პოეტის სხვადასხვა პერიოდის დამახასიათებელი ლექსები და პოემები. ბევრ მათგანს, ცხადია, დღეს უფრო ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. მათი შეოხებით მკითხველს შეუძლია გაეცნოს იმ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩვენი საზოგადოების განვითარებაში, მის სულიერ ცხოვრებაში, გაეცნოს იმასაც, თუ როგორ ეხმარებოდა პოეტი ამ მოვლენებს, გაეცნოს ავტორის სულიერ განწყობილებას ჩვენი ხალხის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე. საგულისხმოა, რომ წიგნში შეტანილია მხოლოდ ის ლექსები, რომლებიც მოქალაქეობრივ თემებზეა დაწერილი. ეს ლექსები თვალწინ გვოვლიან იმ სოციალურ გატეხვის, იმ სოციალურ ძვრების, რომლებშიაც თვით ავტორი იღებდა მონაწილეობას.

როგორც ცნობილია, ს. შანშიაშვილის ოქტომბრის რევოლუციამდელი პოეზია აღბეჭდილია იმ წინააღმდეგობებით, რომლებიც ახასიათებდა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეული ფენების იდეურ ცხოვრებას. ისიც ცნობილია, რომ ს. შანშიაშვილის პოეზია ვერ ასცდა პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი შეშფოთებულ დაცემულობის განწყობილების გავლენას. ამ მხრივ ს. შანშიაშვილი საკმაოდ რთული მოვლენაა ქართულ პოეზიაში. ახალგაზრდა პოეტი იდგა ზღვარზე დიდ კლასიკურ და დაცემულობის ხანის ლიტერატურის შორის. ამდენად მის პოეზიაში მოცემული იყო როგორც კლასიკური ლიტერატურის კეთილშობილურ ტრადიციები, ისე ბურჟუაზიულ დაცემულობის პოეზიის საწყისები. აღსანიშნავია, რომ პოეტს თავის რჩეულ ნაწარმოებად წიგნში არ შეუტანია დაცემულობის ხანის დამახასიათებელი ლექსები. მასალის ასეთ შერჩევას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მწერლის იდეურ-ესთეტიკური პოზიციების გარკვევისათვის.

წიგნში მოთავსებულია ლექსები, რომლებშიც გამოხატულია ის დაძაბული და შეუწყვეტელი სწრაფვა სოციალური სიმაართისადმი, რომელიც ღვივდა თვით პოეტის გულში 1905 წლის რევოლუციის მშფოთვარე დღეებში. ლექსში, რომელიც დათარიღებულია 1905 წლით, პოეტი საავტორო ენით მოუწოდებდა ხალხს: „დაინგრეს ძველი ტაძარი“. ცხადია, ამ ძველ ტაძარში ავტორი გულისხმობდა თვითმპყრობელობის რეჟიმს.

თავისუფლება ყველას გვწყურია;
მედგარ ბრძოლისთვის გვიხმობს გურია.

ასეთი პირდაპირი, პოლიტიკური ენით მიმართავდა პოეტი აჯანყებულ ხალხს. ასეთი მომწოდებელი ენით გამოცხმავდა პოეტი 1905 წლის გურიის ამბებს, რის გამოც ავტორი დაპატიმრებული იქნა და 1907 წელს 8 თვე გაატარა მტეტების ციხეში. იმ ხანებში შექმნილი ლექსების ცილი ზოგად, ხშირად აღეგორიულ პოეტურ სახეებში ასახავს ხალხის განათვისუფლებელ ბრძოლას. ამ ლექსებში მკითხველი ხედავს იმდენს იმ ნაპერწყალს, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ ხალხის ფართო ფენებში გააღვივა. ს. შანშიაშვილის პოეტური სახის ფორმირება ხდებოდა რევოლუციური ტალღების მოქცევის და შემდეგი უკუქცევის წლებში. ამის დამადასტურებელია ამ წიგნში მოთავსებული ლექსები. რევოლუციის აღმავლობა, მისი წინსვლითობა პოეტის ღირიას აძლევდა მოქალაქეობრივი მოწოდების ძალას, ოპტიმისტურ ელვარდობას. პოეტს გულს უაყვებს იმის რწმენა, რომ მოქმედების ასპარეზზე გამოსული მშრომლები შეძლებენ შრომის სუფივის დამყარებას და მისი ლექსიც ამას უძღვრის:

შრომის სუფივას მღერით გვაძენობენ,
მტკიცე ფიცს სდებენ მშობილებიან. („მისი“ გვ. 121).

პოეტი დაძვობილებულ მებრძოლთა გატაცებით მიმართავს:

შემოკრებით ერთად,
დასასხებით მედგრად!
და მოვიხადოთ ხალხის წინ ვალი!
ვაშა, მებრძოლო, აღმართეთ ხმალი!

(„ბრძოლის სიმღერა“, გვ. 125).

აღნიშნული ლექსების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური პირობები, რომლებშიც ისინი იქმნებოდა. ბარცადებზე დამდგარი ხალხი მოითხოვდა შავთო, გარკვეულ-სუსტ ღონუნგებს, პროკლამაციური სტილით დაწერილ მომწოდებლურ ლექსებს. უკანასკნელთა გარჩევისას ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ს. შანშიაშვილის პოეტურ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოუხდენია ერთი მხრით ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის, ხოლო მეორე მხრით კლასიკური ლიტერატურის ღრმა ტრადიციების. პოლიტიკური მდგომარეობა აიძულებდა მწერლებს ხშირად შეემართათ ენობური, გადაკრული ენისათვის. როცა პოეტი წერს:

შაკრი ბუნება ზანზარებს,
ზღაყ მიტომ აღშფოთებულა,
რად უნდა დაცხრეს, თუ ირგვლივ
წყევლიადი გამეფებულა? („ზღაყ“, გვ. 125).

ცხადია, მას მხედველობაში აქვს არა სტიქიური, ბუნების ძალები, არამედ მაშინდელი საზოგადოებრივი მდგომარეობა და შესაფერ სურათსაც ქმნის. ალეგორიებით წერის მანერაც იმის მანიერებელია, თუ რა მძიმე ცენზურულ პირობებში უხდებოდათ წერა თვითმყარობელობის წყევლიადი.

კლასიკური ლიტერატურიდან, სოციალურ მოვლენათა რეალისტრად აღქმასთან ერთად, ს. შანშიაშვილმა მიიღო ერთი მთავარი ტენდენცია: რომელიც ცხოველმყოფელი დარჩა მის მოქალაქეობრივ პოეზიაში. ეს არის ის ძლიერი პატრიოტული ნაკადი, ის პატრიოტული ღირსიკა. რომელიც პოეტის შინაგან სამყაროს საუკეთესო მხრიდან აშუქებს. ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტის პრაქტისტი მშობლიური მხარის მხაგვრელთა წინააღმდეგ მოკლებულია აქტიური, პირდაპირი ბრძოლის სიმამფრეს და ხშირად თვალათგან მღელაყ ცრემლის დენით კმაყოფილდება.

ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაწყებულმა რეაქციამ ქართული ინტელექციის გარკვეულ ფენებში დაბნეულობა, სულერი მოღუნება გამოიწვია. ასეთმა განწყობილებამ თავისი გამოხატულება პოეტი ს. შანშიაშვილის პოეზიაშიც. მისი ლექსების ღრმა სეუდა საზრდობს იმ უხანობით, რომელშიც პოეტს მოუხდა ცხოვრება. რეაქციის წლებში პოეტი ნაღელიანი ხმით გოდებს:

ცხარე ბრძოლაში დაკოდილი კევდე მარტოკა,
თავს დამჩხაოდა გულსაკლავად შავი ყორანი;
გამვეულ-გამომვეულს ჩემი კენესა სულს არ უერთობდა,
არც ზელს მიწვდიდა გულზეიადი ადამიანი.

(„რისთვის დამიხსენ“, გვ. 128).

რეაქციის აღმავლობის წლები მოჰყვა, პოეტის ხმასაც ემატება სიმტკიცე, იგი თავისი ჩანგის სიმებს აწყოებს ახალ პანგზე, რომელიც ესმოურება ცხოვრების ახალ ქროლვას. პოეტს იზიდავს მშფოთარე ცხოვრება, რომელიც სახსეა წინააღმდეგობეობით, სადაც მხაშიც არის და შარბათიც, სეუდაც და სიხარულიც, ცრემლიც და გაზაფხულის ღმილიც, სადაც პოეტს ბრძოლის ასპარეზი ეშლებს. პოეტი აღარ კმაყოფილდება სინამდვილის პასიური კვრეტარო, იგი შეტევაზე გადასვლისაკენ მოუწოდებს მკითხველს:

მიყვარს ცხოვრება ფაფარ აშლილი,
შფოთის მინდორი მასზე გაშლილი
რაც გელობება, ლახტრად ეყვითო!
შექმნა! შექმნილი გადააკეთო!

რად მინდა მყედრო ტბა და ქაობი?
გულს მოეკიდოს ხანის და ობი?

(„მიყვარს სიცოცხლე“, გვ. 178).

ეს არის ეპოქის მიერ ნაყარნახევი სიტყვები. პოეტი ცხოვრებასთან შემოქმედებით ურთიერთობას ამყარებს. იგი დგება აქტიური ბრძოლის, და არა ცხოვრებიდან ვანდგომის, მოქმედების. პოეტის აზროვნებაში მომხდარი გარდატეხა საყურადღებოა, რამდენადაც დენ უმანსის სიტყვებში საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საფეხურსა, საყურადღებოა ისიც, რომ ახალ შინაარსთან ერთად მისი ლექსი უფრო ძარღვიანი ხდება, სახე — რეალისტური, პოეტური პერველდება უფრო ხალხური. არ შეიძლება არ აღინიშნოს წიგნში შეტანილი ერთ-ერთი ლექსი, სათაურით „ოგლოვეთ“, რომლითაც პოეტმა გამოხატა ხალხის გლოვა გამოჩევეული ილია ჭავჭავაძის ვერაველი მოკვლით.

წიგნში შეტანილია ის ლექსები, რომლებიც უფრო დამახასიათებელია სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებისათვის და ქართულ პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნებიან. პოეტის შთაგონების საგანს წარმოადგენს მშობლიური ხალხი, უფრო ის წრე, რომელსაც თვით ავტორი გუთუნის, სახელდობრ, გლეხობა. მთელ რიგ ლექსებში პოეტი მას უმღერის, შარავანდელით მოსაეს გლეხის შრომას. ამ ლექსებში ს. შანშიაშვილი აცოცხლებს კახელი გლეხის ადაბებს, მის ზნეჩვეულებას. ასეთებია: „რძალი ზენაი“, „კახეთი“, „კახეთის დედოფალი“, „ნიშნობა სოფლად“ და სხვ., რომლებიც პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული პოეტური ძალითა და პათოსით გამოირჩევიან.

რეალისტურად ხატავს კახეთს ლად სურათს პოეტი ცნობილ ლექსში „კახეთის დედოფალი“. ამ შეტად ხატოვან ლექსში ფოლკლორის დამახასიათებელი გახედულებით არის ვადმოცემული ქობინების სურათი. მასში ხალხური დღესასწაულის ფართო და ნათელი სურათია გაშლილი, სიცოცხლის მთელი ზეიმი ეღერს და ფერწყრითი ხერხით შესრულებული სურათები ეპიური სიმშვილით გადმოგვცემენ კახეთის ბუნებას. ლექსის მაგორული განწყობილება გადადის მთელ ჰიმნში სიცოცხლისადმი, დამღვარ ვანთიადისადმი. აღსანიშნავია ის ჯანსაღი, ხალხური ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი, რომელიც ს. შანშიაშვილის აღნიშნულ ლექსშია მოცემული.

წიგნში ფართოდ არის წარმოდგენილი ის ლექსები, რომლებიც ს. შანშიაშვილმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შექმნა. ს. შანშიაშვილის ამ პერიოდის შემოქმედების ობიექტი ხდება მშენებლობის ყოველი საგანი, რომელიც წინ სწევს მშობლიური ქვეყნის პატრიარლტის და სელეირ კულტურას. მან ერთ-ერთმა პირველმა უმღერა ზაპსს. მის კალამს ახალისებს ახალი სოფლის ფერადი, მდიდარი ცხოვრება. მდიდარი სოფლის შესანიშნავი სურათია აღდგენილი მთელ რიგ მის ლექსებში, როგორცაა, მაგალითად, „რთველი კახეთში“ და სხვ. პოეტი ყარვად იცნობს სოფლის ცხოვრებას, მის ყოფას და უკანასკნელის საფუძველზე ქმნის სისწლხორით საესე დასრულებულ რეალისტურ ნაწარმოებებს. წიგნში შეტანილ ლექსებიდან თავისი ვააზრებითა და მხატვრული შესრულებით უნდა გამოიყოს ავტორის ცნობილი „მუხის დაეცმა ჭიურის ტყეში“, ბალადა „დედისერთა ლენინთან“, „ქართველი დედა“ და სხვ.

„დედისერთა ლენინთან“ ერთ-ერთი საუკეთესო ბალადაა ქართულ პოეზიაში. მკითხველს იტაცებს ამ ბალადის გულწრფელი ტონი, ქართველი ხალხის შეურყეველი ერთგულება ლენინის იდეებისადმი, ლექსის ხალხურობა. ასეთივე გულწრფელი ხმით ეღერს მისი ლექსი „სნაიპერი“.

მთელი რიგი ლექსები იმით არიან საინტერესო, რომ მათიოდ ვადმოგვეყვენ ავტორის საზოგადოებრივ პოზიციას. მის დამოკიდებულებას შემოქმედებითი შრომისადმი. გულწრფელი ხმით უმღერის ს. შანშიაშვილი სახალხო გმირს არსულ ჯორჯიაშვილს, მაქის კომუნარებს, ყველა მათ, რომლებმაც თავი დასდეს ხალხს ბედნიერი მომავლისათვის. მისი დამღერების საგანია ხელისუფლების ყოველი ღონისძიება, რომელიც ხალხის კეთილდღეობის შექმნისაკენაა მიმართული. იქნება ის კოლხეთის ჭაობის დაშრობა, სამკორის მშენებლობა, ვოლვა — დონის არხის თუ კომუნისმის სხვა მშენებლობანი — პოეტის ხმა ყოველთვის გულწრფელად ეღერს.

შთაგონების განსაკუთრებული ძალით უმღერის პოეტი ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორს ი. სტალინს. ეს სახე ორგანულად არის დაკავშირებული ს. შანშიაშვილის უკანასკნელი პერიოდის პოეზიასთან. ლექსი „იოსებ სტალინი“, რომელიც ჯერ კიდევ 1931 წელს დაიწერა, ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ამ თემაზე დაწერილ ლექსებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსის სახეები ვადავიდა ხალხში და ფოლკლორული შემოქმედების საკუთრება გახდა. პოეტის ოცნება ი. სტალინის სახეში პოელობს შთაგონების უმეტეტ წყაროს. იმით იხსნება, რომ ს. შანშიაშვილის საუკეთესო ლექსები „ახალ საქართველოში“, „ბელადისადმი“, „ქარიზხალში ანთებულა“, „ჩვენი დროა სტალინა“ და სხვ. სტალინის დიდ საქმეს უმღერაან. გულწრფელი

გრძნობით, შთაგონებული სიტყვით გამოხატა პოეტმა მთელი ხალხის სიყვარული სტალინისადმი ლექსში „შენ გულმართალო, ხელმართალო ადამიანო“.

ვერცელი ქვეყანა ბაღნარია ფერად-ფერადი
და ამ ბაღნარის შემოქმედი შენ ხარ ბელადი.
გადავდგამ ნაბიჯს, გულში ღებნა ჩამეკონება,
არ შევიღამდეს, არც საღამი დავაგვიანო:
შენ მუდამ წინ ხარ, შენ გესწრაფვის ჩემი გონება,
შენ გულმართალო, ხელმართალო ადამიანო!

ლექსში მკითხველი ვერ შეხვდება ვერც უცარ პოეტურ სახეებს, ვერც ძლიერ ეპითეტებს, მეტაფორებს, მაგრამ იგი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ამის მიზეზია ლექსის იშვიათი სიგულ-წარფილე.

მოქალაქეობრივი სიმძაფრე მიიღო ს. შანშიაშვილის პოეტურმა შემოქმედებამ სამამულო ომის წლებში. წიგნში შეტანილია ამ წლებში შექმნილი ციკლი ლექსებისა, რომლებიც გამარჯვების რწმუნით გამოირჩევიან, მკითხველებში პატრიოტულ გრძნობებს აღვიძებენ. პოეტი თვითონვე აძლევს თავის ლექსს მძებნილ კვალიფიკაციას:

ჩემი ლექსი გრძნობით მოვეკერ,
როგორც სელის ძახილი;
გაიშლება სხივად ზოგჯერ,
ზოგჯერ როგორც მახვილი. (ჩემი ლექსი“, გვ. 67).

გულწრფელი სიმღერით მიეგება ს. შანშიაშვილი ჩვენი სახელოვანი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიაზე, რიხსტაგზე დროშის აღმართვას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ლექსი „გახაფხულის სიმღერა“, „დღედავ შე ერთი წაიკვილ“ და სხვ.

წიგნში მოთავსებულ იგავ-არაკებრივ შინაარსობრივ სიმკვეთრითა და მხატვრული გემოვნებით გამოირჩევიან: „გარეული თბა“, „იხვი, მელა და მამალი“, „კატის ოინი“, „არწივი და ყორანი“, „შევირალა ქათამი“ და სხვ. აღნიშნულ იგავ-არაკებს დღესაც არ აქვს დაკარგული აღმზრდელი ძალა.

პოემები „ანაარქქია“ და „ამირანი“ არ იწყებენ ინტერესს მკითხველში, რამდენადაც ისინი ხალხურ გადმოცემების უბრალო გადღესევის ცდის ნიმუშებს წარმოადგენენ. მათში ნაკლებად ჩანს პოეტის ფანტაზია, შემოქმედებითი გაქანება, რომელიც უნდა ამოდირებდეს მასალას. უფრო საინტერესოა პოემა „დღედა მარინე“. პოეტი შეეცადა აესახა ამ ეპიკურ ტილოში ზურგის თავდადებული შრომა სამამულო ომის წლებში, ის დასაბული შრომა, რომელსაც ეწეოდა ხალხი იმ მიზნით, რომ მტერზე გამარჯვებისათვის ყველა პირობა შეექმნა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პოემა ვერ დგას შესატყვის მხატვრულ დონეზე, თუმცა მისი ცალკეული ადგილები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ასეთებია, მაგალითად, დედის სიზმარი, მიმართვა უკრაინის ველისადმი და სხვ. მთლიანად კი პოემა შერთალია, დიდი ადგილი აქვს დამოთბილი საექსპოზიციო ნაწილს, რაც არღვევს კომპოზიციის საერთო ქსოვილს.

შედარებით ღარიბია პოეტური საღებავები, ყოველ შემთხვევაში იმისთვის მაინც რომ დიდ შინაარსს შესაფერი მხატვრული ფორმა მისცეს. შეღამაზებულია სინამდვილეც. ასეთია ის სცენები, რომლებიც ჯარიში ვაჟველთა გაცოლებას გადმოგვცემენ. ომი გამოცხადდა. მარინეს ორი ვაჟი თანდია და ტარიელი ომში მიდიან. მარინე, ვიდრე შეილებს სადგურზე გააცილებდეს, ღბინს მართავს. ტარიელის საცოლე ცილაზე ნათქვამია: „მას რა ნათელი გადაჰყენიო“ და სხვ.

არ იყო შესატანი რჩეულთა წიგნში ისეთი ლექსები, როგორცაა „შვედელი ზაქრო“, რომელიც მეტად პრიმიტიული ხერხით არის დაწერილი. „განჯ! რაჯ! რუჯ! განჯ! ცეცხლი სწავს ეანგს“. ასე იწყება ეს ლექსი. მკრთალია აგრეთვე ზოგიერთი საბავშვო ლექსი, რომლებსაც წიგნში ერთგვარი დისონანსი შეაქვთ.

მიუხედავად ამისა, ს. შანშიაშვილის წიგნი „რჩეული“ საშუალებას მისცემს მკითხველს, გაეცნოს იმ საუღელტეხილო საფეხებებს, რომლებიც განვლი ავტორმა თავის პოეტურ შემოქმედებაში და რომლებშიც აისახა საზოგადოების განვითარების გარკვეული ეტაპები.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსები

ბიბლიოგრაფია
საბავშვო ლექსები



ი. გრიშაშვილის საბავშვო პოეზიას შეუნელებელი ინტერესით ეწაფება არა მარტო ნორჩ აზრობა, არამედ კვალიფიციური მკითხველიც.

საერთოდ მაღალმატერულ საბავშვო ნაწარმოებებს დიდი და პატარა ერთნაირი სიყვარულითა და კმაყოფილებით უნდა კითხულობდეს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ მხატვრულ საბავშვო ლიტერატურას ესოდენ დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა ადამიანის სიმტკიცისა და შეუპოვრობის, სიბეჯითისა და შრომისმოყვარეობის გამოუმუშავებასა და ჩამოყალიბებაში.

ი. გრიშაშვილის წიგნი „თქვენთვის ჩემო პატარებო!“ ნორჩ მკითხველს, ახალგაზრდობას უნერგავს უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიადი სამშობლოსადმი.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსების თემატიკა საინტერესო და მრავალფეროვანია: მოსწავლის ყოფაქცევა, ბეჯითი სწავლა, უფროსებისადმი ღრმა პატივისცემა, უანგარო მეგობრობა, მყარი და ხანგრძლივი მშვიდობა, ბუნება და გარემო.

ცნობილია, რომ ი. გრიშაშვილის პოეზია უმთავრესად ქალაქური ფოლკლორით სარბობდა. ამიტომ არის, რომ საბავშვო ლექსების წიგნშიაც პოელობს თავის გამოხატულებას თბილისის სიყვარული. მაგრამ ეს სიყვარული მარტო თბილისს არ გეტუნის, პოეტი ამ გრძნობას ხალხთა მეგობრობის წმინდა სიყვარულში აქსოვს:

მხარში უღგებარ დიდ მოსკოვს,
გადახვევიხარ ძმურადა!

მშობლასა და მეგობრობის განმტკიცების პატრიოტულ გრძნობას კიდევ უფრო აღრმავებს ავტორი ლექსში — „დაეფლეთ რუსულ ენას“. პოეტი მოუწოდებს ახალგაზრდობას, რათა ღრმად დაეფლოს დიდი ლენინისა და ბუშინის ენას, რადგან „რუსულ ენას მშობის ენა ჰქვია“.

წიგნში მოთავსებულ ამ პირველსავე ლექსებს მოსდევს ცნობილი, კემპარტიად მაღალმხატვრული ლექსი „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“, „ლენინის ხსოვნას“ და „შავი არშია“. ლექსში „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“ ი. სტალინი დახატულია, როგორც კომუნისტური პარტიის შემქმნელის და ფუძემდებლის, გენიალური ლენინის უახლოესი თანამებრძოლი.

შენი ბინა ისევ დგას —
ბედად გადარჩენილი,
შევ დოქია სოველი
და წიგნები ლენინის,

ამბობს პოეტი და იქვე მოხდენილად დასძენს: „ლენინით გიწოდებთ ჩვენ მგზნებარე კოლხიდელსო“. ლექსს აქვე მოსდევს უდიდესი მწუხარების გრძნობით ნათქვამი ლექსი „შავი არშია“

არა და არა! შენს ნათელ სურათს
ვერ შემოვავლებ დამისფერ ჩარჩოს.

ვ. ი. ლენინის უკვდავი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში კლადიმერ ილიჩის ნათელ სახე დახატულია, როგორც მარადუკვდავი, ცოცხალი გენია:

ის მარად ცოცხლობს. მას ჩვენი ხალხი
ჭირში თუ ლბინში მუდამ იგონებს!
ის მარად ცოცხლობს. აქ არის ახლაც
და მიკარნახებს ლექსის სტრიქონებს.

იქ, სადაც ლენინის დროშა ფრიალებს, „ისმის მშვიდობის ტალღის გრიალი“, და „მშვიდობა აწერია ამ დროშების ატლასს“. მაგრამ, თუ ვინმე გაბედავს და დაარღვევს ჩვენი მშვიდობიან ცხოვრების ნათელ აწმყოს,

როგორც წინათ, ახლაც ისე
ჩვენ მოუვგრებთ ვერაგს კისერს.

პოეტი ყოველ ლექსში მართალი, დამაჯერებელი და გულწრფელი სტრიქონებით ესაუბრება „ნორჩ მკითხველს. ასე სხარტი და ფრთიანი სტრიქონებითაა დაწერილი ი. გრიშაშვილის ლექსების უმრავლესობა. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პიონერთა ცხოვრების ასახველი ნაწარმოებები: „პიონერის ნატვრა“, „ფოსტალიონი გულდა პიონერთა ბანაკში“, „გოგონის პიონერები კოცონთან“, „ნორჩ შემოქმედთა გაბაასება“ და სხვ.

ჩემი ოცნება ის არის,
სწავლაში ვიყო პირველი,
ნაცრისფერ ბილეთს ვეღირსო
და შერქვეას კომკავშირელი,

ნატვრის პოეტის გმირი პიონერი. ეს ყველა პიონერის ნატვრაა, გახდეს ლენინური კომკავშირის წევრი, გულის ჯიბეში ეღოს ლენინის უკვდავი სახის გამოხატულებით აღბეჭდილი ნაცრისფერი ბილეთი, — აი, ყველაზე უფრო სანატრელი წუთი აღოსუფრეყელსახვევიანი პიონერისა, რათა ის სიმართლის გზაზე მიდიოდეს, ეუფლებოდეს ცოდნის მწვერვალებს და ასახელოს სამშობლო გმირობით, გამბედაობით. ასევე საინტერესოა ლექსია „ნორჩ შემოქმედთა გაბაასება“. ამ ლექსში ნორჩი პოეტისა და მხატვრის დავას ასე მართებულად და მოხდენილი სიტყვებით წყვეტს პიონერხელმძღვანელი:

მამულისთვის საჭირო ხართ
ორივე ერთად! ორივე ერთად!

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსებიდან მგეტი პოპულარობით ის ნაწარმოებები სარგებლობენ, რომლებშიაც დახატულია, ასე ვთქვათ, უარყოფითი ტიპები — „ლაზღანდარა“, „გრიშკა — ბიჭი“, „ზარმაცი“, „ონავარი“, „სულწასული ნუცა“, „ძილისგულა“ და სხვ. ლექსი „მიყიდე“ ერთი წაკითხვისთანავე რჩება მკითხველის მესხიერებაში. განსაკუთრებით კარგია ბოლო სტროფი, სადაც ჰუმორთან ერთად მშობლის შექარაცაა გადმოცემული სულ „მიყიდე-მიყიდეს“ მოწონებულ ბავშვის მიმართ:

კმარა, ჩემო შვილიყო,
კმარა, თორემ, იყოდე,
ნამდვილ სახელს წაგართმევ
და „მიყიდეს“ გიწოდებ.

ორიგანაღური გააზრებით არის დაწერილი, აგრეთვე, ლექსი „ბიჭო, ნუ ურევ ქვიშასა“:

აგურებს ქიმებს უტეხავ,
შვიდასაც ურევ ქვიშაში...
ლექსს გიწერ, შერე მოდიხარ
და ემღერები გრიშაშვილს!

ეს ლექსი ბევრ ბავშვს ჩააფიქრებს, რათა ისინიც არ გახდნენ პოეტის მხეხილი კალმის ობიექტი, ისე როგორც გახდა ძილისგულა ლილი თავართქილაძე.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ი. გრიშაშვილმა ბევრი საყურადღებო საბავშვო ნაწარმოები შექმნა. ლექსები: „დაობლებულ ბავშვებისათვის“, „პატარა პატრიოტები“, „გოგონის სწავლა“, „ჩემს პატარა მკითხველებს“, „ხვს დავარქვი ცხრა მისი“ და სხვ. სამუქოთა პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას უნერგავენ ჩვენს მოზარდ თაობას.

ქალაქური ფოლკლორის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, როგორცაა „ბაბაჯანის ქოშები“, „მოლა და ჭალი“ და „მესტაქვას ვირი“ მსუბუქი პეშორით ხასიათდებიან და დიდხანს არუნებენ მკითხველის მესხიერებაში. ასევე ქართული მკითხველის საყვარელ ნაწარმოებთან გადამტყულო ზალბურის ზღაპრების სიუჟეტზე დაფუძნებული პოემა „სიზმარა“.

ი. გრიშაშვილის კლამს, ვართა ორიგინალური ნაწარმოებებისა, ბევრი მაღალმხატვრული თარგმნილი ნაწარმოები ეკუთვნის. პოეტს სარეცენზიო წიგნშიაც შეუტანია მის მიერ თარგმნილი ლექსებისა და პოემების ნიმუშები. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ივანე არაქის ცნობილი ოსტატის ივანე კრილოვის „ხარაზი და იჯარაღარი“ და ღიღი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის თქმულებები: „ჭალი და კატა“, „ერთი წვეთი თაფლი“. ეს ური ეყანასკნული თითქმის თანაბრად ცნობილი და გაერელებულია როგორც სომეხ, ისე ქართველ მკითხველთა შორის, რაც მთარგმნელის ოსტატობასაც უნდა მიეწეროს. თარგმნილი ლექსებიდან აღსანიშნავია აგრეთვე იულიან ტუვიშის — „ნიბლიას თავგადასავალი“, ვერა ინბერის — „ჩვენ ოთხნი ვართ“, ს. მიხალკოვის — „ესანერი სიმღერა“, და სხვ.

ცნობილია, რომ ი. გრიშაშვილი ქართული ლექსის გამოჩენილი ოსტატია, მაგრამ მას მანაც გაპარვია ზოგიერთი ლაფსუსი. ასე მიაგალითად. ლექსში — „ხელი“ ცხველებით ასეთ სტრიქონებს: „უნდა წერას დაეფლო, ურბილესს და უღამაზესს“ (გვ. 22). ვაუგებარია, როგორ უნდა დაეფლოს მოსწავლე ურბილესს წერას. განა წერის შესახებ შეიძლება ეთქვათ: რბილი ან მაკარი? ასევე შეუძლებელია წარმოიდგინოს მკითხველმა „ტყბილი სურნელი“ (გვ. 64), „ცელქი ხმები“ (გვ. 31) ან „ტყბილი სიყვით“ (გვ. 123).

ქართული სათვის უსწორო ფორმა, აგრეთვე, „ჩხირსაც ნუ სტოვებთ გაუცნობელად“ (42-ე გვ.), „მინდა შეეძახო ზალხს ჯიშინანებს (42 გვ.), „უშიშრად და სამხედრულად“ (103-ე გვ.), „ჭაღმა კატას თავის ქედით (თუ ქედისათვის?) მიიკითხა კიდევ ხშირად“ (143-ე გვ.) „ლაშქის შინა“ (თუ „შეშა“, გვ. 11 გვ.).

სამწესბაროდ, გვხვდება კორექტურული შეცდომებიც. „მიმოფანტე მტერთა გუნდი“ (76 გვ.) უნდა იყოს „მტრედთა გუნდი“ და სხვ.

აქვე გვინდა აღვნიშნათ, რომ ი. გრიშაშვილი კარგად მოქცეულია, როცა წიგნში ცალკე მოთავსებულია სიტყვათა განმარტება. სასურველი იყო, აეტორს არ გამოჩვენოდა ისეთი სიტყვების განმარტება, რომელთა ახსნა კვალიფიკური მკითხველისთვისაც კი ძნელია. მაგ. „მგლონაი“, „კოპი“, „ეწვეწვი“, „იჯარაღარი“, „ღასტა“, „ყანგალა“, „წინწკალი“ და სხვ.

წიგნში გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომელთაც არც ღიღი ლიტერატურული ტრადიცია აქვთ და მით უმეტეს, მომავალშიც არა აქვთ გაერელების პერსპექტივა. ასეთებია, მაგალითად, „იქვრივისი“ (მოკრიკი), „ლილიფარა“ (მზესუნზირა), „შეშინი“ (გადაბრული), „ხარაზანა“ (სახარაზო), და სხვ.

წიგნი გამოცემულია მდიდრულად. მხატვარ ზ. ვაგოლაშვილის ნახატები კიდევ უფრო საყვარელსა და მიზიდველს ხდის ი. გრიშაშვილის ამ მეტად საყურადღებო ლექსების კრებულს. ამ წიგნის გამოცემით მტკიცდება, რომ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამოცემლობას შეუძლია ნორჩ თაობას მიაწოდოს მაღალმხატვრულად გამოცემული წიგნები.

ზრიგოლ ინიდაძე

ი. სოსტარჩის ლექსების კრებული



წიგნში მოთავსებულია პოეტის ის ლექსები, რომლებიც დაწერილია 1937 წლიდან დღემდე. რაც მკითხველს შესაძლებლობას აძლევს წარმოადგინა იქონიის ი. სოსტარჩის პოეტურ ველოუსობაზე.

თემატური აქტუალობა და იდეური სიმახვილე დამახასიათებელია საერთოდ ი. ზოშტარას შემოქმედებისათვის. ამის ადასტურებს როგორც სარეცენზიო კრებული, ისე მისი სტენდსხეც დროს გამოცემული წიგნები: „რევოლუციის პრეუღლია“ (1926 წ.); „ლექსები“ (1933 წ.); პოემა „ისკანდერ გურჯი“ (1934 წ.); „ლექსები“ (1939 წ.); „ლექსები და პოემები“ (1940 წ.); „ლექსები სამამულო ომზე“ (1945 წ.) და „სიმღერები სამშობლოზე“ (1952 წ.).

კრებული „სიოცხლის სიხარული“ იხსნება ლექსით — „შობილურ პარტიას“. ამ ლექსში პოეტი გამოხატავს საბჭოთა ხალხის გულწრფელ სიყვარულსა და ერთგულებას სოციალიზმის ქვეყნის განადიოხულ გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორის, შობილური კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც ბედნიერი მერბისისათვის ბრძოლაში გზას უნათებს პროგრესულ კაცობრიობას:

თუ მოგვესია, მტერს ბრძოლის ველზე
კვლავ შევაგებებთ ჩვენ მეტრდს ნატყვიარს,
შენ გზას უნათებ კაცობრიობას,
შენ, შობილური ჩვენო პარტია!

კომუნისმის განხორციელების რწმენით აღზრთოვანებული პოეტი ამ ლექსს ასეთი მგზნებარე სტროფით ამთავრებს:

გვიბლოდებდა შუქი ნათელი,
მალე ვიხილავთ დღეს ლავეარდიანს,
მტყიკედ მივყავართ კომუნისმისკენ
კომუნისტების დიად პარტიას.
ბელადის გუჯერა, პარტიის გუჯერა,
მზე კომუნისმის ამოვა, ვიცით,
წინ მივკვიდვება ღენინის დროშა
და გზას გენათებს სტალინის ფიცა.

ყურადღებას იმყრობს ი. ზოშტარას ლექსების ციკლი „სიმღერა ქუთაისელ მეავტომობილეებზე“. პოეტი ზიზლით ეგონებს იმ წყვეულ დროს, როცა „მეზობლებს შორის ნაჭერ მიწისათვის მტრობა და შური სუფედა“, როცა ქუთაისის მახლობლად, მაღლაკის გზაზე ჩარბი პარტახია სისხლს სწოედა მშრომელებს. მაღლაკის მიდამოები ძველად უსარგებლო ველს წარმოადგენდა, მაგრამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მაღლაკის ველზე გივანტური საავტომობილო ქარხანა აშენდა. გამოჩნდა ავტომობილმწენებელთა ახალი კადრები: მუშები, ინჟინრები, მექანიკოსები. მათში პოეტის თვალს გამოარჩენს ქარხნის სახელოვან აღამიანებს — მთავარ კონვეიერთან მღვარ ბ. ვაშაქიძეს, მუედელ გერვასი ბარდაველიძეს, შ. გვიზერიას, შ. გარდაფხაძეს, მიქაძეს, ანდრიაძეს, სიჩქაძის ყუთის ოსტატს ბ. გურესაშვილს, რომელიც

სიჩქარის ყუთის რიტმიულ ძვერას
ყურს უდგებს, არკვეს, როგორ მეშაობს,
და თავის ცოდნა შობილურ კერას
მუდამ მზად არის გადაუშალოს.
აღტაცებულა დიად ოცნებით,
მზე კომუნისმის იმარჯვებს, იცის,
გულს ჩაინერგა მან სასოებით
სითბო, სიუხვე რუსული მიწის.

ლექსების ამ ციკლში პოეტი ვადმოგვევს ქარხნის მოწინავე აღამიანების ენთუზიაზმს, მათი შრომის პეროკას, იმ აღტაცებულ განწყობილებას, რასაც ავტორში იწყევს კომუნისმის მწენებელ აღამიანების შრომითი თავდადება.

ხალხთა შორის სოლიდარობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის იდეას გამოხატავს ი. ზოშტარას ლექსი „მშვიდობის დროშა“. ლექსის ლირიკულ გმირს მტყიკედ სწამს, რომ ამერიკელი იმპერიალიზმის პირსისხლიანი განგსტერები, რომლებიც ყოველგვარ არადაამიანურ ღონისძიებას მიმართავენ, რათა მსოფლიო ახალი ომის უფსკრულში გადაჩეხონ, „კვლავ უღელს ვერ დაადებენ სტალინის ხელით ვადარჩენილ კაცობრიობას“.



ლექსში „მეგობრობა“ რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა მტკიცე და ურღვევი მეგობრობის იდეას ასახავს, ი. ხოშტარია წერს:

და თუ უწინ ათასწლოებით
მხოლოდ შველი არსებულა,
დღეს სტალინურ მეგობრობით
ხალხის გული ანთებულა.
მოვიცილებ და დავლევებ
გარს რომ გვერტყა რკინის ბადე,
დიდ სტალინის სამშობლოში
ხელშეორედ დავიბადებ.

ი. ხოშტარიას მიერ სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსთა შორის პოეტური უშუალო-ბითა და ჩანაფიქრის მხატვრული სრულყოფით გამოირჩევა „ჩვენი დროშა რაინსტაგზე“ და „ომგადახდილი მანქანა“.

პოეტური ექსპრესიითაა დაწერილი ი. ხოშტარიას ლექსი „წინ, რესპუბლიკაე!..“, რომელიც მიძღვნილია ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილე მკვნიებარე რევოლუციონერებისადმი. როცა ამ ლექსს კითხულობთ, არ შეიძლება თვალწინ არ წარმოგიდგეთ სამოქალაქო ომის ქარცხელში გახვეული ესპანეთი, სადაც, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „განგმირული ხეშუპე-ომება დედის მკერდზე ასვენია“, სადაც „ფრონტზე ფეცაცის კონტრადა დოლორეს იბარერი“.

ლექსში „რუსთავი“ ნათლად იგრძნობა ის უდიდესი კონტრასტი, რომელიც არსებობს ძველ, მიწასთან გასწორებულ მკვდარ ბოსტანქალაქსა და ჩვენი თაობის თვალწინ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში აყვავებულ სოციალისტურ ქალაქ რუსთავს შორის.

დიდი ხნის ნატვრა ასრულდა,
კვლავ აბიზინდნენ ქედები,
ჩვილ ქართულ ბავშვებს რუსთავში
აკენებს ურწევნ დედები.

L

საუცუნეთა განმავლობაში მკვდარი ნაქალაქარის, მისი უკაცრიელი მიდამოების ხელახლა ვაცოცხლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა შესაძლებელი — ასეთია ლირიკული სახეებში ჩაქსოვილი იდეა, რომელიც საუფქვლად უდევს ამ პატარა ლექსს.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ თემებს ესმაურება ი. ხოშტარიას ლექსები: „სიმღერა სამგორზე“, „პური შოდის“, „სიმღერა აბრეშუმზე“ და სხვ.

ბუნების პოეტური განცდა ჩააქსოვა პოეტმა ლექსში „მუხა“. ერთი შეხედვით შეიძლება მასში მკითხველმა გ. ტაბიძის „მუხას“ და გ. ლეონიძის „ოღეს“ პოეტური რეზინისცენცია დაინახოს, მაგრამ ეს არ იქნებოდა მართებული, რადგანაც ი. ხოშტარია ამ თემას რამდენიმედ განსხვავებულ ასპექტში ასუქებს.

ი. ხოშტარიას ლექსების წიგნის მიმოხილვა ცალმხრივი იქნებოდა და ამდენად ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული, თუ ღირსებასთან ერთად არ აღენიშნავდით იმ ნაკლოვანებასაც, რომელსაც მასში ადგილი აქვს.

რამდენად შექლო პოეტმა ჩასწვდომოდა და მხატვრულად განეზოგადებია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხები, რათა კომუნისმის მშენებელ ადამიანთა ღირსსახსოვარი ლირიკული სახეები მოეცა? ეს ამოცანა პოეტის მიერ ძირითადად დაძლეულია. მაგრამ, როდესაც აკვირდებით ი. ხოშტარიას ზოგიერთ ლექსში ჩვენი ცხოვრების სურათებს, გრძნობთ, რომ ეს სურათები არ არის მხატვრულად სრულყოფილი. რამდენად მოკვებდა ი. ხოშტარიას ლექსების ციკლი „სიმღერა ქუთაისელ მეავტომობილეებზე“, რომ პოეტს თავისი ჩანაფიქრი, შრომის გმირები უფრო კონკრეტულ-ლირიკულ სახეებში ჩამოეყალიბებინა.

ცნობილია, რომ ლირიკული ნაწარმოების კონკრეტული სახის პირველი მონახაზი ყალიბდება თვით პოეტურ ჩანაფიქრში. მაგრამ ი. ხოშტარიას ზოგიერთ ლექსში ეს არ ჩანს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ი. ხოშტარიას ლექსებში გვხვდება მხატვრულად ბოლომდე მოუფიქრებელი ადგილები. მაგალითად, ლექსი „ჩემი ქალაქი“ შეიცავს ასეთ სტროფს:

ღრუბელთა შორის განიდება ელვა,
დაუსრულებელ სივრცეს დასერავს,

რომ შეიწეროს ბუნების ლეღე,
თვალე ვერ უძღვებს გრიგალის ცქერას!



ცხადე, პოეტე! თეი არ შეიწუხე ძიებნისათვის დე პირველი შეხვედრილი სიტყვე ჩასე ტაეპში, მერემ იმას კი არ გუეწიე ანგარიში, რომ ამით ლირიული სახე კარგი არ გამოვიდე. უღაოდ დეტევირეველობის შედეგეე ასეთი ადგილი ლექსიდან — „პური მოდის“:

გული ხარობს, რომ ვუცქერი
ბრინჯაოსფერ ხორბლის ჩხრიალს.

ი. ხოშტარას ლექსების წიენი „სიცოცხლის სისხარული“, მოხედაეეე ამ ნაცლოეანებნის, აეტორის შემოქმედებით ზრდის მოწმობს.

პლ. გიორგიძე.

თ. ჯანგულაშვილის ახალი ლექსები



თ. ჯანგულაშვილმე ჯერ კიდევ იმ ლექსებით მიიბყრო მეითხველის ყურადღეე, რომლებეე მოთავებული იყო ახალგაზრდე პოეტების კრებულში „სალამურები“. შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდე ამის პერიოდში შექმნილი მისი ლირიე, სახელწოდებით „1945 წელი“. აღნიშნულ ლექსებში აეტორმე შეძლო სიმართლითე დე დამაეტრებლობით ეჩვენებინე ჩეენი მებრძოლების სულიერი სიმტკიეე დე სისბეტაეე.

ახალი ლექსებმს თემატიეეე — ჩეენი აღამიანების შრომითი მამაციბე, ბრძოლე ბუნების გარდაქმნისათვის, ბრძოლე მშვიდობისათვის.

ლექსების ციკლი — „ბალადე მიწის გაციცხლებნისა“ ეხებე ბუნებასთან ბრძოლის თემას. მართლაც, ყოველი ლექსი უმღერის იმ გრანდიოზულ ფრონტს, რომელიც მიწის გაციცხლებნისათვის, მისი წყლით მორწყვის, მისი ბალნარად გადაქცეეეისათვისეეე გავლილი საბჭოთე კეეშირის ყველე კუთხეში.

თ. ჯანგულაშვილის ახალი ლექსები გამთბარეეე სამშობლოს დიდი სიყვარულით: ყოველი ლექსი გამსუეაღულიე პარტიისე დე მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულებით. იგი სიამაყის გრძნობით მიმართეეე მშობლიურ პარტიას:

გულს ნათელის შუქი შემოსალტეეე
დე სიხარულის უნაბირობე,
— შენ გავიმარჯვოს, ჩემო პარტიეე,
ჩემი პარტიის დიდი ყრილობე!

დიდი აღმეფრენით უმღერის პოეტე კომუნიზმის მშენებელ საბჭოთე ხალხს ლექსებში: „კომუნიზმის ცისკარეე“, „შრომე დღეები“ დე სხე. ეს ლექსები მხატვრულადეეე ადელ დონეზე ღეანან.

ლექსი „მეგობრის მოგონებე“ ეხებე ს. ორჯონიკიძის გარდაცეეალებმს, „კელეე გდმოღეებე“ — ს. კირიოს ვერაგულ მევეულობას. ამ ლექსებში კიროვი დე ორჯონიკიძე წარმოდგეებინან თეეიანთი უეედაეეეი საქმეებითე დე იღეებით. არ შეიძლება ამ სტრიქონებმე აღამიანის გული არ ათთოთლოს:

იყო საღამო მელოეიარე დე გულსაკლავი
ტიროდე ხალხი, დაბრილიყენენ დროშები კრემლის...
წამოდგე ბრძენი, უეემეციმებს მხრებზე ვარსკვლავი,
წამწამზე — ციგელი.

ასეთივე შინაგანი სიბოთითა გამსკვალული კიროვისადმი მიძღვნილი ლექსი: „კიროვი ცოცხალი“. კიროვი ჩვენს შორის არის, გვაძინებებს, როგორც მგზნებარე პატრონეტი და ვისმაც სამშობლოსი:

ბიბლიოგრაფია

ველა იყავილებს სიკაბუცი ლექსი და ვარდი,
ველა იბრწყინვალებს მზე — ლენინის ქალაქი მძლავრი,
ველა გადმოდგება მირონინის მლიმარი ლაღი
და რუსთაველის დიდ პოემას გადაშლის კრძალვით.

სწრაფვა და სიყვარული სიციცხლისადმი, ჯანსაღი ოპტიმიზმი, იმედიანი განწყობილება, პატივისცემა უყვადვი წინაპრებისადმი, — ასეთია იდეური გააზრება ლექსებისა „ტამბოვის ჩვენება“, „მირგროდი“, „გვანატე ნინოშვილი საფრანგეთში“, „კაბუციის ბალადა“, „პაპაჩევი“.

ვაკაცური ტემპერამენტითა დაწერილი ლექსი „კაბუციის ბალადა“. სწრაფვა უყვადვიბისაკენ, მუდმივი სიციცხლისაკენ, შეურიგებლობა სიყვადვილისადმი — ესაა ამ ლექსის ძირითადი, წამყვანი აზრი.

საერთადღებო ლექსია „პაპაჩევი“. პოეტი მიმართავს პაპას, რომელმაც „ახლაგაზრდობა ოფლად დაღუარა, მოხედა, მაინც დარჩა დარბად“, რომ ვერ იხილა მან საწუცვარი და ბედნიერი ხანა:

წამოდექ, ათოცს სხივთა კრებული
შვილიშვილების გაღმეღ კოცონს, —
შეხედე, როგორ გაციცხრებულა,
განათებულა სიციცხლე როგორ!

წიგნში შესულია ლექსების ახალი ციკლი: „აფხაზეთში“. ამ ლექსებს ერთი იდეური მიზანდასახულება აერთიანებს, თვითველ მათგანში თავისებურადაა მოცუენები დახატული და ისინი ერთ მთლიანობაში კარგად გადმოგვეყვენ, როგორც ადამიანთა შრომითს საქმიანობას, მათს განწყობილებებს, ისე ამ უმშუენიერესი კეთხის საერთო კოლორიტს. განსაკუთრებით გამიირჩევა ლექსები „რიცას ტბა“, „წელი თარბა“ და „სუხევი“.

ამ ციკლის ყველა ლექსი, პოეტისავე სიტყვებით რომ ვთქვათ „სიღამაზისა და სიციცხლის ყოვლისმძლე ძალით სენთქავს“, — ამშია თ. ჯანგულაშვილის ლექსების ერთ-ერთი ღირსება.

ლექსში „რომ სულ ვადიღო ეს სიღამაზე“ პოეტს განსახუერებული აქვს ტერფა სამშობლო — ბედნიერა ხალხის ნამდვილი გაზაფხული. აქი პოეტცი ამიტომ ამბობს:

მერღში ჩაეფტუნ აპრილის ნიავს,
ნიავია თუ სენთქვა ზღაპრულა...
ჩვენ გაზაფხულის შვალეები გვკვია,
— სამშობლოვ, შენ ზარ ეს გაზაფხული.

პოეტს უნდა, „რომ სულ იდიღოს ეს სიღამაზე — პარტიის სიბრძნით ამოდლებული“. აქვე მოთავსებული ჩამდენიმე ლექსი სამაშულო ომიდან („სამშობლოსათვის“, „ომში წასვლის წინ თქმული“, „ბალადა შერისცებისა“, და ოთხი ლექსი საერთო სათაურით „სტრიქონები „ვისლის დამეებიდან“), სადაც გულწრფელად და დამაჯერებლობით არის გადმოცემული სამაშულო ომის სურათები და ჩვენი ჯარისკაცების სიმაშაცე, გამტანობა, გაუტეხელობა, სულღირი სიმხნევე და მაღალი მორალური თვისებანი. საყმაოდ პოეტლარული ლექსია „რაიშონდა დიენ“. ამ ლექსის მძლავრ რიტმსა და ბეგრათა პარამონიულ შეთანხმებაში თვალწინ წარმოვედგება გმირი ქალი, რომელმაც „მშვიდობისათვის ყველა მებრძოლ გულში ჰპოვა ბინა“.

ლირიკულ-ეპიკური ხასიათისაა ლექსი „ღია ბართი ამერკულ ოფიცერს“. საინტერესოდაა გადმოცემული ორი ჯარისკაცის — ჩვენი და ამერკულის — განწყობილება. ამერკულს შეეძლო მშვიდობის ვზით ეელო, მაგრამ მან „დაბრმავებულმა ოქროს ლაღაპით“, ომის გზა არჩია.

თ. ჯანგულაშვილის ახალ ლექსებს ბევრი ღირსება გააზნია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს. წიგნი უნაკლო იყოს. ზოგიერთ ლექსს გტყობა ნაძალადეგობა, მოკლებულია კონკრეტულობას და მშრალ დეკლარაციად იქცევა. ასეთი ლექსები უმთავრესად მიძღვნილი ხასიათისაა. მაგალითად, „სიბღერა ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებზე“. ამ ლექსს რომ კონკრეტული ხასიათი ჰქონდეს და მაღალფარდოვანი აზ იყოს, უფრო მოიგებდა. ლექსში „სულა იყავ და ტაღლა დამ-

კარ" ლირიკული სერათის დახატვის ცდაა მოცემული, მაგრამ მეტად გაუბრალებულა და ამიტომ ლექსი მიზანს ვერ აღწევს. გვხვდება არაზუსტი შედარებები და მხატვრულად გაუმართავი სტრიქონები, ენობრივ-სტილისტური უსწორბანიც.

ლექსებში — „სიღვდრი“, „ბალადა მხევლისა“ და „აგიტუნტი“ გვხვდება ზღაპრულად ნაწარმოები სიტყვები: „ოცნება დააჯეჯილა“, „და ამ სიმღერას დაემხლებები“, „გამლა სუფრა საამაყარო“, „ღუაღვდრაგი“ და სხვ.

ზოგ ლექსში გვხვდება პროზაიზმამდე დაყვანილი სტრიქონები, მაგალითად,

შრომადლებს ჭაბუკები ბრიგადაში

სთვლიან თერმე და ველარა სთვლიანო (!)

— მაგრამ არ ვარ მე ოსტატი ლაპარაკის ბევრისა (!)

მაგრამ ეს ნაკლოვანებები ვერ ჩრდილავენ წიგნის დადებითს მხარეებს.

თ. ჯანფელაშვილის ახალი ლექსების კრებული უფოოდ წინ გადადგმული ნაბიჯია მის შემოქმედების გზაზე.

ი. პრაბული

ახალგაზრდა მწიბრების ალმანახი



ომისშემდგომ პერიოდში ქართულ საბჭოთა მწერლობას ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ძალა შეემატა. ამის სისწორაში დარწმუნდებით, თუ გულდასმით გადავიკითხავთ ახალგაზრდა მწერლების ალმანახს, რომელიც «საბჭოთა მწერალთა» გამოსცა 1953 წ.

ალმანახში დაბეჭდილია ლექსები, მოთხრობები, ნოველები და კრიტიკული წერილები.

პროზიდან ურთადლებას იქცევს ივანე ურჯუშელაშვილის რომანი „თანატოლები“. მიუხედავად იმისა, რომ რომანის მხოლოდ პირველი ნაწილია დაბეჭდილი, მაინც შეიძლება მასზე გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ. რომანის სიუჟეტი იშლება საკომუნერნო მშენებლობის ფონზე. კარგად არის გადმოცემული მანქანატრაქტორთა სადგურის როლი და მისი მნიშვნელობა მოსაელის გადიდებისა და კოლმეურნეთა პატერიალურ-საკონდაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში, რომანში გამოხატულია ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, უარყოფითსა და დადებითს შორის, კონფლიქტი ამ ორ საწინააღმდეგო მოვლენას შორის მწვავე ხასიათს იღებს. უარყოფითი ადამიანები, მათთვის დამახასიათებელი თვისებები: — უღრადელობა, წამკლეჯაობა, არასახელმწიფოებრივი მოქმედებანი — დაუნდობლად, მათრად და მკეთრად არის გამოთარბებული. მკაფიოდ, ცოცხლად და დამაჯერებლადაა ნაჩვენები დადებითი ადამიანები, მოწინავე კოლმეურნეები და მათი პატრიოტული შრომა საკომუნერნო წყობილების აღმავლობისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით რელიეფურად არის გამოკვეთილი მოწინავე კომკავშირელი აგრონომი ქალის — ნათელა მეცხვარიშვილის ტაბიური ხასიათი. ეს მხატვრული სახე რომანში თავიდანვე იქცევს ურთადლებას.

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — ჯავახი გაელენილია კერძომეცხვართული ინსტინქტებით, მის შეგნებაში ძლიერად იგრძნობა კაპიტალიზმის გადასაშობის არსებობა. იგი არ არის გულწრფელი, საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებული ადამიანი. მიშველ აღმინისტრირებაში, უხეშობასა და მოჩვენებით ერთგულებაში სურს მას დაფაროს თავისი თავი, მაგრამ პარტიული ორგანიზაცია, საკომუნერნო აქტივი, კომკავშირელი ახალგაზრდები მას ამ ნიღაბს ჩამოხდინან, გამოამკლავებენ მის ნამდვილ ბუნებასა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩევენ კომკავშირელ აგრონომ ქალს — ნათელა მეცხვარიშვილს, რომელსაც ჯავახი სდევნიდა.

რომანში კარგად არის მოცემული ორი კოლმეურნეობის გაერთიანება და ბრძოლა მაღალ მოსავლისათვის, რაც დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

მაგრამ რომანის საგრძნობი ნაყოფანებანი აქვს. სიუჟეტი, მართალია, საინტერესოდ მშლება, მაგრამ იგი კომპოზიტურად სუსტია. ამბავი ნაწილობრივ ხელოვნურად არის გაზვიადებული. ავტორს რომანში ბევრი პერსონაჟი შემოჰყავს, მათ გარკვეული სახე არა აქვთ, უკულოდ უკარგებიათ, ნაწარმოების ზოგიერთი თავი ნარკვევის ხასიათს ატარებს. რომანი ბევრს მოიკებს, თუ შემოკლება, დახვეწება, გაიწმინდება ზოგიერთი ზედმეტი უმნიშვნელო სურათისაგან.

აღმანახში დაბეჭდილია ნათელა ომანუილის ორი ნოველა: „ღმანისელი მეგობრები“ და „ამირანი“, რომლებიც ვერ ახდენენ ძლიერ შთაბეჭდილებას.

პოეტის განყოფილებაში მოთავსებულია ორმოცდათექვსმეტი ახალგაზრდა პოეტის ლექსი. აქედან ჩანს, რომ რედაქციის საზომი ახალგაზრდა ავტორებისადმი მეტად ლიბერალური და არამომთხოვნი ყოფილა. აღმანახში დაბეჭდილი ლექსების უმრავლესობა ერთფეროვანი და უსახოა. წიგნი ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ ავტორთა რიცხვი შეემციოებინათ და დაბეჭდათ ახალგაზრდების საუკეთესო ნაწარმოებები. მაშინ თვალსაჩინოდ გამოჩნდებოდა ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებითი სახე. ახლა კი რედაქციის არამალამომთხოვნელობამ აღმანახს დაუკარგა ის ღანიშნულება და მნიშვნელობა, რომელიც მას უთუოდ უნდა ჰქონებოდა. ძნელია თითოეული პოეტის ცალკე გაჩვენა იმიტომ, რომ ლექსების უმრავლესობა ერთმანეთს ჰგავს, ერთნაირად დაბალ დონეზეა, არ არის მათში ნათელი, მკაფიო, ცოცხალი და გამოკვეთილი პოეტური სახეები. მხოლოდ ზოგიერთი ლექსი იმსახურებს ყურადღებას.

აკაკო გენაძეს ლექსში „მისი სიციხლუ“ ა. სტალინის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება ღრმად აქვს გარდელი და გამოსახული:

ჩემო ქვეყანა, შეიმშრალე მწუხარე თვალი,
შენც კარგად იცა, რომ ცრემლები არ უყვარს სტალინს,
უყვარს ფოლადი და ქვეყანა ფოლადის მსგავსი,
რომელიც ცეცხლში კი არ იწვის, იწრთობა უფრო...

ახალგაზრდა პოეტის მუხრან მაჭავარიანის ლექსი „სტალინი — მსოფლიოს ბელადო!“ ღირსებით გამთბარი ნაწარმოებია. მოკრძალებით ამბობს პოეტი:

დღეს პოეტმა რომ ვერ ნახოს შენი რითმა,
შენს სახელს რომ ვერაფერი შეუერთიშოს,
იამაყოს ამის შემდეგ მაშინ რით მან,
თუ ლექსებში არ იქნება შენი სიტობა?

განკლით დაწერილი ლექსია „სამგზარის ტირილები“, მაგრამ ლექსები: „მიწიერი აღმადრენა“, „არკვეთის მიწა“ და „რუსთავი“ პოეტურ ფორმას და სახეს მოკლებულ ნაწარმოებად გვესახება. ავტორი თავის პოეტურ ფორმას ვერ ათავსებს ჭარბ გრძნობებს, სიტყვებს უწესრიგოდ ისერის, თითქოს ვერ იზარჩილებს და ვერ აძლევს მათ გარკვეულ მიმართებას. დაუშვადებულ და თავმოუყრელ სიტყვათა გროვია შემდეგი სტრიქონები:

სველდება ველი გადაცეცილი...
ჯხვდავ სიმინდის დაუღამებებს...
გადაათეთრა მშვიდად წერილი,
გამოიტანა „ზალიდან“ სკამი, —
დაჯდა,
ცხამისკენ გაექცა თვალი
და...
გაბოლა ბაბუაჩემმა...

ახალგაზრდა პოეტმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს. საჭიროა მან ლექსში თვისი კარბი, ღრმა ლირიკული გრძნობები რეალისტურად გამოხატოს.

ნაზი კილასონიამ პირველი ლექსიდანვე მიიპყრო ყურადღება, როგორც ლირიკოსმა, ფაქიზი გრძნობების მქონე პოეტმა. აღმანახში მოთავსებული ლექსები — „აგარიდან აბისაძე“, „ყვავილების მაყარი ვარ“, „პაპის ნააზობი“, „ნეტავ მხოლოდ“ და „წითელ მოედანზე“ ღირსებითაა გამთბარი. ავტორს უნდა შეენიშნოთ, რომ იგი ერთგვარად ინტიმური ლირიკული განწყობილების ნაშუქში მოქცევის საფრთხის წინაშე დგას.

შოთა წიწნაინძის ლექსები თუმცა თემატიკად მრავალფეროვანია („იანიჩარული ბაღადა“, „სამშედლოში“, „უცხოეთის ქრონიკები“, „ოლევის დედა“ და „სომღერა ქართველ დედაზე“), მაგრამ მხატვრული თეატრისთვის ისინი ვერ დგანან ერთნაირ დონეზე. უღვესებო ქვეყნულ-ლოში“ და „სომღერა ქართველ დედაზე“ შედარებით უკეთესად არის დაწერილი. კარგია შედეგ კახიძის ლექსები: „გზაზე“, „გულში მიციანის“ და „კოლმეურნე ქალი“. ჯანსაღად და ოპტიმისტურად ეღერს პოეტის სიტყვები:

გულში მზის სხივთა ზღვა არის, ატოტებული ცამდის,
როგორ, დამჯანის ვარამი შხისა და მიწის გაზრდილს?
გულში მიციანის აისი, ან სატირალი რა მაქვს?
ბავშვობიდანვე ხალისის უღვეი გრძნობა დამაქვს..

შეიძლება ლირიკული სიღრმე არ აკლდეს თამაზ კილაძის ლექსს „ზღვისფერთვალეხას“, მაგრამ ის ფაქტორი, რომ ჩრდილოეთელმა ვოგონამ პირველად ნახა ზღვა, გააკვირვა ავტორის შემოთქმბა და ამის გამო პოეტს შინა წაქსახა გულში, ვითთ მომიტაცოსო, გულუბრკელო და სერიოზულობას მოკლებულია.

ახალგაზრდა პოეტი ოთარ ჭოლაძე კარგად გადმოცემს ბავშვების მწუხარებას სტალინის გარდაცვალების გამო ლექსში: „ბავშვები რადიოსთან“. ლექსებში „ზოიას სურათთან“ და „პანფილოველები“, ავტორი სამამულო ომის ზოგიერთ მომენტს ასახავს.

აღქმანდრე ბეგაშვილი თავის ლექსში „ბელადთან გამოთხოვების დღე მიიღისში“ გადმოცემს ხალხთა ღრმა მწუხარებას სტალინის სიკვდილის გამო.

საინტერესოა თავისი მოფიქრებითა და შესრულებით დიმიტრი გვიგბერიას ლექსი „კრემლის საათი“. მწუხარების ნაღველთაა აღსავსე ვახტანგ ვოგონაშვილის ლექსი სტალინის გარდაცვალების გამო: „ამხანაგებო, აღეკით ფეხზე!“ სუსტია ლექსი „ჩვენი მზარის მხარგრძლები“. აზრს მოკლებულია მერი ბიწაძის ლექსი „ზაფხულის დღა“. მშვიდობის თემაზეა დაწერილი გიორგი ხუბაშვილის ლექსი „მშვიდობის სიმღერა“. ამ გრძელ ლექსში ბევრ კარგ ადგილებთან ერთად სუსტი სტრიქონებიც საკმაოდ მოიპოვება. მაგალითად:

ეს მოგონებად შერჩება მერმისს,
შთამომავლობას რომ დაეუბარებო...
სხვა გზა არა გაქვით? კეთილ ინებთ
და გადაცვივლით ზღვაში თვითონვე...

ასეთი არამოეტური სტრიქონები ლექსში ბევრია. თემატიკით, მოფიქრებით და მხატვრული შესრულებით პოეტური და ორიგინალურია ახალგაზრდა პოეტის ტარიელ ჭანტერიას ლექსი „პაპირისი“ ავროზა“.

გულწრფელობით ხასიათდება ბეჟან ბარდაველიძის, ზაური ბოლქვაძის, გიორგი გუბიას, ოთარ მათიკაშვილის, ლადო მრეღაშვილის, ნოდარ ნარსიას, იოთამ ნასარიძის, ჯანსულ ნიჭბაძის, ვალერიან საღლიანის, ვალერიან ფურციაშვილის, ნოდარ შამანაძის, სიმონ შამტრიაანის, გიორგი წერეთლის, ვახტანგ ჯავახიძის, ზურაბ კუხიანიძის, მურმან ჭოიავას ლექსები.

პოეტური ფორმის ათევისებლობა ემწნევა ოთარ ბობოხიძის ლექსს — „სოფლის გზაზე“. მასში არ იგრძნობა ღრმა ლირიზმი. მშვიდობის თემას ეხება ბადრი ბერიძის, სამუელ შოქლერაშვილის ლექსები. ძალიან სუსტია ალექსი ხუციშვილის ლექსი „კორველი ქალი“.

კრიტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია წერილები: გიორგი ხუბაშვილისა — „ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის სახე ქართულ პროზაში“, გიორგი ციციშვილისა — „ხასიათი და მისი ღრამატურგული განსახიერება“, ვ. მარბაძის, ვ. პეტრიაშვილისა და მ. ქარჩავას — „კახიტალისტური ქვეყნების პროგრესული მწერლები მშვიდობის სადარაჯოზე“.

გ. ხუბაშვილი თავისი წერილის შესავალში პრეტენზიულად აცხადებს: „ქვემოთ შევეცდები გამოჩენილი ქართველი მწერლების ნაწარმოებთა განხილვით ნათელი გაეხადო ახალგაზრდა ქართველი საბჭოთა ადამიანის ტიპური სახის განვითარება დიდი ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე“. ავტორმა ეს დაპირება ვერ შეასრულა, მიახლოებითაც ვერ მოხაზა თემის ძირითადი კონტურები. მან მხოლოდ ლ. ჭიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, ა. ჭეიშვილის და რ. ჯაფარიძის ნაწარმოებთა ახალგაზრდა პერსონაჟები განიხილა და ამით „ამოწერა“ ეს მნიშვნელოვანი თემა. ცხადია, წერილი სრული არ არის, იგი ვერ მოიცავს მთლიანად ქართულ საბჭოთა პროზას.

გ. ხუხუშვილი არ უყვარდება იმას, რას წერს. როგორც პრესაში უკვე აღინიშნა, მის წერილში საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული. ხუხუშვილი ამბობს: „უკიდრის რუმანის... მთავარი გმირი ქიშვარდი პატიოსანი, ენერგიული და მშრომელია“. „ქიშვარდი მორალურად სწავლიდა და პრინციპული ახალგაზრდაა“. ხოლო „მისი პროტოტიპია რომანში ბონდო ქილიფთარი იგი ქიშვარდისაგან დამეტრულად საწინააღმდეგო მორალისა და მსოფლმხედველობის კაცია“. საკითხავია: ბონდო თუ სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისაა ქიშვარდისთან შედარებით, როგორ შეიძლება მისი ქიშვარდის პროტოტიპად გამოცხადება? ის ქიშვარდის ინტელიგენცია და არა პროტოტიპია. როგორც ჩანს, გ. ხუხუშვილს არ ესმის სიტყვა „პროტოტიპის“ აზრი და მნიშვნელობა. გ. ხუხუშვილი ზოგჯერ სრულ უაზრობამდისაც მიდის. იგი წერს: „მოუხეშავი, უნარი და გულ-ჩახსრებილი ქიშვარდი გაცილებით სიმპატიურად მოჩანს რომანში, ვიდრე ლაზარდარა ბონდო“. ლაზარდარა, უქნარა, საზოგადოებისათვის უსარგებლო ადამიანი ვანა შეიძლება სიმპატიურა იყოს?

კიდევ ერთი უაზრობა თუ შეეძლება.

ავტორი ამბობს: „შწერალმა შესწლო შექქნა თანამედროვე მშრომელი ახალგაზრდის ტიპური სახე ისე, რომ არ ეღალატნა ცხოვრების სიმართლისათვის“. თურმე შესაძლებელია შწერალმა ცხოვრების სიმართლეს უღალატოს და მაინც შექქნას თანამედროვე მშრომელი ახალგაზრდის ტიპური სახე.

აღმანახში დამეჭვდილია ე. მადრაძის, გ. პეტრიაშვილის და მ. ჭარჩავის წერილი თემაზე: „კაპიტალის ქვეყნების პროგრესული მწერლები მშვიდობის სადარაჯოზე“. ამ წერილში კონკრეტულად განხილულია ლეი არაგონის, პოლ ელუარის, ანდრე სტალის (საფრანგეთი), ჯეიმს ოლდრეიჯის (ინგლისი), მაიკლ გოლდის, პოუარდ ფსტის, ალბერტ მაღის (აშერიკა), ნაზიმ მიქქეთის (თურქეთი), ეოზიე ამაღუს, პაბლო ნერუდის, კარლოს ალუესტრო ლეონის, რულ გონსალეს ტენიონისა (ლათინური ამერიკა) და სხვათა შემოქმედება.

გოროგი ციციშვილის წერილი ეხება დრამატურგიაში ხასიათის განსახიერების თემას. სტატია უთუოდ საინტერესოა.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ აღმანახის სარედაქციო კოლეგია ყურადღებით ვერ მოჰყიდებია მხატვრული მასალების შერჩევას, განსაკუთრებით ეს ეხება პოეზიას. აღმანახის მხატვრული ღირსება საგრძნობლად გაიზარდებოდა, რომ მისი შემდგენლები და რედაქტორები არ გამოდევნებოდნენ რაოდენობას და მასალები ხარისხის მიხედვით შერჩნათ.

სიმონ წყნარაძე

მოსტრუპების პირველი წიგნი



დღევანდელი ქართული საბავშვო ლიტერატურა არ არის მდიდარი პროზით. ჩვენ ცოტა გვაქვს კარგი საბავშვო მწერალი, და თუ საბავშვო ლიტერატურა მაინც არ არის სავალლო მდგომარეობაში, ეს იმიტომ, რომ ბავშვებისათვის ბევრს წერენ ჩვენი მოწინავე მწერლები: ლ. ჭიაბლო, ი. აბაშიძე, ა. მიჩხელაძე, ი. მოსაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. აბაშიძე, რ. მარგინი, ი. ნონაშვილი... ჩვენ კიდევ ბევრი მწერლის დასახელება შეგვეძლო, მაგრამ როგორც აქ ჩამოთვლილ ისე იმ დაუსახელებელ მწერლებშიც, რომლებიც ბავშვებისათვის წერენ, უმრავლესობას პოეტები შეადგენენ.

საბავშვო ლიტერატურაში უმთავრესად პოეტები მუშაობენ. ჩვენი ცნობილი ბელეტრისტებიდან იშვიათად თუ ვინმე წერს ბავშვებისათვის. ამიტომ ყოველი ახალი საბავშვო მოთხრობის გამოსვლამ არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს.

ლიტერატურის არც ერთ ეპოქას არ შეუძლია ისე მრავალმხრივად, ისეთი სისავსით და სიღრმით ასახოს ჩვენი ნორმა თაობის ცხოვრება, მისი მისწრაფებანი, მისი პატრიოტული გრძნობები და მორალური სახე, როგორც პროზას. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ მოთხრობას ამისათვის მეტი საშუალებანი გააჩნია, ვინამ ლექსს და, თუ გნებავთ, პოემასაც და დრამასაც.

ბავშვებს უნდათ ამავე, სუვერენი პროზა. უნდათ დაინახონ ლიტერატურულ ნაწარმოებში ჰიონერის, კომპაგნიტელის, ნორჩი ხელოსნის, სპორტსმენის, სამაშურის, კმეს, კატრია გმირების, ნორჩი მიმერინგლებისა და ნატურალისტების სახე, ხასიათი, საქმეები. უნდათ ლიტერატურული ნაწარმოების ისეთი გმირი, რომელსაც მიბაძვენ, რომლისგანაც ისწავლიან, რომელიც მაგალითის შანვენებელი იქნება მათთვის. ბავშვებს უნდათ ლიტერატურული ნაწარმოების გმირის უარყოფითი შხარის დანახვა.

ასეთი გმირები, სახეები ერთობ მსურავა ქართულ საბავშვო პროზაში. ვითაღისწინებთ რა ამას, როცა ჩვენ საბავშვო წიგნს ვიღებთ ხელში, ბევრი რამ შეიძლება ვაპატოთ პირველი წიგნის ავტორს, თუ მას რაიმე ახალი შემოაქვს ლიტერატურაში, თუ გნებავთ, დაკვირვების საბაზე. ან მის მიერ შექმნილი ხასიათის და ამბის ოდნავი თავისებურებაც კი. ასეთ საბავშვო მწერალს შეიძლება აპატო — ინდივიდუალური სახის ნაკლოვანება იქნება ის, თუ ჩვენი საბავშვო ლიტერატურის საერთო დამახასიათებელი ნაკლოვანება.

ქ. გოგიაშვილის „საბავშვო მოთხრობების“ წიგნს, ორივე ეს ნაკლოვანება ახასიათებს. მაგრამ წიგნს აქვს თავისი ღირსებაც, და ეს არის ის ახალი, რაც მწერალს შეინიშნავს ჩვენი ბავშვების ცხოვრებაში, სწავლაში, შრომაში. ეს ჩანს „ორი ამხანაგის“, „პირველი სურათის“ და სხვა მოთხრობათა გმირების ხასიათში, საქციელში. ამ წიგნის ზოგი ბავშვი არა შეავს სხვა ავტორების მოთხრობათა ბავშვებს, მაგრამ ასეთ ბავშვებს ჩვენ შევხედრდით, გვინახავს, ისინი წიგნში ცხოვრებიდან შესულან და ეს გეხიბლავს.

წიგნს აჩქარებული ხელი ეტყობა. ზოგი მოთხრობა დაუმთავრებელია. ავტორს რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობით ემუშავა, მოთხრობები ბევრს მოიგებდა. ამიტომ არ შეიძლება ავტორს არ უფსაუკდუროთ აჩქარება და ჩვენი ყურადღება უმთავრესად ამ ნაკლოვანებაზე არ შევააზროთ.

ყველა მოთხრობაში არის ამავეი, რაღაც ხდება, მაგრამ აღწერილია ამბის მხოლოდ გარეგანი სახე და ამის გამო ბავშვების ხასიათები რჩება განუვითარებელი, გაუხსნელი. ზოგჯერ მშამზარეული ხასიათია მოცემული, ამ ხასიათებს არ გააჩნიათ ინდივიდუალური თავისებები. და თუ რომელიმე გმირს აქვს თავისი თავისებები, მათ მწერალი მაშინვე გმირს, არ გამომდინარებენ გმირის მოქმედებიდან, საქციელიდან, იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩაყენებულია მოთხრობის პერსონაჟი.

ქ. გოგიაშვილის ყოველ მოთხრობას აქვს თავისი მორალი და მას შეეძლო ბავშვზე კარგი გავლენა მოეხდინა, მაგრამ მწერალი იმის გამო, რომ ჩქარობს, ვერ ასერხებს ამ მორალის საინტერესო, დამაჯერებელ და მხატვრულ ფორმაში გადმოცემას, და იგი ელანდება რიტორიკის, შიშველი დიდაქტიკის სახით.

ბავშვს არ სჯერა თავზე მოხვეული შიშველი დიდაქტიკისა. დიდაქტიკა საჭიროა, მაგრამ იგი მოქმედებაში, პერსონაჟის საქციელში უნდა ელანდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები კარგავს თავის დანიშნულებას.

